

გიორგი ჭიპაშვილი

იზანის სახელმწიფო წყობილება

მეცნიერება

1990

ნაშრომში სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის შუქზე გაანალიზებულია ირანული სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების ერთიანი პროცესი. ამასთან მთავარი ადგილი ეთმობა ბურჟუაზიული სახელმწიფო ინსტიტუტების გენეზისისა და სრულყოფის საკითხებს ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში. შესწავლილია ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ჩამოყალიბების მიზეზები, მისი სტრუქტურული მოდელი და განვითარების ეტაპები. გამოკვლეულია „ისლამური სამართლიანობის“ საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ასპექტები.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ო. გიგინეიშვილი
 რეცენზენტები: ისტ მეცნ. დოქტ. დ. კაციტაძე
 ისტ. მეცნ. კანდ. ლ. შენგელია

შ ე ს ა ვ ა ლ ი

სახელმწიფო წყობილების ისტორიის საკითხი ირანში დიდი და ტევადი თემაა. ცხადია, ავტორს მიზნად არ დაუსახავს მისი სრულად შესწავლა და გაანალიზება. წინამდებარე ნაშრომის ძირითადი კვლევის საგანია სახელმწიფო წყობილების ცალკეული საკითხები, რომლებიც ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდს, კერძოდ, კონსტიტუციური მონარქიისა და ისლამური რესპუბლიკის მმართველობას ეხება.

მაგრამ იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ირანის სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოშობისა და განვითარების ერთიან პროცესებზე, ნაშრომში თხრობა სახელმწიფოებრიობის გაჩენის სათავეებიდან იწყება. ამასთან ერთად, ავტორი ცდილობდა მარქსისტული მსოფლმხედველობის შუქზე განეხილა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური ზედნაშენის განვითარებისა და სრულყოფის ცალკეული ასპექტები და რამდენადაც შესაძლებელი იყო ბაზისურ მოვლენებთან მათი მჭიდრო კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა ეჩვენებინა.

სახელმწიფო ორგანიზაციის განვითარება წარმოდგენილია ისტორიული თანამიმდევრობით. მოკლედ არის დახასიათებული ადრემონათმფლობელური, მონათმფლობელური, ადრეფეოდალური და განვითარებული ფეოდალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, მათი სტრუქტურული თავისებურებანი, ახსნილია ქვეყანაში ფეოდალურ ურთიერთობათა სტაგნაციისა და სახელმწიფო მმართველობის არქაული ფორმების კონსერვაციის განმაპირობებელი ფაქტორები.

XIX საუკუნის დამდეგიდან ირანში შემოჭრილმა ევროპის კაპიტალის ძლიერმა ნაკადმა ხელი შეუწყო ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობათა კრიზისის გაღრმავებას, მაგრამ ამავე დროს გზა დაუხშო ახალ ურთიერთობათა განვითარებას. ყაჯართა აბსოლუტური, დესპოტური თვითმპყრობელობა და ფეოდალური არისტოკრატია მაშინ მოკავშირედ გაუხდნენ და ხელს უმართავდნენ უცხო ძალებს ქვეყნის დამორჩილებისა და მისი ნახევრად კოლონიად გადაქცევის საქმეში.

ირანის 1905—1911 წლების რევოლუციის მთავარი შედეგი იყო პარლამენტურ-კონსტიტუციური მმართველობის შემოღება. ამით

მნიშვნელოვნად შეიზღუდა ყაჯართა მონარქიული რეჟიმი. 1925 წელს ყაჯართა მონარქია შეცვალა ფეჰლევციანთა ახალმა დინასტიამ, რომელიც ეროვნული ბურჟუაზიისა და მულქადარი მემამულეების ინტერესებს გამოხატავდა. ფეჰლევციანთა უკანასკნელი მონარქი, რომელიც ბონაპარტისტული მეთოდებით მოქმედებდა, ცდილობდა გაეფართოებინა მონარქიის სოციალური ბაზა და კონსტიტუციური პრეროგატივები. 60—70-იან წლებში გატარებული ცნობილი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად მოხდა მონარქიის ევოლუცია ნახევრად ფეოდალურიდან ბურჟუაზიულისაკენ. სახელმწიფო ორგანიზაციაში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული სამართველო აპარატი.

1979 წლის თებერვალში ანტიმონარქიული, ანტიიმპერიალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ პოლიტიკურ ხელისუფლებას დაეუფლნენ ისლამურ-შიიტური ლიდერები აიათოლა ხომეინის მეთაურობით. იმავე წლის პირველ აპრილს ქვეყანა ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. რელიგიურმა წინამძღოლებმა თანდათან ჩამოიშორეს როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ოპოზიციური ძალები და სახელმწიფოში პოლიტიკური ხელისუფლების სრული მონოპოლია მოიპოვეს. ნაშრომში გაანალიზებულია ხელისუფლების ახალი ორგანოების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების საკითხები, ახსნილია ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ირანული მოდელის თავისებურებანი.

ნაშრომი წარმოადგენს მეზობელი ირანის სახელმწიფო წყობილების საკითხების შესწავლის პირველ ცდას ქართულ ენაზე. ამიტომ, ბუნებრივია, იგი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისაგან. ავტორი მაღლობით მიიღებს ყველა შენიშვნას, რომლის მიზანი ტექსტის გაუმჯობესება და საკითხის უფრო სრულყოფილად გაშუქება იქნებოდა.

თავი პირველი

მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფო წყობილება

ირანის ზეგანი მსოფლიოში ადამიანის ერთ-ერთი უძველესი დასახლების კერად არის მიჩნეული. არქეოლოგიური ძიებების შედეგები მოწმობს, რომ აქ პირველყოფილი ადამიანის კვალი ჯერ კიდევ ათას საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შეინიშნება. წინაისტორიულ ხანაში ამ ტერიტორიაზე გადიოდა ხალხთა მიგრაციების მთავარი მაგისტრალე-ბი. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეპოქაში აქ ყალიბდებოდა და იშლებოდა ცალკეული ტომებისა და ხალხების ეფემერული გა-ერთიანებები, ინგრეოდა და ნადგურდებოდა ადამიანების შრომითა და ოფლით შექმნილი მატერიალური ფასეულობანი. იღვრებოდა უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, ერთმანეთს ცვლიდა მძლავრი იმ-პერიები, დიდი და პატარა დინასტიები.

მონათმფლობელური სახელმწიფოები ირანში

ირანში პირველი სახელმწიფო წარმონაქმნები კლასობრივი საზო-გადოების წარმოქმნასთან ერთად გაჩნდა თემურ-გვაროვნული პირველყოფილი საზოგადოების დაშლისა და მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობების აღმოცენების საწყის სტადიაზე. უკვე ჩვ. წ. აღრიცხვამდე მესამე-მეორე ათასწლეულებში ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში არსებობდა ილამის მსხვილი მონათმფლობელური სა-ხელმწიფო გაერთიანება. პირველი ათასწლეულის დამდეგს ირანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ასირიისა და ურარტუს მონათ-მფლობელურ სახელმწიფოებში შედიოდა, ხოლო მერვე-მეშვიდე სა-უკუნეებში ურმიის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო მანის სამე-ფო, რომელიც შემდეგ მიდიამ დაიპყრო.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე 558 წელს მიდიელთა ბატონობას ბოლო მო-უღო ირანელთა აჯანყებამ კიროს (ქურუშ) მეორე აქემენიანის მეთაუ-რობით. ტრადიციულად ეს თარიღი უდევს საფუძვლად საკუთრივ ირანის სახელმწიფოებრიობის ისტორიას. მოკლე ისტორიულ პერა-ოდში აქემენიანთა ირანული სახელმწიფო გადაიქცა მძლავრ იმპერი-

ად, რომელშიც შედიოდა ეგვიპტე, სირია, ფინიკია, მესოპოტამია, მთელი მცირე აზია, სომხეთი, თრაქია, მაკედონია. აღმოსავლეთში მისი საზღვრები სირ დარიისა და პინდის აუზებს წვდებოდა.

აქემენიანთა განუწყვეტელი დაპყრობითი ომების მსვლელობაში ტყვეებისა და ნადავლის მოზღვავებამ დააჩქარა ადრეული მონათმფლობელური წყობის მონური შრომის ინტენსიურ გამოყენებაზე გადასვლის პროცესი. ტყვე მონების იაფ შრომას მასობრივად იყენებდნენ გზების კეთილმოწყობასა და სასახლეების მშენებლობაზე, სახელოსნოებსა და სოფლის მეურნეობაში. ეს სტიმულს აძლევდა იმდროინდელ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, ადრინდელი მეცნიერული ცოდნის, ანტიკური ხანის კულტურისა და ხელოვნების განვითარებას. ფართოდებოდა სააღმშენებლო ურთიერთობა ქვეყნის შიგნით და მეზობელ ქვეყნებთან, რაც ხელს უწყობდა ცალკეული ხალხების ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას. ამასთან შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხელშესახები ზრდა, პირველი მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში მოითხოვდა სახელმწიფო მმართველობის პრიმიტიული სტრუქტურის შეცვლას, მის სრულყოფას.

აქემენიანთა იმპერია დესპოტური მონათმფლობელური სახელმწიფო იყო. სოციალური და პოლიტიკური იერარქიის სათავეში მონარქი იდგა. აქემენიანთა შაჰინშაჰების (მეფეთა მეფეების) ნებასურვილს უმადლესი კანონის ძალა ჰქონდა. ისინი წარმართავდნენ მმართველობის ყველა რგოლსა და სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას. შაჰინშაჰის შემდეგ იმპერიაში მეორე ადგილი ჰაზარბოდს (დიდგეზირი) ეკავა. მას მიჰყვებოდნენ სასულიეროთა მეთაური (დაბირბოდი), მემატანე (ვაყაი ნეგარი), მეჭურჭლეთუხუცესი (ამბარბოდი), არმიის სარდლები, დოსტაქრები და სხვ. სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში მათ შესაბამისი დარგები ებარათ და ტიტულიან დიდმოხელეთა კატეგორიას განეკუთვნებოდნენ¹.

ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს თქმით, აქემენიანთა იმპერია 26 პროვინციად ანუ სატრაპიად იყო დაყოფილი. აქემენიანთა მონარქი დარიოსი კი თავის ცნობილ ნაყში როსთემის კლდის წარწერაში იმპერიაში შემავალ 30 პროვინციას იხსენიებს. თითოეული პროვინციის მმართველად მონარქი ნიშნავდა მოხელეს, რომელსაც ბერძნები სატრაპს, ხოლო ირანელები ხუთშარბაზს უწოდებდნენ².

ხუთშარბაზის ანუ სატრაპის თანამდებობებზე მთელი სიცოცხლის მანძილზე ინიშნებოდნენ მონათმფლობელური არისტოკრატიის

¹ მექდი ვაზირნია, ირანის ადმინისტრაციული წყობა, თეირანი, 1972, გვ. 43 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: მექდი ვაზირნია.

² იქვე, გვ. 44.

წარმომადგენლები — უფლისწულები და დიდებულები. ისინი თავიანთ საგანმგებლო ტერიტორიაზე ერთპიროვნული მმართველები იყვნენ. მათ ხელში იყო სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება³. პროვინციებში ინიშნებოდნენ, აგრეთვე, სამხედრო გარნიზონების უფროსები და მწერალ-კონტროლიორები. ხუთშარბაზი. გარნიზონის სარდალი და მწერალ-კონტროლიორი თავიანთ საქმიანობაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი იყვნენ და მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ. გარდა ამისა, მონარქის რეზიდენციიდან დროდადრო პროვინციაში იგზავნებოდა საგანგებო საკონტროლო კომისია, რომელიც ფართო უფლებებით იყო აღჭურვილი⁴. დარიოსის დროინდელ ირანში საგადასახადო-საფინანსო დარგში თავისებური წესები იყო შემოღებული. თითოეულ პროვინციას გადასახადი შეწერილი ჰქონდა ეკონომიკური შესაძლებლობის მიხედვით. გადასახადებს ნატურით და ფულით იღებდნენ.

ამ დროს საკმაოდ მოწესრიგებული იყო იმპერიაში საგზაო და საფოსტო მეურნეობა. ყველა მთავარი მიმართულებით გზატკეცილი გაიყვანეს იმ მიზნით, რათა შიკრიკ-მალმსრბოლებს დანიშნულების ადგილზე სწრაფად და დაუბრკოლებლად მიეტანათ ოფიციალური შეტყობინების ბარათები. გზებზე ყველგან მოწყობილი იყო საფოსტო სადგურები — ჩაფარხანეები და სასტუმროები.

იმპერიის სამხედრო ძალებს შეადგენდნენ საჯარისო შენაერთები, რომლებსაც შუდმივ ანუ „უკვდავთა“ ლაშქარს უწოდებდნენ. „უკვდავთა“ რაოდენობა სტაბილური იყო, ვინაიდან გარდაცვლილი ან დაღუპული შეომრის ადგილს დაუყოვნებლივ იკავებდა ცოცხალი მეომარი⁵.


გარკვეული წესრიგი იყო დამყარებული სამართალწარმოებაშიც. არსებობდა უმაღლესი სასამართლო („დივანე ალი“), რომელიც სახელმწიფოში უმაღლესი ინსტანციის სამართალდამცველ ორგანოს წარმოადგენდა. მის მიერ გამოტანილი განაჩენი დაუყოვნებლივ მოყავდათ სისრულეში. ადგილებზე მოქმედებდა პროვინციული სასამართლოები. სასამართლო იცავდა მონათმფლობელური არისტოკრატიის და სახელმწიფოს ინტერესებს. ამ ხაზიდან ოდნავი გადახვევის შემთხვევაშიც იგი პასუხს აგებდა ცენტრალური ხელისუფლების წინაშე⁶.

³ იეკდივაზირნია, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

⁴ ჰასან ფირნია, ძველი ირანის ისტორია, თეირანი, 1953, წიგნი მეორე, გვ. 525 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ჰასან ფირნია.

⁵ იეკდივაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ.44—45.

⁶ იქვე, გვ. 45.



სურ. 1. აქემენიანთა ირანის სატახტო პერსეპოლისი. მდებარეობს შირაზიდან ჩრდილოეთით 56 კილომეტრზე. წინა პლანზე კარების ქალაქი, რომელიც მოეწყო 1971 წელს მონარქიის არსებობის 2500 წლისთავთან დაკავშირებთ.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 წელს აქემენიანთა სახელმწიფო დაეცა. იგი აღექვსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი უზარმაზარი

იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო მაკედონელის სიკვდილის შემდეგ სელევკიანთა ელინური სახელმწიფოს გამგებლობას დაექვემდებარა. მეორე საუკუნის მეორე ნახევრიდან ირანი პართიის სამეფოს ემორჩილებოდა. პართიის სამეფოს ჩვ. წ. აღრიცხვამდე 250 წლიდან ჩვ. წ. აღ-ით 224 წლამდე არშაქიანთა დინასტია მართავდა.

არშაქიანთა დროს სახელმწიფოს მონათმფლობელური არისტოკრატიის შვიდი ოჯახი განაგებდა. ისინი მკვიდრი ირანელი არიელი⁷ დიდებულების შთამომავლები იყვნენ⁸. პართიის სამეფოში ქვეყნის ცალკეულ მხარეებს მართავდნენ ადგილობრივი ფადიშაქები (მეფეები), რომლებსაც დიდი ფადიშაქი ნიშნავდა. არშაქიანთა პერიოდში პროვინციების მმართველების დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებისა და ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტებარს გარკვეული ტენდენციები დაისახა. ეს იყო მონათმფლობელური წყობის რღვევისა და ფეოდალური საზოგადოების განვითარების საწყისი პერიოდი. მონურ შრომას თანდათან ფასი ეკარგებოდა.

ადრეფეოდალური სახელმწიფო

ჩვენი წელთაღრიცხვით 224 წელს არშაქიანები ირანში სასანელებმა შეცვალეს. სასანელთა დინასტიის დროსაც სახელმწიფოს ტერიტორია შვიდ ნაწილად იყო დაყოფილი. მმართველობის კოორდინაცია ევალებოდა სახელმწიფო საბჭოს, რომელშიც იმპერიის შვიდივე ნაწილის მმართველები მონაწილეობდნენ. თავდაპირველად თითოეული პროვინცია გარკვეული შეუვალობით სარგებლობდა. შემდგომში ცენტრიდანული ძალების თანდათანობით მოთოკვის შედეგად სასანელმა მონარქებმა შეძლეს კვლავ შემოეკრიბათ გარშემო მკვიდრი ირანელობა და განემტკიცებინათ ცენტრალური ხელისუფლება. ამიტომ სასანელთა მმართველობის პერიოდს ირანელთა შეკავშირების ეპოქასაც უწოდებენ. ქვეყნის ერთიან სახელმწიფო რელიგიად ზარათუშთრა გამოცხადდა⁹.

⁷ არიელები — ხალხები, რომლებიც ინდოევროპულ (უპირატესად ინდოირანულ) ენობრივ ოჯახს ეკუთვნოდნენ.

⁸ ს ა ი დ ნ ა ფ ის ი, ირანის სოციალური ისტორია, თეირანი, 1964, გვ. 2—4 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: საიდ ნაფისი.

⁹ ზარათუშთრა (ბერძნ. ზარასტრი) — ძველი ირანული რელიგიის დამაარსებელი და რეფორმატორი, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე პირველ ათასწლეულში მოღვაწეობდა. ზარასტრიზმის წმინდა წიგნია ავესტა, რომლის კოდიფიკაცია სასანელთა დროს მოხდა. ზარასტრიზმი კეთილისა და ბოროტის სუბსტანციას ემყარება. მის მიმდევართა რწმენით კეთილი სძლევს ბოროტს.

ამ პერიოდში სახელმწიფო კანცელარია სამეფო დივანის („დივანხანე-იე სალთანათ“) სახელით იყო ცნობილი. სახელმწიფო მმართველობის საქმე განაწილებული იყო ისეთ უწყებებს შორის, როგორცაა სამხედრო („ედარე-იე ჯანგ“), არსენალი („ესლაჰ-ხანე“), ფინანსებისა და ხაზინის („მალიე ვა ხაზანე“), ფოსტის (ჩაფარხანე)¹⁰, მართლმსაჯულების (დივან-ე დადრასი“), წერილების („დივან-ე ნამეჰა“), სახელმწიფო ჯილდოების („დივან-ე ემთიზათ-ე ღოვლეთ“) წონა-ზომის („დივან-ე ოუზან ო მოყადირ“) ¹¹.

სასანელთა ეპოქაში, როცა მონღოლი შრომა იცვლება რაიათის (გლეხის) შრომით, თანდათან ყალიბდება ადრეფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი, ფართოვდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არეალი, მონის შრომის ექსპლოატაციის ადგილს გლეხის შრომის ექსპლოატაცია იკავებს, დღის წესრიგში დგება მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოს სტრუქტურული რეორგანიზაციის საკითხი. ფეოდალური ბაზისის შესაბამისად ყალიბდება სამხედრო, საფინანსო, საშინაო მმართველობისა და მართლმსაჯულების უწყებები. წესრიგდება და შედარებით იხვეწება ცენტრალური ჰაკონტროლო აპარატის ფუნქციები, იქმნება ბეჰდის მცველის თანამდებობა და არსდება საიდუმლო კანცელარია¹².

ამრიგად, სასანელთა ადრეფეოდალური სახელმწიფო გაბატონებული ფეოდალთა კლასის ინტერესების სადარაჯოზე დადგა. კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებას მოჰყვა ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შექმნა, რაც მძიმე ტვირთად დააწვა უშუალო მწარმოებლებს. ადგილი ჰქონდა პირველ ანტიფეოდალურ გამოსვლებს, რაც მეტწილად რელიგიური ფორმით ვლინდებოდა. სასანელი შაჰები ცდილობდნენ სასულიერო წრეებს დაყრდნობოდნენ. რელიგიურ მეთაურებს (მობედებს) მონარქი ნიშნავდა. მათ განკარგულებაში იყო სამართალწარმოება, სკოლებისა და შეწირული ქონების გამგებლობა, ქორწინება-განქორწინებისა და საოჯახო კონფლიქტების მოწესრიგების საქმე¹³.

ამავე დროს ადგილი ჰქონდა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას. მოწესრიგდა ხაირიგაცია მეურნეობა, რამაც ხელი შეუწყო მიწათმოქმედების განვითარებას. აღმავლობა დაეტყო სახელოსნო

¹⁰ ქ ა ს ა ნ ფ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 622.

¹¹ მეჰდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

¹² ზ ა ჰ რ ა შ ა ჯ ი ' ი, სამინისტროები და მინისტრები ირანში, თეირანი, 2535 (1976), გვ. 13 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ზ ა ჰ რ ა შ ა ჯ ი ' ი.

¹³ მეჰდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

წარმოებასაც. სპარსეთის ყურის ნავსადგურებიდან ირანს ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული არაბეთის ზღვისა და ინდოეთის ოკეანის მიმდებარე ქვეყნებთან. ვითარდებოდა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც ბიზანტიის გარკვეულ გავლენას განიცდიდა.

სასანელთა ბატონობის უკანასკნელ ხანებში ბიზანტიასთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოსთან განუწყვეტელმა ომებმა შეაფერხა საწარმოო ძალების შემდგომი განვითარება, დაასუსტა ქვეყნის თავდაცვითუნარიანობა. 651 წელს არაბი ნომადების შემოსევის შედეგად სასანელთა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

არაბმა დამპყრობლებმა, რომლებმაც დაახლოებით სამი საუკუნე იბატონეს, ქვეყნის მოსახლეობას ახალი რელიგია — ისლამი მოახვიეს თავს. არაბთა შორის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი ახლა იდგამდა ფეხს. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ სახელმწიფო მმართველობის გამოცდილება. ამიტომ ამ მხრივ მათ ბევრი რამ ირანელებისგან გადმოიღეს. არაბი ხალიფები, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურად ითვლებოდნენ, თავიანთ ხელში აერთიანებდნენ სამხედრო, საეკონომიკურ და რელიგიურ ხელისუფლებას. ისინი თავდაპირველად ხარკით კმაყოფილდებოდნენ და თითქმის არ ერეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების საშინაო საქმეებში¹⁴. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ახალი ტერიტორიების დაპყრობისა და იქიდან ტყვეებისა და ხარკ-ნადავლის ნაკადმა იმატა, არაბებს მმართველობის საქმე გაუძნელდათ. სახელმწიფო საქმეებში გამოცდილი ირანელების რეკომენდაციით მათ შემოიღეს საალრიცხვო უწყება, რათა შემოსავალ-გასავლის საქმე მოეწესრიგებინათ. დროთა განმავლობაში ამ სახელმწიფო ორგანოთა თავის ხელში აიღო სახალიფოს საშინაო და საგარეო მართვა. „ეს ის ყლორტი იყო, რომელზეც წამოიზარდა სახალიფოს უზარმაზარი სახელმწიფო აპარატი არაბების ხელდებულ ქვეყნებში“¹⁵. შემდეგში ამ უწყებას მიმორწერისა და ანგარიშსწორების დივანი („დივან-ე მორასელათ ო მოჰასებათ“) ეწოდა და მისგან რამდენიმე სხვა განშტოება ჩამოყალიბდა; დივან-ე ხარაჯ, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული მიწის გადასახად ჯიზიასთან. ჯიზიას გადასახადით არამუსლიმ მოსახლეობას ბეგრავდნენ; დივან-ე ზემამ — სამხედრო უწყება; დივან-ე ნათაყე — საშინაო საქმეების სამმართველო; დივან-ე მადენ ო ეყტა — საბაღოებისა და ნაწყალობევი სახელმწიფო მიწების სამმარ-

14 მეჰდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

15 ზაჰრა შაჟი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

თველო; დივან-ე ჯანგ — მოლაშქრეთა და სამხედრო ჩინების რეგისტრაციის უწყება¹⁶.

არაბთა დაპყრობების გაფართოებასთან ერთად ხალიფათის სახელმწიფო აპარატიც ფართოვდებოდა. აბასელთა სახალიფოს არსებობის ბოლო ხანებში გაჩნდა „ვიზარათ-ე აზემის“ ანუ „სადრაზამის“ თანამდებობა. სადრაზამი სახალიფოში ხალიფას შემდეგ მეორე კაცი იყო. იგი საერთო ხელმძღვანელობას უწევდა სახელმწიფო აპარატის საქმიანობას და მხოლოდ ხალიფას წინაშე იყო ანგარიშვალდებული¹⁷. გაიზარდა სახელმწიფო უწყებების (დივანების) რაოდენობა. სახალიფოში იმ დროს დივანების გრძელი რიგი არსებობდა: დივან-ე ჯეიშ ანუ ჯოუშ (სამხედრო უწყება); დივან-ე რესალათ (საფოსტო უწყება); დივან-ე არზ (საჩივრებისა და მოხსენებების უწყება); დივან-ე ბორიდ (შიკრიკ-მაცნეთა უწყება); დივან-ე ნათაყათ (სახარჯთაღრიცხვო უწყება); დივან-ე ხარაჯ (საგადასახადო უწყება) დივან-ე ესთიფა (ერთდროული გამოსაღებლების უწყება); დივან-ე ვაზაიფ (პენსიებისა და წყალობების უწყება); დივან-ე ეყტათ (ნაწყალობები მამულების უწყება); დივან-ე ჰარს (დაცვის უწყება); დივან-ე ჰასბე (ეჭოთესაბ) ანუ დივან-ე რასიდეგი ჰარფ ო სანაი (სახელოსნოებზე და სამრეწველო საწარმოებზე ზედამხედველობის უწყება); დივან-ე ვაყაფ (შეწირული მიწებისა და ქონების უწყება); დივან-ე აშრაფ (დიდებულთა საქმეების უწყება). ეს უწყებები სახალიფოში სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელწოდებით მოიხსენიებოდა¹⁸.

არაბთა ხალიფათის პერიოდში, როცა ადგილობრივი ფეოდალების მხრივ ჩაგვრას დამპყრობელთა სასარგებლოდ ხარკის გადახდა დაემატა, ადგილობრივი მწარმოებელი მოსახლეობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ამას მოჰყვა სახალხო მოძრაობის გაძლიერება, რაც მიმართული იყო ადგილობრივი ფეოდალებისა და არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ. სახალხო გამოსვლები მეტწილად რელიგიურ საბურველში იყო გახვეული. ამ როლს ახლა შიიზმი¹⁹ ასრულებდა. შიიზმი გახდა ირანის მოსახლეობის „დაბალი ფენების“

¹⁶ ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ი, დასახ. ნაშრ., გვ. 84.

¹⁷ იქვე, იხ. აგრეთვე ლოლა მ რ ე ზ ა ა ნ ს ა ფ უ რ ი, სახელმწიფო ორგანიზაცია ირანში ისლამის გავრცელების დროიდან მონღოლების შემოსევებამდე, თეირანი, 2536 (1977), გვ. 297 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: რ. ანსაფური.

¹⁸ იქვე, გვ. 85. ლოლა მ რ ე ზ ა ა ნ ს ა ფ უ რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 300—329.

¹⁹ შიიზმი ანუ იმამათის მიმდევართა სექტა ისლამში.

ხანებში ირანელი მმართველები, რომლებიც სულ მეტად რწმუნდებიან თვითიზოლაციის კურსის დამლუპველობაში, ხშირად გამოდიან განცხადებებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის სასარგებლოდ.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირს და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს ირანთან კეთილმეზობლობის კურსისაგან არასოდეს გადაუხვევიათ, ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაკავებული ობსტრუქციონისტული პოზიცია ბოლო დრომდე ნორმალური ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობას არ იძლეოდა. ირანელი მმართველები, რომლებიც მოქმედებდნენ ლოზუნგით „არც დასავლეთი, არც აღმოსავლეთი“, ანგარიშმიუცემლად აიგივებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს კეთილმეზობლურ პოლიტიკას იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკასთან. ამასთან ისინი ყოველნაირად ართულებდნენ მდგომარეობას ერაყსა და ავღანეთთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუკუღმართებულად წარმოსახვით. უკანასკნელ ხანს ირანისა და საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წარმომადგენელთა ურთიერთვიზიტები ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის კარგ ნიადაგს ჰქმნის.

ერაყთან თითქმის რვაწლიანი ომი ირანს შეიდას მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდა. ომმა შეიწირა ასეულ ათასობით ადამიანების სიცოცხლე. დიდია დაჭრილთა და დასახიჩრებულთა რაოდენობა. მოიშალა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება. დიდად შემცირდა ნავთობის ექსპორტით მიღებული შემოსავალი, რაც ქვეყნის მთავარ სავალუტო წყაროს წარმოადგენდა. ინფლაციამ და ფასების ზრდამ რეკორდულ დონეს მიაღწია. მილიონობით ადამიანი ლუკმა-პურს ეძებს. ზოგიერთი გამოანგარიშებით, 47 მილიონი ირანელიდან 46 მილიონი სიღარიბეში ან სიღარიბის ზღურბლზე ცხოვრობს. მაღალშემოსავლიანთა კატეგორიას მხოლოდ ერთი მილიონი ადამიანი, ანუ მოსახლეობის ორ პროცენტზე ცოტა მეტი შეიძლება მივაკუთვნოთ. ომმა ძველ პრობლემებსა და სიძნელეებს ბევრი ახალი დაუმატა.

როგორც ითქვა, ერაყთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ახალ ფაზაში შევიდა შინაპოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფო მმართველობის ზედა ეშელონში. ურთიერთდაპირისპირების საერთო ფონზე რელიეფურად გამოიკვეთა ე. წ. ზომიერებისა და რადიკალების დაჯგუფებათა კონტურები. მათ განსხვავებული პოზიციები უკავიათ ირანის საზოგადოების წინაშე მდგარი რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში. ზომიერები, რომლებიც მსხვილი ვაჭრების ინტერესებს იცავენ, მხარს უჭერენ კერძო მეწარმეობის თავისუფალ განვითარებას. რადიკალები კი, რომლებიც გეხს მოსახლეობის საშუალო ფენებზე იღებენ, ქვეყნის

ეკონომიკურ ცხოვრებაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დაწესებას მოითხოვენ. მესამე მოწვევის მეკლისის დეპუტატების უმეტესობა რადიკალების პოზიციას უჭერს მხარს¹⁵². აზრთა სხვადასხვაობაა ისლამური რესპუბლიკური პარტიისა (შინაგანი წინააღმდეგობის გამო დაშალა 1987 წელს) და „რევოლუციის გუშაგთა“ (ფასდარები) (ერაყთან ომში წარუმატებლობისათვის 1988 წლის ზაფხულში დააყენეს საკითხი მისი რეგულარულ არმიასთან შეერთების შესახებ) საქმიანობის შეფასებაში.

მიუხედავად შეხედულებათა განსხვავებისა, ზომიერებისა და რადიკალების მიმდინარეობანი ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ ბანაკებად არ არიან დაყოფილი. ისინი განსხვავებულ პოზიციებზე დგანან მხოლოდ ცალკეული პრობლემატური საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ამასთან რელიგიური ლიდერების ნაწილი ხან ერთ დაჯგუფებას ემხრობა, ხან მეორეს. მაგრამ ყველა მათგანი თითქმის თოთხმეტი საუკუნის წინანდელი შიიტურ-ისლამური ტრადიციებისა და კანონ-ნორმების ერთგული რჩება. მათ აერთიანებს ისლამურ ევალტარიზმზე დაფუძნებული „სოციალური სამართლიანობის საზოგადოების“ შექმნის ილუზიური იდეა. ისლამურ ლიდერთა აზრით, მათ მიერ წარმოსახული საზოგადოება ძირეულად განსხვავდება როგორც კაპიტალისტური, ასევე სოციალისტური წყობისაგან. მაგრამ, ცხადია, რომ საზოგადოებაში, სადაც შეუვალ პრინციპად რჩება კერძო საკუთრების უფლება, განვითარება მხოლოდ კაპიტალისტური გზით უნდა წარიმართოს.

ბოლო ხანებში მნაშენელოვანი ცვლილებები მოხდა ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ზედა ეშელონში. მეზობელ ერაყთან საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, 1988 წლის ზაფხულში, მთავრობამ პოლიტიკური პატიმრების ამინისტია გამოაცხადა. სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გაიკრვა, ივლის-აგვისტოში ევინისა და ქუჰარდაშთის საპყრობილებებში სულ რამდენიმე დღეში ტუსაღების დიდი პარტიები დახოცეს. ამის გამო იმამ ხომეინის მემკვიდრე (ყაიმ მოყამე ვალიე ფაყიჰე) აიათოლა მონთაზერიმ კონფიდენციალურად წერილები გაუგზავნა იმამ ხომეინის (31 ივლისი) და პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის გამომკვლევ კომისიას (15 აგვისტო). მონთაზერი გმობდა გენოციდის ამ ფაქტს, რასაც, მისი აზრით, ქვეყანაში შეიძლებოდა პოლიტიკური სიტუაციის ახალი ვართულებები გამოეწვია¹⁵³. იმ ხანებში იმამ ხომეინის თავისი ჯანეშინის (მემკვიდრის) ამ წერილებზე რაიმე არსებითი რეაგირება

¹⁵² За рубежом. № 47, 1988, с. 15.

¹⁵³ „ნამეჲ მარდომ“, 1989 წლის 21 მარტი და 11 აპრილი.

რი და მაჯლეს ნევისები. ყველა ისინი სამეფო სასამართლოს (დივანე სალთანათ). წევრები იყვნენ²⁵.

სეფიანთა სახელმწიფო

XVI საუკუნის დამდეგს ირანში შეიქმნა სეფიანთა ფეოდალური სახელმწიფო, რომლის ოფიციალურ რელიგიად შიიზმი გამოცხადდა. შიიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით იგი საბოლოოდ ჩადგა გაბატონებული ფეოდალური წრეების სამსახურში და მათი ინტერესების გამომხატველი იდეოლოგია გახდა. სეფიანთა სახელმწიფო თავდაპირველად ყიზილბაშთა თურქულ-თურქმანული ტომების წარჩინებულებს ეყრდნობოდა და მათ ინტერესებს იცავდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ხელისუფლების სათავეში შაჰ აბასი (1587—1629 წწ.) მოვიდა, მის მიერ გატარებული ცენტრალიზატორული პოლიტიკის შედეგად ყიზილბაშთა ტომების ბელადებმა სახელმწიფოში თანდათან დათმეს წამყვანი პოზიციები და მათი ადგილი მკვიდრი ირანელი მოსახლეობისა და შიიტური ზედაფენის წარმომადგენლებმა დაიკავეს²⁶. ამასთან ერთად, შაჰი ხელს უწყობდა ერთგული უცხო უპირატესად ქართველი და სომეხი) ელემენტის დაწინაურებას სახელმწიფოს სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე²⁷. ასეთი პოლიტიკის შედეგად ქვეყანაში მოიხპო ფეოდალური დაქუცმაცებულობა და შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურა. შაჰ აბასის დროს ირანის სახელმწიფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებასა და აღმავლობას. ამ დროს ირანს ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ევროპისა და აზიის ქვეყნებთან. სამხედრო დარგში რეფორმების განხორციელებამ ხელი შეუწყო ახლადშექმნილ საჯარისო შენაერთების სამხედრო პოტენციალის გადიდებას. ოთხი ახალი შენაერთიდან ორი ძირითადად ქართველი და სომეხი ლოლამებისაგან (ტყვე მემორები) შედგებოდნენ. სარდლებიც ხშირად ქართველები და სომეხები იყვნენ²⁸. მნიშვნელოვ-

²⁵ ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

²⁶ Pietro Della Valle, Voyages dans la Turquie, l' Egipte, la Palestine, la Perse, les indes orientales et autres lieux, Romen, R. Machael, 1745, IV, p. 104.

²⁷ Adam Oliarius, Relation du voyage d'Adam Oliarius, Paris. Dupuis, 1665, p. 650, 656; ჯ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

²⁸ Pietro Della Valle, Voyages..., p. 92—102.

ნად გაფართოვდა ირანის სახელმწიფო საზღვრები. სეფიანთა სახელმწიფოში შედიოდა საკუთრივ ირანის ცენტრალური რაიონები, აგრეთვე ხორასანი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთი სომხეთი, ქურთისტანი, ლურისტანი. მალე პორტუგალიელები განდევნეს სპარსეთის ყუარის სანაპიროდან და კუნძულებიდან, ინდოელ დიდ მოგოლებს წაართვეს ყანდაპარი. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველო ირანის მოხარკე იყო, მაგრამ მას შენარჩუნებული ჰქონდა თავისი სახელმწიფო წყობილება და ტრადიციები.

სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დესპოტური ფეოდალური მონარქია მართავდა. სახელმწიფო მმართველობის სისტემა მკაცრი სუბორდინაციის პრინციპს ემყარებოდა. დიდ და მომცრო პროვინციებს (ველაიათები და აიალათები) განაგებდნენ ადგილობრივი მმართველები ჰაქიმები, რომლებსაც შაჰი ნიშნავდა. ჰაქიმებს თავიანთ სამმართველო პროვინციებში ფართო უფლებამოსილებანი ენიჭებოდათ. პროვინციების სიდიდისა და მნიშვნელობის შესაბამისად ადგილობრივ მმართველებად ინიშნებოდნენ აგრეთვე ვალიები (ნაცვლები), ბეგლარბეგები (უმაღლესი ადმინისტრაციული ან პოლიციური მოხელენი), ხანები (ტომების ბელადები, ადგილობრივი ფეოდალები) და სულთნები (მცირე მმართველები)²⁹.

სეფიანთა ეპოქას ირანული ტრადიციების აღდგენისა და ირანელთა კონსოლიდაციის პერიოდად თვლიან. მაგრამ სეფიანი შაჰები ირანელთა აღდგენა-კონსოლიდაციისა და სახელმწიფო მმართველობის ცენტრალიზაციის კურსს ატარებდნენ არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებისა და ბინადარი მოსახლეობის მომთაბარეთა შემოსევებისაგან დაცვის, არამედ მეზობელი ამიერკავკასიელი, კერძოდ, ქართველი და სომეხი ხალხების წინააღმდეგ, მათი ტერიტორიების რბევა-აოხრებისა და აქედან ასეული ათასობით დატყვევებული მოსახლეობის მშობლიური ადგილებიდან აყრისა და ირანში გადასახლების მიზნით³⁰.

ქვეყნის საზღვრების აღდგენა-გაფართოების, არმიის რეორგანიზაციის, საირიგაციო მეურნეობისა და სახელოსნო წარმოების განვითარების, მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან სავაჭრო კავშირების განმტკიცების ინტერესები ფეოდალური სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციის გაფართოებას და განვითარებას მოითხოვდა. ასეთ პირობებში შენარჩუნებულ იქნა ზოგიერთი ძველი და შეიქმნა ახალი ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები. შაჰის შემდეგ ქვეყნის

²⁹ მე ჰ დ ი ე ა ზ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

³⁰ იხ. Paul G. Forand. Account of Western Travelers Concerning the Role of Armenians and Georgians in the 16—the century Iran. The Muslim World, vol — LXV, №4, Oktober, 1975.

უმალეს შმართველად ითვლებოდა ვაზირე აზამი, რომელსაც სადრაზამსა და ეთემად ოლ-დოვლესაც უწოდებდნენ. იგი პასუხისმგებელი იყო შაჰის წინაშე სახელმწიფო ხელისუფლების ყველა რგოლის საქმიანობაზე. ვაზირე აზამი ხელისმომწერით ადასტურებდა ყველა კანონ-განკარგულებას და გადასცემდა შაჰს საბოლოოდ დასამტკიცებლად და ბეჭდის დასასმელად. ვაყეე ნევისს, რომელიც ერთი საფეხურით დაბლა იდგა, შაჰის ფირმანების (ბრძანებულებები) ტექსტის მომზადება და ვაზირე აზამისათვის წარდგენა ევალებოდა. დივან ბეგი სახელმწიფოში უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა. მუსთოუფი ოლ-მალექი საფინანსო საქმეებს განაგებდა. ყორჩიბაში ამირ ოლ-უმარა უმაღლესი სამხედრო პირი იყო და შეიარაღებულ ძალებს ედგა სათავეში, მისი ხელქვეითები იყვნენ ყულარ აყასი ანუ რაისე ლოლემან (მონა ჯარის სარდალი) და თოფანგჩი აყასი (არარეგულარული ჯარის სარდალი). შემდეგ მოდიოდნენ იშიქ აყასი ანუ რაისე თაშრიფათი — სასახლის ცერემონომისტერი და ნაზირ ბოიუთათი — სახელმწიფო მამულების, ნაგებობებისა და სხვა ქონების ზედამხედველი³¹.

ყველა ამ დიდმოხელეს შაჰის კარზე ჰქონდა რეზიდენცია.

პირველი სეფიანი შაჰების დროს, როცა ყიზილბაში ტომების ბელადები დიდი გავლენით სარგებლობდნენ, ვაზირე აზამის უფლებამოსილება რამდენადმე დამკრობილი იყო, მაგრამ როცა შაჰ აბასის მიერ გატარებული ლონისძიებების შედეგად, მათი პოლიტიკური გავლენა შემცირდა; ვაზირე აზამის ხელისუფლება მნიშვნელოვნად გაქლიერდა. იგი, როგორც შაჰის ნდობით აღჭურვილი პიროვნება, მონარქის პირველი მრჩეველიც იყო. ამავე დროს მას მინდობილი ჰქონდა უმაღლესი სახელმწიფო სათათბიროს (მაჯლესე ალა) ხელმძღვანელობა. თავდაპირველად სათათბიროში შედიოდნენ: ვაზირე აზამი (იგივე სადრაზამი), მაჯლესე ნევისი, დივანბეგი, ყურჩი ბაში, ყულარ აყასი, თოფანგჩი ბაში და იშიქ ალასი. შემდეგ მათ დაემატა მუსთოუფი ოლ-მამალექი, ნაზარე ბოიუთათი და მირ შექარ ბაში (მონადირეთ უხუცესი)³².

საერთოდ სეფიანთა სახელმწიფო ხელისუფლების იერარქია ასე წარმოგვიდგება: შაჰისა და სადრაზამის შემდეგ ქვედა ეშელონს შეადგენდნენ: ვაყე (მაჯლესე) ნევისი და არბაბე შამიშირის (მეხმლე) ოთხი ამირა (სარდალი). ყორჩი ბაში, ყულარ აყასი, თოფანგჩი ბაში და იშიქ

31 მექდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 47—48, ზაკრა შაჯი'ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88; ქ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

32 ზაკრა შაჯი'ი, დასახ. ნაშრ., გვ. 89; ქ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 138—145.

აყასი. ისინი დანარჩენ ამირებზე ძალა იდგნენ³³. უფრო დაბალი საფეხური ეკავა წვრილი ვეზირებისა და მუსთაუფიების ჯგუფს, რომლის წარმომადგენლები ამირების მოადგილეებად და თანაშემწეებად ითვლებოდნენ. ცენტრალურ სამმართველო აპარატში მომუშავე წვრილვეზირები საინსპექციო-სარევიზიო საქმიანობას ეწეოდნენ. ისინი სისტემატურად აწვდიდნენ ინფორმაციას სადრაზამს არმიამში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მუსთაუფიების მრავალრიცხოვანი სამოხელეო შტატი სახელმწიფოს და პროვინციების შემოსავალგასაელის დაანგარიშებას ეწეოდა³⁴.

სეფიანთა სახელმწიფოში შიიტურ საკულტო დაწესებულებებზე შეწირულებებმა ფართო ხასიათი მიიღო. ამან სავაყფო დარგის ცენტრალიზაციის და მართვის სრულყოფის აუცილებლობა მოითხოვა. სახელმწიფო სამოხელეო ბიუროკრატიული აპარატის გაფართოება კი წყალობა-პენსიების სპეციალური ორგანოს დაარსების საკითხს აყენებდა. ამ მიზნით შეიქმნა ვაყფებთან დაკავშირებული ანგარიშ-წარმოების უწყება — დივანე მოჰასებათე მოვაყუფე, რომელსაც სასულიერო პირები განაგებდნენ. ამ უწყებას სადერ ოს-სადური ედგა სათავეში. მას ჰქონდა ორი განყოფილება: კერძო, პერსონალური ვაყფების (ვაყფე ხას) და საზოგადოებრივი ვაყფების (ვაყფე ამ) განყოფილებები³⁵.

მნიშვნელოვნად გაიბერა სეფიანთა დროს შექმნილი სახელმწიფო-ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ველის ადრეფეოდალიზმისა და ირანის განვითარებული ფეოდალური ურთიერთშერწყმის ნიადაგზე ადრე დაწყებული პროცესის გაგრძელებისა და მართვის ცენტრალიზებული სისტემის შექმნის შედეგად ჩამოყალიბდა. შემდეგში მმართველობის ეს სისტემა მეტნაკლებად გადმოინერგა ირანის ტერიტორიაზე არსებულ ახალ სახელმწიფო წარმონაქმნებში. სეფიანთა სახელმწიფო წყობილების ძირითადი ატრიბუტები თითქმის უცვლელად გადმოიღეს ნადირ შაჰის, ქერიმ-ხან ზენდის და თვით პირველი ყაჯარი შაჰების დროს³⁶. ამას განაპირობებდა ის, რომ მთელი XVIII საუკუნის მანძილზე ქვეყნის საზოგადოებრივ ურთიერთობაში, მის ბაზისში არსებითი პოზიტიური ძვრები არ მომხდარა. გამაპარტახებელი შინა და საგარეო ომები, წარმოების დაცემა და ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება ამწვაებდა კლასობრივ წინააღმდეგობებს. ქვეყნის ეკონომიკურ დაცემას ისიც უწყობდა

33 ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ' ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

34 იქვე, გვ. 90.

35 იქვე.

36 იქვე.

ხელს, რომ ამ დროს ათვისებულ იქნა ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა აფრიკის შემოვლით, რამაც გამოიწვია ირანის ტერიტორიაზე სატრანზიტო ვაჭრობის მკვეთრი შემცირება.

სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ, რაც დააჩქარა ავღანთა შემოსევებმა, ირანის სახელმწიფოებრიობა მოკლე დროით განახლდა ნადირ-ხან აფშარის მეთაურობით ანტითურქული და ანტიავღანური სახალხო მოძრაობის გამარჯვების შედეგად. აფშარების მმართველობის ხანმოკლე პერიოდში ირანის სახელმწიფო არა მარტო ძველ საზღვრებში იქნა აღდგენილი, არამედ გადაწვდა ინდოეთის დიდ მოგოლთა სამფლობელოებსა და შუა აზიის სახანოებს. შემდეგში ნადირ შაჰის დაპყრობით ომებს დაღესტანსა და არაბეთში დამორჩილებული ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლები მოჰყვა.

1947 წელს ნადირ შაჰის მკვლელობის შემდეგ ქვეყანა კვლავ ფეოდალურმა შინა ომებმა მოიცვა, რაც თითქმის XVIII საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა. გამონაკლისი იყო ქერიმ-ხან ზენდის დაახლოებით ოც წლიანი მმართველობა, როცა მან შეძლო დროებით გაერთიანებინა ირანის მიწები³⁷. მერმისს კვლავ გრძელდებოდა შინაბრძოლები ქვეყანაში პირველობისათვის. ამ ბრძოლებში მეტოქეებს სძლია ალა მაჰმად-ხან ყაჯარმა, რომელიც სეფიანთა მემკვიდრეობას ჩემულობდა. იგი 1795 წელს დიდძალი ურდოებით შემოიჭრა საქართველოში, დაანგრია და გადაწვა თბილისი, წაიღო უამრავი ნადავლი და წაიყვანა ტყვეები. მომდევნო წელს მან თეირანში თავი შაჰად გამოაცხადა და, ამნაირად, სათავე დაუდო ახალ, ყაჯართა ნომადურ დინასტიას. ამ დინასტიამ 130 წელი იარსება და მხოლოდ 1925 წელს შეწყვიტა არსებობა³⁸.

ყაჯართა ირანული სახელმწიფო

ყაჯართა დინასტიის არსებობის დასაწყისში, რომელიც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ წლებს დაემთხვა, საბოლოოდ გამოიკვეთა ფეოდალური ირანის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობა ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით. იმ დროისათვის ირანში კვლავ დომინირებდა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობანი პატრიარქალური და ნომადური ყოფის ძლიერი გადმონაშთებით. ევროპის

³⁷ იხ. ლ. შენგელია, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს. თბ., 1973.

³⁸ იხ. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970.

ქვეყნებში კი, რომლებმაც ძირითადად უკვე დაძლიეს ფეოდალიზმის გადმონაშთები, ფართო გზა გაეხსნა ახალი, კაპიტალისტური ფორმაციის განვითარებას. მაშინ, როცა ირანის საქალაქო მეურნეობა ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოების სტადიას არ გასცილებოდა, ხოლო სოფელში ფეოდალურ-ლენურ სისტემას ეკავა წამყვანი პოზიციები, ევროპის ქვეყნებში ქალაქის მრეწველობა გადადიოდა მანქანურ წარმოებაზე, რაც დიდად ამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას, სოფელში კი დაქირავებული შრომის გამოყენებაზე დამყარებული სავაჭრო-სასაქონლო წარმოება ვითარდებოდა.

საზოგადოების ბაზისში მომხდარი არსებითი ცვლილებების შესატყვისად გარდაქმნები მოხდა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურაში. შეიქმნა ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რაც ახალი საზოგადოებრივი ძალების ინტერესებს ემსახურებოდა. ირანში კი, ისევე როგორც აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში, რომლებიც ანალოგიურ პირობებში იმყოფებოდნენ, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში კვლავ შუასაუკუნეობრივი, ფეოდალური ინსტიტუტები შემორჩა.

ყაჯართა დინასტიის მმართველობის დასაწყისისათვის ირანში არსებობდა სახელმწიფო ხელისუფლების შემდეგი უმაღლესი თანამდებობები: სადრაზამი, რომელიც, ისევე როგორც სეფიანთა დროს ეთემად ედ-დოვლეს ტიტულით იყო ცნობილი და ადრინდელი უფლებამოსილებანი ჰქონდა; ვაზირე ესთიფა (მუსთოუფი ოლ-მამალექი) — სახელმწიფო ფინანსების გამგებელი; ვაზირე ლაშქარ (ლაშქარ ნევრ-სი) — სამხედრო უწყების ხელმძღვანელი; რაისე დაფთარე მახსუს (მუნში ოლ-მამალექი) — შაჰის კანცელარიის გამგებელი, საჭები დივან (სადრ ოლ-მამალექი) — უმაღლესი მოსამართლე. ყველა ეს თანამდებობა სახელმწიფოს დიდ მოხელეებს ეკავათ და ისინი ეთემად ედ-დოვლეს უშუალო ხელმძღვანელობით წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას³⁹.

ქვედა ეშელონის მოხელეთა ჯგუფში შედიოდნენ ნაზირები (ინსპექტორ-ზედამხედველები), სარ რეშთედარები (საგადასახადო მოხელეები), ლაშქარ ნევისები (ჯარის შემკრებები), მუსთოუფიები (მონაგარიშენი). ეს უკანასკნელნი ვალიებისა და ბეგლარბეგების თანაშემწეები იყვნენ საფინანსო საკითხებში.

პირველი ყაჯარების დროს შემოიღეს ყაიმ-მაყამის თანამდებობა, ყაიმ-მაყამი სადრაზამის მოადგილე იყო. ამავე დროს დაწესდა, რომ ტახტის მემკვიდრე (ვალიეჰდი) ირანის მთავარი პროვინციის —

³⁹ ზ ა კ რ ა შ ა ქ'ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

აზერბაიჯანის გამგებლად ინიშნებოდა, ხოლო ყაიმ-მაყამი ამ საუფლისწულო პროვინციის სამმართველო აპარატში იჯდა. სადრაზამის გადადგომის ან გადაყენების შემთხვევაში მისი მოვალეობის შესრულება ერთ-ერთ ვეზირს ეკისრებოდა⁴⁰.

ისევე როგორც სეფიანთა ეპოქაში, ყაჯართა დროსაც ქვეყანა დაყოფილი იყო დიდ და პატარა პროვინციებად, რომლებსაც ვალიები მართავდნენ. ვალის თანამდებობაზე ძირითადად უფლისწულები იგზავნებოდნენ. პროვინციების ადმინისტრაციული და საფინანსო საქმეების გამგებლად წვრილ ვაზირებს ნიშნავდნენ. მათ მოვალეობაში შედიოდა გადასახადებისა და სხვა შემოსავლების დაანგარიშება, აგრეთვე სახელმწიფო მოხელეებისათვის ხელფასებისა და პენსიების მიცემა⁴¹.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რაც ირანში წინარე ხანაში შეიქმნა ცენტრალიზებული სახელმწიფო ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესში, ყაჯარების ხანაშიც შემორჩა. მათ, ისევე როგორც ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს, არსებითი ცვლილება-გარდაქმნები არ განუცდია⁴².

ირანის სახელმწიფო-ადმინისტრაციული აპარატის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო XIX ს. შუა ხანებიდან. ამ დროს ევროპის განვითარებული ქვეყნების ირანში შეღწევის შედეგად გარკვეული ცვლილებები შეინიშნება ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობაში. ეს ობიექტურად მოითხოვდა სათანადო გარდაქმნებს სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციაში. მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მის განვითარებას აფერხებდა ევროპის ქვეყნების კოლონიური პოლიტიკა, რასაც ირანის დამოკიდებულ ქვეყნად გადაქცევა მოჰყვა შედეგად.

ჯერ კიდევ 1807 წელს ირანთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საფრანგეთმა ფართო უფლებები მოიპოვა ირანის ტერიტორიაზე. ირანში მომუშავე ფრანგ მოხელეებზე ადგილობრივი სამართალი არ ვრცელდებოდა. მათ ბევრი სხვა პრივილეგია და შეღავათი ჰქონდათ. ასეთივე უფლებები მოიპოვეს ინგლისელებმა 1814 წელს, რუსეთმა — 1813 და 1828 წლებში. პერთზე ლაშქრობა 1857 წელს ირანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, უკანასკნელა გაბრძოლება აღმოჩნდა. ამის შემდეგ იწყება ქვეყანაში უცხოური კა-

40 ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ' ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 92: ქ ლ ე ნ გ ე რ უ ლ ი, დასახ. ნაშრ., ტ. 1-10—145.

41 ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ' ი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

42 იქვე. იხ. აგრეთვე სეიდ მოჰამად არჯომანდ ჰაშემი, შაჰინშაჰის ირანის ადმინისტრაციული ცნობარი, თეირანი, 1954, გვ. 2 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ს. მ. ჰაშემი.

პიტალის ინტენსიური „მშვიდობიანი“ შეჭრა, რაც XIX საუკუნის ბოლოს დასრულდა. ამის შედეგად, ერთი მხრივ, სოფლად დაჩქარდა ნატურალური მეურნეობების დაშლისა და ფულად ურთიერთობაზე გადასვლის პროცესი, ხოლო, მეორე მხრივ, ირანის საშინაო ბაზარზე იაფი უცხოური საფაბრიკო ნაწარმის მოზღვავება აფერხებდა ადგილობრივი სახელოსნო და მანუფაქტურული პროდუქციის რეალიზაციას, რის გამოც ზედ მიყოლებით კოტრდებოდა კუსტარული საწარმოები. დაიწყო ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის კრიზისი, რომლის მთელი სიმძიმე სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის მწარმოებელ ფენებს დააწვათ მხრებზე. ამას მოჰყვა სახალხო ანტი-ფეოდალური მოძრაობის გაძლიერება, რაც ობიექტურად უცხოური კაპიტალის წინააღმდეგაც იყო მიმართული. მმართველი წრეები იძულებული იყვნენ გაეტარებინათ რეფორმები ადმინისტრაციულ, სამხედრო, საფინანსო და სხვა დარგებში. რეფორმებს, ერთი მხრივ, ცვლილებები უნდა შეეტანა სახელმწიფო მმართველობის ფეოდალურ სისტემაში, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის ყურადღება ჩამოეცილებინა მწვავე სოციალური პრობლემებისაგან. რეფორმების გატარების ინიციატივა ეკუთვნოდა ნასრ ედ-დინ შაჰის მთავრობის მეთაურს (სადრაზამი) მირზა მოჰამედ თალი-ხან ფარაჰანის. მან ქვეყნის მმართველობაში ამ მაღალ ადგილს სოციალური კიბის უდაბლესი საფეხურებიდან მიადგინა. ცნობილია, რომ მირზა თალი-ხანის ეს მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა, ვინაიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ბაზისში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული პირობები პოლიტიკური მართვის ორგანიზაციის სერიოზული განახლებისათვის.

უერძუაზიული სახელმწიფო ინსტიტუტების დამკვიდრების
პირველი ცდები ირანში

მაგრამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში უცხოეთის ქვეყნების მიერ ყაჯარების ირანისათვის თავს მოხვეული პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ურთიერთობის პირობებში იყო ცდები შუასაუკუნეობრივი სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში ცალკეული ცვლილებების შესატანად⁴³. 1824 წელს ფათჰალი შაჰის კარზე შეიქმნა საგარეო ურთიერთობის უწყება, რომლის მზრუნველად დაინიშნა მირზა აბდ-ოლ ვაჰაბ მოთამად ოდ-დულა რე-შატი⁴⁴.

43 იხ. ნ. ტერ-ოგანოვი, ირანის რეგულარული არმია და უცხოური სამხედრო მისიები, თბ., 1984.

44 ზაჰრა შაჰი 'ი დასახ. ნაშრ., გვ. 92.

1827 წელს აღნიშნული უწყების ბაზაზე ჩამოყალიბდა უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის სამინისტრო (ვეზარათ-ე დოვალ-ე ხარეჯ). ეს იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველსახე ირანში, რომელსაც თავისი შტატი არ ჰყავდა. იმავე ხანებში შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროც (ვეზარათ-ე დახელე ანუ ვეზარათ-ე ქეშვარ). მალე ამას მოჰყვა ფინანსთა (მალიე) და სოციალური უზრუნველყოფის (ფავაიდ-ე ამე) სამინისტროების დაარსება⁴⁵. ამრიგად, სადრაზამის უფლებამოსილებანი რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს შორის განაწილდა, თითოეული ეს ორგანო კომპეტენტური იყო იმ დარგში, რომელსაც განაგებდა. სადრაზამი შაჰსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ასრულებდა დამაკავშირებელი რგოლის როლს. ამასთან ერთად, პირველად ირანის ისტორიაში შეიქმნა კოლეგიალური მმართველობის ორგანო ოთხი მინისტრის შემადგენლობით, რომელსაც სადრაზამი თავმჯდომარეობდა⁴⁶.

შემდეგში ამირე ქაბირმა, რომელმაც სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაცია განიზრახა, უშუალო ზედამხედველობა დაამყარა ფინანსთა, სამხედრო და საგარეო საქმეთა სამინისტროების საქმიანობაზე. იმის შემდეგ, რაც 1848 წლის ივნისში საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაჯი მირზა მასუდი გარდაიცვალა, ამ სამინისტროს მინისტრი არ ყოლია. 1850 წლის 10 დეკემბრამდე მირზა მოჰამედ ალი-ხანი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ ითვლებოდა. იგი უშუალოდ ექვემდებარებოდა ამირე ქაბირს და საგარეო ურთიერთობის საკითხებს მისი ხელმძღვანელობით წყვეტდა⁴⁷.

ამირე ქაბირის სიკვდილის შემდეგ ნასრ ედ-დინ შაჰი ცდილობდა სადრაზამის ხელში არ დაეშვა ძალაუფლების კონცენტრაცია. 1854 წელს გამოცემული ფირმანით მან სამხედრო საქმეების მართვა სადრაზამს ჩამოართვა და ერთ-ერთ ამირას გადასცა. ასევე ჩამოაშორა მას საგარეო საქმეებზე უშუალო ხელმძღვანელობა.

ქვეყანაში კულტურულ ცხოვრებაზე მზრუნველობაც ადრე ამირე ქაბირის პირად კომპეტენციას შეადგენდა და მას ცალკე სახელმწიფო ორგანო არ განაგებდა. 1856 წელს შაჰმა კულტურის საქმეები მეცნიერების უწყების ხელში გადასცა და მასზე ხელმძღვანელობა ალი ყული მირზა ეთემად ოლ-სალთანეს დააკისრა. ეს უწყება სამინისტროს უფლების გარეშე მოქმედებდა⁴⁸.

45 ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

46 იქვე.

47 ა ბ ა ს ე ყ ბ ა ლ ი, მირზა თაყი-ხან ამირე ქაბირი, თეირანი, 1944, გვ. 132, 141 (სპარსულ ენაზე).

48 ზ ა კ რ ა შ ა ჯ ი ი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

ასე იყო 1858 წლის აპრილამდე. ამ დრომდე შაჰის მთავრობას სათავეში ედგა მირზა⁴⁹ აყა-ხან ნური, რომელსაც ეს ადგილი მირზა თაყი-ხან ფარაჰანის შემდეგ ეკავა. 1858 წლის აპრილში ნასრ ელ-დინ შაჰმა გამოსცა ე. წ. „უქმაყოფილების დასთხათი“⁵⁰, რომელშიც შეშფოთება გამოთქვა სამინისტროების საქმიანობაში სადრაზამის ჩარევის გამო. იგი აღნიშნავდა, რომ ეს გარემოება ზღუდავდა სამინისტროების უფლებებს. შაჰმა სადრაზამი გადააყენა და ევროპული მოდელების მიხედვით შექმნა სახელმწიფო საბჭო (მურაი-ე დოულათ), რომელსაც საერთო ხელმძღვანელობა უნდა გაეწია ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების საქმიანობისათვის. ამავე დროს ჩამოყალიბდა ექვსი სამინისტრო. ეს იყო ფეოდალური სახელმწიფო აპარატის სტრუქტურული გარდაქმნების მორიგი ცდა, რაც განპირობებული იყო არა იმდენად საშინაო პირობებით, რამდენადაც უცხოური გავლენით. ეს სამინისტროები იყო: საშინაო საქმეთა (ვეზარათ-ე დახელე), საგარეო საქმეთა (ვეზარათ-ე ხარეჯე), სამხედრო (ვეზარათ-ე ჯანგ), ფინანსთა (ვეზარათ-ე მალიე), იუსტიციის (ვეზარათ-ე ადლიე) და საპენსიო უზრუნველყოფის (ვეზარათ-ე ვაზაიფე).

ხელისუფლების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა სუბორდინაციის ახალი წესი. დაწესდა სამინისტროების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა უშუალოდ შაჰის წინაშე. ისინი პირდაპირ მონარქისგან იღებდნენ ინსტრუქციებს სამინისტროების სამართავად. ამნაირად, სადრაზამის ფუნქციებს შაჰი კისრულობდა. ამასთან ერთად, სახელმწიფოს საერთო პოლიტიკური ხაზის შემუშავებისა და საშინაო და საგარეო საქმიანობაზე ხელმძღვანელობისათვის შეიქმნა ხელმძღვანელი ორგანო, რომელსაც მინისტრთა საბჭოს სათათბირო (მაჯლეს-ე შურაი-ე ვოზარა) ეწოდა⁵¹.

სამინისტროები იცვლებოდა შაჰის ნება-სურვილით, ზოგჯერ კი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძველზე. ცალკეულ შემთხვევებში სამინისტროებს სახელწოდებას უცვლიდნენ. ფუნქცია კი აღრინდელი რჩებოდა. მაგალითად, 1866 წელს, როცა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების ახალი რეორგანიზაცია მოხდა, შეიღი სამინისტრო შექმნა. ამავე წელს შაჰის ფირმანით დიდი კარის საბჭოს (დარ-ოლ-შურაი-ე ქობრა) შექმნის პროექტის შედგენა დაევალა

⁴⁹ ირანში მირზა საერთოდ მწერალს, გადამწერს, კანცელარიის მდივანს ნიშნავდა. მირზა გამოხატავდა აგრეთვე ტიტულს. იხმარებოდა უფლისწულების საკუთარი სახელების შემდეგ. თუ „მირზა“ საკუთარი სახელის წინ იყო ნახმარი, ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმე ეხებოდა წიგნიერ, განათლებულ პიროვნებას.

⁵⁰ დასთხათი — ავტოგრაფი, ხელნაწერი შაჰის ფირმანი — ბრძანებულება.

⁵¹ შ ა ჰ ა შ ა ჯ ი ' ი, დასახ; ნაშრ., გვ. 94; ს. მ. შ ა შ ე მ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

ევროპულად განათლებულ სახელმწიფო მოღვაწე ჰოსეინ-ხან მოშირ ოდ-დოვლეს. პროექტის თანახმად, ადრინდელი მინისტრთა საბჭოს სათათბიროს ფუნქციები დიდი კარის საბჭოს ხელში გადადიოდა. კვლავ აღადგინეს საღრაზამის თანამდებობა და დაარსდა ცხრა სამინისტრო: საშინაო საქმეთა, საგარეო საქმეთა, სამხედრო, საფინანსო, იუსტიციის, მეცნიერების (ოლუმ), სოციალური უზრუნველყოფის (ფავაიდე ამე), ვაჭრობისა და მიწათმოქმედების (თეჯარათ ო ზერათ), სასახლის (დარბარ)⁵².

დიდი კარის სათათბიროს ინსტრუქციის თანახმად, პირველად ირანის სახელმწიფოს ისტორიაში (ევროპის ბურჟუაზიული ქვეყნების ნიმუშის მიხედვით) იქმნებოდა უმაღლესი სათათბირო კოლეგია წევრთა კოლექტიური პასუხისმგებლობის საფუძველზე. ამასთან განისაზღვრა სამინისტროების სტრუქტურა და ორგანიზაციული ფორმები, პრინციპები და დებულებები.

დაწესდა, რომ დიდი კარის სათათბიროს სხდომები გაიმართებოდა საღრაზამის თავმჯდომარეობით განსაზღვრულ დროს და სათანადო დღის წესრიგით. სათათბიროს წევრები იყვნენ მინისტრები, უფლისწულები, დიდმოხელენი, სასახლის წარჩინებულნი და გუბერნატორები. სათათბიროს წევრების შერჩევისას ითვალისწინებდნენ მათ გამოცდილებას, საქმის ცოდნასა და ავტორიტეტს.

დიდი კარის სათათბიროს წესდება შაჰმა 1872 წლის 11 ნოემბერს დაამტკიცა. პირველი სხდომა იმავე წლის 23 დეკემბერს მოიწვიეს. სხდომაზე მირზა ჰოსეინ-ხან მოშირ ოდ-დოვლეს წინადადებით დაისახა ღონისძიებანი, რაც სახელმწიფო მმართველობის რეფორმას და მმართველობის დასავლეთ ევროპული ფორმების შემდგომ დამკვიდრებას ითვალისწინებდა. შემდეგში ამ წინადადებებმა მიიღო კანონის სახე, რომლითაც ახლებურად განისაზღვრა მინისტრებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეების უფლება-მოვალეობები. კანონის თანახმად, იზრდებოდა მინისტრების დამოუკიდებლობა საუწყებო საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან მნიშვნელოვნად იზრდებოდა საღრაზამის კომპეტენციები. ეს კანონი ძალაში 1877 წელს შევიდა⁵³.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის (1882 წ.) ირანში სამინისტროების რიცხვმა უკვე 14 მიაღწია. არსებობდა: საგარეო საქმეთა, იუსტიციის, დიდი კარის, ხაზინისა და საბაჟოების, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, პენსიების, ვაყფებისა და ფოსტის, არმიის კანცელარიის, ვაჭრობისა და მიწათმოქმედების, მეცნიერების, ტელეგრაფის და მთამადნეულის, სოციალური უზრუნველყოფის, მრეწველო-

52 ზაკრა შაჰი'ი, დასახ. ნაშრ., გვ. 95.

53 იქვე, გვ. 100; ს. შ. კაშემი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

ბის. მთარგმნელობისა და გამომცემლობის და სხვადასხვა საქმეების სამინისტროები⁵⁴.

სამინისტროების საკმაოდ დიდი რაოდენობა და მათი სახელწოდებანი იმაზე მიუთითებს, რომ მათი არსებობა მეტწილ შემთხვევებში აუცილებლობით არ იყო გამოწვეული. ნასრ ელ-დინ შაჰი, რომელიც მოხიბლული იყო ევროპული ცხოვრებით, ცდილობდა ხელალებით გადმოეღო მმართველობის იქაური ფორმები, რაც ხშირად წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა ირანში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოუძწიფებლობის გამო.

ამიტომ იყო, რომ თუ ადრე საფოსტო საქმეებზე ზედამხედველობა ფოსტის სამმართველოს ეკისრებოდა, 1880 წელს ჩატარებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ნასრ ელ-დინ შაჰმა ეს სამმართველო ვაზაფების და ვაყების მინისტრ ამინ ოლ-მულქს ჩააბარა, ხოლო მასზე მზრუნველობა სახელმწიფო საბჭოს თავმდომარეს დააჯისრა. შემდეგში კონსტიტუციური მოძრაობის დაწყებამდე, საფოსტო საქმეებს ხან ვაზაფების სამინისტრო განაგებდა, ხანაც ცალკე დამოუკიდებელი ფოსტის სამინისტრო მართავდა. დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო კავშირების გაფართოებამ საბაჟო მეურნეობის ახლებურად მოწყობა მოითხოვა. 80-იანი წლების დამდეგს საბაჟოები პირველად შეიტანეს ცენტრალური მმართველობის სისტემაში და იგი ხაზინის სამინისტროს დაუმორჩილეს⁵⁵. ვაჭრობისა და მიწათმოქმედების საქმეების ერთ სამინისტროში გაერთიანება იმან განაპირობა, რომ ამ პერიოდში საგარეო ბაზრის გავლენით სავაჭრო კაპიტალი მკვიდრდება სოფლის მეურნეობაში და სტარტს იღებს სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება. ეს სამინისტრო პირველად 1866 წელს შეიქმნა. მაშინ მას „ვეზარათ-ე თეჯარათ ო ზერაათ“ ეწოდებოდა. შემდეგში კი „ვეზარათ-ე თეჯარათ ო ფელაჰათ“ უწოდეს.

ვაზაფებისა და ვაყების უწყება, როგორც ვნახეთ, ირანში ადრეც არსებობდა. ამ დროს ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, როცა ნატურალური საპენსიო უზრუნველყოფის ადგილს თანდათან ფულადი ანაზღაურება იკავებდა, ამ უწყებამ ახალი შინაარსი შეიძინა. იმასთან დაკავშირებით, რომ 60-იან წლებში ინგლისელებმა და შემდეგ რუსებმა ირანში საკონცესიოდ აიღეს სატელეგრაფო ხაზების გაყვანის და წიაღისეულის დაზვერვის საქმე, შეიქმნა ტელეგრაფისა და წიაღისეულის სამმართველო, რომელიც

⁵⁴ ზ ა ჯ რ ა შ ა ჯ ი ' ი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

⁵⁵ XX საუკუნის დამდეგს საბაჟოების ცალკე სამინისტრო შეიქმნა. მას ბელგიელი ნაუსი ჩაუყენეს სათავეში, რაც სახალხო მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

მეცნიერების სამინისტროს დაუქვემდებარეს. სინამდვილეში ეს მხოლოდ ფორმალურად იყო, ვინაიდან ტელეგრაფიკ და წიაღისეული უცხოელების ხელში იმყოფებოდა. ასევე ფორმალურად შეიქმნა მრეწველობის სამინისტროც, ვინაიდან უცხოეთის კაპიტალის შეჭრის გამო ქვეყანაში მრეწველობის განვითარება ჩიხში იყო მოქცეული და მას სამინისტროს შექმნა ვერ უშველიდა. ირანისათვის არსებითი შედეგი არ მოუტანია ევროპის სახელმწიფოების წაბაძვით არც პოლიგრაფიისა და მთარგმნელობითი საქმის და არც არმიის კანცელარიის სამინისტროს შექმნას.

სამინისტროების უმრავლესობა მხოლოდ ქალაქებზე არსებობდა, მათ არა მაშტო თავისი სამოხელეო შტატი არ ჰყავდათ, არამედ მუდმივი ადგილსამყოფელიც არ გააჩნდათ⁵⁶.

შაჰის სასახლესთან არსებობდა განსაკუთრებული კანცელარია, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს აკავშირებდა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან. აქ ეწეოდნენ საქმიან მიმოწერას, ადგენდნენ ფირმანების ტექსტებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც შაჰის მიერ დამტკიცების შემდეგ შემსრულებლებს ეგზავნებოდათ. სასახლის კანცელარია, სადრაზამი და მინისტრები შაჰს ემორჩილებოდნენ. მაგრამ მათ ჰქონდათ თავისი უფლებები და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს შეეძლოთ გარკვეული გავლენა მოეხდინათ მონარქზე⁵⁷. შაჰის სასახლეში იმყოფებოდნენ, აგრეთვე, ათეულობით ტიტულიანი ვეზირ-მინისტრები, რომლებსაც, მართალია, ცალკე უწყება არ ებარათ, მაგრამ დიდი გავლენით სარგებლობდნენ. შაჰის კარზე მაღალი თანამდებობების მისაღებად, მათ შორის მინისტრის პოსტზე დასანიშნავად აუცილებელი იყო ქრთამის (ფიშქეშის) გაღება. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ფიშქეში იყო საჭირო, აგრეთვე, პროვინციების მმართველობის (ჰაქიმები), გადასახადების ამკრებების (თაჰსილდარები) და თვით სოფლის მამასახლისების (ქედხოდა) თანამდებობაზე დასანიშნავად.

XIX საუკუნის ბოლოს ირანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დაახლოებით იგივე წესი არსებობდა, რაც ერთი საუკუნის წინ, ყაჯარების ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროს იყო. საქვეუწყებო ადმინისტრაციული ერთეულები, რომელიც უშუალოდ თეირანს ექვემდებარებოდა, იყო პროვინციები და ქვეპროვინციები (ბულუქები). მაღალი რანგის პროვინციებად ყაჯარების დროს, როგორც უკვე ითქვა, აზერბაიჯანი ითვლებოდა. თავრიზი ტახტის

⁵⁶ М. Д. Миланян. Государственный строй современного Ирана, М., 1973, с. 9; ს. მ. ჰაშემი, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

⁵⁷ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

მემკვიდრის რეზიდენციას წარმოადგენდა. გარდა აზერბაიჯანისა, მთავარ პროვინციებს განეკუთვნებოდა ფარსი, ხორასანი და ქერმანი. ქვეპროვინციების რაოდენობა და საზღვრები ხშირად იცვლებოდა. მათი რიცხვი 30-მდე იყო. პროვინციებს და ქვეპროვინციებს ვალიები და პაქიმები მართავდნენ. ისინი ადგილებზე შაჰის ხელისუფლების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ⁶⁸. XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე საკმაოდ ძლიერი იყო ცალკეული ხან-ფეოდალების სეპარატისტული მისწრაფება. ისინი ხშირად ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივ მმართველებს ანგარიშს არ უწევდნენ და თავიანთ მამულებს დამოუკიდებლად ან ნახევრად დამოუკიდებლად განაგებდნენ.

ადგილობრივ მმართველებად დანიშნვისათვის შესატანი ფიშქეშების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო. მაგალითად, ფარსისა და ქერმანის მმართველებს ამ მიზნით 200 ათასი თუმანი (თუმანი-10 ყრანი) უნდა გადაეხადათ. ამას გარდა მმართველი ვალდებული იყო ყოველწლიურად შაჰისათვის ნატურით მიერთმია ფიშქეშის გარკვეული რაოდენობა. ქერმანის მმართველი სასახლეში გზავნიდა სახელგანთქმულ ქაშმირულ შალეულს, რომლისაგანაც შაჰისა და დიდმოხელეების სპეციალური მოსახსამები მზადდებოდა. პროვინციებიდან სასახლე იღებდა მალაზხარისხოვან სპარსულ ხალიჩებს, რომლის ნაწილს საექსპორტოდ იყენებდნენ. ცხადია, ფულად და ნატურალურ ფიშქეშებს მმართველები მოსახლეობის მწარმოებელი ფენებიდან — გლეხებიდან და ხელოსნებიდან იღებდნენ. ისინი ყოველგვარი ზომიერების დაცვის გარეშე ბეგრავდნენ მათ მრავალი სახის გადასახად-გამოსაღებლათ.

სახელმწიფო და რელიგია პირველ რევილუციამდე ირანში

შიიტური რელიგია დიდ როლს ასრულებდა ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შიიზმა, რომელიც არაბთა დაპყრობების დროიდან სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას წარმოადგენდა, მოიცვა მოსახლეობის ფართო ფენები, მან ქვეყანაში გაბატონებული რელიგიის მდგომარეობა მოიპოვა და მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის ყოფაში. საზოგადოების პრივილეგიური ნაწილიდან გამოსული შიიტური წრეების ზედაფენების წარმომადგენლები ფეოდალურ საზოგადოებას იცავდნენ და გაბატონებული კლასებისათვის სასურველ განმარტებებს აძლევდნენ ყურანისა და შარიათის დოგმებს. ამასთან სასულიერო პირების მოვალეობაში შედიოდა კონტრო-

⁶⁸ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; ქ. ლენგერუჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 142; ს. მ. ჰაშემი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

ლი იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებოდა ისლამურ ტრადიციებსა და პრინციპებს საერო ხელისუფლების კანონ-გადაწყვეტილებები და თვით მონარქის ფირმანები. ირანელი შიიტების მეთაური — მთავარი მოჯთეხიდი შაჰის ხელისუფლებისაგან გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. რელიგიის გავლენა იმდენად ძლიერი იყო, რომ ხშირად შაჰი მიმართავდა უღემებს (შიიტ თეოლოგებს) იმის გასარკვევად, რომ ხომ არ ეწინააღმდეგებოდა მის მიერ მომზადებული ფირმანი ან დასთხათი ისლამის სულისკვეთებას. უმეტეს შემთხვევებში მას ეს სჭირდებოდა იმისათვის, რომ თავისი გადაწყვეტილებებისათვის რელიგიური ავტორიტეტი მოეპოვებინა.

საერო ხელისუფლებისაგან შიიტური რელიგიის ამ ერთგვარ დამოუკიდებლობას მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. საქმე ის არის, რომ სასულიეროთა ხელში იყო ვაყფის მამულები და ქონება, რომელიც მორწმუნეთა შეწირულებისაგან შედგებოდა. სავაყფო საკუთრებაში შედიოდა არა მარტო მიწები, რომლებიც ათასობით სოფელს მოიცავდა, არამედ აგრეთვე ქარვასლები, სარეწები, სასტუმროები, აბანოები, წისკვილები, საბაჟოები და სხვ. სასულიეროთა შემოსავლის წყაროს შეადგენდა აგრეთვე ფულადი შეწირულებანი და სპეციალური გადასახადები — ხუმსი და ზაქათი, რასაც მრევლისაგან იღებდნენ.

შიიტური სასულიერო პირები განაგებდნენ სამართალწარმოების საქმეს, რომელიც შარიათის სასამართლო სისტემას ემყარებოდა. ისინი იხილავდნენ არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებსაც⁵⁹. მაშინაც კი, როცა სარჩელს საერო სასამართლო გაარჩევდა, ისიც შარიათის კანონების საფუძველზე უნდა განეხილათ და კონსულტანტად სასულიერო პირები მოეწვიათ. მხოლოდ მათ კომპეტენციაში შედიოდა მემკვიდრეობის, ქორწინების, გაყრის, ვაჭრობისა და სხვა საკითხების განხილვა. სასჯელი განსაკუთრებული სიმკაცრით გამოიჩინებოდა. მკვლელობაში მსჯავრდადებულს, თუ ის დაბალი ფენების წარმომადგენელი იყო, აუცილებლად სახრჩობელა ელოდა. ქურდობისათვის გათვალისწინებული იყო ციხე ან ჯარიმა, ხოლო განმეორების შემთხვევაში უნდა მოეკვეთათ თითები, ხელი, ფეხი ან ჩამოეჭრად ყური. ძარცვასა და ყაჩაღობაში ბრალდებულს ემუქრებოდა საჯაროდ ჩაქოლვა ან თავის მოკვება⁶⁰.

მომთაბარე ტომებში და სოფელ ადგილებში სამართალს წყვეტდნენ ტომების ბელადები, ხანები და ფეოდალები, ხოლო საოჯახო

⁵⁹ М. С. Иванов. Иран в 60—70-х годах XX века, М., 1977, с. 152; ჟ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 142—143.

⁶⁰ М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

დავას მოლები განიხილავდნენ; ფართოდ იყო გავრცელებული ფიზიკური დასჯის წესი „ჩუბ ო ფალაყ“⁶¹. შარიათის სასამართლოებში სამართალწარმოებას ისლამურ იურისპრუდენციაში ჩახედული მოსამართლე — ყაზი წარმართავდა. სასამართლოებში, ისევე როგორც ყველგან, ფართოდ იყო გავრცელებული მექრთამეობა, რასაც ჩვეულებრივ ფიშქემის სახით იღებდნენ.

სასულიერო წრეების ხელში იყო, აგრეთვე, სასკოლო განათლების საქმე. ისინი განაგებდნენ როგორც დაწყებით სასულიერო სკოლებს — მექთებებს, ასევე საშუალო სასწავლებლებს — მედრესეებს, სადაც ძირითადად საღვთო რჯულს ასწავლიდნენ.

ამრიგად, შიიტური სასულიერო წოდება საკუთარ, საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ბაზას ეწყარებოდა, რაც განაპირობებდა კიდევ მის თვითმყოფადობას. მას არ ჰქონდა გამოკვეთილი იერარქიული დაყოფა. მაგრამ მოლები, ახუნდები, სეიდები და სასულიეროთა დაბალი ფენების სხვა წარმომადგენლები მოკლებული იყვნენ იმ პრივილეგიებს, რითაც მათი ზედა ფენები — ულემები და მოჯთეჰიდები სარგებლობდნენ. ისინი ხშირად მწარმოებლურ შრომაში იყვნენ ჩაბმული, ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ხელოსნობასა და წვრილ ვაჭრობას და ამით ირჩენდნენ თავს. ამიტომ ისინი თავისი სოციალური მდგომარეობით ახლოს იდგნენ მოსახლეობის შშრომელ ფენებთან.

მონარქის ლეგიტიმაციის იდეა

ირანის 1905—1911 წწ. რევოლუციის წინ, ისევე როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე, შაჰი ქვეყნის ერთპიროვნულ, აბსოლუტურ მმართველად ითვლებოდა. ხელისუფლების ყველა ორგანო და, მაშასადამე, უკლებლივ ყველა ქვეშევრდომი, მისი ნების უბრალო ამსრულებელი იყო. ძველი დროიდან ჩამოყალიბდა მითი და ლეგენდები მონარქიის ზებუნებრიობის შესახებ. ამ ლეგენდების თანახმად, სამყაროს შემოქმედმა ადამიანთა შორის აირჩია ერთი უცოდველი, რომელსაც ჩააბარა ადამიანების ბედ-იღბალი და ქვეყნის საქმეების მართვა. ამიტომ, ამ იდეის თანახმად, მონარქის ნება ღვთის ნების გამოხატულებად მიაჩნდათ. იგი მხოლოდ ღვთის წინაშე იყო პასუხისმგებელი. ძველ ირანში, ევროპისა და აზიის ბევრი სხვა ქვეყნის მსგავს-

⁶¹ „ჩუბ ო ფალაყის“ წესით დასჯის იარაღად იყენებდნენ გრძელ კეტს, კეტის შუაში გაკეთებულ თოკის მარჯუენი დასახველს ფეხებს აყოფინებდნენ. კეტს ბოლოებში ორი ქალათი მალა ეწეოდა, ხოლო მესამე მისჯილს ფეხის ტერფებზე დაუზოგავად სცემდა ჯახით.

სად, მონარქი ღვთაებრივი შარავანდედით იყო მოსილი. ეს განუმტკიცებდა მას ძალას, გავლენას და ავტორიტეტს ქვეშევრდომთა შორის. ჯერ კიდევ დარიოსის ნაყში როსთემის კლდის ლურსმულ წარწერაში მოთხრობილია, რომ, თითქოს, ღვთაება აპურამაზდამ, როცა დაინახა ხალხებსა და ქვეყნებს შორის ჩამოვარდნილი შუილი და მტრობა, დარიოსს მიანდო დედამიწაზე წესრიგისა და მშვიდობის დამყარების მისია⁶².

მონარქის ღვთისწორობის იდეა კიდევ უფრო განმტკიცდა სასანელთა ეპოქაში. სასანელი შაჰები თავს ციური ღვთაების შვილებად წარმოსახავდნენ. იმ დროს მოქრილ მონეტებზეც ღვთაებრივი სცენებია გამოხატული⁶³.

ისლამის გავრცელების შემდეგაც მუსლიმთა თემში არჩეულ ხალიფებს ღვთაებრივ თვისებებს მიაწერდნენ. მონარქის ღვთისწორობის დოქტრინა არსებობდა ირანში შემდგომშიც თვით უკანასკნელ დრომდე. ეს რწმენა ისე ძლიერი იყო, რომ მისი ანარეკლი აისახა ირანის პირველი კონსტიტუციის მიღებისას (1907 წ.), რომლის მიზანს მონარქიის პრეროგატივების შეკვეცა შეადგენდა. მაგ., 35-ე მუხლში მონარქი წარმოდგენილია, როგორც „ძე ღვთისა და ძე კაცისა“. აქვე აღნიშნულია, რომ მონარქი არის ხალხისათვის ღვთისგან „ზეგად-მოვლენილი წყალობა“⁶⁴.

მონარქის ღვთაებრივი წარმოშობის მითი საფუძვლად ედო იმ შეხედულებას, რომ, ვითომ, მონარქიული სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს ასევე ღვთაებრივი ძალა ჰქონდა. მაგრამ ვინაიდან ისლამური კანონები უმთავრესად ზოგადი ხასათის იყო და ზოგჯერ კონკრეტულ ვითარებაში მოქმედებს ვერ განსაზღვრავდა, ცხოვრება მოითხოვდა ისეთი სპეციალური კანონებისა და განკარგულებების გამოცემას, რომელიც სახელმწიფო მმართველობის დარგებს, - სამხედრო საქმეს, გადასახადების დადგენას და სხვ. ეხებოდა. ასეთი კანონების გამოცემა მონარქის და მისი სამმართველო აპარატის კომპეტენციაში შედიოდა. ამიტომ მონარქიულ ირანში წესად იყო დამკვიდრებული, რომ, როგორც აღინიშნა, ყოველთვის, როცა შაჰი ფირმანისა და დასთხათის გამოცემას განიზრახავდა, პროექტს წინასწარ გააცნობდა მოხელეებს (ისლამამდელ პერიოდში), ხოლო ისლამის გავრცელების შემდეგ ულემებს, მთავარ მოჯთეჰიდებს და სხვა რელიგიურ

62 ზ ა კ რ ა შ ა ჭ ი ' ი, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

63 კ ა ს ა ნ ფ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

64 ირანის 1906 წელს დამტკიცებული ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და 1907 წლის დამატება. დანართში ეროვნული საბჭოს კრების (მეჭლისი) საარჩევნო კანონი. გამომცემლობა „ნეუბალი“, თეირანი, 1947, გვ. 27 (სპარსულ ენაზე), შემდეგში: ძირითადი კანონი.

მრჩევლებს იმისათვის, რათა მათ დაედანტურებინათ, რომ გამოსაცემი კანონი რელიგიურ დოგმებს არ ეწინააღმდეგებოდა. ეს წესი XX საუკუნემდე შემორჩა. ირანის პირველი რევოლუციის წინა პერიოდის სახელმწიფო მმართველობის სისტემის სხვა დამახასიათებელი თავისებურება ის იყო, რომ მკვეთრად არ განისაზღვრებოდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები. მონარქის ლეთისწორობის იდეა მას თავისუფლად განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა სახელმწიფო მმართველობის მთელს ორგანიზაციაში. იგი საკუთარ ხელში უყრიდა თავს ყველა სახის ხელისუფლებას. ყურანისა და შარიათის შესაბამისად გამოსცემდა კანონებსა და განკარგულებებს აღმინისტრაციულ-სამმართველო, სამხედრო-საფინანსო და სხვა საკითხებზე; ამტკიცებდა კანონებს სახელმწიფო მოხელეთა დაქირავების შესახებ; ნიშნავდა და გადააყენებდა მაღალი და დაბალი თანამდებობების პირებს; განაგებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სიმდიდრეებს; კონტროლს უწევდა საზოგადოებრივ ვაყფებს, სახელმწიფოს — შემოსავალ-გასავალს; აწესრიგებდა ფისკალურ სისტემას; აცხადებდა ომს და დებდა ზავს; ითვლებოდა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად; უცხოეთის სახელმწიფოებთან დებდა შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს⁶⁵. ამასთან იგი წარმოადგენდა უმაღლეს მართლმსაჯულს ქვეყანაში. მას ჰქონდა მსჯავრდადებულთა შეწყალების, სასჯელის დამძიმების და ანისტიის გამოცხადების ერთპიროვნული უფლება.

შიიტური რელიგია განამტკიცებდა შაჰის აბსოლუტურ ხელისუფლებას. ისტორია მოწმობს, რომ, მიუხედავად მონარქიული რეჟიმის ნახევრად თეოკრატიული ხასიათისა, ზოგჯერ შაჰის ხელისუფლების განმტკიცების ამოცანები მოითხოვდა სასულიერო წრეების ინტერესების გარკვეულ შეზღუდვას, რაც მათ შორის ეპიზოდური უთანხმოების მიზეზი ხდებოდა. მაგრამ ეს უთანხმოებანი, რომელიც მხოლოდ ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, უკანა პლანზე გადადიოდა მაშინვე, როგორც კი სახალხო მოძრაობის აჩრდილი არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ წყობას საფრთხედ მოეგონებოდა. ასეთ შემთხვევაში შაჰის მთავრობა შიიტური სასულიერო წრეების ზედა ფენასთან ერთად ბარიკადების ერთ მხარეზე დგებოდა.

ირანის პირველი რევოლუცია და კონსტიტუციის მიღება

XIX—XX საუკუნეების მიჯნა ირანის ისტორიაში ორი საუკუნის მხოლოდ უბრალო შესაყარი არ იყო. ისტორიის ეს მონაკვეთი

⁶⁵ ზაჰრა შაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

აღინიშნა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენებით, რაც უშუალოდ უკავშირდება კაპიტალიზმის მის უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში გადასვლას, კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ირანი უკვე გახდა ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების, უწინარეს ყოვლისა, დიდი ბრიტანეთისა და მეფის რუსეთის ხელდებული, ნახევრადკოლონიური ქვეყანა. ირანში დასავლეთის კაპიტალის დამკვიდრებამ და მსოფლიო კაპიტალისტურ ბაზართან მისმა მიჯაჭვამ ხელი შეუწყო ცალსახ ფორმაციულ ცვლილებებს მის საზოგადოებრივ სტრუქტურაში. ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შეჭრის კვალობაზე დაწყებული სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების პროცესი, რაც მთელ XIX საუკუნეს გასდევს, თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ამ საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, საუკუნეთა შესაყარზე. ვინაიდან დასავლურმა საფაბრიკო ნაწარმმა მომხმარებელი მოიპოვა ირანის საშინაო ბაზარზე და ამით გზა გადაუკეტა ადგილობრივ საქალაქო წარმოებას, ხოლო საგარეო ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (მარცვლეული, ხმელი ხილი, ბრინჯი, ბამბა, ოპიუმი, ტყავეული და სხვ.) მოთხოვნილება გაიზარდა, ამან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბუნებრივ გზას ააცდინა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ და სოფლის პროდუქტებზე მოთხოვნილების გადიდება მიწას ფასი დაადო. იგი ყიდვა-გაყიდვის და მასობრივი დატაცების ობიექტი გახდა. სტიმული მიეცა მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებას. ფეოდალურ-ლენური მიწათმფლობელობა კრიზისმა მოიცვა. მიწების შეძენით დაინტერესდნენ ვაჭრები, მევახშეები, სახელმწიფო მოხელეები, სასულიერო პირები, ძველი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები; ერთი სიტყვით, საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც ფული ჰქონდათ და ძალა შესწევდათ. შეიქმნა მიწის მესაკუთრე-მულქადარი მიწათმფლობელების ახალი გაბატონებული კლასი, რომელიც ჰარბი და იაფი მუშახელის არსებობის პირობებში თავიანთ მამულებში კვლავ იყენებდნენ შუასაუკუნეობრივ საიჯარო სისტემას (მუზარა-წილადობრივი იჯარა). მიწას ამუშავებდნენ მოიჯარე გლეხები (რაიათი) პრიმიტიული იარაღებით. ასე დაიწყო ნახევრად ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლის ხანგრძლივი პროცესი ირანის სოფელში. ამრიგად, ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების პროცესი ირანში ეროვნული ინტერესების შესაბამისად როდი წარიმართა, როგორც ამას ევროპის ქვეყნებში ჰქონდა ადგილი. ეს პროცესი მხოლოდ საგარეო, კაპიტალისტური ბაზრის ინტერესებს პასუხობდა და მისი ზეგავლენით ვითარდებოდა. ამიტომ ამას არ მო-

ჰყოლია რადიკალური ცვლილებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში, რაც კვლავ ძირითადად წინაკაპიტალისტური საზოგადოების ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა. მაგრამ საზოგადოების წინააღმდეგობით ეს ძვრებიც ობიექტურად ამზადებდა პირობებს კონსტიტუციისათვის ძველ წარმოებით ურთიერთობებსა და ახლადფეხადგმულ საწარმოო ძალებს შორის. ირანის სავაჭრო ბურჟუაზიის წრეებში, რომლის ინტერესები თავისებურად დაუკავშირდა ახალ მიწათმფლობელთა კლასის მოთხოვნებს, უკვე გაისმოდა ფეოდალური არისტოკრატის და მისი ნების გამომხატველი არსებული სახელმწიფო წყობილების კრიტიკა. ისინი ყაჯართა აბსოლუტიზმის შეზღუდვასა და უცხოელთა პატრონობისაგან ქვეყნის ვანთავისუფლებას მოითხოვდნენ. მათ მხარს უჭერდნენ მაღალი სასულიერო წრეების წარმომადგენლები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ შაჰის ხელისუფალთა მიერ მათი ინტერესების შელახვის გამო. უცხოელთა ძალმომრეობის მოსპობის, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში რადიკალური გარდაქმნების მოთხოვნით და ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ გამოდირდნენ მოსახლეობის დემოკრატიული ფენები — მუშები, გლეხები, ხელოსნები, წვრილი მეწარმენი, წვრილვაჭრები და შიიტური რელიგიის დაბალი რგოლის წარმომადგენლები. ასე რომ, რევოლუციური აფეთქებისათვის ირანში საკმაო პირობები არსებობდა. ამას მხოლოდ ბიძგი სჭირდებოდა. ეს ბიძგი მას რუსეთის 1905 წლის რევოლუციურმა ამბებმა მისცა.

1905—1906 წლებში გაჩაღებული გაფიცვებითა და სახალხო გამოსვლებით შეშინებული შაჰი მოზაფარ ედ-დინი იძულებული გახდა 1906 წლის 5 აგვისტოს გამოეცა ფირმანი მეჯლისის (პარლამენტი) მოწვევის შესახებ. 8 სექტემბერს მიიღეს პირველი საარჩევნო კანონი, რომლის საფუძველზე აირჩიეს მეჯლისის შემადგენლობა⁶⁶. 7 ოქტომბერს მოწვეულ იქნა პარლამენტის პირველი სხდომა. იმავე წლის 30 დეკემბერს შაჰმა დაამტკიცა ქვეყნის ძირითადი კანონი. ამრიგად, ირანში სათავე დაედო პარლამენტურ მმართველობას, ხოლო ყაჯართა შეუზღუდველი მონარქია ამიერიდან კონსტიტუციური მონარქიად ცხადდებოდა. 1907 წლის 7 ოქტომბერს მეჯლისმა დაამტკიცა კონსტიტუციის დამატება. მაგრამ ფეოდალური რეაქცია, რომელსაც ყაჯარები ედგნენ სათავეში და, იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც მათ ზურგს უკან იდგნენ, იოლად როდი თმობდნენ პოზიციებს. ისინი ცდილობდნენ უკან დაებრუნებინათ ის, რაც ხალხმა სისხლის ფასად მოიპოვა. 1908 წლის 23 ივნისს შაჰის ბრძანებით და-

⁶⁶ ყ ა ს ე მ ზ ა დ ე, ძირითადი უფლებები, თეირანი, 1955, გვ. 380 (სპარსულენაზე).

ბომბებს და გარეკებს მეჭლისი. ამ ავანტიურის საპასუხოდ ფართო სახალხო გამოსვლები მოეწყო. აღდგა რევოლუციური თავრიზი და აჯანყდნენ გილანელები. 1909 წლის შუა ზაფხულში გილანელებმა და ბახთიარებმა, რომელთა რიგებში ბევრი ქართველი სოციალ-დემოკრატი იბრძოდა, იერიში მიიტანეს თეირანზე და ტახტიდან ჩამოაგდეს რეაქციონერი შაჰი მოჰამად ალი. ტახტზე მისი მცირეწლოვანი შვილი აჰმედი დასვეს. მაგრამ ირანის რევოლუცია, რომელიც 1911 წლის ბოლომდე გაგრძელდა, საბოლოოდ სისხლში ჩაახშეს იმპერიალისტებისა და ფეოდალური რეაქციის ძალებმა. რევოლუცია არ დამთავრებულა. მან ვერ შეძლო დაეძლია ფეოდალ-ხანების ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება, არსებითად ვერ იქნა დაკმაყოფილებული სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესები. მშრომელი მასების დაკმაყოფილებაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ქვეყანას კვლავ ფეოდალური სეპარატიზმი ღრღნიდა. მეჭლისი და კონსტიტუცია ფორმალურად არსებობდა. ფეოდალთა ზედა ფენამ მეჭლისი თავის ინტერესებს მიუსადაგა, ხოლო კონსტიტუციის ბევრი ძირითადი დებულება ცხოვრებაში არ გატარებულა. ფაქტობრივად ხელშეუხებელი დარჩა ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაცია. ქვეყანა კვლავ იმპერიალიზმის მარწყუხეხეში იმყოფებოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს იგი, ვ, ი. ლენინის თქმით, „ცხრა — მეათედით კოლონიას წარმოადგენდა“⁶⁷.

ახალი მტავი ირანის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანს შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების პერსპექტივა. მაგრამ ეს ხელს არ აძლევდა ადგილობრივი ფეოდალური რეაქციისა და ინგლისის იმპერიალიზმის ძალებს. მათ ირანელი ხალხის ზურგს უკან გააფორმეს ინგლის-ირანის კაბალური ხელშეკრულება, რომელიც ქვეყანას დიდი ბრიტანეთის კოლონიად გადაქცევის საფრთხეს უქადდა. ამან გამოიწვია მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები და დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება. მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო ირანის ჩრდილოეთში მდებარე საბჭოთა სახელმწიფოს მოსაზღვრე პროვინციებში — ირანის აზერბაიჯანში, გილანსა და ხორასანში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „გილანის რევოლუციას“, რომელსაც წვრილბურჟუაზიული, პატრიო-

⁶⁷ ვ. ი. ლენინი აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ. შეადგინეს ზ. შარაშენიძემ და გ. კიპაშვილმა, თბ., 1974, გვ. 336.

ტულად განწყობილი დემოკრატები და მემარცხენე ძალები ხელმძღვანელობდნენ. სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დააფრთხო არა მარტო ფეოდალური არისტოკრატია ყაჯარების მეთაურობით, არამედ სავაჭრო ბურჟუაზიისა და მულქადარ-მემამულეთა ბლოკის წარმომადგენლები, რომელთა ინტერესების დამცველი იყო მეფის რუსეთის მიერ შექმნილი სპარსეთის კაზაკთა ბრიგადაში აღზრდილი და მისი მეთაური პოლკოვნიკი რეზა-ხანი. რეზა-ხანი, როგორც ისტორიული პიროვნება, სამხედრო და პოლიტიკურ სარბიელზე დროის მოთხოვნამ ამოატივტივა. იგი შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით ცდილობდა, დაეპყრო პოლიტიკური ხელისუფლება სახელმწიფოში და გამოეყენებინა იგი, ერთი მხრივ, სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ცენტრალიზაციის კურსის და ზოგიერთი ბურჟუაზიული ყაიღის რეფორმების გასატარებლად. ამით მას სურდა შეესუსტებინა ფეოდალური არისტოკრატის (აგრეთვე მისი პოლიტიკური დასაყრდენის ყაჯართა დინასტიის) პოზიციები და განემტკიცებინა ნახევრად ფეოდალი მემამულეების და ვაჭარ-მეწარმეების მდგომარეობა. ამ მიზანს ემსახურებოდა ე. წ. 3 ჰუთის (1921 წლის 21 თებერვლის) სახელმწიფო გადატრიალება⁶⁸. ამ გადატრიალებამ გზა გაუხსნა რეზა-ხანს უმადლესი ხელისუფლებისაკენ. რეზა-ხანმა და მისმა მომხრეებმა მოხერხებულად გამოიყენეს, აგრეთვე, 1921 წლის 26 თებერვალს მოსკოვში დადებული საბჭოთა რუსეთ-ირანის თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც ირანის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების გარანტიას იძლეოდა⁶⁹. მალე რეზა-ხანი ჯერ სამხედრო მინისტრი, ხოლო 1923 წლის ოქტომბერში მთავრობის მეთაური გახდა. გავიდა რა ხელისუფლების უმადლეს ეშელონში, რეზა-ხანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა, აგრეთვე, ქვეყანაში იმ დროს გაჩაღებული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ყაჯართა დინასტიის დამხობას, მონარქიული რეჟიმის ლიკვიდაციას და რესპუბლიკური მმართველობის შექმნას. ამ კამპანიის დაწყებას ხელს უწყობდა, როგორც ქვეყანაში შექმნილი ანტიმონარქიული სიტუაცია, ასევე მეზობელი თურქეთის მაგალითი, სადაც 1923 წელს სულთნის მმართველობა დაემხო და რესპუბლიკა გამოცხადდა. ამიტომ არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ამ დროს რეზა-ხანსა და ქემალათათურქს შორის პირველი პირადი კონტაქტები დამყარდა. რეზა-

⁶⁸ ჰუთი — ჰიჯრის (მზის) კალენდრის მეორე მეტე თვე (20 თებერვალი — 20 მარტი).

⁶⁹ Документы внешней политики СССР, т. I. М., 1957, с. 142.

ხანის სწრაფი აღმასვლა პოლიტიკური ხელისუფლების კიბეზე ექვს ალარ ტოვებდა, რომ ირანის რესპუბლიკად გამოცხადების შემთხვევაში პრეზიდენტის სავარძელში მას ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ ვინაიდან ქვეყანაში რესპუბლიკური წყობილების დამყარების წინააღმდეგ ხმა აღიმალღეს შიიტური სასულიერო წრეებისა და ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენლებმა, ამასთან თვით ირანის საზოგადოების სტრუქტურაში, მის ბაზისში, ჭერ კიდევ არ იყო მომხდარი ისეთი ცვლილებები, რაც მყარ სოციალურ საყრდენებს შეუქმნიდა რესპუბლიკურ სახელმწიფო წყობილებას, როგორც ახალ პოლიტიკურ ზედნაშენს, რეზა-ხანი რესპუბლიკის მოწინააღმდეგეებთან „კომპრომისზე“ წავიდა. მით უფრო იმიტომ, რომ ასეთი „კომპრომისი“ მას მემკვიდრეობითი ხელისუფლების სათავეში ჩაყენების რეალური პერსპექტივის წინაშე აყენებდა.

ახალი დინასტია და მისი სოციალური საყრდენები

1924 წლის მარტში რეზა-ხანმა ერთბაშად ზურგი შეაქცია რესპუბლიკური მმართველობის შემოღების მომხრეებს. ერთი წლის შემდეგ მას გადაეცა ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტი, რაც, კონსტიტუციის თანახმად, მონარქის უფლებებში შედიოდა. 1925 წლის 31 ოქტომბერს მეჭლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ყაჯართა დინასტია, ხოლო ქვეყნის დროებითი გამგებლობა რეზა-ხანს დაეკისრა. იმავე წლის 12 დეკემბერს მოწვეულ იქნა ქვეყნის პირველი დამფუძნებელი კრება, რომელმაც რეზა-ხანი ირანის შაჰად გამოაცხადა. ახლადდაარსებულ დინასტიას ფეჰლევის დინასტია ეწოდა. ამას სიმბოლურად ძველი ირანული ტრადიციების აღდგენას უკავშირებდნენ.

ყაჯარების დინასტიის გაუქმება და ახალი, ფეჰლევიათა დინასტიის დაარსება დინასტიების ჩვეულებრივი მონაცვლეობა როდი იყო. ამან ბოლო მოუღო პოლიტიკურ კრიზისს ირანში და დააგვირგვინა ფეოდალური სახელმწიფო ორგანიზაციის ნახევარფეოდალურ პოლიტიკურ ზედნაშენში გადაზრდის წინათ დაწყებული პროცესი. დინასტიურმა გადატრიალებამ თავისებურად გადაჭრა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა გარდაქმნას გზაზე დამდგარ ეკონომიკურ ბაზისსა და ძველი პოლიტიკური ზედნაშენის ხასიათს შორის. ეს იყო 1905—1911 წლების რევოლუციის დასრულება გარკვეული ასპექტით. ამ

მოვლენას ხელი უნდა შეეწყოს ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესის დაჩქარებისათვის⁷⁰.

მაგრამ გადასვლის ამ პროცესს კვლავ დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ძველი ფეოდალური არისტოკრატისა და შიიტი კლერიკალების ზედა ფენების წარმომადგენლები. მათ საკმაოდ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი პარლამენტში, რისთვისაც იყენებდნენ მორჩილებაში მყოფი სოფლის მოსახლეობის ხმებს. ისინი ახლა სიტყვით კონსტიტუციისა და პარლამენტური მმართველობის მომხრეებადაც აცხადებდნენ თავს, საქმით კი საბოტაჟს უწევდნენ ყოველ წამოწყებას, რაც ელემენტარული ბურჟუაზიული დემოკრატიის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ამასთან წინააღმდეგი იყვნენ ყოველგვარი რეფორმებისა, რომელიც ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ერთიანი საშინაო ბაზრის შექმნის ინტერესებს ემსახურებოდა. ეს უბიძგებდა რეზა შაჰს და სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ავტორიტარული. დიქტატორული ხელისუფლების შექმნისაკენ. მაგრამ ასეთი ხელისუფლება შემდეგში გამოყენებულ იქნა არა იმდენად ფეოდალური არისტოკრატის, რამდენადაც რევოლუციური, დემოკრატიული. მემარცხენე ძალების წინააღმდეგ. ეს აიხსნება იმით, რომ ფეოდალურმა და კლერიკალურმა ელემენტებმა, რომლებიც თავისი სოციალური ბუნებით ახლოს იდგნენ მსხვილ ბურჟუაზიასთან და ახალი ტიპის მემამულეებთან, შეძლეს მათთან „საერთო ენის გამონახვა“ და ამ საფუძველზე ერთგვარი კლასობრივი მეტამორფოზა განიცადეს, თანდათან გადავიდნენ მათ რიგებში. ამიტომ იყო, რომ შემდეგში ისინი ერთიანი ფრონტით გაპოლიოდნენ იმათ წინააღმდეგ, ვინც ხალხის ფართო მასების, მისი მშრომელი ფენების ინტერესებისათვის იბრძოდნენ.

რეზა შაჰის მმართველობის ბოლო პერიოდში ფეპლევიათა სახელმწიფო, რომელიც ნახევრად ფეოდალი მსხვილი მემამულეებისა და ვაჭრების ინტერესებს იცავდა, თავისი პოლიტიკით პირობებს ქმნიდა მათი ბურჟუაზიული გარდაქმნისათვის. რეზა შაჰის სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობდა კერძო მეწარმეობის განვითარებას და მიწაზე კერძო საკუთრების სამართლებრივ განმტკიცებას. მაგრამ შაჰის რეჟიმი ხშირად აწყდებოდა წინააღმდეგობას ვაჭარ-მეწარმეთა დაზღვევებთან ურთიერთობაში. ეს ფენები, რომლებიც სავაჭრო და სამეწარმეო საქმიანობის ტრადიციულ ფორმებთან იყვნენ დაკავშირებული, მტკივნეულად განიცდიდნენ სახელმწიფო ორგანოების ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი მოითხოვდნენ კონსტიტუციის დაცვას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრე-

⁷⁰ С. Л. Агаев, Иран в прошлом и настоящем. М., «Наука», 1981, с. 83.

ბის დემოკრატიზაციას. მათში შეხამებული იყო ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის ელემენტები, რაც ზოგჯერ მათ წარმომადგენლებს რევოლუციური, დემოკრატიული ძალების რიგებში აყენებდა.

არათანმიმდევარი იყო რეზა შაჰის რეჟიმის საგარეო პოლიტიკური კურსიც. 20-იან წლებში და 30-იანი წლების დამდეგს იგი შედარებით პატიოსნად ასრულებდა 1921 და 1927 წლების საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებებით, აგრეთვე, სხვა შეთანხმებებით ნაჟისრ ვალდებულებებს და ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული საბჭოთა სახელმწიფოსთან. ამან ხელი შეუწყო კიდევ ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და განმტკიცებას. მაგრამ 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მან ორიენტაცია აიღო ფაშისტურ გერმანიაზე, რამაც განაპირობა კიდევ მისი ავანტიურისტული პოლიტიკის ავბედითი დასასრული.

ირანის სახალმწიფო უკანასკნელი ფეჰლევნიანი მონარქის დროს

1941 წლის 16 სექტემბერს რეზა შაჰის გადადგომისა და ტახტზე 22 წლის მოჰამად რეზა ფეჰლევის ასელის შემდეგ შეიქმნა გარკვეული პირობები ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლისა და დემოკრატიული მოძრაობის განვითარებისათვის. რეზა შაჰის მიერ დევნილი, ციხეებიდან და ემიგრაციიდან დაბრუნებული ირანის კომუნისტური პარტიის აქტივისტების ინიციატივით მალე შეიქმნა ირანის სახალხო (თუღე) პარტია. ამ პარტიის წევრების უმრავლესობა მუშების, ხელოსნების, გლეხების და დემოკრატიული ინტელიგენციის რიგებიდან იყო გამოსული. 1944 წელს დაარსდა ირანის პროფკავშირების გაერთანებული ცენტრალური საბჭო, რომელიც მოიცავდა მუშებს, მოსამსახურეებს, ინტელიგენციის შემოქმედებითი კავშირების, სტუდენტებისა და ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მასობრივად იქმნებოდა სოფლის მშრომელთა კავშირები. ისინი ემხრობოდნენ სახალხო პარტიას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი და პოპულარული პოლიტიკური პარტია იყო ირანში.

ჯერ კიდევ 1941 წლის ბოლოს, ისევე როგორც ფეჰლევნიანთა დინასტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის წინ, სავაჭრო კაპიტალის წრეებში გამოითქვა აზრი რესპუბლიკური მმართველობის შემოღების შესახებ. მათი აზრით, რესპუბლიკურ წყობას, რასაც მეჭლის ზოგიერთი დეპუტატიც უჭერდა მხარს, ბურჟუაზიის კერძომესაკუთრული ინტერესები უნდა დაეცვა. მაგრამ არც ამ წამოწყებას მოჰყოლია წარმატება. რესპუბლიკის მომხრეებმა მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ პარლამენტს მიეცა მთავრობის მეთაურის კანდიდატუ-

რის წამოყენებისა და მთავრობის შედგენის უფლება. ახალ შპს პირველი რვა წლის მანძილზე სინამდვილეში რეალური ხელისუფლება არ გააჩნდა. იგი მხოლოდ ფორმალურად ამტკიცებდა პრემიერ-მინისტრს და მთავრობის შემადგენლობას მეჯლისის მიერ წამოყენებული კანდიდატურების საფუძველზე⁷¹.

ომის შემდგომ პერიოდში ირანის სახელმწიფო ხელისუფლების სოციალური სტრუქტურა 20-იან წლებში ჩამოყალიბებულ ნახევრად ფეოდალურ ბაზისს ემყარებოდა. 1944—1949 წლებში (XIV და XV მოწვევის მეჯლისების სოციალური ბაზა თითქმის ერგვაროვანი იყო⁷². წარმომადგენლობით საკანონმდებლო ორგანოში წამყვანი ადგილი ნახევრადფეოდალ მსხვილ მემამულე-მულქაძარებს ეკავათ. შემდეგ მათ მიყვებოდნენ ვაჰარ-მეწარმეთა წარმომადგენლები. მნიშვნელოვანი პოზიციები ჰქონდათ მოპოვებული „თავისუფალი პროფესიის პირებს“, გაზეთების რედაქტორებს, ადვოკატებს და სხვ., რომლებიც ქალაქის საშუალო ფენების („ახალ“) მსახურეულთა და ვაჰარ-მეწარმეთა ინტერესებს გამოხატავდნენ.

ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ომის და ომის შემდეგ ძალისხმევას არ აკლებდნენ, რომ განემტკიცებინათ თავისი გავლენა მეჯლისზე, გამოეყენებინათ იგი თავიანთი ინტერესებისათვის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის საერთო-სახალხო მოძრაობის დროს 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში. ამ დროს ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობდა ესარგებლა ინგლისელი კოლონიზატორების დასუსტებით და მათი ადგილი დაეკავებინა.

ომის შემდეგ, რაც ირანის რეაქციამ იმპერიალისტების დახმარებით შეძლო გაენადგურებინა დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირანის აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ ქურთისტანში (1945—1946 წწ.), შპსის მთავრობა და ბიუროკრატიული სამხედრო ელიტა შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ ნავთობისათვის სახალხო ბრძოლის ინიციატივა და გამოეყენებინათ იგი ავტორიტარული რეჟიმის დასამყარებლად. ამავე დროს ყოველნაირად განადიდებდნენ შპსის, როგორც შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის როლს „ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთიანობის“ აღდგენის საქმეში. შპსის სასახლის გარშემო თავმოყრილი სამხედრო-ბიუროკრატიული წრეების წარმომადგენლები მონარქს უდიდეს დამსახურებულად მიაწერდნენ აზერბაიჯანელი და ქურთი „სეპარატისტების“ (ასე უწოდებდნენ პატრიოტებს) განადგურებას. ისინი ეძებდნენ ყვე-

⁷¹ С. Л. Агаев, დასახ. ნაშრ., გვ. 104—105.

⁷² იქვე, გვ. 106.

ლა ხელსაყრელ მომენტს იმისათვის, რომ აემალლებინათ შაჰის ავტორიტეტი და გაეფართოებინათ მისი პრეროგატივები. ამ მიზნით გამოიყენეს ისლამური ტერორისტული ჯგუფის წევრების მიერ 1949 წლის 4 თებერვალს შაჰზე მოწყობილი თავდასხმა. თავდასხმაში მონაწილეობა დააბრალეს სახალხო პარტიას და კანონგარეშე გამოაცხადეს მისი საქმიანობა. აკრძალეს და გაანადგურეს სხვა დემოკრატიული ორგანიზაციებიც. მონარქის ხელისუფლების გაფართოების მიზნით საჭიროდ მიიჩნიეს კონსტიტუციის ცალკეული მუხლების შეცვლა. ამ მიზნით 1949 წლის აპრილში მოწვეულ იქნა ქვეყნის მეორე დამფუძნებელი კრება. კრების გადაწყვეტილებით მონარქს უფლება მიეცა საჭიროების შემთხვევაში დაეთხოვა მეჭლისი. ამავე დროს გადაწყდა, რომ მოეწვიათ პარლამენტის ზედა პალატა — სენატი, რომელიც გათვალისწინებული იყო კონსტიტუციით, მაგრამ თითქმის 44 წლის მანძილზე ძირითადი კანონის ეს დებულება არ სრულდებოდა. ახლა შაჰს უფლება ენიჭებოდა სენატის ნახევარი (30 სენატორი) თავისი შეხედულებით შეერჩია და დაენიშნა. შაჰს შეეძლო აგრეთვე დამოუკიდებლად დაენიშნა პრემიერ-მინისტრი, რასაც აქამდე მეჭლისი ახორციელებდა.

შაჰის უფლებამოსილებათა გაფართოებასთან ერთად, სასახლის წრეებში მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მონარქის თაოსნობით ქვეყანაში რეფორმების გატარება „ზემოდან“ იმისათვის რომ, როგორც მაშინ აღნიშნავდნენ, თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი „რევოლუცია ქვემოდან“. ამ აზრს ირანელ მმართველებს კარნახობდა ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში გაჩაღებული ფართო სახალხო გამოსვლები. ამას ურჩევდნენ მათ ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებსაც შაჰის ძლიერი ხელისუფლება ესაჭიროებოდათ ირანში — საბჭოთა სახელმწიფოს მოსაზღვრე, შუა აღმოსავლეთში სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამ ქვეყანაში — თავიანთი გავლენის განსამტკიცებლად. 1950 წელს გამოიცა პრემიერ-მინისტრ ალი რაზმარას ცირკულარი მემამულეების მიერ გლეხებისათვის ნატურალური გამოსაღებლების (ავარეზები) გადახდევინების გაუქმების შესახებ. გამოქვეყნდა აგრეთვე კანონპროექტი სახელმწიფო მიწების (ხალესე) გლეხებზე მიყიდვის თაობაზე. მაგრამ მსხვილ მემამულეთა წინააღმდეგობისა და მთავრობის ორჭოფული პოლიტიკის გამო, ეს ღონისძიებები მაშინ არ განხორციელებულა. იმისათვის, რომ მსხვილი მემამულეებისათვის მაგალითი ეჩვენებინა, შაჰმა 1951 წლის 27 იანვარს გამოსცა ფირმანი სამეფო მამულების მათზე მომუშავე გლეხებს შორის განაწილების შესახებ. ამავე დროს ამერიკელ მრჩეველთა დახმარებით შეიქმნა ახალი სახელმწიფო დაწესებულება — საგეგმო ორგანიზაცია და შედგენილ იქნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პირველი ზვიდ-

წლიანი გეგმა (1949—1955 წწ.), რომელიც ითვალისწინებდა უმუშევარი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებას.

ირანის ხალხის ფართო მასების გულის მოსაგებად და მათი მონარქის მხარეზე გადასაბირებლად იყო გამიზნული ფართო პროპაგანდისტული კამპანია, რომელსაც სათავეში თვითონ შაჰი ედგა. იგი ხშირად გამოდიოდა „რევოლუციური პათოსით“ გამსჭვალული სიტყვებითა და მიმართვებით. ასე ჩაეყარა საფუძველი ირანის მონარქის ბონაპარტიტული ლავირების, სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის გაძვრომ-გამოძვრომის პოლიტიკას, რაც 50-იან-70-იან წლებში ტარდებოდა. ეს პოლიტიკა ახალ პირობებთან მონარქიის შეგუებას. მისი, როგორც პოლიტიკური ზედნაშენის გადარჩენას ისახავდა მიზნად.

ირანის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო 50-იანი წლების დამდეგი, როცა მოჰამედ მოსადეყის მთავრობა შეეცადა მმართველობის პარლამენტური ფორმა გამოეყენებინა მონარქიის შეზღუდვისა და ნავთობის ნაციონალიზაციის კანონის ცხოვრებაში გასატარებლად. პირველად მოხდა, როცა მთავრობა ჯა სასახლე ერთმანეთს შეკეთრად დაუპირისპირდა. სასახლის წრებში შემოთებას გამოთქვამდნენ მ. მოსადეყის პოპულარობის ზრდით და იმით, რომ ეს უკანასკნელი ცდილობდა მთავრობის უფლებამოსილებანი გაეფართოებინა შაჰის პეროგატივების შეკვეცის ხარჯზე. მონარქიის წინააღმდეგ მ. მოსადეყი იბრძოდა ლოზუნგით „მეფე მეფობდეს და არ მართავდეს“. მაგრამ მთავრობის მეთაურის ამ ცდას, ისევე როგორც ნავთობის სახელმწიფოს ხელში გადაცემის მის პოლიტიკას, მაშინ შედეგები არ მოყოლია. შაჰი ეძებდა საშინაო და საგარეო ძალებს, რომლებზე დაყრდნობითაც ცდილობდა მონარქიული სისტემა დაეცვა და შეენარჩუნებინა. მონარქიულ წრებში პარალელურად იღებდნენ ზომებს პარლამენტზე გავლენის გასაძლიერებლად. 1957 წელს შაჰმა მიიღო „ეტოს“ უფლება, მას შეეძლო მეჭლისისათვის ხელმეორედ განსახილველად დაებრუნებინა უკვე მოწონებული კანონპროექტები.

მონარქიის ლავირების პოლიტიკის, კერძოდ, მისი აგრარული ბონოპარტიზმის თვალსაჩინო მაგალითი იყო მიწის რეფორმა, რომლის განხორციელებას 1962 წლიდან შეუდგნენ. მიწის რეფორმა და საერთოდ ე. წ. „თეთრი რევოლუციის“ გამოცხადება მოასწავებდა მონარქიული მმართველობის სახეცვლილებას, მის ევოლუციას ნახევრად ფეოდალურიდან ბურჟუაზიული მონარქიისაკენ. ამისათვის საჭიროდ მიიჩნევდნენ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შეცვლას, ახალი სოციალური ძალების ფორმირებას,

რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მმართველობის მონარქიული ფორმის შენარჩუნება.

1967 წელს, როცა შაჰმა თავისი ბონაპარტისტული ლაიერების ძირითადი მიზანი შესრულებულად მიიჩნია, ფეჰლევიათა ტახტის საბოლოო გარანტიის უზრუნველსაყოფად მოიწვია მესამე დამფუძნებელი კრება. საქმე ის იყო, რომ ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანებამდე (20 წელი) ჯერ კიდევ 13 წელი იყო დარჩენილი. დამფუძნებელი კრების 1967 წლის 23 აგვისტოს სხდომაზე ტახტის რეგენტად დაამტკიცეს შაჰის მეუღლე, 29 წლის ფარაჰ დიბა (შაჰი დედოფალზე 19 წლით უფროსი იყო). მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შაჰის გარდაცვალების შემთხვევაში რეგენტის ხელში გადადიოდა სახელმწიფო ხელისუფლება⁷³. ამასთან იქმნებოდა მონარქიული საბჭო პრემიერ-მინისტრის, მეჯლისისა და სენატის თავმჯდომარეების, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის და ოთხი სხვა გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწის შემადგენლობით. დადგენილების თანახმად, დედოფალს ქვეყანა უნდა ემართა მონარქიულ საბჭოსთან კონსულტაციით. დედოფლის ხელმეორედ დაქორწინების, რეგენტის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის, ან გარდაცვალების შემთხვევაში საბჭოს თავის ხელში უნდა აეღო ქვეყნის მართვის საქმე. რეგენტს შაჰის სიცოცხლეში არ შეეძლო ტახტის დაკავება. ამასთან შაჰს უფლება ჰქონდა საჭირო შემთხვევაში სხვა რეგენტი დაენიშნა⁷⁴.

მონარქიული რეჟიმის შემდგომი განმტკიცების მიზნით შაჰმა და მისმა ახლობლებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარეს. 1975 წლის 30 აპრილს მოწვეულ მეოთხე დამფუძნებელ კრებაზე შეიქმნა პრომონარქიული ირანის ეროვნული აღორძინების პარტია (რასთახიზ-ე მელი-ე ირან)⁷⁵. ამავე დროს ქვეყანაში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია გაუქმებულად გამოცხადდა. ახალი პარტიის ძირითადი მიზანი მმართველობის მონარქიული სისტემის პოპულარიზაცია და დაცვა იყო. პარტიაში მიღებისათვის აუცილებელ პირობად ითვლებოდა მონარქიის, კონსტიტუციისა და ე. წ. „შაჰისა და ხალხის რევოლუციის“ პრინციპების აღიარება⁷⁶. მუსულმანური კალენდარი შეცვალეს შაჰინშაჰის ანუ ფეჰლევის კალენდარით, რომელიც აითვლებოდა ჩვ. წ. აღ-მდე 558 წლიდან.

⁷³ „ეთელაათი“, 1967 წლის 24 აგვისტო.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ М. С. Иванов, Иран в 60—70-х годах XX века, М., 1977, с. 219—220.

⁷⁶ იქვე, 83-220.

თავის წიგნში „უმალესი ცივილიზაციისაკენ“, რომელიც 1977 წელს გამოქვეყნდა, მოჰამედ რეზა ფეჰლევი მონარქიულ რეჟიმს „სასწაულმოქმედებებს“ მიაწერდა და წერდა, რომ მონარქიული მმართველობის პირობებში ირანმა, თითქოს, მოკლე ისტორიულ პერიოდში საზოგადოებრივ-ეკონომიკურ განვითარებაში ისეთ შედეგებს მიაღწია, „როგორც არ შეეძლო მიეღწია მსოფლიოს რომელიც გნებავთ ქვეყანას, მათ შორის, თვით მალაგანვითარებულ სახელმწიფოებსაც კი“⁷⁷.

წიგნს შაჰი ამალლებული ოპტიმიზმით ამთავრებდა და მიმართავდა რა ირანელებს ამბობდა: „ამ სვებედნიერ გზაზე სიცოცხლეს არ დავიშურებ იმისათვის, რომ ღირსეულად მოვიხადო ვალი თქვენს წინაშე. ექვი არ არის, რომ ზენაარი თვითოეულ ჩვენგანს მფარველობასა და წინამძღოლობას არ მოგვაკლებს“⁷⁸.

ცხადია, მაშინ „სასწაულმოქმედმა“ მონარქმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სულ რამდენიმე თვეში იმედგაწყვეტილი ირანელი ხალხი ერთბაშად პირს იბრუნებდა მის წინააღმდეგ და იმავე „ზენაარის“ სახელით, რომლის „მფარველობასა და წინამძღოლობაში“ შაჰს ექვი-არ ეპარებოდა, მილიონიანი მასები პირისაგან მიწისა აღგვიდა ოცდახუთსაუკუნოვან მონარქიულ სისტემას.

მაგრამ სანამ ამ უნიკალურ ისტორიულ მოვლენას შევეხებოდეთ, ჯერ ირანის პარლამენტური მონარქიის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მმართველობის მისი სისტემა განვიხილოთ.

77 მოჰამედ რეზა ფეჰლევი, უმალესი ცივილიზაციისაკენ, თეირანი, 2335 (1977), გვ. 344 (სპარსულ ენაზე).

78 იქვე, გვ. 345.

თავი მეორე

ირანის პარლამენტური მონარქიის სახელმწიფო ორგანიზაცია

კვანის პირველი კონსტიტუცია და მისი ძირითადი დებულებები

როგორც ითქვა, ირანის პირველი კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1906 წლის 30 დეკემბერს, როცა მომაკვდავმა მოზაფარ ედ-დინ შაჰმა ხელი მოაწერა მას. მანამდე კონსტიტუციის პროექტს ხანგრძლივად განიხილავდნენ პირველი მოწვევის მეჯლისის სხდომებზე. კონსტიტუციის პროექტის მომზადება და განხილვა ფეოდალურ-მონარქიულ და დემოკრატიულ ძალებს შორის მწვავე ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. სასახლის გაოშემო თავმოყრილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლები გააფთრებით იცავდნენ თავიანთ პრივილეგიებს, უბრძოლველად არ თმობდნენ პოზიციებს. მაგრამ პირველი მოწვევის მეჯლისის დეპუტატების უმრავლესობამ, რომელიც უმეტესად მოსახლეობის დემოკრატიული ფენების ინტერესებს იცავდა, შეძლო რეაქციის წინააღმდეგობის დაძლევა.

თუ კონსტიტუცია მეჯლისში დაახლოებით სამთვიანი განხილვის შემდეგ დაამტკიცეს, კიდევ უფრო ხანგრძლივად და მწვავე დისკუსიის ვითარებაში მიმდინარეობდა მისი დამატების პროექტის შემუშავება და განხილვა. ამას მთელი ცხრა თვე დასჭირდა და საბოლოოდ მხოლოდ 1907 წლის 7 ოქტომბერს მიიღეს. ახალი შაჰი მოჰამად ალი, რომელიც მამასთან შედარებით უფრო მეტი შეურიგებლობითა და სისასტიკით გამოირჩეოდა, ხალხის რევოლუციური მასების ზეგავლენით იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და ძირითადი კანონის დამატება დაემტკიცებინა.

თავდაპირველად მიღებული კონსტიტუცია ძირითადად მეჯლისისა და სენატის ფუნქციების განსაზღვრით შემოიფარგლა. ძირითადი

1 კონსტიტუციის დამტკიცების დროს შაჰი მძიმედ იყო ავად და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. იგი გარდაიცვალა ერთი კვირის შემდეგ, 1907 წლის 8 იანვარს, როცა ჯერ კიდევ არ შესრულებოდა მმართველობის მეთერთმეტე წელი (ტახტზე 1896 წლის მაისში ავიდა).

კანონის დამატება ეხებოდა ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს და მოქალაქეთა უფლებებს განსაზღვრავდა. კონსტიტუცია შედგენილი იყო ბურჟუაზიული, კერძოდ, საფრანგეთისა და ბელგიის კონსტიტუციების მოდელის შესაბამისად. კონსტიტუციის ისტორიული მნიშვნელობა ის იყო, რომ მან საზღვარი დაუდო შეუზღუდველ, დესპოტური მონარქიის არსებობას და დასაბამი მისცა კონსტიტუციურ-პარლამენტური მონარქიული მმართველობის ახალ ეპოქას.

ძირითადი კანონი შედგებოდა შესავლის, ხუთი თავისა და 51 მუხლისაგან. მასში ჩამოყალიბებული იყო მეჯლისის სტრუქტურა (1—14 მუხლები), პარლამენტის უფლება-მოვალეობანი (15—31 მუხლები), მეჯლისში წინადადებათა შეტანის წესი (32—38 მუხლები), მეჯლისის მიერ წინადადებათა წამოყენების წესი (39—40 მუხლები), სენატისა და მეჯლისის შექმნის პირობები (43—51 მუხლები)?.

ძირითადი კანონის პირველ ორ მუხლში ლაპარაკდ იყო იმის შესახებ, რომ ირანის პარლამენტი შექმნილია შაჰ მოზაფარ ედ-დინის მიერ 1906 წლის 5 აგვისტოს გამოცემული ცნობილი ფირმანის საფუძველზე. კონსტიტუციის განხორციელება ითვლებოდა სავალდებულოდ ირანის ყველა ქვეშევრდომისათვის, რომლებიც ქვეყნის „სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობდნენ“. მომდევნო თორმეტი (3—14) მუხლი ეხებოდა მეჯლისის დეპუტატებს, რომელთა რიცხვი 162-დან 200-მდე განისაზღვრებოდა. დეპუტატების რწმუნების ვადა ორი წელი იყო. ისინი სარგებლობდნენ ხელშეუხებლობის უფლებით და ენიჭებოდათ ფართო უფლებები. კონსტიტუციაში მოტანილი იყო ტექსტი ფიცისა, რომელიც თითოეულ დეპუტატს მეჯლისის პირველ სხდომაზე უნდა დაედო. დადგენილი იყო მეჯლისის გახსნის წესი და მუშაობის რეგლამენტი².

კონსტიტუციის მეორე თავში, რომელიც პარლამენტის უფლება-მოთხოვნებს ეხებოდა, მნიშვნელოვნად იზღუდებოდა მონარქის პრეროგატივები. მეჯლისს ენიჭებოდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, რაც აქამდე შაჰის კომპეტენციაში შედიოდა. ამასთან ერთად, მეჯლისს შეეძლო მიეღო კანონი ყველა იმ საკითხზე, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევდა და სასარგებლო იქნებოდა ქვეყნისა და ხალხისათვის. მე-15 მუხლის თანახმად, მეჯლისის მიერ მიღებული ყველა

2 1906 წლის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და 1907 წლის დამატება. დანართში ეროვნული საბჭოს კრების (მეჯლისი) საარჩევნო კანონი. თეირანი, 1947, გვ. 1—19 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ძირითადი კანონის დამატება; მუსტაფა რაჰიმი, ირანის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და მისი დემოკრატიული საფუძვლები, თეირანი, 1976, გვ. 70 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: მ. რაჰიმი.

³ იქვე, გვ. 6—9.

კანონი და გადაწყვეტილება ძალაში შევიდოდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მათ მოიწონებდა სენატი და ხელისმორწერითა და ბეჭდის დასმით დაადასტურებდა შაჰი¹. ამრიგად, მონარქს უკანასკნელი სიტყვა მაინც რჩებოდა მეჯლისის მიერ მიღებული კანონის საბოლოო ბედის გადაწყვეტის დროს.

მე-16 მუხლში ჩამოყალიბებული იყო პრინციპები, რომლებიც ირანის სახელმწიფოს საფუძვლების განმტკიცებასა და საშინაო საქმეთა მოწესრიგებას ეხებოდა. აქ განხილული იყო, აგრეთვე, სამინისტროებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოების შექმნის საკითხები, რაც პარლამენტის კომპეტენციებში შედიოდა².

ძალიანად მეჯლისის უფლებებში გადადიოდა საფინანსო-საბიუჯეტო საქმე. ამიერიდან მას უნდა განეხილა და დაემტკიცებინა სახელმწიფო ბიუჯეტი, განესაზღვრა და დაედგინა გადასახადების სახეები, კონტროლი დაეწესებინა სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავლებზე. აკრძალული იყო სახელმწიფოს ან შაჰის ქონების სხვაზე გადაცემა მეჯლისის მოწონების გარეშე. მას უნდა მიეღო კანონები მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ, მოეხდინა სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია (18—22 მუხლები)³.

საფინანსო და, კერძოდ, საბიუჯეტო-ფისკალური საქმის მეჯლისის ხელში გადაცემა მნიშვნელოვნად უმოკლებდა ხელს ყაჯარებს, ვინაიდან მათ თვითნებობაზე იყო მიშვებული ეს დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო დარგი.

კონსტიტუციის საფუძველზე, შაჰის მთავრობას არ შეეძლო მეჯლისის მოწონების გარეშე დაედო ხელშეკრულებები და შეთანხმებები უცხოეთის სახელმწიფოებთან, გაეცა კონცესიები უცხოელ ქვეშევრდომებზე, მიეღო ან გაეცა სახელმწიფო სესხები და სხვ. (მუხლი :23—25)⁴.

ძირითადი კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ მეჯლისში განხილვისა და მოწონების შემდეგ შეიძლება მიეღოთ გადაწყვეტილება სახელმწიფო სახსრებით რკინიგზებისა და გზატკეცილების ჯაყვანის თაობაზე, ასევე გზების მშენებლობის საქმე გადაეცათ რომელიმე საზოგადოებისათვის⁵.

კონსტიტუცია აკანონებდა სამინისტროების პასუხისმგებლობას ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. მინისტრები ვალ-

1 1906 წლის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია) და 1907 წლის დამატება, გვ. 99; მ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

2 იქვე, გვ. 9—10.

3 იქვე, გვ. 10—11.

4 იქვე, გვ. 11.

5 იქვე.

დებული იყვნენ პერიოდულად ანგარიში ჩაებარებიანთ მეჯლისისათვის გაწეული საქმიანობის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ მინისტრი გადააქარბებდა თავის უფლებამოსილებებს, ან მისი მოქმედება შეფასებულ იქნებოდა, როგორც კანონსაწინააღმდეგო, მეჯლისს შეეძლო შაჰის წინაშე დაეყენებინა საკითხი მისი გადაყენების შესახებ. სხვა შემთხვევაში, თუ უმაღლესი სასამართლო უკანონოდ მიიჩნევდა მინისტრის მოქმედებას, ეს საკმარისი იყო მისი თანამდებობიდან გადადგომისათვის (მუხლი 27—29)⁹.

კონსტიტუციის ამ დებულებების მიხედვით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა საკანონმდებლო ხელისუფლების უპირატესი უფლება აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. გარკვეულ პირობებში ანალოგიური უფლება ენიჭებოდა სასამართლო ხელისუფლებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი კანონი არსებითად ზღუდავდა ყაჯართა აბსოლუტიზმს, იგი მაინც უნარჩუნებდა მონარქს მნიშვნელოვან უფლებებს, შაჰი კვლავ რჩებოდა სახელმწიფოს მეთაურად, რომელსაც ეუთვნოდა გადამწყვეტი როლი ყველა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საკითხის გადაწყვეტის დროს. იგი იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. მას უშუალოდ ემორჩილებოდა სახელმწიფოს მთელი შინა სადამსჯელო აპარატი — პოლიცია და ჟანდარმერია. კონსტიტუციას არსებითად არ შეუღახავს ფეოდალების, მსხვილი მემამულეებისა და კომპრადორების ინტერესები.

კონსტიტუციის 32—38-ე მუხლებში ლაპარაკი იყო იმ ფორმალობათა შესახებ, რაც უკავშირდებოდა მეჯლისში სამინისტროებისა და უწყებების მიერ შეტანილ წინადადებებსა და შენიშვნებს¹⁰. მომდევნო სამი მუხლი (39—41) განსაზღვრავდა იმ წინადადებათა წრეს, რასაც თვითონ მეჯლისი აყენებდა¹¹.

საყურადღებოა, რომ კონსტიტუცია ორპალატიანი პარლამენტის შექმნას ითვალისწინებდა: ქვედა პალატის როლი მეჯლისის (მაჯლეს-ე შურაი-ე მელი), ხოლო ზედა პალატისა — სენატს (მაჯლეს-ე სენა) უნდა შეესრულებინა. 43—48-ე მუხლებით განისაზღვრებოდა სენატის შექმნის წესი, შემადგენლობა და დანიშნულება. აქვე მინიშნებული იყო, რომ შაჰს ეძლეოდა უფლება თავისი შეხედულებით დაეთხოვა სენატი. შემდეგში მონარქიულმა წრეებმა ისარგებლეს ამ უფლებით და ხანგრძლივი დროის მანძილზე საერთოდ არ მოუწვევიათ პარლამენტის ზედა პალატა, ხოლო როცა მოიწვიეს, იგი თავიანთი უფლებების გასათართობლად გამოიყენეს.

⁹ ძირითადი კანონის დამატება, გვ. 11—12.

¹⁰ იქვე, გვ. 13—15.

¹¹ იქვე, გვ. 15—16.

კონსტიტუციის 44,46-ე და 47-ე მუხლებში ჩამოყალიბებული დებულებები, რომლებიც ირანის 1905—1911 წწ. რევოლუციის დროს მოქმედი დემოკრატიული ანჯომანების (რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები) მოთხოვნით შეიტანეს, მეჯლისს უფლებას აძლევდა დამოუკიდებლად განეხორციელებინა საკანონმდებლო ხელისუფლება იმ დროს, როცა სენატი არ ფუნქციონირებდა. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხები კი მხოლოდ მეჯლისს უნდა გადაეწყვიტა¹².

ასეთი იყო მოკლედ 1906 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებები.

კონსტიტუციის 1907 წლის დამატება მოცულობით ორჯერ და მეტად აღემატებოდა ძირითად კანონს. იგი შესავლის, ათი თავისა და 107 მუხლისაგან შედგებოდა. აქ წარმოდგენილი იყო საერთო დებულებები (1—7 მუხ.), ირანელი ხალხის უფლებები (8—25 მუხ.), სახელმწიფო წყობილება (26—29 მუხ.), მეჯლისისა და სენატის დეპუტატების უფლებები (30—34 მუხ.), მონარქის უფლებამოსილებანი (35—57 მუხ.) მინისტრების შესახებ (58—70 მუხ.), სასამართლო ხელისუფლება — ეყთედარე მოჰაჰემათ (71—89 მუხ.), პროვინციული და ადგილობრივი ანჯომანების შესახებ (90—93 მუხ.), საფინანსო საქმეების შესახებ (94—103 მუხ.), შეიარაღებული ძალები (104—107 მუხ.)¹³.

ძირითადი კანონის დამატების პროექტი, რომელიც სინამდვილეში მის მნიშვნელოვან ორგანულ ნაწილს შეადგენდა, შეადგინეს და განიხილებოდა იმ დროს, როცა ირანის პირველი რევოლუცია თავის ერთ-ერთ მწვეავე ფაზაში შევიდა. მოჰამედ ალი შაჰი, რომელმაც 1907 წლის იანვრის დაშლევს გარდაცვლილი მამის ტახტი დაიკავა, რუსეთის მეფის მხარდაჭერით სარგებლობდა და სასტიკ ზომებს მიმართავდა სახალხო-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. ამავე დროს მსხვილი მემამულეების და კლერიკალების წარმომადგენლები, რომლებიც დასაწყისში რევოლუციას ემხრობოდნენ, ძირითადად დაკმაყოფილდნენ პარლამენტური მმართველობის შემოღებით და ზურგი შეაქციეს რევოლუციურ მასებს. ამ უკანასკნელთ კი შუა გზაზე შეჩერება არ სურდათ და ფართო მოქალაქეობრივ უფლებებს მოითხოვდნენ. კლასობრივ ძალთა გამიჯვნისა და რეაქციის შეტევის პირობებში განსა-

12 ძირითადი კანონის დამატება..., გვ. 17—19.

13 იქვე, გვ. 20—38. კონსტიტუციის დამატებას მონარქმა ხელი მოაწერა 1907 წლის 20 ნოემბერს (პიჯრის კალენდრით 1325 წლის 29 აბანს).

კუთრებით გააქტიურდა რევოლუციურ-დემოკრატიული ანჯომანების საქმიანობა, მათი გავლენით კონსტიტუციის დამატების პროექტში შვიტანეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული თავისუფლების ისეთი ატრიბუტი, როგორცაა კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნების კონსტიტუციებიდან გადმოღებული კონცეფციები სხვადასხვა უფლებებისა და თავისუფლების შესახებ¹⁴. კონსტიტუციის დამატების პირველი მუხლი ისლამის შიიტურ მიმართულებას აცხადებდა ირანის სახელმწიფოს ოფიციალურ რელიგიად. მეორე მუხლი ადგენდა, რომ უნდა შექმნილიყო ულემთა საბჭო 5 კაცის შემადგენლობით იმ ოცი ულემიდან, რომლებსაც სასულიერო წრეები აირჩევდნენ სახელმწიფო საკანონმდებლო საქმიანობაზე სასულიეროთა კონტროლის დაწესების მიზნით. მათ უფლება ეძლეოდათ გაეუქმებინათ ყველა კანონი, რომელსაც ისლამური ტრადიციების შეუსაბამოდ მიიჩნევდნენ¹⁵. ეს ფაქტი მოწმობს ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შიიზმისა და მისი ტრადიციების როლის, აგრეთვე სასულიერო წოდების უფლებების აღიარებას. მაგრამ ეს კონსტიტუციური უფლება არ განუხორციელებიათ და ულემთა საბჭო არასოდეს აურჩევიათ. ამას განაპირობებდა ის, რომ პირველი ორი მოწვევის მეჭლისში სასულიეროთა მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა იყო, რომლებსაც ისლამის იურისპრუდენციაში საკმაოდ კომპეტენტურად მიიჩნევდნენ. შემდეგში, როცა პარლამენტში სასულიეროთა პოზიციები შესუსტდა და შაჰის მთავრობა მათი შეზღუდვის პოლიტიკას ატარებდა, ბუნებრივია, ასეთი საბჭოს შექმნის საკითხი აღარ წამოჭრილა¹⁶.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის საფუძველზე სამოქალაქო მართლმსაჯულების ორგანოები იქმნებოდა, სასულიერო წოდების განკარგულებაში კვლავ რჩებოდა შარიათის სამართალწარმოება¹⁷. ამასთან ერთად, სასულიერო პირთა რეკომენდაციით უნდა შეერჩიათ გენერალური პროკურორის კანდიდატურა¹⁸. მათსავე კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა საერო განათლების პროგრამა, აგრეთვე პრესა და საზოგადოებრივი შეკრებულებანი¹⁹.

¹⁴ М. Д. Миланиан, Государственный строй современного Ирана, М., 1973, с. 17.

¹⁵ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 20—21; შ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

¹⁶ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ. გვ. 17; შ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

¹⁷ ძირითადი კანონის დამატება..., გვ. 24, მუხ. 21, გვ. 33, მუხ. 71.

¹⁸ იქვე, გვ. 34, მუხ. 89.

¹⁹ იქვე, გვ. 22, მუხ. 18; გვ. 24, მუხ. 20, 21.

ამრიგად, კონსტიტუციის დამატების საფუძველზე ისლამური რელიგიის შიიტურმა მიმართულებამ ახალი აღიარება მოიპოვა და სასულიერო პირთა უფლებები ბევრ ასპექტში კონსტიტუციურად განმტკიცდა. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან შიიზმი იყო და რჩებოდა ოფიციალურ რელიგიად, რომელიც იდეოლოგიურად უზრუნველყოფდა კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო წყობილების ურყეობას.

ამასთან ერთად, როგორც ითქვა, რევოლუციური მასების ზეგავლენით დამატებაში გარკვეულად აისახა დემოკრატიული ფენების მოთხოვნები სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ. სახალხო უფლებების დეკლარირებას მიეძღვნა კონსტიტუციის დამატების სპეციალური თავი. აქვე დაკანონდა კერძო საკუთრება მიწაზე, რაც მომხდარი ფაქტის სამართლებრივი გაფორმება იყო. მიწაზე კერძო საკუთრების აღიარება ფეოდალურ-ლენური სისტემის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას წინ უძღოდა ის, რომ ჯერ კიდევ 1906 წლის შემოდგომაზე მეჩლისმა გააუქმა თიული, როგორც მიწათმფლობელობის არქაული ფორმა. დამატების მე-15 მუხლში, რომლის საფუძველზე მიწაზე კერძო საკუთრება მკვიდრდებოდა, აღნიშნული იყო, რომ მიწა მის მფლობელს ჩამოერთმეოდა მხოლოდ შარიათის შესაბამისად „სამართლიანი საზღაურის გადახდის შემდეგ“²⁰. ამასთან მთავრობას ეკრძალებოდა სასჯელის ზომად გამოეყენებინა ქონების კონფისკაცია, თუ ეს კანონით არ იყო გათვალისწინებული²¹. ამ პრინციპის კონსტიტუციაში შეტანა სავაჭრო ბურჟუაზიისა და მულქადარების ინტერესების დაცვას ითვალისწინებდა. ამავე მიზანს ისახავდა კონსტიტუციური დებულება იმის შესახებ, რომ ეკრძალებოდა მიწასა და სხვა ქონებაზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა რა მოტივითაც არ უნდა ყოფილიყო ეს დასაბუთებული, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა „ეს კანონით იქნებოდა გათვალისწინებული“²². დამატების ეს დებულება მიმართული იყო რევოლუციის დროს ირანის სოფლებში გაჩაღებული გლეხთა მასობრივი გამოსვლების წინააღმდეგ, როცა ისინი თვითნებურად ინაწილებდნენ მსხვილი მემამულეების მიწებს, მოსაველსა და ქონებას. ეს მიმართული იყო, აგრეთვე, მომავალში ასეთ მოქმედებათა აღსაკვეთად.

დამატების 26-ე მუხლში საზგასმით იყო აღნიშნული, რომ ირანის სახელმწიფო ხელისუფლებას, თითქოს, სახალხო ხასიათი ჰქონდა²³. ამით კონსტიტუციის შემდგენლები ერთგვარ ხარკს იხდიდნენ დასავ-

20 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 23, მუხ. 15.

21 იქვე, მუხ. 16.

22 იქვე, მუხ. 17.

23 იქვე. გვ. 25, მუხ. 18, 27.

ლური ბურჟუაზიული სამართლის წინაშე, რომლის დიდ გავლენასაც ისინი განიცდიდნენ. ყოველ შემთხვევაში ხალხის როლის მოხსენება სახელმწიფო ხელისუფლების განსაზღვრის დროს ახალი მომენტი იყო ირანის ისტორიაში.

დამატების საფუძველზე ირანის სახელმწიფო წყობილების ისტორიაში პირველად ერთმანეთისაგან გამოიყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. მაგრამ საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც პარლამენტის კომპეტენციაში შევიდა, მთლიანად როდი ჩამოერთვა მონარქს. მას დარჩა უფლება პარლამენტისაგან დამოუკიდებლად გამოეცა ბრძანებულებები (ფირმანები), დაემტკიცებინა მეჯლისის მიერ მიღებული კანონები. დამატების 27-ე მუხლი იმეორებდა ძირითადი კანონის მე-18 მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების (ბიუჯეტის) დამტკიცება, აგრეთვე კანონის განმარტების უფლება მხოლოდ მეჯლისის ეკუთვნოდა²⁴. ამ უფლებას იგი არ უზიარებდა არც სენატს, არც შაჰს და არც მთავრობას. მონარქის კომპეტენციაში შედიოდა აღმასრულებელი ხელისუფლება იმდენად, რამდენადაც მთავრობა ყველა კანონსა და გადაწყვეტილებას მისი სახელით ასრულებდა.

ირანის პირველი მოწვევის მეჯლისმა მხოლოდ წელიწადნახევარზე ცოტა მეტ ხანს იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქვეყნის პარლამენტური მმართველობის ისტორიაში. პირველი მეჯლისის მოღვაწეობის მეორე ნახევარში, როცა რევოლუციის მონაწილე ძალთა აშკარა გამიჯვნა მოხდა, როგორც ზემოთაც ითქვა, გააქტიურდა დემოკრატიული ანჯომანების მოღვაწეობა. ეს დადებით გავლენას ახდენდა მეჯლისის საქმიანობაზე. იგი უფრო შემტევ ხასიათს იღებდა. ამ დროს მეჯლისის დეპუტატებმა შეძლეს კონტროლი გაეძლიერებინათ მთავრობის საქმიანობაზე და მნიშვნელოვნად შეეზღუდათ შაჰის უფლებამოსილებანი. სწორედ მაშინ კონსტიტუციის დამატების ტექსტში ჩამოყალიბდა 39-ე მუხლის დებულება, რომელიც შაჰს ავალდებულებდა ტახტზე ასვლის დროს კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დაედო პარლამენტის ორივე პალატის წინაშე მთავრობის წევრების თანდასწრებით²⁵. შაჰს ეკრძალებოდა პარლამენტის თანხმობის გარეშე ხელისუფლება გაეგრძელებინა რომელიმე სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე²⁶. ამასთან შაჰი თავისუფალი იყო პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. სამაგიეროდ ეს პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრებოდა²⁷. სახელმწიფო საქმეებზე გამოცემული შაჰის ფირმანი იმ

²⁴ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 28, მუხ. 39.

²⁵ იქვე, გვ. 28, მუხ. 32.

²⁶ იქვე, გვ. 29, მუხ. 43.

²⁷ იქვე, მუხ. 44.

შემთხვევაში შეიძენდა ძალას, როცა მას ხელის მოწერით დაიმოწმებდა სათანადო დარგის მინისტრი. ამით იგი პასუხისმგებლობას კისრულობდა შაჰის სახელით გამოცემული დოკუმენტის სისწორეზე. კონსტიტუცია შაჰს უფლებას არ აძლევდა გაეუქმებინა მეჭლისის მიერ მიღებული კანონი, ან მისი განხორციელების ვადა გადაედო²⁸. შაჰის სახელის ხარჯებზე წესდებოდა კონტროლი და ეს სპეციალურად გამოცემული კანონის საფუძველზე განისაზღვრებოდა²⁹. ამით უნდა აღკვეთილიყო ყაჯართა დინასტიის წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო სახსრების უთავბოლო და განუკითხავი ხარჯვა, რასაც ამ დრომდე ჰქონდა ადგილი.

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციის დამატება საკმაოდ შორს მიდიოდა ძირითად კანონთან შედარებით მონარქიის პრეროგატივების შეზღუდვის საქმეში. მაგრამ ეს მხოლოდ ვითარებამ განაპირობა. ამბების შემდგომი მსვლელობა მოწმობს, რომ მონარქიამ, იყენებდა რა ხელსაყრელ მომენტებს, ბევრი დაკარგული უფლება აღიდგინა და სათანადო კორექტივები შეიტანა კონსტიტუციის ტექსტში.

დამატებაში ვრცელი თავი ჰქონდა დათმობილი აღმასრულებელი ხელისუფლების—სამინისტროების შესახებ დებულებებს. კონსტიტუციის მიღებამდე ქვეყანაში საერთოდ არ არსებობდა კანონი მთავრობის ან ცალკეული სამინისტროების რეგლამენტაციის შესახებ. კონსტიტუციის დამატების 65-ე და 69-ე მუხლების საფუძველზე მეჭლისსა და სენატს შეეძლოთ საჭირო შემთხვევაში სარჩელი წარედგინათ მინისტრების მოქმედების წინააღმდეგ და სამართალში მიეცათ ისინი³⁰. ამასთან 67-ე მუხლის თანახმად წესდებოდა მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების კოლექტიური პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ნდობის ვოტუმს არ მისცემდა მთავრობას ან ცალკეულ მინისტრებს, მინისტრი ან მთავრობა უნდა გადამდგარიყო³¹. მინისტრად დაინიშნებოდა ირანელი მოქალაქე, რომელიც რელიგიით მუსულმანი იყო. მინისტრის პოსტი არ შეიძლება დაეკავებინათ შაჰის შვილებს, ძმებს და ბიძებს მამის ხაზით³².

კონსტიტუციის მიღებამდე ირანში ძალიან ცოტა საერო ხასიათის სასამართლო იყო. დამატების 27-ე მუხლის საფუძველზე შარიათის სასამართლოები, რომლებსაც სასულიერო პირები განაგებდნენ, რელიგიურ და საოჯახო საქმეებს განიხილავდნენ. სამოქალაქო და სისხ-

28 ძირითადი კანონის დამატება..., გვ. 29—30, მუხ. 50.

29 იქვე, მუხ. 56.

30 იქვე, გვ. 32, მუხ. 65, 69.

31 იქვე, მუხ. 67.

32 იქვე, გვ. 31, მუხ. 58—59.

ლის სამართლის საქმეების განხილვისათვის იქმნებოდა საერო სასამართლოები (მოპაქემე ადლიე)³³. იქმნებოდა, აგრეთვე, უმაღლესი საერო სასამართლო (დივან-ე ადლიე) და ადგილობრივი სამოქალაქო სასამართლოები, რომლებიც ყოველგვარ საჩივრებს განიხილავდნენ³⁴. სასამართლო სხდომები საჯარო უნდა ყოფილიყო. გათვალისწინებული იყო სამხედრო სასამართლოების შექმნა³⁵. კონსტიტუცია ითვალისწინებდა საპელაციო სასამართლოს (მოპაქემე ესთინაფ)³⁶ და უმაღლესი საკასაციო სასამართლოს (დივან-ე ალი-ე თამიზ) დაარსებას³⁷. ეს უკანასკნელი განიხილავდა საკასაციო საქმეებს და, აგრეთვე, სარჩელებს მინისტრების შესახებ³⁸.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ, ჯერ ერთი, ქვეყანაში შეიქმნა სასამართლო ხელისუფლება, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მეორეც, წინ წამოიწია და მნიშვნელოვნად გაფართოვდა საერო სასამართლოების უფლებამოსილებანი სასულიერო (შარიათის) სასამართლოების უფლებათა შეკვეცის ხარჯზე.

კონსტიტუციის დამატება ითვალისწინებდა პროვინციული და ადგილობრივი ანჯომანების ქსელის გაფართოებას. რევოლუციის დროს მათმა საქმიანობამ კანონმდებელთა ყურადღება მიიპყრო. მაშინ ანჯომანები, ისევე როგორც რუსეთის რევოლუციის დროს საბჭოები, რევოლუციური მასების ყველაზე მასობრივი და პოპულარული ორგანიზაციები იყო. ანჯომანებს უფლება ეძლეოდა დამოუკიდებლად განეხორციელებინათ ყველა ღონისძიება, რაც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ანჯომანები თავიანთ სამმართველო ტერიტორიებზე კონტროლს უწყევდნენ აგრეთვე შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას, რათა აღეკვეთათ ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობა³⁹.

კონსტიტუციის დამატების იმ თავში, რომელიც საფინანსო საკითხებს ეხებოდა, გადასახადებისა და ფულადი გამოსაღებლების წესი იყო დადგენილი. მთავრობას ეკრძალებოდა შემოეღო რაიმე ახალი გადასახადი გარდა იმისა, რაც მეჯლისის მიერ მიღებული კანონით იყო დაწესებული⁴⁰.

33 ძირითადი კანონის დამატება..., გვ. 11, მუხ. 27.

34 იქვე, გვ. 33, მუხ. 72.

35 იქვე, გვ. 34, მუხ. 79.

36 იქვე, გვ. 35, მუხ. 86.

37 იქვე.

38 იქვე, გვ. 33, მუხ. 75.

39 იქვე, გვ. 26, 29; გვ. 35—36, მუხ. 90—93.

40 იქვე, გვ. 96, მუხ. 94.

ქვეყანაში ყველა მოქალაქეს უნდა გადაეხადა სათანადო გადასახადი. საგადასახადო დაბეგვრაში იკრძალებოდა პრივილეგიებისა და შეღავათების დაწესება. მხოლოდ მონარქი თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან⁴¹. სინამდვილეში, როგორც პრაქტიკა მოწმობდა, სახელმწიფო მოხელეები და ფეოდალები ჩვეულებრივ გადასახადებს არ იხდიდნენ და თუ მაინც იხდიდნენ, ძალიან მცირე რაოდენობით, მთელი საგადასახადო ტვირთი მწარმოებელ, მშრომელ მოსახლეობას აწვა მხრებზე.

იკრძალებოდა სახელმწიფო ხაზინიდან ფულადი გადასახადებისა და ხელფასების გაცემა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამის თაობაზე საქვეყნო კანონი იქნებოდა მიღებული⁴².

სახელმწიფოში ფინანსებთან დაკავშირებულ საქმეებს ფინანსთა სამინისტრო განაგებდა. საფინანსო საქმის საერთო ხელმძღვანელობისათვის მეჯლისის სამი წლის ვადით ირჩევდა ქვეყნის საანგარიშგებო პალატას (დივან-ე მოჰასებათ-ე ქეშვარ), რომელიც აწყობდა შემოწმებებს და ახორციელებდა კონტროლს საფინანსო დარგის მიმართ, იღებდა ყველა იმ ორგანიზაციისა და პირების ანგარიშებს, რომლებიც ხაზინასთან იყვნენ ანგარიშვალდებული. საანგარიშსწორებო პალატის ფუნქციებში შედიოდა აგრეთვე სისტემატური კონტროლის განხორციელება საბიუჯეტო ოპერაციების სწორად წარმართვაზე, რათა საბიუჯეტო ასიგნებათა გადახარჯვა არ დაეშვათ. საანგარიშსწორებო პალატას უნდა მოეწყო შემოწმებები და კონტროლი დაეწესებინა სახელმწიფო ორგანოების ანგარიშწარმოებაზე. მას წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით უნდა შეეკრიბა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები და მეჯლისისათვის წარედგინა შენიშვნები და წინადადებები⁴³.

კონსტიტუციის დამატების ბოლო თავი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე ეხებოდა. იმ დროს ირანის არმია ძირითადად ირეგულარული ფეოდალური რაზმებისაგან შედგებოდა. მას არ გააჩნდა ერთიანი სამხედრო ორგანიზაცია და თანამედროვე საარმიო წესდება. ერთადერთი ირეგულარული სამხედრო ძალა სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა იყო. დამატების თანახმად, მეჯლისს ყოველწლიურად უნდა დაემტკიცებინათ თანხები სამხედრო ხარჯებისათვის, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში იქნებოდა გათვალისწინებული. მთავრობას ეკრძალებოდა უცხოეთის ჯარების დაქირავება. საერთოდ კი ირანის ტერიტორიაზე არ უნდა ყო-

41 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 36, მუხ. 96, 97.

42 იქვე, გვ. 37, მუხ. 100.

43 იქვე, გვ. 37, მუხ. 101—103.

ფილიყო უცხოეთის არცერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალები⁴⁴. ცხადია, კონსტიტუციაში ამ მოთხოვნის შეტანა განპირობებული იყო ინგლისისა და მეფის რუსეთის მთავრობების ირანის საშინაო საქმეებში არაერთი უცერემონიო ჩარევის გამო. ეს იყო, აგრეთვე, მიმართული კაზაკთა ბრიგადის წინააღმდეგ, რომელიც მეფის რუსეთის დასაყრდენს წარმოადგენდა და ჩრდილოეთი ირანის თითქმის ყველა ქალაქში ჰყავდა თავისი რაზმები.

ამრიგად, საერთო თვალსაზრისით, პირველი კონსტიტუცია ირანელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო. კონსტიტუციაში კონცენტრირებული ფორმით აისახა რევოლუციის მონაწილე ძალების მოთხოვნები. იგი ძირითადად მიმართული იყო ყაჯართა დინასტიის დესპოტური მმართველობის შესაცვლელად, აგრეთვე ფეოდალური რეჟიმისა და ქვეყნის საქმეებში უცხოელთა ჩარევის წინააღმდეგ. ამიტომ კონსტიტუციის იდეამ და მისმა შემოღებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა ირანის მოსახლეობის ფართო მასებში. ხალხის დაბალი, დემოკრატიული ფენები კონსტიტუციას უკავშირებდნენ ილუზიებს საზოგადოების თავისუფლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ. სინამდვილეში, როგორც ეს კონსტიტუციის შინაარსიდან ჩანს და, შემდეგში ცხოვრებამაც დაადასტურა, კონსტიტუცია ძირითადად პასუხობდა სავაჭრო ბურჟუაზიისა და გაბურჟუებული მემამულეების ინტერესებს. იგი ნაწილობრივ აკმაყოფილებდა შიიტურ სასულიერო წრეებსაც, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ შაჰის ძალაუფლების შეზღუდვით და სახელმწიფო მმართველობაზე რელიგიის გავლენის შენარჩუნებით.

ცვლილებები კონსტიტუციაში

ირანის პირველი კონსტიტუცია 72 წელიწადზე მეტხანს მოქმედებდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ ხალხის მასების სასარგებლოდ მასში არც ერთი სიტყვა არ შეუცვლიათ. პირიქით, ბევრი კონსტიტუციური დაპირება თანასწორობის, თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებების შესახებ ქალაქებში დარჩა. რაც შეეხება მმართველ კლასებს, ისინი ყოველთვის ეძებდნენ დაპოულობდნენ კიდევ ხელსაყრელ მომენტებს, რათა დემოკრატიული დებულებებისაგან გამოეშინათ კონსტიტუციის შინაარსი და ახალ-ახალი ცვლილებების გზით კიდევ უფრო გაეძლიერებინათ თავის-ხელისუფლება. კონსტიტუციამ ვერც პოლიტიკური დამოუკიდებლობა

⁴⁴ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 37, მუხ. 104, გვ. 38, მუხ. 105—106.

არგუნა ქვეყანას. ძირითადი კანონი თუმცა გმობდა ქვეყნის საშინაო საქმეებში უცხოელთა ჩარევას და კრძალავდა მათი შეიარაღებული ძალების ყოფნას ირანის ტერიტორიაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველი მსოფლიო ომის დროს ქვეყანა მეომარი სახელმწიფოების ჯარების თარეშის ასპარეზად იქცა. უცხოელთა ჩარევისაგან ირანი ვერც ომში ნეიტრალიტეტის გამოცხადებამ იხსნა.

20-იან წლებში სამხედრო დიქტატურის დამყარებისა და 1925 წლის დამლევეს ხელისუფლების სათავეში ფეჰლევანიანთა მოსვლის შემდეგ დადგა საკითხი კონსტიტუციის ტექსტში ზოგიერთი ფორმალური ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს საკითხი განიხილეს 12 დეკემბერს პირველ დამფუძნებელ კრებაზე, მაშინ კონსტიტუციის დამატების 36-ე მუხლის საფუძველზე რეზა-ხანი ირანის შაჰად გამოცხადდა. ცვლილებები შეიტანეს, აგრეთვე, დამატების 37 და 38-ე მუხლებში, სადაც ყაჯართა დინასტიის ნაცვლად ფეჰლევანიანთა დინასტია ჩაიწერა.

მეორე დამფუძნებელ კრებაზე, რომელიც 1949 წლის 9 მაისს შედგა, შემუშავებულ იქნა დამფუძნებელი კრების მოწვევის ახალი წესი და უფლებამოსილებანი. ამიერიდან დამფუძნებელი კრების მოწვევა ხდებოდა მთავრობის ან პარლამენტის ორივე პალატის მოთხოვნით. ამასთან ერთად, საჭირო იყო დეპუტატების ორი-მესამედის თანხმობა და შაჰის დადასტურება. დამფუძნებელი კრების დეპუტატები პარლამენტის ორივე პალატის საერთო რიცხვის ტოლი უნდა ყოფილიყო. მისი ძირითადი დანიშნულება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა იყო⁴⁵.

მაშინ დამფუძნებელმა კრებამ თავის მეორე სხდომაზე განიხილა კონსტიტუციის ტექსტში ცვლილებების შეტანის საკითხი. შეიცვალა 48-ე მუხლი, რომლის საფუძველზე შაჰს პარლამენტს დათხოვნის უფლება მიეცა. ამნაირად, პარლამენტი შაჰის ნების დამყოლი უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დათხოვნის საფრთხე ემუქრებოდა. 48-ე მუხლის ახალი რედაქციის თანახმად, შაჰს შეეძლო დაეთხოვა მეჯლისი და სენატი და დაენიშნა ახალი არჩევნები არაუგვიანეს ერთი თვისა დათხოვნის ფირმანის გამოცემის დღიდან. პარლამენტის ახალი შემადგენლობა უნდა მოეწვიათ არჩევნების ჩატარებიდან სამი თვის ვადაში.

ამასთან, თუ პალატები რომელიმე კანონპროექტის ან საკანონმდებლო წინადადების განხილვის დროს თანხმობას ვერ მიაღწევდნენ და საკითხი ორჯერ გადავიდოდა ერთი პალატიდან მეორეში, იქმნებო-

⁴⁵ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 23; მ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 263.

და შერეული კომისია პალატების წარმომადგენელთა თანაბარი რაოდენობით. მაგრამ თუ კომისია შეთანხმებულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, საკითხს საბოლოოდ შაჰი გადაწყვეტდა⁴⁶.

1957 წლის 30 აპრილს მოწვეულ იქნა პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებული სხდომა ძირითადი კანონის მე-4—7 მუხლებში და დამატების 49-ე მუხლში ცვლილებების შეტანის მიზნით. იმავე წლის 18 მაისს მეჯლისისა და სენატის გაერთიანებულ სხდომებზე ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ დამტკიცეს ამ მუხლების ახალი ტექსტები⁴⁷.

მე-4 მუხლის საფუძველზე მეჯლისის დეპუტატების რაოდენობა აღრინდელი 196-დან 200-მდე იზრდებოდა. გადიდდა საარჩევნო ოლქების მოცულობა. ერთი დეპუტატი ყოველ 100 ათას მცხოვრებზე უნდა აერჩიათ. თუ ადრე, მე-5 მუხლის შესაბამისად, მეჯლისის დეპუტატებს ორი წლის ვადით ირჩევდნენ, ახლა დეპუტატის უფლებამოსილება ოთხ წლამდე გადიდდა. შეექვესე მუხლის ახალი რედაქციით, მეჯლისის გახსნისათვის აუცილებელი იყო დეპუტატების საერთო რიცხვის ორი მესამედის დასწრება. მე-7 მუხლი ადგენდა, რომ პარლამენტში განსახილველ საკითხებზე კამათი შეიძლება მოეწყოს დეპუტატების ნებისმიერი რაოდენობის დასწრებით, მაგრამ ხმის მიცემაში მათ უმრავლესობას უნდა მიეღო მონაწილეობა⁴⁸.

კონსტიტუციის დამატების 49-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქციის მიხედვით, მეჯლისის მიერ მიღებული კანონი ძალაში შედიოდა შაჰის მოწონების შემდეგ, ხოლო, მეორე ნაწილის შესაბამისად, შაჰს ეკრძალებოდა შეეჩერებინა ან გაეგრძელებინა მეჯლისის მიერ მიღებული კანონის მოქმედების ვადა. მაგრამ ამავე მუხლას ახალი რედაქციით შაჰს დაყოვნებითი ვეტოს უფლება ჰქონდა. მონარქს ახლა შეეძლო განმეორებითი განხილვისათვის დაებრუნებინა მეჯლისში კანონპროექტები თვით საფინანსო საკითხებზეც კი. როგორც ცნობილია, ძირითადი კანონის 49-ე მუხლის პირველი რედაქციის საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ და მხოლოდ მეჯლისის შეუვალ უფლებას შეადგენდა.


1967 წელს აგვისტოში მოწვეულ მესამე დამფუძნებელ კრებაზე ახალი ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციის 38, 41 და 42-ე მუხლებში. თუ ამ მუხლების წინანდელი მოთხოვნით შაჰის სიკვდილის შემთხვევაში რეგენტს პარლამენტი ნიშნავდა, ახლა მას ეს

⁴⁶ М. Д. Миланин, *დასახ.*, ნაშრომი, გვ. 24.

⁴⁷ „ეთელათი“, 1957 წ. 18 მაისი. მოტანილია მ. მილანიანის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 25.

⁴⁸ იქვე, მ. რაჰიმი, *დასახ.* ნაშრ., გვ. 263.

სახელმწიფო ნებისუფლები სტრუქტურა პონაჩიკურ ირანში (X-X საუკუნე 60-70 იანი ტრუბი)



უფლება ჩამოერთვა და მონარქს გადაეცა. ახალი რედაქციის საფუძველზე, შაჰს შეეძლო სიცოცხლეშივე თვითონ დაენიშნა რეგენტა. მაშინ რეგენტობა მან თავის მეუღლეს დედოფალ ფარაჰ დიბას მიანდო.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ირანის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვიღო პერიოდში ირანის საზოგადოების განვითარება ობიექტურად აყენებდა მონარქიის პრეროგატივების შემდგომი შეზღუდვის ამოცანებს, ცვლილებები, რაც ამ დროს კონსტიტუციაში შეიტანეს. მხოლოდ შაჰის უფლებების გაფართოებას და მონარქიული სახელმწიფო წყობილების განმტკიცების ინტერესებს ემსახურებოდა.

საქანონმდებლო ხელისუფლების ორგანიზაცია

1906—1907 წლებში დამტკიცებული ძირითადი კანონისა და მისი დამატების თანახმად, საქანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა პარლამენტს, რომლის ქვედა პალატა ეროვნული საბჭოს კრება (მაჯლეს-ე შურაი-ე მელი), ხოლო ზედა პალატა — სენატი (მაჯლეს-ე სენა) უნდა ყოფილიყო. ირანის პარლამენტის დაყოფას პალატებად საფუძვლად ეროვნული წარმომადგენლობის პრინციპი როდი ედო. პარლამენტის შექმნის მომენტში და შემდეგაც ეროვნული ინტერესების დაცვის საკითხი მთავრობის დონეზე არასოდეს დაუყენებიათ. პარლამენტის ორპალატიანი სისტემის შემოღება კლასობრივი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სენატის შექმნის შესახებ დებულება, რაც ძირითადი კანონის 44-ე მუხლში იყო ფიქსირებული⁴⁹, მემარჯვენე, რეაქციული ელემენტების მოთხოვნით შეიტანეს. ისინი პირველი მოწვევის მეჭლისში ფეოდალური არისტოკრატიის, ლიბერალური მემამულეებისა და კლერიკალური წრეების ინტერესებს გამოხატავდნენ. მათ მხარს უჭერდა შაჰის კარი. მაგრამ მაშინ რეაქციულმა ძალებმა მაინც ვერ შეძლეს, რომ კონსტიტუციის ტექსტში შეეტანათ ისეთი დებულებები, რაც სენატის წამყვან როლს უზრუნველყოფდა. პირიქით მოხდა. მეჭლისის მემარცხენე ფრთამ, რომელსაც ქვეყნის დემოკრატიული, რევოლუციური ძალები უჭერდნენ მხარს, შეძლო, კონსტიტუციის დამატებაში შეეტანა ისეთი მნიშვნელოვანი მუხლები, რომლებიც ქვედა პალატის უფლებამოსილებებს განსაზღვრავდა და სენატს გარკვეულ წილად მასზე დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებდა⁵⁰. მაგალითად, კონსტიტუცია მოითხოვდა, რომ კანონპროექტები განეხილათ ორივე პალატაში, ხოლო მათი საბოლოო მიღება დამოკიდებული

⁴⁹ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 16, მუხ. 44.

⁵⁰ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

იქნებოდა იმაზე, მოიწონებდნენ თუ არა მათ პალატები. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ წინადადება სენატიდან ან მთავრობიდან მოდიოდა, მაშინ სენატორების უმრავლესობის მიერ მოწონების შემდეგ კანონპროექტი საბოლოოდ მეჯლისს უნდა დაემტკიცებინა, ხოლო თუ წინადადება მეჯლისიდან მიდიოდა, განხილვის შემდეგ საკითხი სენატს გადაეცემოდა⁵¹. რაც შეეხება საფინანსო საკითხებს, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტს, კონსტიტუცია მათ განხილვა-დამტკიცებას მხოლოდ მეჯლისის უფლებამოსილებად მიიჩნევდა.

მეჯლისის უპირველეს კონსტიტუციურ უფლებებზე ისიც მიუთითებს, რომ, როცა მეჯლისის სხდომები ტარდებოდა, სენატს არ შეეძლო რაიმე საკითხი განეხილა. მეჯლისს კი უფლება ჰქონდა განეხილა ნებისმიერი კანონპროექტი, როცა სენატი მუშაობდა⁵². აქ საყურადღებოა კონსტიტუციის ის მოთხოვნაც, რომლის თანახმად სენატის წესდების დამტკიცება მეჯლისის ფუნქციაში შედიოდა⁵³.

ამრიგად, ირანის პარლამენტის ორპალატიანი სისტემა თავიდანვე კლასობრივ საფუძველზე იყო აგებული. რაც შეეხება მეჯლისის ფართო კონსტიტუციურ უფლებამოსილებებს, იგი ირანის რევოლუციის პირველ პერიოდში სახალხო მოძრაობის გავლენით უნდა აეხსნათ. შემდეგში სენატის მოწვევის საკითხი რამდენჯერმე დააყენეს მეჯლისის სხდომებზე, მაგრამ გადაწყდა მხოლოდ მაშინ, როცა ომისშემდგომ პერიოდში დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის შემდეგ მონარქიისა და რეაქციის ძალებმა იმპერიალისტების დახმარებით შეძლეს თავიანთი პოზიციების განმტკიცება. ამის გამო იყო, რომ მმართველმა წრეებმა აღადგინეს „მივიწყებული კონსტიტუციური უფლება“ და 1950 წლის თებერვალში სენატის პირველი სხდომა მოიწვიეს.

მიუხედავად მეჯლისის ფართო უფლებამოსილებისა, რაც მას აღმასრულებელ ხელისუფლებაზე მაღლა აყენებდა, სინამდვილეში, საქმიანობის მთელ ხანგრძლივ პერიოდში იგი აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენაში იმყოფებოდა.

ჰვედა პალატა — მეჯლისი

ირანის მეჯლისი პროვინციების და დედაქალაქის მოსახლეობიდან არჩეული დეპუტატებისაგან შედგებოდა. სხდომები იმართებოდა

51 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 16, მუხ. 44: მ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 186; ხ ა ლ ი ლ თ ა მ ა დ ო ნ ი, სამოქალაქო სამართალი ირანში, თეირანი, 1945, გვ. 15 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ხ. თაზადონი.

52 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 27, მუხ. 35.

53 იქვე, გვ. 16, მუხ. 44.

მეჯლისისათვის სპეციალურად აგებულ შენობაში, რომელიც თეირანის ცენტრში მდებარეობდა. თავდაპირველად, კონსტიტუციის მიხედვით, 162 დეპუტატის არჩევა იყო გათვალისწინებული, აქედან 150-ს შაპრესთანებში (პროვინციები), ხოლო 12-ს დედაქალაქის მოსახლეობიდან ირჩევდნენ. მაგრამ დეპუტატების რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. მაგალითად, XVIII მოწვევის მეჯლისში მხოლოდ 129 დეპუტატი აირჩიეს⁵⁴. შემდეგში დაადგინეს, რომ დეპუტატების რიცხვი ჯერ 136-ით, ხოლო შემდეგ 200 კაცით განესაზღვრათ.

მეჯლისის პირველი სხდომა ყოველი წლის 7 ოქტომბერს იხსნებოდა. სხდომები მთელი წლის მანძილზე ტარდებოდა. შემოდგომის ერთთვიანი არდადეგების შემდეგ, რომელიც ოქტომბრის დამდეგს მთავრდებოდა, მეჯლისი მუშაობას წყვეტდა ზამთრის არდადეგებზე (31 დეკემბერი — 19 იანვარი) და საახალწლოდ (19 მარტი — 20 აპრილი). ამას გარდა, თითოეულ დეპუტატს წელიწადში 20 დღიანი შევებულება ეძლეოდა. მეჯლისის არდადეგების დროს საჭიროების შემთხვევაში სხდომას საგანგებო წესით იწვევდნენ. ამისათვის საჭირო იყო მთავრობის წევრების ან მეჯლისის არანაკლებ 40 დეპუტატის მოთხოვნა⁵⁵.

მეჯლისის პირველ სხდომას საზეიმო ვითარებაში შაჰი ხსნიდა⁵⁶. გახსნაზე იწვევდნენ პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს, გენერალურ პროკურორს, უმაღლესი საკასაციო სასამართლოს წევრებს, თეირანის უნივერსიტეტის პროფესორებს, უმაღლესი სასულიერო წრეების წარმომადგენლებს, დედაქალაქის მერს და სხვა მაღალადგილოვან მოსულებს, აგრეთვე პრესის წარმომადგენლებს⁵⁷.

პირველ სხდომებზე ირჩევდნენ უხუცესთა საბჭოს, მის თავმჯდომარესა და მდივნებს. ამასთან ერთად თითოეული დეპუტატი ფიცს სდებდა კონსტიტუციისა და ქვეყნის ერთგულებაზე⁵⁸. ამტკიცებდნენ სამანდატო კომისიას 18 წევრის შემადგენლობით. ირჩევდნენ აგრეთვე მეჯლისის სხვადასხვა კომისიებს.

ეს პროცედურა ერთი კვირის მანძილზე გრძელდებოდა და ცხარე დისკუსიისა და დავის ვითარებაში ტარდებოდა. ამავე დროს ირჩევდნენ მუდმივ პრეზიდენტს (ჰეიათ-ე რაის-ე დაიემი) თავმჯდომარის ორი მოადგილის, ექვსი მდივნისა და სამი წევრის შემადგენლობით.


⁵⁴ E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, Государственный строй Ирана, М. 1957, с. 24.

⁵⁵ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 25, მუხ. 31—32.

⁵⁶ იქვე, გვ. 34, მუხ. 9.

⁵⁷ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

⁵⁸ იქვე გვ. 87; ბ. თ ა მ ა დ ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.



სურ. 2. ირანის მეჯლისის შენობა

მეჯლისის თავმჯდომარეს პალატის ადმინისტრაციული ორგანოებამ
გმორჩილებოდა⁵⁹.

⁵⁹ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

მუდმივი პრეზიდენტი წერილობით ატყობინებდა შაჰს მოვალეობის შესრულებისათვის მზადყოფნის შესახებ. ტრადიციის თანახმად, ამის შემდეგ შაჰი დეპუტატებს იწვევდა სასახლეში, სადაც მეჯლისი ირჩევდა კოლეგიას, რომლის თავმჯდომარე ამავე დროს მეჯლისის თავმჯდომარედ ითვლებოდა. იმისათვის, რომ თავისი გავლენა მეჯლისზე კიდევ უფრო განემტკიცებინა, 60—70-იან წლებში შაჰმა ასეთი შეხვედრებს უფრო რეგულარული ხასიათი მისცა. იგი ყოველთვიურად იწვევდა დეპუტატებს სასახლეში, სადაც მათ სათანადო ინსტრუქციები ეძლეოდათ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატის მოვალეობის შესახებ.

მეჯლისის სხდომები საჯაროდ ტარდებოდა. კონსტიტუციის თანახმად, სხდომებზე დასწრება დეპუტატებთან ერთად შეეძლოთ არა მარტო მინისტრებს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს, არამედ ყველა მსურველს⁶⁰. საგანგებო შემთხვევებში პარლამენტის დახურული სხდომა შეიძლება მოეწვიათ მეჯლისის თავმჯდომარის ინიციატივით, აგრეთვე ათი დეპუტატის ანდა ერთი მინისტრის თხოვნით. დახურულ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი იყო დეპუტატების სამი-მეოთხედის დასწრება. ამასთან გადაწყვეტილების მიღებას დამსწრეთა უმრავლესობის ხმები ესაჭიროებოდა⁶¹.

ფორმალურად, კონსტიტუციის თანახმად, მეჯლისში საკითხების განხილვისა და ხმის მიცემის დროს დეპუტატი აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო და არავის უფლება არ ჰქონდა ზემოქმედება მოეხდინა მასზე. სინამდვილეში, დეპუტატები არა მარტო შაჰის და პრემიერ-მინისტრის, არამედ თვით ცალკეული მინისტრების გავლენაშიც იყვნენ. ხმის მიცემა ან ღია იყო (ადგომით, ან დამჯდარი ფერადი ფურცლების ჩვენებით), ანდა დახურული, როცა დეპუტატები ურნაში უშვებდნენ სხვადასხვა ფერის ლითონის ნიშნებს, ან ფერად ფურცლებს. დახურულ სხდომებზე ბიუჯეტის ან საგადასახადო პოლიტიკის საკითხებს იხილავდნენ.

კანონის თანახმად, დეპუტატი ხელშეუხებელი იყო. მეჯლისის თანხმობის გარეშე არავის შეეძლო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღეძრა, ან დაეკავებინათ იგი თუნდაც რომ დანაშაულზე წაესწროთ⁶². დეპუტატი სარგებლობდა სიტყვის სრული თავისუფლებით. მას ბრალდებას ვერ წარუდგენდნენ წარმოთქმული სიტყვის, წინადადების, ან ხმის მიცემის გამო. დეპუტატი არც ამომრჩევლების წინაშე აგებდა პასუხს და, მამსადაამე, არც მისი გამოწვევა შეიძლება.

⁶⁰ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 34, მუხ. 13.

⁶¹ იქვე, გვ. 42, მუხ. 34; მ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

⁶² იქვე, გვ. 35, მუხ. 12; მ. რაჰიმი, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

მეჯლისის საქმიანობას საფუძვლად ედო შინაგანაწესი, რაც ხშირად იცვლებოდა. 1949 წლის 15 მაისს XV მოწვევის მეჯლისმა მიიღო ახალი შინაგანაწესი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ 1950 წლის ივნისში მრავალი ცვლილება შეიტანეს მასში⁶³. 1956 წლის მარტში შეტანილი ცვლილებებით გაათავოთვეს პრეზიდიუმის პრეროგატივები დეპუტატების უფლებების შეკვეცის ხარჯზე. თუ ადრე (კონსტიტუციის 39-ე მუხლის საფუძველზე) დეპუტატს უფლება ჰქონდა შეეტანა წინადადება ან კანონპროექტი ნებისმიერ საკითხზე და ამისათვის 15 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საკმარისი, ახალი შესწორებით თავმჯდომარის ან 15 დეპუტატის პროტესტის შემთხვევაში ეს წინადადება განუსაზღვრელი დროით გადაიდებოდა⁶⁴.

1972 წელს მიღებული შინაგანაწესი, რომელიც 221 მუხლისაგან შედგებოდა, მეჯლისის მუშაობის შესახებ საკითხების ფართო წრეს ეხებოდა⁶⁵.

მეჯლისში შეტანილი წინადადებებისა და კანონპროექტების წინასწარი განხილვის მიზნით იქმნებოდა მუდმივი კომისიები საქმიანობის განსაზღვრული დარგების მიხედვით. მაგალითად, შექმნილი იყო ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, იურიდიული, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის, სამთომადნო საქმის, საგარეო საქმეების, საბიუჯეტო და სხვ. კომისიები⁶⁶. საჭიროების შემთხვევებში იქმნებოდა საგანგებო კომისიები და ქვეკომისიები. შინაგანაწესის თანახმად, თითოეული დეპუტატი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ერთ-ერთ კომისიაში მაინც. ამასთან შეეძლო ერთდროულად სამი კომისიის წევრი ყოფილიყო⁶⁷.

მეჯლისის სხდომის დღის წესრიგი, რომელსაც სპეციალური კომისია ადგენდა, დეპუტატებს სხდომის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ურიგდებოდათ. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ დეპუტატს უფლება ჰქონდა ნებისმიერ საკითხზე გამოსულიყო, ამასთან მისი გამოსვლა 45 წუთს არ უნდა გადასცილებოდა. მთავრობისადმი შეკითხვის შემთხვევაში დეპუტატის გამოსვლის ხანგრძლივობა დაშვებული იყო სამ საათამდე, ხოლო ბიუჯეტის, ხელშეკრულებების, კონვენციების და შეთანხმებების განხილვის დროს დეპუტატის გამოსვლის დრო არ განისაზღვრებოდა⁶⁸.

63 Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

64 М. Д. Миланин, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

65 იქვე; მ. რაკომი, დასახ. ნაშრ., გვ. 172.

66 იქვე, გვ. 90.

67 იქვე; მ. რაკომი, დასახ. ნაშრ., გვ. 184.

68 იქვე, გვ. 91.

კანონპროექტს მეჯლისში ორ ეტაპად განიხილავდნენ: პირველ ეტაპზე გაარჩევდნენ მის ძირითად დებულებებსა და მიზანდასახულებებს, ხოლო მეორე ეტაპზე განიხილავდნენ ცალკეულ პუნქტებს, მოისმენდნენ დეპუტატების შენიშვნებს და წინადადებებს. მეორედ განხილვის საჭიროების შემთხვევაში კანონპროექტი უკან ბრუნდებოდა შესაბამის კომისიაში⁶⁹.

მეჯლისში მოწონების შემდეგ კანონპროექტი სენატს ეგზავნებოდა მოწონებისათვის. ამას უნდა მოჰყოლოდა შაჰის ფირმანი კანონის სისრულეში მოყვანის შესახებ. ორი დღის ვადაში კანონის ტექსტს აქვეყნებდა გაზეთი „რუზნამე-იე რასმი-ე ქეშკარ-ე შაჰინ-შაჰი-იე ირან“.

მეჯლისის დეპუტატის თანამდებობა ფასიანი იყო. დეპუტატის გასამრჯელოს თვითონ პალატა ადგენდა. როგორც წესი, მეჯლისის თავმჯდომარე ორჯერ მეტ ანაზღაურებას იღებდა დეპუტატთან შედარებით⁷⁰. დეპუტატის ხელფასი საკმაოდ სოლიდური იყო და წლების მანძილზე სულ უფრო იზრდებოდა. მაგალითად, პირველ, მეორე და მესამე მოწვევის მეჯლისებში დეპუტატის ხელფასი 800 რიალი იყო. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე მოწვევის მეჯლისში მან 1000 რიალს მიაღწია, მეშვიდე — მეთერთმეტე მეჯლისებში (1929—1939 წწ). დეპუტატის ხელფასი 3,0—4,5 ათასი რიალი იყო, მეთორმეტე — მეთოთხმეტე მეჯლისებში (1940—1949)—6,7 ათასი რიალი, მეთექვსმეტე — მეჩვიდმეტე მეჯლისებში (1950—1953) — 9,8 ათასი რიალი, მეთვრამეტე მეჯლისში (1954—1956 წწ.) — 17 ათასი რიალი, მეცხრამეტე—მეოცე მეჯლისებში (1956—1960 წწ.)—25 ათასი რიალი, ოცდამეერთე მეჯლისში (1963—1967 წწ). — 40 ათასი რიალი, ხოლო ოცდამეორე მეჯლისში (1967—1971 წწ.) — 60 ათასი რიალი⁷¹. ე. ა. დეპუტატის ხელფასი 1906 წლიდან 1971 წლამდე 75-ჯერ გაიზარდა. 70-იან წლებში ნავთობის შემოსავლების გადიდებასთან დაკავშირებით დეპუტატის ხელფასი კიდევ უფრო გადიდდა. ეს მაშინ, როცა ნავთობის სარეწებზე მუშის საშუალო ხელფასი 6 ათას რიალს არ აღემატებოდა⁷².

შაჰის მთავრობა არაფერს იშურებდა მეჯლისის დეპუტატების, ისევე როგორც სახელმწიფო ბიუროკრატიული ელიტის სხვა წარმომადგენლობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის. ოცდამეერთე მოწვევის მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად, საჭიროების

⁶⁹ М. Д. Миланиан, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 92.

⁷⁰ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 31.

⁷¹ М. Д. Миланиан, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 91.

⁷² М. С. Иванов, *Иран в 60. 70-х годах XX века*, М., 1977, с. 228.

შემთხვევაში მთავრობა დეპუტატს გამოუყოფდა კრედიტს სახლის ასაშენებლად და მსუბუქი ავტომანქანის შესაძენად⁷³.

მეჯლისში იყო დამხმარე ადმინისტრაციული აპარატი, რომლის საშუალებით პარლამენტი ყოველდღიურ საქმიანობას ეწეოდა. მეჯლისის ადმინისტრაცია მოიცავდა 20-მდე ისეთ სამმართველოს (ბონგაკ), როგორცაა საკანონმდებლო, ჯანდაცვის, სამეურნეო და სხვ. ჰქონდა თავისი ბიბლიოთეკა, არქივი⁷⁴, ბუხალტერია, ტიპოგრაფია. აქვე იყო ოფიციალური გაზეთის რედაქცია, საკონტროლო განყოფილება და სხვ. ყველა ეს ორგანო მუშაობდა მუდმივად მეჯლისის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები მაღალ ანაზღაურებას იღებდნენ. მეჯლისის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდებოდა. თუ 1950/51 საფინანსო წელს იგი 14,3 მლნ რიალს შეადგენდა, რვა წლის შემდეგ, 1958/59 წელს იყო 115 მლნ რიალი⁷⁵, ე. ი. თითქმის რვაჯერ გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის საფუძველზე მეჯლისს მნიშვნელოვანი დემოკრატიული უფლებები ენიჭებოდა, მისი საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია მოწმობს, რომ იგი ამ უფლებებს საზოგადოების სასარგებლოდ ვერ იყენებდა. ნიშანდობლივია, რომ სახალხო მოძრაობის აღმავლობის დროს მეჯლისში აშკარად შეიმჩნეოდა დემოკრატიული აქტიურობა, მოძრაობის ტალღის უკუქცევის პერიოდში მეჯლისის საქმიანობაზე მემარჯვენე, რეაქციული ძალები ახდენდნენ ზემოქმედებას. შაჰის მთავრობა ცდილობდა მეჯლისის თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა, რისთვისაც იყენებდა ყველა საშუალებას, მათ შორის დათხოვნის მუქარას და თვით დათხოვნას. მაგრამ ისეთი პოლიტიკური „აყვავების“ პერიოდშიც კი, რაც დაკავშირებული იყო 1945—1953 წლებში სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობასთან, კრელი კლასობრივი შემადგენლობის გამო, მეჯლისმა სრულად მაინც ვერ გამოიყენა თავისი უფლებამოსილებანი⁷⁵.

რეზა შაჰის დიქტატურის წლებში (1925—1941 წწ.) შვიდი მოწვევის მეჯლისში (მეექვსე — მეცამეტე მოწვევა) დეპუტატების უმრავლესობას (57%) მსხვილი მემამულეების წარმომადგენლები შეადგენდა. 50-იან წლებში, მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებულ მემამულეთა მიწათმფლობელობის შეზღუდვის ზოგიერთი ღონის-

⁷³ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

⁷⁴ 1973 წლის მაისში ირანში ყოფნის დროს ავტორს საშუალება ჰქონდა გაეცნობოდა მეჯლისის მდიდარ ბიბლიოთეკას და არქივს.

⁷⁵ „რეზნამე-იე რასმი-ე ქეშვარ-ე შაჰინშაჰი-ე ირან“, 1951 წლის 21 აპრილი და 1959 წლის 17 მაისი. მოტანილია მ. მილანიანის ნაშრომიდან, გვ. 93.

⁷⁶ „ეთელაათი“, 1965 წლის 4 ავეისტო.

ბიებისა, მათი ადგილები პარლამენტში მაინც 40%-ს სჭარბობდა⁷⁷ და სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით მათ წამყვანი პოზიციები ეკავათ. მხოლოდ 60-იან წლებში გატარებულ რეფორმებს მოჰყვა შესამჩნევი ცვლილებები ქვეყნის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, რამაც განაპირობა მსხვილ მემამულეთა წარმომადგენლების მკვეთრი შემცირება დეპუტატთა შორის. სამაგიეროდ, მათი ადგილი მსხვილი ბურჟუაზიის და მრეწველ-ფინანსისტების წარმომადგენლებს ეკავათ.

1953 წელს მ. მოსაღდესის მთავრობის დამხობამდე მეჭლისში ადგილი ჰქონდა აზრთა დაპირისპირებებს, რაც ძირითადად პარტიათა შორის ბრძოლის ლოზუნგებით მიმდინარეობდა. მაგრამ ხელისუფლების სათავეში გენერალი ფ. ზაჰედის რეაქციული მთავრობის მოსვლის შემდეგ, თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე მეჭლისში ფრაქციული და ოპოზიციური დაჯგუფებების არსებობა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მეჭლისის უპარტიო დეპუტატები ზოგჯერ კმნიდნენ მცირე ფრაქციულ ჯგუფებს, რასაც ხშირად პირადი მოტივები ედო საფუძვლად, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურის მცირეოდენ შეცვლასთან ერთად, ისინი მალე წყვეტდნენ არსებობას.

საერთო წესის თანახმად, ახლად შექმნილი საპარლამენტო ფრაქცია რეგისტრაციაში უნდა გაეტარებინათ. მეჭლისის პრეზიდიუმში მას უნდა წარმოედგინა თავისი პროგრამა. ამასთან ერთად, პრესაში ცხადდებოდა ცნობა ფრაქციის მიზნებისა და ხელმძღვანელების შესახებ. საპარლამენტო ფრაქციას გარკვეული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, თუ სხვა ხასიათის მიზანი უნდა დაესახა. იმისათვის, რომ თავისი ფრაქციული ბრძოლისათვის მეტი ეფექტი მიეცათ, ზოგჯერ ცალკეული ჯგუფები ერთ ბლოკში ერთიანდებოდნენ. ისინი აირჩევდნენ პრეზიდიუმს და აყალიბებდნენ საერთო პლატფორმას⁷⁸. ეს უპარტიო ფრაქციები, ჩვეულებრივ, მხარს უჭერდნენ მთავრობის პოლიტიკას. ამიტომ შაჰის მთავრობა თავის მხრივ წაახალისებდა პარლამენტში ფრაქციების საქმიანობას. მაგალითად, ირანის მეჭლისში 60-იანი წლების დამდეგს მოქმედებდა „ირან-ე ნავინისა“ („ახალი ირანი“) და „მარდომის“ („ხალხი“) ფრაქციები, რომლებიც მხარს უჭერდნენ შაჰის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გარდაქმნების ანუ „თეთრი რევოლუციის“ პროგრამას, ისინი ეძებდნენ ვითომდა განსხვავებულ საშუალებებს მთავრობის მიზანდასახულობათა „უფრო ეფექტიანად შესრულებისათვის“. ამიტომ

⁷⁷ „ეთელაათი“, 1965 წლის 4 აგვისტო.

⁷⁸ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრომი, გვ. 95; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

იყო, რომ, როგორც ირანში მაშინ ხუმრობით ამბობდნენ: შაჰის პროგრამის განხილვის დროს „ირან-ე ნავინის“ ფრაქციის წარმომადგენლები პასუხობდნენ: „პო“, ხოლო „მარდომის“ მომხრეები, „ლიახ!“.

მეჯლისში არსებობდა აგრეთვე ე. წ. „დამოუკიდებლები“, რომლებიც არც ერთ სხვა ფრაქციაში არ შედიოდნენ, სინამდვილეში, „დამოუკიდებლები“ ასრულებდნენ „ცენტრის“ როლს, რომელიც ქანაობდა ფრაქციებს შორის — ხან ერთს ემხრობოდა, ხან — მეორეს. ამიტომ ფრაქციათა შორის ბრძოლას ემატებოდა ბრძოლა „დამოუკიდებლებისათვის“, რაც ხშირად, მეზობელი თურქეთის მსგავსად, დეპუტატებს შორის აყალ-მაყალს და თვით მუშტი-კრივსაც იწვევდა.

სენატი

როგორც ითქვა, სენატის დაარსება, რაც, კონსტიტუციის 44-ე მუხლით იყო გათვალისწინებული, ხანგრძლივი დროის მანძილზე ქალაღზე დარჩა. 1949 წლის 4 მაისს XV მოწვევის მეჯლისის სხდომაზე მიიღეს კანონი სენატის მოწვევის შესახებ⁷⁹. სენატის პირველი სხდომა გაიხსნა 1950 წლის 9 თებერვალს. სენატი არჩეულ იქნა 1949 წლის მაისში მეჯლისის მიერ მიღებული საარჩევნო კანონის საფუძველზე. ამ კანონში ცვლილებები შეიტანეს 1950 წლის მაისში. 1950 წლის იანვარსა და 1969 წლის მარტში⁸⁰.

მეჯლისის მიერ მიღებული კანონის თანახმად სენატის წევრთა რაოდენობა 60 სენატორით განისაზღვრებოდა. აქედან ნახევარს შაჰი ნიშნავდა (15 — თეირანიდან და 15 პროვინციებიდან). დანარჩენ 30 სენატორს ასეთივე პროპორციით ირჩევდნენ დედაქალაქიდან და პროვინციებიდან⁸¹. შაჰის მიერ სენატორთა ნახევარის დანიშვნის ფაქტი უზრუნველყოფდა მონარქიის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის პოლიტიკის გადამწყვეტ გავლენას პარლამენტის ზედა პალატაზე. ამავე დროს სენატის არჩევნები გამოიციხავდა დემოკრატიზმის იმ ელემენტებსაც კი, რასაც მეჯლისის არჩევნები ემყარებოდა (მონარქიულ ირანში საარჩევნო სისტემის შესახებ ცალკე გვექნება საუბარი). თავდაპირველად სენატს ექვსი წლით ირჩევდნენ. ამასთან მისი შემადგენლობის ნახევარი ყოველ სამ წელიწადში უნდა განახლებულიყო.

⁷⁹ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

⁸⁰ М. С. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

⁸¹ ძირითადი კანონი, გვ. 45, მუხ. 45.

სენატორად ნიშნავდნენ ან აირჩევდნენ იმას, ვინც აკმაყოფილებდა შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ყოფილიყო არანაკლებ 40 წლისა, ირანელი ქვეშევრდომი, მუსულმანი, პატიოსნებით ცნობილი, ავტორიტეტული და შორსმჭვრეტელი. სენატორები იყვნენ უმაღლესი სასულიერო პირები, მეჯლისის დეპუტატად არანაკლებ სამჯერ არჩეული პირები, გადამდგარი მინისტრები და მათი მოადგილეები, ყოფილი პროვინციების მმართველები, გენერალური პროკურორები, სასამართლო ორგანოებში სამსახურის ოცწლიანი სტაჟის მქონენი, გადამდგარი გენერლები, უნივერსიტეტის პროფესორები, რომლებსაც სამსახურის უკანასკნელი ათწლიანი სტაჟი ჰქონდათ, მემამულეები, ვაჭრები, სამრეწველო საწარმოების მფლობელები, რომლებიც ყოველწლიურად იხდიდნენ საშემოსავლო გადასახადს არანაკლებ 500 ათასი რიალისა, ადვოკატები სულ მცირე ოცწლიანი სტაჟით⁸².

რა თქმა უნდა, დასახელებულ პირთა შორის არ იყვნენ და ვერც მოხვდებოდნენ საწარმოო სფეროში დასაქმებული ისეთი კლასებისა და ფენების წარმომადგენლები, როგორცაა მუშები, გლეხები და ხელოსნები. აქ ვერ შეხვდებოდით ვერც საზოგადოების საშუალო ფენების, ე. ი. „ბაზრის ხალხის“ წარმომადგენლებს, რომელიც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, მის მშრომელ ნაწილს შეადგენდა. ამასთან მაღალი ქონებრივი ცენზი მხოლოდ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს აძლევდა შესაძლებლობას დაეკავებინათ ადგილი ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში. უგულვებელყოფილი იყო ეროვნული და რელიგიური კუთვნილებაც. ამ მხრივ გამონაკლისი მოხდა 1967 წელს, როცა მეხუთე მოწვევის სენატის შემადგენლობაში ერთი სომეხი აირჩიეს⁸³.

როგორც ვნახეთ, ძირითადი კანონისა და დამატების საფუძველზე სენატს ფართო უფლებები ენიჭებოდა. მას ეკუთვნოდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, ახორციელებდა კონტროლს მინისტრთა საბჭოსა და მინისტრების საქმიანობაზე, უფლება ჰქონდა აღეძრა ბრალდება მინისტრების წინააღმდეგ, პასუხისგებაში მიეცა ისინი⁸⁴. სენატს შეეძლო აგრეთვე, ნდობის ან უნდობლობის ფორტუმი გამოეტანა მთავრობისათვის.

სენატში შექმნილი იყო ხუთი სექცია, რომლებსაც მეჯლისის სექციების ანალოგიური ფუნქციები ჰქონდათ. საერთო ხელმძღვანელობისათვის სენატორები ირჩევდნენ სენატის ბიუროს თავმჯდომე-

⁸² Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 37; М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 98.

⁸³ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ. გვ. 97.

⁸⁴ ძირითადი კანონის დამატება..., გვ. 67, მუხ. 65, გვ. 68, მუხ. 65—70.

რის, ორი მოადგილის, რამდენიმე მდივნისა და საქმის მწარმოებლის შემადგენლობით⁸⁵.

ისევე როგორც მეჯლისი, სენატი თავისი შემადგენლობიდან გამოყოფდა ექვს მუდმივ კომისიას შემოსული წინადადებების, კანონპროექტებისა და დადგენილებათა პროექტების წინასწარ განხილვის მიზნით.

სენატის სხდომები, მეჯლისის მსგავსად, იწყებოდა ყოველი წლის 7 ოქტომბერს და ტარდებოდა რვა თვენახევრის განმავლობაში. წელიწადში სენატორებს სამ თვენახევარს ჰქონდათ ზამთრის, საახალწლო და ზაფხულის არდადეგები (22 ივნისიდან).

მიუხედავად იმისა, რომ სენატი დაარსებიდან ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობდა, სასახლის წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ეს უფლებები კიდევ უფრო გაეფართოებინათ. 50-იანი წლების დამდეგს სენატი გამოვიდა მ. მოსადეყის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ძირითადად სახალხო მხარდაჭერით ცდილობდა ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ 1951 წლის 15 მარტის კანონის განხორციელებას. მ. მოსადეყმა, რომელსაც იმ დროს მეჯლისის დეპუტატების უმეტესობა უჭერდა მხარს, საპასუხო ზომებს მიმართა. მეჯლისის 1952 წლის 23 ოქტომბრის სხდომაზე განმარტებულ იქნა ძირითადი კანონის მეხუთე მუხლის შინაარსი და ამ საფუძველზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმად სენატის უფლებამოსილების ვადა ნაცვლად ექვსი წლისა, ისევე როგორც მეჯლისისა, ორი წლით განისაზღვრა⁸⁶. კანონი მეჯლისის დეპუტატების ხმების უმრავლესობით მიიღეს. ეს შაჰის კარის და მის გარშემო თავმოყრილი რეაქციული ძალების სერიოზული მარცხი იყო. ამის შემდეგ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე სენატის სხდომები არ ჩატარებულა, რაც მის დროებით ლიკვიდაციას ნიშნავდა. შემდეგში 1954 წელს მხოლოდ მ. მოსადეყის მთავრობის დამხობისა და გენერალ ფ. ზაჰედის მთავრობის შექმნის შედეგად გახდა შესაძლებელი XVIII მოწვევის მეჯლისის გადაწყვეტილებით სენატის საქმიანობის აღდგენა⁸⁷.

თავდაპირველად მთავრობის წინადადებით ან შაჰის ფირმანით სენატორებს შეეძლოთ თანამდებობა დაეკავებინათ სახელმწიფო დაწესებულებებში ხელფასის გარეშე. მაგრამ 1951 წლის ოქტომბრიდან ასეთი პრაქტიკა აიკრძალა. სენატორები საერთოდ მაღალ ხელფასებს იღებდნენ. მათი ხელფასის დადგენა ხდებოდა ყოველი წლის დამ-

⁸⁵ М. Д. Миланин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 97.

⁸⁶ ძირითადი კანონი... გვ. 33, მუხ. 5.

⁸⁷ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 38; М. Д. Миланин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 99.



დევს. სენატის თავმჯდომარე რიგით სენატორზე ორჯერ მეტ ანაზ ურეზას იღებდა⁸⁸.

⁸⁸ М. Д. Миланин, *დასახ ნაზრ.*, გვ. 100.

სენატის დროებითი წესდება, რომელიც მეჯლისის წესდებიდან იყო ნასესხები, 1950 წლის 11 თებერვალს დაამტკიცეს.

1951 წლის 19 ივნისს გამართულ სენატის სხდომაზე მიიღეს ახალი წესდება, რომელიც 16 თავისა და 186 მუხლისაგან შედგებოდა. იგი თითქმის იმეორებდა მეჯლისის წესდების ძირითად დებულებებს. უკანასკნელი 186-ე მუხლის თანახმად, გათვალისწინებული იყო სენატისა და მეჯლისის ერთობლივი კომისიის შექმნა პალატებს შორის წამოჭრილი უთანხმოების მოწესრიგების მიზნით. ამასთან სენატის წესდებაში წამოყენებული იყო რეკომენდაცია, რომ მეჯლისსაც მსგავსი პუნქტი შეეტანა თავის წესდებაში. ერთობლივ კომისიას უნდა განეხილა სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთოდ ქვეყნის ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეჯლისის წართმეოდა დამოუკიდებლობა საბიუჯეტო-საფინანსო დარგში⁸⁹.

1955 წლის დამდეგს გამოიყო კომისია, რომელსაც ახალი ცვლილებები უნდა შეეტანა სენატის წესდებაში. ცვლილებათა საერთო აზრი ის იყო, რომ გაეძლიერებინათ სენატის კონტროლი მთავრობის საქმიანობაზე. წესდების 143-ე მუხლის თანახმად, ექვსი სენატორის განცხადება საკმარისი იყო იმისათვის, რომ ნდობის ფოტუმის საკითხი დაესვათ მთლიანად მთავრობის, ან რომელიმე მისი წევრის მიმართ⁹⁰. ყველაფერი ეს გამოხატავდა მმართველი წრეების ზედაფენების მისწრაფებას, რათა გაეფართოებინათ სენატის უფლებამოსილებანი მეჯლისის კომპენტენციების შეკვეცის ხარჯზე და ამ ნიადაგზე განემტკიცებინათ თავისი მდგომარეობა.

სენატორები თავის საქმიანობაში პასუხს აგებდნენ მხოლოდ შაჰის წინაშე. ისინი არასოდეს ხვდებოდნენ ამომრჩეველებს, ანგარიშს არ აბარებდნენ მათ. ამიტომ იყო, რომ ამომრჩეველები სინამდვილეში არჩევნებში არ მონაწილეობდნენ. 1949 წლის ბოლოს ჩატარებული პირველი მოწვევის სენატის არჩევნებში მაშინდელი თეირანის 600 ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 16 280 კაცმა მიიღო მონაწილეობა. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა იყო პროვინციებში. იმავე პირველი მოწვევის სენატის შემადგენლობა მოწმობს, რომ მასში მხოლოდ გაბატონებული ფენების წარმომადგენლებს ეკავათ ადგილი. 50 სენატორიდან 16 იყო მსხვილი მემამულე, 11 ყოფილი მინისტრი და მაღალი რანგის მოხელე, 13 მეჯლისის ყოფილი დეპუტატი, 9 მსხვილი მრეწველობისა და ვაჭრობის წარმომადგენელი, 5 გენერალი და 6 მაღალი ისლამური წრეების წარმომადგენელი.

⁸⁹ М. Д. Миланян. დასახ. ნაშრ., გვ. 101.

⁹⁰ იქვე, გვ. 102.

ამიტომ იყო, რომ ქვეყნის პროგრესული ძალები არსებული რეჟიმის შეცვლის, სახელმწიფო წყობილების დემოკრატიზაციისა და მართვა-გამგებლობაში მოსახლეობის მშრომელი უმრავლესობის წარმომადგენლების მონაწილეობისათვის იბრძოდნენ.

საარჩევნო სისტემა

ირანში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების შექმნასთან ერთად ადგილი ჰქონდა თანამედროვე საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების ცდებს. 1906 წლის აგვისტოში მეჯლისის დაარსების შესახებ შაჰის ფირმანის გამოცემას მოჰყვა პირველი საარჩევნო კანონის შედგენა, რომელიც იმავე წლის 8 სექტემბერს დაამტკიცეს. პირველი საარჩევნო კანონი, რომელიც ირანის ნახევრად ფეოდალური, ნახევრად პატრიარქალური საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას უმყარებოდა, ორსაფეხურიან კურიალურ სისტემას აწესებდა. პირდაპირი არჩევნები მხოლოდ დედაქალაქში ტარდებოდა. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ შემდეგი ექვსი კურიის წარმომადგენლებს: უფლისწულებს და ყაჯართა დინასტიის წევრებს, არისტოკრატებს, სასულიერო წრეებს, ვაჭრებს, მიწათმფლობელებსა და ზელოსნებს⁹¹. თითოეულ კურიას მხოლოდ თავისი კანდიდატურა უნდა წამოეყენებინა.

დაწესებული იყო საარჩევნო ცენზები. მიწათმფლობელებს საკუთრებაში უნდა ჰქონოდათ არანაკლებ ათას თუმნად ღირებული მიწა, ვაჭრებს — კანტორა, ხოლო ზელოსნებს — სახელოსნო. უფლისწულებს, არისტოკრატებისა და სასულიერო წოდების წარმომადგენლებს ქონებრივი ცენზი არ ეხებოდათ⁹². ამომრჩეველი რწმენით მუსლიმანი უნდა ყოფილიყო. სხვა რელიგიის წარმომადგენელი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდა⁹³. საარჩევნო კანონი საკმაოდ მაღალ ასაკობრივ ცენზს ადგენდა. ამომრჩევლის ასაკის მინიმუმი 30, ხოლო მაქსიმუმი 70 წელი იყო⁹⁴.

საარჩევნო ხმის უფლება არ ჰქონდათ ბანკროტებს, მკვლელებს, ქურდებს და სისხლის სხვა დამნაშავეებს, ისლამის საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის მსჯავრდადებულებს, სამხედრო მოსამსახურეებს და ქალებს⁹⁵.

91 ყ ა ს ე მ ზ ა დ ე, ძირითადი უფლებები, თეირანი, 1955, გვ. 379.

92 იქვე.

93 იქვე.

94 იქვე, გვ. 380.

95 იქვე.

პირველი საარჩევნო კანონი ითვალისწინებდა ქვეყანაში (გარდა თეირანისა) 12 საარჩევნო ოლქის შექმნას. ამ ოლქებიდან 96 დეპუტატი უნდა აერჩიათ მაშინ, როცა მარტო დედაქალაქიდან 60 დეპუტატის არჩევა იყო გათვალისწინებული. ამასთან, კანონში აღნიშნული იყო, რომ მეჯლისის სხდომა შედგებოდა თეირანში არჩევნების დამთავრებისთანავე, ისე რომ არ დაელოდებოდნენ პროვინციებში დეპუტატების არჩევას. ეს იმიტომ, რომ პროვინციებში მოსალოდნელი იყო არჩევნების გაჭიანურება. არც ტრანსპორტის მაშინდელი საშუალებები იძლეოდა დეპუტატების დედაქალაქში დროული ჩასვლის შესაძლებლობას⁹⁶. დრო კი არ ითმენდა. რეაქცია ცდილობდა ჩაეშალა არჩევნები და მეჯლისის მოწვევა. პირველი მოწვევის მეჯლისი საარჩევნო კანონის გამოცემიდან ერთი თვის შემდეგ შეიკრიბა.

ახალი (რიგით მეორე) საარჩევნო კანონი 1909 წლის 18 ივნისს დაამტკიცეს. ეს ის დრო იყო, როცა გილანელი რევოლუციონერებისა და ბახთიარების რაზმები დედაქალაქს უტევდნენ და რეაქციონერი შაჰის მუჰამედ ალის ბედი ბეწვზე ეკიდა. აჯანყებული ხალხი კონსტიტუციისა და პარლამენტის აღდგენას მოითხოვდა. ასეთ პირობებში შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. იგი ხალხს შეპირდა, რომ ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე მეჯლისის არჩევნებს მოაწყოდა. მაგრამ საარჩევნო კანონის დამტკიცებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, როცა შაჰი ჩამოაგდეს.

საარჩევნო კანონის პირველი მუხლი 120-ით განსაზღვრავდა მეჯლისის დეპუტატების რაოდენობას. ახლა არჩევნები უნდა მოწყობილიყო სამაზრო ცენტრებში, სადაც ამომრჩევლები სოფლებიდან მოვიდოდნენ. გაუქმდა კურიალური სისტემა. შემოიღეს ორსაფეხურიანი არჩევნები ცენტრსა და პერიფერიებში. პირველ ტურში არჩევნების შედეგები ჯამდებოდა ამომრჩეველთა ხმების შეფარდებითი უმრავლესობის საფუძველზე. მეორე ტურში ამისათვის ხმების აბსოლუტური უმრავლესობა იყო საჭირო. ვინც პირველ ტურშივე მიიღებდა ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, უკვე არჩეულად ითვლებოდა (მუხ. 18)⁹⁷. კანონში კვლავ შენარჩუნებული იყო საკმაოდ მაღალი საარჩევნო ცენზები. სოფლის ამომრჩეველი უნდა ყოფილიყო მესაკუთრე მიწისა, რომლის ღირებულება არანაკლებ 250 თუმანი იქნებოდა. ამომრჩეველს მიწიდან შემოსავალი სულ მცირე 50 თუმანი უნდა ჰქონოდა და გადაეხადა მინიმუმ 10 თუმანი გადასახადი. აქვე

⁹⁶ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 33, მუხ. 4; М. Д. Миланнан, დასახ. ნაშრ., გვ. 70; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 15—24.

⁹⁷ М. Д. Миланнан, დასახ. ნაშრ., გვ. 71; ძირითადი კანონის დამატება საარჩევნო კანონის დართვით.

უნდა აღინიშნოს, რომ, თუ პირველ კანონში ამომრჩეველთა შორის გლეხები არ იყვნენ მოხსენიებული, ახალ კანონში სიტყვით საარჩევნო უფლება ეძლეოდათ გლეხებს, მაგრამ ქონებრივი ცენზი ამის შესაძლებლობას მხოლოდ მათ უმნიშვნელო ნაწილს აძლევდა, ვინაიდან გლეხების დიდი უმრავლესობა უმიწაწყო იყო, ხოლო ვისაც მიწა ჰქონდა, ნაკვეთი ისეთი მცირე იყო, რომ დაწესებული ქონებრივი ცენზის პირობებს ვერ აკმაყოფილებდა.

საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ქვეყნის ტერიტორიაზე 30 საარჩევნო ოლქი იქმნებოდა. ოლქებში ყალიბდებოდა საარჩევნო კომიტეტები, რომლებშიც შედიოდნენ ადგილობრივი მმართველი ან მისი წარმომადგენელი (ქარგოზარი — კანცელარიის გამგებელი), სასულიერო პირი, უფლისწული, ფეოდალური არისტოკრატის (აშრაფი) ერთი და ვაჭართა გილდიის ორი წარმომადგენელი.

ეს საარჩევნო კანონი, რომელმაც კურიალური სისტემა გააუქმა და გლეხობის მცირე ნაწილს საარჩევნო უფლება მისცა, აგრეთვე ასაკობრივი ცენზი 30-დან 25 წლამდე შეამცირა, გარკვეულად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. საარჩევნო კანონში პოზიტიური იყო ისიც, რომ ხუთ მომთაბარე ტომს — თურქმენებს, შაჰისევენებს, ხამსეს, ყაშყალებს და ბახთიარებს, თითო დეპუტატის არჩევის უფლება მიეცათ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ, აგრეთვე, რელიგიურ უმცირესობებს — ქრისტიანებს, ებრაელებს, ზაროაშთრას კულტის მიმდევრებს. კანონის თანახმად, შაჰის ძმები და ბიძები მამის მხრიდან მეჯლისში არ უნდა აერჩიათ⁹⁸.

მაგრამ საარჩევნო კამპანიის დროს ადგილი ჰქონდა ფალსიფიკაციისა და ბოროტმოქმედების შემთხვევებს. არჩევნებში ამომრჩეველთა მხოლოდ მცირე ნაწილი მონაწილეობდა. მეორე მოწვევის მეჯლისში, რომლის არჩევნები ახალი საარჩევნო კანონის საფუძველზე მოეწყო, ძირითადად აირჩიეს ფეოდალური არისტოკრატის, მაღალი სასულიერო წრეების, მსხვილი მემამულეების, ვაჭრებისა და შეძლებული ხელოსნების წარმომადგენლები. მეჯლისში არცერთი ადგილი არ ერგო მოსახლეობის მშრომელ ნაწილს — მუშებსა და გლეხებს. ამიტომ სახალხო გამოსვლების დროს, რაც კვლავ გრძელდებოდა, საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის მოთხოვნა ერთ-ერთი მთავარი რევოლუციური ლოზუნგი იყო.

სახალხო მოთხოვნების გავლენით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მეჯლისში დააყენეს საკითხი ძველი სა-

⁹⁸ М. Д. Миланин, *დასახ. ნაშრომი.*, გვ. 72; მ. რაჰიმი, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 164.

არჩევნო კანონის გაუქმებისა და ახალი კანონის დამტკიცების შესახებ. ახალი საარჩევნო კანონი მეჯლისმა მიიღო 1911 წლის 22 ოქტომბერს. მასში მხოლოდ ზოგიერთი დემოკრატიული ელემენტი შეიტანეს. ვაუქმდა ქონებრივი ცენზი და დაწესდა პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით. მეჯლისის დეპუტატების რიცხვი 120-დან 136-მდე გაიზარდა. სამაგიეროდ, დეპუტატების კანდიდატებისათვის დაადგინეს ბინადრობის ცენზი, რაც ექვსი თვის მანძილზე ერთ ადგილზე ცხოვრებას ითვალისწინებდა⁹⁹.

1928 წელს მეექვსე მოწვევის მეჯლისში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც რამდენიმე შესწორება შეიტანა 1911 წლის საარჩევნო კანონში. კომისია მოითხოვდა შემოეღოთ განათლების ცენზი, რაც ფაქტიურად საარჩევნო უფლებას ართმევდა ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა. მაგრამ ეს შესწორება მეჯლისის დეპუტატების უმრავლესობის მოთხოვნით განსახილველად არ გაუტანიათ¹⁰⁰.

შემდეგში საარჩევნო კანონში ცვლილებები შეიტანეს რამდენჯერმე 30, 40 და 50-იან წლებში. ამ დროს კანონიდან ბევრი დემოკრატიული დებულება ამოიღეს. აქ ერთხელ კიდევ გამოვლინდა მმართველი წრეების მისწრაფება, რომ რაც შეიძლება კანონი თავიანთი ინტერესებისათვის მიესადაგებინათ. ყველაფერი ეს ისეთნაირად კეთდებოდა, რომ სიტყვით, ე. ი. ფორმალურად რეკლამას უწევდნენ საყოველთაო-საარჩევნო სისტემას, ფაქტიურად კი, მრავალი შენიშვნა-შეზღუდვის შედეგად, საარჩევნო უფლება მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს ეძლეოდა. ამასთან ერთად, ირანი კვლავ რჩებოდა მსოფლიოს იმ მცირე ქვეყნების ჯგუფში, სადაც საზოგადოების ნახევარს — ქალებს წარმომეული ჰქონდათ არა მარტო საარჩევნო უფლება, არამედ არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი ადგილი დაეკავებინათ საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში¹⁰¹.

ხმის მიცემის წესი

არჩევნები შემდეგი წესით ტარდებოდა: არჩევნებამდე ხუთი თვით ადრე შაჰი გამოსცემდა ფირმანს საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიმუშავებდა საარჩევნო ინსტრუქციას და გამოსცემდა განკარგულებას საარჩევნო კომისიების შექმნის თაობაზე. არჩევნებამდე სამი თვით ადრე

⁹⁹ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

¹⁰⁰ იქვე; მ. რაჰმეზი, დასახ. ნაშრ., გვ. 164—168.

¹⁰¹ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

ოსთანებში და შაჰრესთანებში ტარდებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა თათბირები, რომელზეც იღებდნენ მოსახლეობისადმი მიმართვას არჩევნებისათვის მზადების შესახებ. ამის შემდეგ ქვეყნდებოდა განცხადება, რომელშიც მითითებული იყო ხმის მიცემის დრო და ადგილი, აგრეთვე ასარჩევ წარმომადგენელთა რაოდენობა¹⁰².

ხმის მიცემის მომენტისათვის თითოეულ ამომრჩეველს თან უნდა ჰქონოდა ბარათი, რომელშიც აღნიშნული იყო მისი რიგითი ნომერი, გვარი, სახელი, მოსაქმეობა და მისამართი. ბარათზე დასმული იყო ბეჭედი და ჰქონდა საარჩევნო კომისიის წევრების ხელისმოწერა. ხმის მიცემა ფარული იყო. სანამ ხმის მიცემისათვის განკუთვნილ დარბაზში შევიდოდა, ამომრჩეველს თავად უნდა შეევსო ბიულეტენი, რომელიც წარმოადგენდა სუფთა, თეთრი ფერის ქაღალდის ფურცელს. ბიულეტენზე მას დებუტატობის კანდიდატის გვარი და სახელი უნდა დაეწერა. ბუნებრივია, ამას წერა-კითხვის უცოდინარი ამომრჩეველი ვერ შეძლებდა. ასეთ შემთხვევაში ბიულეტენი უნდა შეევსო სხვას, რომელსაც მასში მისთვის სასურველი კანდიდატის გვარი ექპონდა. ბიულეტენის ურნაში ჩაშვების შემდეგ ამომრჩევლის ბარათი უქმდებოდა. ხმის მიცემა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ხმის მიცემაზე ზედამხედველობის კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და ამომრჩეველთა წარმომადგენლების თანდასწრებით ხსნიდა ურნას და ხმებს ითვლავდა¹⁰³.

ირანში არ შეინიშნებოდა წინასაარჩევნო ბრძოლა იმ სახით, როგორც დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებში ჰქონდა და აქვს ადგილი. ეს იმიტომ, რომ აქ არ არსებობდა მსხვილი პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც შეეძლოთ წამოეყენებინათ თავიანთი საარჩევნო პროგრამა. საყოველთაო უმცირესობისა და ამომრჩეველთა პოლიტიკური პასიურობის ვითარებაში მმართველი წრეები საარჩევნო კანონის აშკარა დარღვევით იოლად ახერხებდნენ თავიანთი კანდიდატების გაყვანას, როგორც ამის შესახებ არაერთხელ აღნიშნულა ირანის პრესაში. ზოგჯერ დარღვევები ისეთ უხემ ხასიათს იღებდა, რომ მთავრობა იძულებული იყო უკვე ჩატარებული არჩევნები გაეუქმებინა. ასე იყო, მაგალითად, 1949 წელს XVI მოწვევის მეჯლისის არჩევნების დროს¹⁰⁴.

¹⁰² Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

¹⁰³ იქვე. გვ. 29.

¹⁰⁴ История Ирана. М., 1977, с. 378.

60-იანი წლების დამდეგს, რეფორმების დაწყებასთან დაკავშირებით, მმართველი წრეები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ძველი საარჩევნო სისტემა საშუალებას აძლევდა მსხვილ ნახევრად ფეოდალ მემამულეებს თავიანთი კანდიდატები გაეყვანათ მეჭლისში და საბოტაჟი გაეწიათ გარდაქმნების პროგრამის, უწინარეს ყოვლისა, მიწის, რეფორმის განხორციელებისათვის. შაჰმა გამოიყენა კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და 1961 წლის 9 მაისს XX მოწვევის მეჭლისი დაითხოვა. იმავე წლის 1 სექტემბერს ირანელი ხალხისადმი თავის მიმართვაში მან განაცხადა, რომ გასცა განკარგულება შეიმუშაონ ახალი საარჩევნო კანონი, ვინაიდან მოქმედი 1911 წლის 22 ოქტომბრის კანონი უკვე მოძველდა და აღარ შეესაბამება ქვეყანაში შექმნილ ახალ ვითარებას¹⁰⁵.

1963 წლის 26 იანვარს (6 ბაჰმანს) სახალხო რეფერენდუმზე გამოტანილ ექვს პუნქტს შორის შაჰმა ერთ-ერთ (მეხუთე) პუნქტად წარმოადგინა საარჩევნო სისტემის რეფორმა¹⁰⁶. ამ პუნქტის საფუძველზე მთავრობამ შეადგინა საარჩევნო კანონპროექტი, რომელიც ცვლიდა არჩევნების ძველ წესს და სინამდვილეში ახალ საარჩევნო კანონს წარმოადგენდა. საარჩევნო კანონი შაჰმა 1963 წლის 6 მარტს დაამტკიცა¹⁰⁷.

წიგნში „თეთრი რევოლუცია“ შაჰი საგანგებოდ ლაპარაკობდა ახალი საარჩევნო კანონის მნიშვნელობაზე. ახალი საარჩევნო კანონის მიღებამდე, — აღნიშნავდა შაჰი, — „კონსტიტუცია მოკლებული იყო მის ნამდვილ აზრს, ვინაიდან არა მარტო ქვეყნის მოსახლეობის ნახევარს, ე. ი. ქალებს, ჰქონდათ წართმეული საარჩევნო უფლება, არამედ დანარჩენ მეორე ნახევარს შორის სინამდვილეში მხოლოდ გავლენიან პირებს — მემამულეებს, კაპიტალისტებს და საერთოდ იმათ, ვინც გაბატონებულ კლასებს ეკუთვნოდნენ, — საკუთარ ხელში ეპყროთ მეჭლისი. საარჩევნო საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ არცერთ უბრალო გლეხს, მიწის წვრილ მესაკუთრეს, თუ მუშას არასოდეს შეეძლო ყოფილიყო დეპუტატი, რადგან მათი უმრავლესობა უმეცარი იყო. გავლენიანი პირების გარკვეული ნაწილი ხმებს ყიდულობდა“¹⁰⁸.

105 „ქეიჰანი“, 1961 წლის 2 სექტემბერი.

106 მოკამედ რეზა ფეჰლევი, თეთრი რევოლუცია, თერანი, 1967. გვ. 103—119 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: თეთრი რევოლუცია.

107 იქვე, გვ. 107.

108 იქვე, გვ. 103.

რით შეიძლება აეხსნათ ირანის სინამდვილის ეს შაჰისეული აღკარება?

საქმე ის არის, რომ ომის შემდგომ პერიოდში აზვირთებულ გლობალური ცვლილებების ტალღა ირანსაც მიწვდა. ქვეყანა ანტიიმპერიალისტურმა, ანტიფეოდალურმა სახალხო-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა. მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალები მოსახლეობის უუფლებო, დაჩაგრული მწარმოებელი კლასები და ფენები იყვნენ. დემოკრატიული მოძრაობა ირანის აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ ქურთისტანში და სხვა ადგილებში, ანტიიმპერიალისტური გამოსვლები ნავთობის ნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, სახალხო გამოსვლები 50-იანი წლების მეორე ნახევარში მოწმობდა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების შენარჩუნება ძველი მეთოდებით უკვე შეუძლებელი იყო. საარჩევნო სისტემაში არსებითი ცვლილებების შეტანა მთავრობის იმ ღონისძიებათა რიგს განეკუთვნებოდა, რაც აუცილებლად მიაჩნდათ სახალხო მოძრაობის ახალი დამანგრეველი ტალღების შესაჩერებლად.

ახალი საარჩევნო კანონის მთავარი ღირსება ის იყო, რომ კონსტიტუციური მმართველობის თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე ქალებმა პირველად მიიღეს უფლება აერჩიათ და არჩეული ყოფილიყვნენ ქვეყნის პარლამენტში და, ამრიგად, მამაკაცის თანაბრად ადგილი დაეკავებინათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საარჩევნო კანონი შეიცავდა 53 მუხლს და დაყოფილი იყო რვა თავად. მასში ჩამოყალიბებული იყო საერთო დებულებები, ამომრჩეველთა უფლებამოვალეობანი, დეპუტატობის კანდიდატების უფლებამოსილებანი. არჩევნების სამეთვალყურეო კომიტეტი და მისი საქმიანობა, საარჩევნო ბარათები და მათი გამოყენების წესი, ხმების დათვლის წესი, ამომრჩეველთა საჩივრების განხილვა, სხვადასხვა მუხლები¹⁰⁹.

საარჩევნო კანონის მე-14 მუხლში იმ კლასებსა და წოდებებს შორის, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ, აღარ იხსენიებდნენ არისტოკრატებსა და მემამულეებს. არჩევნებში მონაწილეობა შეიძლება მიეღოთ სასულიერო პირებს, მეწარმეებს, ხელოსნებს, მიწათმოქმედებს, მუშებსა და გლეხებს¹¹⁰. *ამრიგად, საარჩევნო კანონში პირველად მოიხსენიებიან მუშები. მაგრამ კანონი იქვე მიუთითებდა, რომ საარჩევნო კამპანიის ფონდში დეპუტატობის კანდიდატს წინასწარ გარკვეული ფულადი თანხა უნდა შეეტანა, რაც, ცხადია, მუშისა და გლეხის შესაძლებლობას აღემატებოდა¹¹¹.

¹⁰⁹ М. Д. Миланнан, დასახ. ნაშრ., გვ. 75.

¹¹⁰ М. С. Иванов, Иран в 60-70-х годах XX века, М., 1977, с. 210.

¹¹¹ იქვე.

კანონის თანახმად, მეჭლისის დეპუტატების რიცხვი განისაზღვრებოდა ქვეყნის მოსახლეობის ზრდის შესაბამისად იმ ანგარიშით, რომ ყოველ 100 ათას მცხოვრებზე ერთი დეპუტატი უნდა აერჩიათ.

აღრე ჩატარებული არჩევნების დროს ზუსტად არ იყო დადგენილი ამომრჩეველთა რაოდენობა. როგორც თავად შაჰი აღიარებდა, ეს საშუალებას აძლევდა გავლენიან პირებს თავისი წარმომადგენლები გაეყვანათ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში. ამიტომ ახალი კანონი მოითხოვდა ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, მასში საარჩევნო უფლების მქონე ყველა მოქალაქის შეტანას. ამისათვის გათვალისწინებული იყო წინასწარი ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება.

კანონი მოითხოვდა, რომ არჩევნებს საყოველთაო ხასიათი მისცემოდა, ორსაფეხურიანი არჩევნები უნდა შეცვლილიყო პირდაპირით. ხმის მიცემის წესი ფარულ კენჭისყრას ითვალისწინებდა. არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა ყველა მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 20 წელი შეუსრულდებოდა და ცხოვრობდა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას არანაკლებ ექვსი თვისა. მაშასადამე, ახალი საარჩევნო კანონი ძალაში ტოვებდა საკმაოდ მაღალ ასაკობრივ და ბინადრობის ცენზს. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში ირანში მიწის რეფორმის გატარებისა და ინდუსტრიულ განვითარებასთან დაკავშირებით გაძლიერდა მიგრაციული პროცესები, როცა ბევრი გადატაკებული გლეხი ხშირად იცვლიდა ადგილსამყოფელს. ეს გარემოება კი მათ საარჩევნო უფლებას ართმევდა.

საერთოდ, ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, გარდა არასრულწლოვანებისა, საარჩევნო ხმის უფლება არ ჰქონდათ იმათ, ვინც სხვისი მეურვეობის ქვეშ იმყოფებოდა, აგრეთვე, იმ პირებს, რომლებიც ისლამს გადაუდგნენ, ბანკროტებს, გაურკვეველი საქმიანობის პირებს, მკვლელობაში და ქურდობაში მსჯავრდადებულებს ან შარიათის საფუძველზე დასჯილებს, სამხედრო მოსამსახურეებს (გარდა საპატიო ოფიცრებისა), ჟანდარმერიისა და პოლიციის მოსამსახურეებს (თავიანთი სამსახურის რაიონებში), პოლიტიკურ დამნაშავეებს!

საარჩევნო უფლებამოკლებულ პირთა ზოგიერთი კატეგორიის უბრალო ჩამოთვლაც კი მოწმობს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ იყო ჩამოშორებული აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. განსაკუთრებით ისინი, ვინც ოპოზიციაში ედგნენ რეჟიმს, ე. ი. „პოლიტიკური დამნაშავეები“, რომელთა ჯგუფს მიაკუთვნებდნენ ყველა გაფიცულს, სახალხო-დემოკრატიული და განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებს, აღარაფერი რომ არ

ვთქვათ ათეული ათასობით იმ მსჯავრდადებულთა შესახებ, რომლებიც სასჯელს საპყრობილეებსა და გადასახლებაში იხდიდნენ¹¹².

კანონის მე-12 მუხლის თანახმად, დეპუტატობის კანდიდატი უნდა ყოფილიყო დაშვებული რელიგიური უმცირესობების — ქრისტიანების, ებრაელებისა და ლებრებისათვის: 2 დეპუტატს ირჩევდნენ ქრისტიანები, თითოს — ებრაელები და ლებრები. მას მოეთხოვებოდა სპარსულის ცოდნა, გარკვეული გავლენა და ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა მოსახლეობაში. დეპუტატობის კანდიდატის ასაკი 30-დან 70 წლამდე განისაზღვრებოდა¹¹³.

დეპუტატად არ შეიძლება აერჩიათ უფლისწულები (შაჰის შვილები, ძმები და ბიძები მამის მხრიდან), მინისტრები და მათი მოადგილეები, სამთავრობო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, პროკურორები, მოსამართლეები, პროვინციების მმართველები. სახელმწიფო მოხელეებს იმ შემთხვევაში ეძლეოდა უფლება წამოეყენებინათ თავისი კანდიდატურა დეპუტატობაზე, თუ წინასწარ უარს განაცხადებდნენ თავის თანამდებობაზე.

არჩევნებისათვის მზადების ვადები და წესი თითქმის აღრიზდელი რჩებოდა. ახალი ის იყო, რომ პროვინციების მმართველები (ოსთანდარები და ფარმანდარები) საარჩევნო ინსტრუქციის მიღებიდან ხუთ დღეში იწვევდნენ წინასაარჩევნო თათბირს, რომელსაც ესწრებოდნენ ვაჰაბების, ხელოსნების, მუშების, გლეხების და სასულიერო წრეების წარმომადგენლების განსაზღვრული რაოდენობა თითოეული საარჩევნო ოლქიდან. ოსთანდარებსა და ფარმანდარებს შეეძლოთ თათბირზე მოეწვიათ სხვა, მათთვის სასურველი პირები. თათბირი ირჩევდა არჩევნების ჩატარებაზე ზედამხედველობის საოლქო კომიტეტს ცხრა წევრისა და ცხრა კანდიდატის შემადგენლობით, კომიტეტი თავის მხრივ ამოირჩევდა თავმჯდომარეს, მოადგილეს და ოთხ მდივანს¹¹⁴. ამასთან ერთად, იქმნებოდა ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტები, ხოლო იქ, სადაც ადგილობრივი პირობები მათი შექმნის საშუალებას არ იძლეოდა, ოსთანდარი (ფარმანდარი) ნიშნავდა ცხრა სანდო პირს, რომლებიც კომიტეტის ფუნქციას ასრულებდნენ. ადგილობრივი საარჩევნო კომიტეტები საქმიანობას ეწეოდნენ ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელობით და პასუხს აგებდნენ არჩევნების ჩატარების ავ-კარგიანობაზე.

საარჩევნო კანონის 27-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი იყო, რომ არჩევნები მთელ ქვეყანაში ტარდებოდა ერთ დღეს ნაცვლად

¹¹² М. Д. Милашан, დასახ. ნაშრ., გვ. 76.

¹¹³ იქვე.

¹¹⁴ იქვე.

რამდენიმე დღისა და ზოგჯერ მთელი კვირებისა, რასაც ადრე ჰქონდა ადგილი¹¹⁵.

არჩევნების ჩატარებამდე 15 დღით ადრე ადგილობრივ პრესაში ცხადდებოდა არჩევნების ჩატარების თარიღი. ამავე განცხადებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო ცალკეული საარჩევნო ოლქებიდან და უბნებიდან წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატების რაოდენობა, საარჩევნო კომიტეტის მუშაობის ადგილი, არჩევნების მოწყობის წესი. ამასთან მოკლედ განმარტებული იყო მოქალაქეთა საარჩევნო უფლებები და მოვალეობები¹¹⁶.

ხმის მიცემისა და ხმების დათვლის წესი არსებითად ადრინდელი რჩებოდა. მასში მხოლოდ ზოგიერთი ცვლილება იყო შეტანილი. სახელდობრ, ახლა წინასწარ ატარებდნენ ამომრჩეველთა რეგისტრაციას და შემოიღეს საარჩევნო ბიულეტენები. მანამდე, როგორც ვიცით, ამომრჩეველი არჩევნების დროს მისთვის მიცემულ სუფთა ქაღალდზე წერდა იმ დეპუტატობის კანდიდატის გვარსა და სახელს, რომელსაც ხმას აძლევდა.

ახალი საარჩევნო კანონი დაედო საფუძვლად XXI, XXII, XXIII და XXIV მოწვევის მეჭლისის, IV, V, VI, VII მოწვევის სენატისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების (საბჭოები, ანკომანები) არჩევნებს.

ქალის როლის ამაღლება ირანის საზოგადოებაში

ამ არჩევნებში გარკვეულად აისახა ქალების ემანსიპაციის დონე და ხარისხი, რაც განსაზღვრავს თვით მოცემული საზოგადოების ემანსიპაციის დონესა და ხარისხს¹¹⁷.

60-იანი წლების დამდეგამდე ირანელი ქალები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1956 წლის ნოემბერში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შესაბამისად ქვეყანაში აღრიცხული 6 მლნ-ზე მეტი თვითმოქმედი მოსახლეობიდან 576 ათასი იყო ქალი, თვითმოქმედი მამაკაცი კი თითქმის ხუთნახევარი მილიონი¹¹⁸. ეს იმას ნიშნავს,

¹¹⁵ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

¹¹⁶ М. Д. Милагнан, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

¹¹⁷ Правда, 24 июня 1987 года; 60-იან წლებამდე ირანში ქალების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით იხ. შარიათ სავაჯი, ქალებისა და კაცების უფლებრივი უთანასწორობა ისლამში და ირანის კანონმდებლობაში, თეირანი, 1958 (სპარსულ ენაზე).

¹¹⁸ 1956 წლის ირანის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მოკლე ანგარიში, ტ. 4, თეირანი, 1956, გვ. 221 (სპარსულ ენაზე).

რომ ქალები შეადგენდნენ დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ მეათედ ნაწილს. სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის ქალებს მხოლოდ დაბალი რანგის ტექნიკური მუშაკების თანამდებობები ეკავათ. ისინი მეტწილად იყვნენ მისაღების მდივნები, მბეჭდავ-მემანქანეები, დალაგებლები და სხვ.

ვითარება არსებითად შეიცვალა ახალი საარჩევნო კანონის ცხოვრებაში გატარებისა და, საერთოდ, ქალების ემანსიპაციის ღონისძიებათა განხორციელების შემდეგ. უკვე XXI მოწვევის მეჩლისის შემადგენლობაში, რომლის არჩევნები 1963 წელს ჩატარდა, ექვსი ქალი აირჩიეს. ესენი იყვნენ: ნეჰზათ ნაფისი — თეირანის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მეუღლე, შევქეთ მალექ ჯეჰანბანი — მასწავლებელი, ჰაჯარ თარბიათი, ფაროქრუ ფარსაი, ნეიერე ებთეჰაჯ სამი'ი და გეჰრანგიზ დოვლეთშაჰი. ეს უკანასკნელი ქალთა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე იყო. IV მოწვევის სენატში შაჰმა სენატორებად დანიშნა დოქტორი მეჰრანგიზ მანუჩეჰრიანი — ქალადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და დოქტორი შამს ოლ-მოლიექ მოჰასები¹¹⁹. 1967 წლის აგვისტოში ირანის განათლების მინისტრის პოსტი დაიკავა ფაროქრუ ფარსაიმ, რომელიც მანამდე ორი წლის მანძილზე (1965 წლის ივნისიდან) განათლების მინისტრის მოადგილე იყო. ეს მაღალი პოსტი მას შვიდ წელიწადს — 1974 წლამდე ეკავა. ფარსაი პირველი მინისტრი ქალი იყო ირანში¹²⁰.

1964 წლის თებერვლისათვის, ე. ი. ახალი საარჩევნო კანონის გამოცემიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ოფიციალური ცნობებით, ქალები იყვნენ 28 სოფლის მამასახლისი და 2 ქალაქის მუნიციპალიტეტის მეთაური. რამდენიმე ქალი მუნიციპალიტეტის წევრად იყო არჩეული¹²¹. ქალთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიყვანეს უმაღლესი განათლების საბჭოს შემადგენლობაში. როგორც ცნობილია, 1963 წელს შაჰის მიერ წამოყენებული „თეთრი რევოლუციის“ პროგრამაში შეტანილი იყო ჯანმრთელობის დაცვის (სეფაჰ-ე ბეჰდაშთ), სოფლის მეურნეობის განვითარების (სეფაჰ-ე თარვიჯ) და განათლების კორპუსის (სეფაჰ-ე დანეშ) შექმნის კანონპროექტები. ამ კორპუსებში თავდაპირველად იწვევდნენ მხოლოდ იმ სამხედროვალდებულ ვაჟებს, რომლებმაც სათანადო სპეციალური განათლება ჰქონდათ მიღებული. მათ ოთხთვიანი სამხედრო წრთვნის გავლის შემდეგ აგზავნიდნენ თავისსავე სოფლებში წერა-კითხვის შემსწავლელი კურსების ხელმ-

¹¹⁹ М. С. Иванов, Иран в 60--70-х годах XX века, М., 1977, с. 134.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იქვე.

ძღვანელებად, სანიტარული კულტურის და სოფლის მეურნეობის მოწინავე მეთოდების დანერგვა-გავრცელების კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. 1968 წლიდან ამ კორპუსებში ქალიშვილებსაც იწვევენ¹²².

XXII მოწვევის მეჯლისში და V მოწვევის სენატში, რომელთა არჩევნები 1967 წელს მოეწყო, ისევე როგორც წინა მოწვევის დროს, შესაბამისად მეჯლისის ექვსი დეპუტატი და ორი სენატორი ქალი მოღვაწეობდა. შემდეგში ქალების რიცხვი მეჯლისსა და სენატში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1971 წელს არჩეულ XXIII მოწვევის მეჯლისში 268 დეპუტატიდან 16 ქალი იყო, ხოლო VI მოწვევის სენატში სენატორ ქალთა რიცხვი 4-მდე გაიზარდა. უკანასკნელად, 1975 წელს, XXIV მოწვევის მეჯლისში უკვე 20 ქალი აირჩიეს¹²³.

რევოლუციის წინ, 1976 წელს, სახელმწიფოში ირანელ ქალებს ბევრი წამყვანი ადგილი ეკავათ. შეიქმნა ქალთა საქმეების სპეციალური სამინისტრო, რომელსაც ხელმძღვანელობდა მამათა აფხამი. ირანის ელჩად დანიაში დაინიშნა მეპრანგიზ დოვლეთშაპი, რომელიც ადრე მეჯლისის დეპუტატად იყო არჩეული. ქალი იყო მინისტრის ხუთი მოადგილე, 28 ადვოკატი, უმაღლესი სასწავლებლების 1803 პროფესორი და მასწავლებელი, 36 300 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სასწავლებლების მასწავლებელი და აღმზრდელი. ქალები იყვნენ აგრეთვე პროვინციების მმართველები, მუნიციპალიტეტის მეთაურები. აღნიშნულ წელს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში 36 ათასი ქალიშვილი სწავლობდა¹²⁴. ყოველივე ეს დიდი ნაბიჯი იყო ირანელი ქალების ემანსიპაციის გზაზე.

მიუხედავად ამისა, ირანელი ქალები სამოქალაქო უფლებებითა და საოჯახო ურთიერთობაში კვლავ დისკრიმინაციას განიცდიდნენ. ამ მხრივ მამაკაცებთან მათ თანასწორობაზე არა თუ პრაქტიკულად, არამედ თვით ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ირანში მოქმედი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ქალებს უფლება არ ჰქონდათ დაეკავებინათ იურიდიული თანამდებობა, გარდა ადვოკატებისა. ქალთან შედარებით მამაკაცს უპირატესობა ენიჭებოდა მემკვიდრეობის, ქვეშევრდომობისა და ეროვნული კუთვნილების განსაზღვრის დროს. ასევე მამაკაცი სარგებლობდა უპირატესი უფლებით ოჯახში, ქორწინება-განქორწინების, აღიმენტის გადახდის, თუ მეურვის საკითხის გადაწყვეტისას. მამაკაცს უფლება ჰქონდა ნებისმიერი საბაბით განქორწინებულყო ცოლთან მა-

¹²² М. С. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

¹²³ იქვე. გვ. 135.

¹²⁴ იქვე.

შინ, როცა ქალს შეეძლო ეს უფლება განეხორციელებინა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ვერ უზრუნველყოფდა მისი არსებობის საშუალებებს, ან უნარი არ შესწევდა შეესრულებინა ქმრის მოვალეობა, ანდა იყო დავადებული ისეთი განუკურნებელი სენით, რაც ცოლ-ქმრულ ცხოვრებას საფრთხეს უქმნიდა. კანონის საფუძველზე პოლიგამია თუმცა გაუქმებული იყო, მაგრამ მამაკაცს მაინც შეუნარჩუნეს უფლება, რომ შეერთო მეორე ცოლი იმ შემთხვევაში, თუ პირველ ცოლს დაითანხმებდა ამაზე. მეორე ცოლის შერთვის უფლება მამაკაცს ჰქონდა აგრეთვე მაშინაც, თუ პირველი ცოლი უშვილო, ავადმყოფი ან ხანდაზმული იყო. შენარჩუნებული იყო კიდევ სხვა ისეთი პირობები, რაც ქალის ღირსებას ამცირებდა.

1967 წლის მაისში ახალი ცვლილებები შეიტანეს კანონში „ოჯახის დაცვის შესახებ“, რომლის შესაბამისად ამალდა ქალის — დედის როლი და უფლებები ოჯახში. კერძოდ, ოჯახის მეთაურის — მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვების მეურვეობის საქმეში თუ ადრე უპირატესობას მამაკაცს (მამის ხაზით) ანდობდნენ, ახლა ასეთი უპირატესი უფლება დედას ჰქონდა. ამასთან გაძლიერდა დედის პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდაში. მაგრამ კანონი, ზოგიერთი შენიშვნით კვლავ ძალაში ტოვებდა მამაკაცის უფლებას შეერთო მეორე ცოლი¹²⁵.

მეხუთე ხუთწლიანი (1973—1978 წწ.) გეგმით გათვალისწინებული იყო, რომ ხუთწლედის ბოლოს 17,6 მილიონი ქალიდან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმული იქნებოდა 1,8 მილიონი. თუ ქალების ამ საერთო რიცხვს გამოვაკლებთ მცირეწლოვანებს, მრავალშვილიანი ოჯახის დედებს და ხანდაზმულებს, საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული ქალების გათვალისწინებული რაოდენობა ირანის პირობებისათვის საკმაოდ სოლიდური მოჩანს.

ქალები ძირითადად დასაქმებული იყვნენ საფეიქრო, ხალიჩების, ბამბის გამწმენდ, საპნის სახარაშვ საწარმოებში, საოჯახო წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა დარგებში. ქალების შრომის ანაზღაურება მამაკაცების საზღაურის ნახევარსაც არ შეადგენდა. მათი შრომის შემსუბუქებას არსებითი ყურადღება არ ეთმობოდა. მუშა ქალების ბავშვებისათვის იშვიათად იყო შექმნილი საბავშვო ბაგები და ბაღები, ისინი ნაკლებად სარგებლობდნენ სამედიცინო მომსახურებით, არ ეძლეოდათ შვებულებები მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ¹²⁶.

¹²⁵ М. С. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 135

¹²⁶ იქვე, გვ. 138.

მაგრამ 60—70-იან წლებში შაჰის მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს ქალების სოციალური განთავისუფლების საქმეში უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქალმა პირველად შეძლო გამოეხედა შუასაუკუნეობრივი ბნელეთიდან და გარკვეული შესაძლებლობა მიეცა ესარგებლა თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვრებით. ქალების ემანსიპაციის დაწყებული პროცესი გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა ქვეყნის რეაქციული ძალების, განსაკუთრებით, კონსერვატიული შიიტური სასულიერო წრეების მხრივ. მათი თაოსნობით 1963 წლის ივნისში მოეწყო საპროტესტო გამოსვლები და დემონსტრაციები. ისინი მოითხოვდნენ ისლამური ტრადიციების დაცვას და შენარჩუნებას ქალების სტატუსის დადგენის დროს.

ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები. მონარქია

როგორც ვნახეთ, ირანში მონარქიული ინსტიტუტი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მემკვიდრეობითი ფორმა, კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ადრეული დროიდან არსებობდა. ტრადიციის თანახმად, მმართველობის მონარქიული რეჟიმის საწყისად მიღებულია 558 წელი ჩ.წ. აღრიცხვამდე, როცა სამეფო ტახტზე ავიდა ქურუშ (კიროს) აქემენიანი. ხანგრძლივი დროის მანძილზე ქვეყანაში მბრძანებლობდნენ მონათმფლობელური და ფეოდალური აბსოლუტური მონარქიები. 1906 წლის ოქტომბერში დაიწყო, ხოლო 1979 წლის თებერვალში დამთავრდა კონსტიტუციითა და პარლამენტით შეზღუდული მონარქიის არსებობა. 60—70-იან წლებში იგი გარდაიქმნა ნახევრად ფეოდალურიდან ბურჟუაზიულ მონარქიად. ბურჟუაზიულ მონარქიად გარდაქმნის გზაზე შაჰის რეჟიმი ყოველნაირად ცდილობდა ახალ ვითარებას შეეუბნოდა და კონსტიტუციასაც და პარლამენტსაც მოხერხებულად იყენებდა თავისი უფლებამოსილებების გასაფართოებლად.

ირანის პირველი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის მონარქი (შაჰი) წარმოშობით ირანელი და მუსულმანი ((შიიტი) უნდა ყოფილიყო. ტახტზე ასვლისათვის დაწესებული იყო 20 წლის ასაკი. ტახტის მემკვიდრეობით დაკავების უფლება გადაეცემოდა მამაკაცის ხაზით ასაკით უფროს შვილს (ვალიეჰს), რომლის დედა წარმოშობით ირანელი უნდა ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ შაჰს არ ეყოლებოდა მამრობითი სქესის მემკვიდრე, მაშინ ასეთს იგი ამოირჩევდა მმართველი დინასტიის გარეშე პირთაგან, რასაც მეკლისის აუცილებელი თანხმობა ესაჭიროებოდა. შაჰის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მემკვიდრე

სრული 20 წლის ჯერ კიდევ არ იყო, მეჯლისი დაამტკიცებდა რეგენტს, რომელიც აგრეთვე არ შეიძლება ყოფილიყო მმართველი დინასტიის წევრი¹²⁷.

კონსტიტუციის 35-ე მუხლი ავალდებულებდა მონარქს ტახტზე ასვლის წინ კონსტიტუციისა და პარლამენტის ერთგულების ფიცო დაედო მეჯლისში, რასაც, დეპუტატების გარდა, მთავრობის ყველა წევრი უნდა დასწრებოდა. ფიცის დადებადღე შაჰს ტახტის დაკავების უფლება არ ჰქონდა¹²⁸.

მეჯლისში ფიცის დადების ცერემონიალი მონარქის ხელისუფლების შეზღუდვის სიმბოლური აქტი იყო. ამრიგად, იგი ფორმალურად დამოკიდებული იყო პარლამენტსა და მთავრობაზე.

ამასთან ერთად, შაჰს ეკუთვნოდა სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლება. მას ენიჭებოდა, აგრეთვე, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. მასვე უნდა დაემტკიცებინა პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და გადაწყვეტილებები¹²⁹. შაჰის ხელში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების თავისებური თავმოყრა კონსტიტუციაში ასე იყო განმარტებული: სახელმწიფო საქმეებთან დაკავშირებით გამოცემული შაჰის ფირმანები და გადაწყვეტილებები ცხოვრებაში გატარდებოდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მათ შესაბამისი დარგის მინისტრი დაადასტურებდა ხელისმოწერით; ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მინისტრი პასუხს აგებდა ამ დოკუმენტების სისწორეზე. ამასთან, შაჰი თავისუფალი იყო მეჯლისის წინაშე მის მიერ გამოცემულ ფირმანებზე პასუხისმგებლობისაგან, ვინაიდან ეს პასუხისმგებლობა ავტომატურად ეკისრებოდა იმ მინისტრს, რომელიც მას ხელს აწერდა¹³⁰.

შაჰი ითვლებოდა სახელმწიფოს ოფიციალურ მეთაურად. მას შეეძლო გამოეცხადებინა ომი და დაედო ზავი¹³¹. როგორც სახელმწიფოს მეთაური, იგი ამტკიცებდა და გადააყენებდა მთავრობის შემადგენლობას, მაგრამ ეს პარლამენტის მიერ წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა¹³². მოგვიანებით მიღებული უფლებით, მას საგანგებო შემთხვევებში შეეძლო ვეტო დაედო პარლამენტის გადაწყვეტილებებზე. უფრო მეტიც, უფლება ჰქონდა დაეთხოვა პარლამენტი. შაჰი ითვლებოდა ქვეყნის მთელი შეიარაღებუ-

127 ძირითადი კანონი... გვ. 14, მუხ. 37. იხ. აგრეთვე E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

128 ძირითადი კანონი... გვ. 15, მუხ. 39.

129 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 30, მუხ. 49.

130 ძირითადი კანონი... გვ. 16, მუხ. 45.

131 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 39, მუხ. 51.

132 იქვე, გვ. 29, მუხ. 46; შ. რაჰიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 202.

ლი ძალების მთავარსარდლად. სათანადო მინისტრების წარდგენით ნიშნავდა სახელმწიფოს მაღალი სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, პროვინციების მმართველებს, გენერალურ პროკურორს და უმაღლეს მოსამართლეს, აგრეთვე დიპლომატიურ, სახედრო, სავაჭრო და კულტურულ წარმომადგენლებს უცხოეთის ქვეყნებში. სახელმწიფოს სახელით ეწეოდა მოლაპარაკებას უცხო ქვეყნებთან, დებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. იღებდა უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩებსა და სხვა წარმომადგენლებს, ამტკიცებდა მათი რწმუნების სიგელებს. აჯილდოებდა სახელმწიფო ორდენებით და სხვა ჯილდოებით. მისი სახელითა და გამოსახულებით ჭრიდნენ მონეტებს. მას ჰქონდა ყოველგვარი ბაჟებისა და გადასახადებისაგან მოქალაქეთა განთავისუფლების უფლება. შეეძლო შეეწყალებინა მსჯავრდებულნი, ან შეემსუბუქებინა სასჯელი.

ასე რომ, კონსტიტუციური შეზღუდვები სინამდვილეში ფორმალურ ხასიათს ატარებდა და შაჰის ფართო უფლებამოსილებანი ბევრად არაფრით განასხვავებდა მას აბსოლუტური მონარქებისაგან. ამიტომ როგორც გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ 1975 წლის 30 სექტემბრის ნომერში მართებულად წერდა: „გარდა ირანისა, თანამედროვე მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ შეიძლება მიესადაგოს ლუდოვიკ XIV-ს ცნობილი გამოთქმა: „სახელმწიფო—ეს მე ვარ“, როგორც მისი იმპერატორული უდიდებულესობა შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევით მთელი სერიოზულობით აღიარებს, იგი ჭეშმარიტად განასახიერებს სახელმწიფოს“¹³³.

ირანში ფეოდალური წყობის ნაშთების თანდათანობით ლიკვიდაციისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამკვიდრებასთან ერთად მტკიცდებოდა ახალი კლასის — ბურჟუაზიის პოზიციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შესაბამისად მონარქიაც, როგორც სახელმწიფო მმართველობის ძველი ფორმა, ცვლილებებს განიცდიდა. იგი სულ უფრო მეტად იძენდა ბურჟუაზიულ შინაარსს. ძლიერდებოდა შაჰის სასახლის როლი და გავლენა სახელმწიფოში. ფეჰლევთანა დინასტიის დიდი ოჯახი, რომლის წევრთა რაოდენობა ექვს ათეულს ჰკარბობდა, თანდათან შეეზარდა და შეუხისხლხორცდა კაპიტალისტურ სამრეწველო და ფინანსურ ოლოგარქიას, რომელიც მონოპოლისტურ ტენდენციებს ამჟღავნებდა.

ირანის უმსხვილეს კაპიტალისტებს შორის წამყვანი ადგილი ეკავა ფეჰლევის ოჯახის წევრებს, რომლებსაც, ზოგიერთი ცნობით,

¹³³ მოტანილია მ. ივანოვის წიგნიდან: *Иран в 60—70-х годах XX века*, М., 1977, с. 208.

აქციები ჰქონდათ 17 ბანკსა და სადაზღვევო კომპანიაში, 25 მეტალურ-გიულ საწარმოში, 10 სამშენებლო მასალების მწარმოებელ დაწესებულებაში, 45 სამშენებლო ფირმაში, 45 კვების მრეწველობის საწარმოში, 26 სავაჭრო დაწესებულებაში და ქვეყნის თითქმის ყველა მსხვილ ოტელში, ზოგიერთი ეს აქცია ფეპლევის ოჯახს ამერიკის კორპორაციებთან ერთად ეკუთვნოდა¹³⁴.

ფეპლევთან და დინასტია, რომლის ხელში იყო თავმოყრილი სახელმწიფო ხელისუფლების სადავეები, სტიმულს აძლევდა მსხვილ ბურჟუაზიის ჩამოყალიბებას და ამით ხელს უწყობდა წარმოების კონცენტრაციას, სამრეწველო და საბანკო კაპიტალის შეერთებას. ეს განაპირობებდა არაბუნებრივი ტენდენციების წარმოქმნას ირანის საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ვითარდებოდა არა „ქვემოდან“ კუსტარული და ნახევრად კუსტარული საწარმოების კაპიტალისტურად გარდაქმნის გზით, არამედ „ზემოდან“ შაჰის ღონისძიებების შედეგად. ყოველივე ეს გზას უკეტავდა „ქვემოდან“, ე. ი. ბუნებრივი გზით კაპიტალიზმის განვითარებას. აქ იკვანძებოდა წინააღმდეგობანი მოდერნისტულ და ტრადიციულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებებსა და მათთან დაკავშირებულ სოციალურ ჯგუფებს შორის, რაც რევოლუციური კრიზისის წინაპირობა იყო.

ფეპლევთან ოჯახი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ რაც შეიძლება მეტი პრივილეგიები მოეპოვებინა და განემტკიცებინა თავისი ხელისუფლება, რისთვისაც განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა 1953 წლის აგვისტოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებისა და მოჰამედ მოსადეყის მთავრობის გზიდან ჩამოცილების შემდეგ. შაჰის ოჯახის წევრები მსხვილ ბურჟუაზიასთან და ქვეყნის გავლენიან წრეებთან კავშირს ეძებდნენ არა მარტო საქმიანი, არამედ ნათესაური ურთიერთობის დამყარების გზითაც. ამ მიზნით შაჰმა თავისი ქალიშვილი პირველი ცოლიდან შერთო გენერალ ფაზულა ზაჰედის შვილს არდეშირს; ეს ის გენერალი ზაჰედია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს პროფაშისტური მოღვაწეობისა და პიტლერულ გერმანიასთან დანაშაულებრივი კავშირის გამო ციხეში იჯდა, ხოლო შემდეგ გადამწყვეტი როლი შეასრულა მ. მოსადეყის ანტიიმპერიალისტური მთავრობის დამხობაში. შაჰის სიძე არდეშირ ზაჰედი 70-იანი წლების ბოლოს ირანის ელჩი იყო ვაშინგტონში და ბევრს იღვწოდა სიმამრის ტახტის გადასარჩენად. შაჰის ერთ-ერთი ძმა აჰმედ რეზა დაქორწინებული იყო უმდიდრესი ირანელის —

¹³⁴ С. Л. Агаев, Иран в прошлом и настоящем, М., 1981, с. 167.

მეპტი ბუშეპრის ქალიშვილზე. მეორე ძმას ჰემიდ რეზა ფეპლევის ცოლად ჰყავდა ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მანუჩერ ეყბა-ლის (70-იან წლებში იგი ირანის ეროვნული ნავთობის კომპანიის დირექტორიც იყო) ქალიშვილი. შაპის და შამსა განათლების მინისტრ ფეპლბოდას მეუღლე იყო. მეორე და ფათემე ფეპლვეი გათხოვილი იყო ირანის საპაერო ძალების მთავარსარდალ კორპუსის გენერალ ჰათემზე. შაპის ტყუპისცალი და აშრაფ ფეპლვეი აგრეთვე ქვეყნის ერთ-ერთი გავლენიანი პირის მეუღლე იყო. ცნობილია, რომ აშრაფ ფეპლვეი ტოლს არ უდებდა თავის მონარქ ძმას ძვირფასი სასახლეებითა და ზღაპრული სიმდიდრით. შაპის ოთხ ძმას სახელმწიფო აპარატში უმაღლესი თანამდებობები ეკავათ¹³⁵.

ირანის უქანსკენელი შაპი მოჰამედ რეზა ფეპლვეი, რომელიც „განათლებული მონარქის“ რეპუტაციით სარგებლობდა, თავის წიგნებში: „სამშობლოსათვის სამსახური“ („მამურიათ ბარაი-ე ვათან ამ“), „თეთრი რევოლუცია“ („ენყელაბ-ე საფიდ“) და „უმაღლესი ცივილიზაციისაკენ“ („ბესუ-იე თამადონ-ე ბოზორგ“), რომლებიც შესაბამისად 1960, 1967 და 1977 წლებში გამოაქვეყნა, როგორც ითქვა, ყოველნაირად ცდილობდა „დაესაბუთებინა“ ირანული ფენომენის თავისებურება, სადაც, თითქოს, მონარქია მყარ ნიადაგზე დგას და, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა, თითქოს მარადიული და შეურყეველია. შაპი წერდა, რომ „ირანელი ხალხის უძველესი ტრადიცია შაპის პიროვნებისა და მონარქიული მმართველობის პატივისცემაში გამოიხატებოდა“¹³⁶. ამასთან იგი იმოწმებდა დანიელ ორიენტალისტ კრისტენსენს და ამბობდა, რომ „ირანის ნამდვილი შაპი ის როდი არის, რომელიც მხოლოდ მეფობს, არამედ უწინარესად ის, რომელიც ხალხის მასწავლებელი და სულიერი მოძღვარია“. ირანის ყოფილი სიუზერენის აზრით, შაპი არა მარტო გზების, საგუბრების მშენებლობას და მინდვრების დაწყლულების სამუშაოებს ხელმძღვანელობს, არამედ ხალხის თვით სულს, გულსა და აზრს წარმართავს. ამიტომ მონარქი ხალხის ნდობით სარგებლობს. მას წეუძლია თავისი „მაღალი ღირსებისა“ და „უდიდესი სულიერი სიწმინდის“ წყალობით გაატაროს ისეთი „რადიკალური რეფორმები“, რაც სხვა ქვეყნებში „პირადი თავისუფლების“ აღკვეთისა და რევოლუციური იძულების გზით არის შესაძლებელი“¹³⁷. ამრიგად, შაპს მიაჩნდა, რომ იგი უსისხლოდ და უმტკივნეულოდ აკეთებდა იმას, რასაც სხვაგან მრავალი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. ამიტომ აცხადებდა

¹³⁵ М. Д. Миланин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 31.

¹³⁶ თეთრი რევოლუცია, გვ. 8.

¹³⁷ იქვე.

იგი ე. წ. „თეთრ ანუ უსისხლო რევოლუციას“ „შაპისა და ხალხის“ რევოლუციად. შაპს არა მარტო „ალაპის მიწიერ აჩრდილად“, არამედ „ერის ერთიანობის“ სიმბოლოდაც წარმოსახავდნენ.

ირანელი ხალხის ერთიანობის, მისი ღმერთთან დამაკავშირებლის სიმბოლოდ მონარქის წარმოსახვის კონცეფციებს განსაკუთრებით მოარული ხასიათი შაპის ინიციატივით რეფორმებზე გატარების წლებში მიეცა. ამ სტრატეგიების ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა 1973 წელს სპეციალისტების ჯგუფთან ერთად ირანში ყოფნის დროს ენაბა აღნიშნული იდეის ამსახველი თვალსაჩინოებანი. როცა ის ფაჰანიდან საბჭოთა კავშირის მიერ აგებულ მეტალურგიულ კომბინატში მივემგზავრებოდით, გზის ერთ მხარეს მთის ფერდობზე თვალსაჩინო ადგილას დავინახეთ კირით შეღებილი რიყის ქვებისაგან გაკეთებული უზარმაზარი წარწერა: „ხოდა, შაპ, მარომ“ („ღმერთი, შაპი, ხალხი“). გიდმა აგვიხსნა, რომ ასეთ ლოზუნგებს ახლა ყველგან აკეთებენ, რათა ხალხი გაესვათ შაპის დიდი პოპულარობისათვის. მაშინ გაზეთები ფართოდ წერდნენ მონარქის ქველმოქმედებასა და ჰუმანურობაზე. ამის მაგალითად იყენებდნენ იმ ფაქტს, რომ შაჰმა ჯერ კიდევ 1951 წლის იანვარში გამოაცხადა მამისაგან დანატოვარი მამულების (2100 სოფლის მიწები) გლეხებს შორის განაწილებისა და ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად „ფეჰლევის ფონდის“ („ბონიად-ე ფეჰლევი“) შექმნის შესახებ. სინამდვილეში, როგორც ირანის ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს, შაჰმა ამ მიწებიდან მხოლოდ დაახლოებით მეოთხედი (519 სოფლის მიწები) დაანაწილა გლეხობას შორის და თანაც საკმაოდ ძვირი გამოსასყიდით. მოგვიანებით გამოაცხადა, რომ ამ მიწების ნახევარს იგი უანდერძებდა თავის მემკვიდრე რეზას. რაც შეეხება დანარჩენ 500-ზე მეტი სოფლის მიწებს, ამის თაობაზე არავითარი სტატისტიკა არ გამოქვეყნებულა.

ფეჰლევიანთა ოჯახის წევრებს მრავალი სასახლე, ვილა, აგარაკი და სხვა უძრავი ქონება ეკუთვნოდათ როგორც ირანში, ასევე საზღვარგარეთ: შვეიცარიაში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში. დასავლეთის პრესის მონაცემებით, ეს ქონება, აგრეთვე უცხოეთის სხვადასხვა ბანკებში შენახული ანაბრები 56, 6 მლრდ დოლარს შეადგენდა. აქედან პირადად შაპის ექვსწევრიანი ოჯახის (შაპი, დედოფალი და ოთხი შვილი) ქონება 16 მლრდ დოლარად იყო შეფასებული. უკანასკნელად შაჰმა ინგლისის ერთ-ერთ ავტომშენებელ ფირმას შეუკვეთა უნიკალური ტყვიაგაუმტარი ფეშენებელური ავტომობილი, რომელიც თითქმის ნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდა. მაგრამ მონარქი ვეღარ მოესწრო მის დამთავრებას და გამოყენებას.

შაჰის ავტორიტეტის ამალების მიზნით, გარდა „ლეთისწორობის“ იდეის აღორძინებისა, მრავალ სხვა საშუალებას მიმართავდნენ. 1966 წელს, როცა მონარქს ტახტზე ასვლის მეოთხედსაუკუნოვანი იუბილე გადაუხადეს და ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარებაში მისი დამსახურება აღნიშნეს, მმართველმა წრეებმა მეჯლისისა და სენატის გაერთიანებულ სხდომაზე მას „არია მეკრის“ („არიელთა მზის“) ტიტული უბოძეს¹³⁸.

ირანის პრესის ფურცლებზე შაჰის მისამართით ბევრი საქებაარი სიტყვა იწერებოდა. ხაზს უსვამდნენ მის დიდ ღვაწლს არა მარტო რეფორმების გატარებაში, არამედ იმაშიც, რომ მან ქვეყანაში შექმნა „ქემმარტი დემოკრატიული ატმოსფერო“¹³⁹, რომ შაჰი თავისი ბუნებით „დემოკრატიული“ მმართველია და სხვ. პრემიერ-მინისტრი ა. ჰოვეიდა თავის გამოსვლებში შაჰს „დემოკრატის“ სახელთან ერთად „რევოლუციონერის“ ეპითეტიც ამკობდა. ამასთან იგი „ამტკიცებდა“, რომ ყველა მონარქი როდი იყო რევოლუციონერი. რევოლუციონერი, თითქოს, მხოლოდ ირანის მონარქია, რომელიც შეისისხლხორცებული იყო ხალხთან და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა.

1971 წლის ოქტომბერში ქვეყანაში ფართო მასშტაბით და საზეიმო ვითარებაში აღინიშნა მონარქიის დაარსების 2500 წლისთავი. საიუბილეო ზეიმზე მოიწვიეს სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურები. ზეიმის ადგილად სიმბოლურად შეარჩიეს აქემენიანთა ძველი სატახტო ქალაქი პერსეპოლისი, რომლის ნანგრევები შირაზიდან ჩრდილო-დასავლეთით 56 კმ-ზე მდებარეობს. ზეიმის ორგანიზაციასა და ჩატარებაზე უზარმაზარი თანხები დაიხარჯა. სტუმრები მოათავსეს მდიდრულად მოწყობილი საველე ქალაქის კარებში, რაც მარვდაშთის ველზე იყო მოწყობილი. ზეიმი ირანის მონარქიის „უკვდავების“ ნიშნით ჩატარდა. მონაწილეებს გადაეცათ რ. გირშმანის, ვ. მინორსკის და რ. სანგვის ფართოფორმატიანი დიდებულად ილუსტრირებული წიგნი „სპარსეთი — უკვდავი სამეფო“¹⁴⁰.

ირანის სასახლის ისტორიკოსი, მონარქიის მეხოტბე, წარმოშობით ინდოელი რ. სანგვი, რომელიც დასახელებულ წიგნში ირანის უახლესი ისტორიის პერიოდს განიხილავს, ცდილობდა „მონარქიული სისტემა“ ირანის საზოგადოების დამახასიათებელ თავისებურებად წარმოედგინა¹⁴¹. როცა „ირანის მონარქიის განსაკუთრებულობის“

¹³⁸ „ქეიჰანი“, 1966 წლის 17 სექტემბერი.

¹³⁹ „ქეიჰან ინტერნეიშნლ“, 1969 წლის 6 აგვისტო.

¹⁴⁰ Роман Гиршман, Владимир Минорский, Рамеш Сангви. Персия — бессмертное царство. Лондон, 1971.

¹⁴¹ იქვე, 33- 182.

თავის კონცეფციას განმარტავს, რ. სანგვი წერს: „მონარქიის ინსტიტუტი ირანში სპარსული ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად ჩაისახა. ეს სახელმწიფო არიული ტომების წინამძღოლებმა დააარსეს. იმპერია კიროს ლიდმა შექმნა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 550 წელს. ამის შემდეგ ირანში სახელმწიფო მმართველობის მხოლოდ ერთი ფორმა — მონარქია არსებობდა. ეს სახელმწიფო წყობილება ვერ შეცვალა ვერც არაბთა შემოჭრამ მეშვიდე საუკუნეში, ვერც თურქმანთა ტომებისა და მონღოლების შემოსევებმა. მონარქიისაგან სპარსელი ხალხი ყოველთვის ელოდა მშვიდობას, სიმტკიცეს, ერთიანობასა და სოლიდარობას. იმ განსაკუთრებულმა როლმა, რასაც ოცდახუთი საუკუნის მანძილზე მონარქი ასრულებდა ირანის ისტორიაში, ხალხში ჩამოაყალიბა შაჰინშაჰის ცნება. დროთა განმავლობაში ეს ცნება ეროვნული ხასიათის განუყრელი ნაწილი და ირანული ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ტრადიცია გახდა“¹⁴².

რ. სანგვი გამოხატავდა რა შაჰის სასახლეში მაშინ შემუშავებულ საერთო აზრს, აცხადებდა, რომ ირანის მონარქის ტრადიციული როლი მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობით არ განისაზღვრებოდა. იგაუნდა ყოფილიყო აგრეთვე „მეფე მწყალობელი“. ირანის ისტორიის გრძელ მანძილზე გამოჩენილმა ირანელმა მონარქებმა „მეფური ქველობის“ კონცეფციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს. ამიტომ, დაასკვნის რ. სანგვი, მეფე მხსნელისა და მწყალობლის სახე უნდა შეესიტყვებოდეს არა მარტო გმირობის, არამედ თვით ზეადამიანურ ნორმებს“¹⁴³.

ამიტომ სასახლის ეს „თეორეტიკოსი“ ცდილობდა დაემტკიცებინა „გადამწყვეტი როლი“, რასაც მონარქი ასრულებდა ირანის ისტორიაში საერთოდ და ქვეყნის თანამედროვე ცხოვრებაში განსაკუთრებით¹⁴⁴. რ. სანგვის მიაჩნდა, რომ არც ის უნდა ყოფილიყო გასაკვირი, თუ „სასწაულმოქმედი“ მონარქი რევოლუციონერიც იქნებოდა. მას შეეძლო შეექმნა უკლასო პოლიტიკური წყობილება, რომელიც „პირველ რიგში მოითხოვს ჭეშმარიტ დემოკრატიას, კრძალავს ხალხის ექსპლოატაციას კლასების თუ სახელმწიფოს მხრივ“¹⁴⁵. ამიტომ რ. სანგვის ჭეშმარიტებად მიაჩნდა შაჰის სიტყვები: „თუ კი ირანში რევოლუცია მოხდება, მის სათავეში (აუცილებლად) მე ვიქნებიო“¹⁴⁶.

¹⁴² P. Гиршман, В. Минорский, P. Сангви, დასახ. ნაშრ., გვ. 213.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ იქვე.

¹⁴⁵ იქვე.

¹⁴⁶ იქვე.

იმისათვის, რათა „ხალხის მწყალობლისა და ქველმოქმედის“ შერქმეული სახელი „გაემართლებინა“, ირანის მონარქი ყველა ხელსაყრელ მომენტსა და შესაძლებლობას იყენებდა. 1963 წლის 9-დან 15 იანვრამდე თეირანში ჩატარდა ირანის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონგრესი, რომელსაც 4800-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა.

ყრილობის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში შაჰი ლაპარაკობდა „დიდებული და კეთილშობილი მუშათა და გლეხთა კლასის ერთიანობის“ მნიშვნელობის შესახებ. ამასთან ერთად ისარგებლა რა ქვეყანაში შექმნილი სიტუაციით, როცა მსხვილი მემამულეები წინ აღუდგნენ მიწის რეფორმის გატარებას, მონარქმა თავი წარმოადგინა ირანელი გლეხებისა და მთლიანად ხალხის ერთადერთ მხსნელად და მფარველ-მოწყალედ. მან რეკლამა გაუკეთა საკუთარ თავს, როგორც „რევოლუციონერს“, რომელიც, თითქოს, მის მიერ გამოცხადებული რეფორმებით რადიკალურად ცვლიდა ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ მდგომარეობას¹⁴⁷. ყრილობის დასკვნით სხდომაზე შაჰმა ჩამოაყალიბა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ანუ „ბაჰმანის რევოლუციის“ პირველი ენჯისი პუნქტი. მიღებულ რეზოლუციაში, რომელშიც აისახა ქვეყნის მმართველი წრეების შიში გლეხთა გამოსვლების წინაშე, ლაპარაკი იყო „გლეხების სრული განთავისუფლებისა“ და „ირანში თავისუფალი საზოგადოების“ შექმნის შესახებ¹⁴⁸.

12 იანვარს შაჰი დაესწრო სადილს, რომელიც გაიმართა სალთან-აბადის სასახლეში ყრილობის დელეგატების პატივსაცემად. სადილზე თავის გამოსვლაში იგი ყრილობის დელეგატებს ჰპირდებოდა, რომ მომავალ ხუთ წელიწადში ირანში ააშენებდა ისეთ „ახალ, თავისუფალ საზოგადოებას“, რომელიც შეშურდებოდა „მსოფლიოს ყველა ქვეყნის 95 პროცენტს“¹⁴⁹. კოოპერატივების ყრილობამ, რომელსაც შაჰის დაპირებებმა გარკვეული ილუზიები შეუქმნა ქვეყნის მომავალ „ბედნიერებაზე“, ერთხმად მიანიჭა მას „ადელის“ („სამართლიანი“) ტიტული¹⁵⁰.

ამის შემდეგ ირანის პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მასალები იმის შესახებ, თუ როგორ აფართოებდნენ კონტაქტებს „სამართლიანი

¹⁴⁷ Iran Almanac and book of facts, Tehran, 1963, p. 91.

¹⁴⁸ Г. С. Чупашвили, История возникновения и развития с/х кооперативов в Иране и их место в системе аграрных преобразований страны, Тбилиси, 1979, с. 39—106.

¹⁴⁹ „ქეიხანი“, 1963 წლის 13 იანვარი.

¹⁵⁰ „ეთელათი“, 1963 წლის 17 იანვარი.

შაპი“ და მისი ოჯახის წევრები უბრალო ადამიანებთან, ინტერესდებოდნენ მათი ცხოვრების პირობებით, იზიარებდნენ მათ ჭირსა და სატყვიარს. გაზეთები ბეჭდავდნენ შთამბეჭდავ წერილებს სათაურით „მონარქის ოჯახი ხალხში“, წერდნენ, რომ, თითქოს, მას შემდეგ, რაც ფეპლევთანა ოჯახი არსებობდა, შაპის სასახლის კარი ღია და ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, რომ შაპი მოჰპამად რეზა ყველა ირანელისათვის ახლობელი და მოჭირნახულე სიუზერენი იყო. გაზეთებში იწერებოდა, რომ მონარქი, დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები სისტემატურად ეწვეოდნენ ხოლმე ობოლთა სახლებს, ქარხნებს, მუშათა სახლებს და სხვ. დაბა ჰაზარის დათვალიერების დროს შაპს ერთმა გლეხმა ასე მიმართა: „სოფლის ყველა მცხოვრებმა იცის, რომ შაპინშაპის ჩრდილი არის ყველა იმ სიკეთის მომტანი, რაც ეგრე რიგად უხვად გადმოეფრქვევა ხოლმე ჩვენს მიწა-წყალს“¹⁵¹.

მონარქიის ხალხთან სიახლოვის ეფექტის მოსახდენად დინასტიის თითოეული წევრი რამდენიმე საზოგადოებრვ ორგანიზაციას შეფობდა. დედოფალი ფარაჰ დიბა 42 სპორტულ, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. შაპის და აშრაფი სათავეში ედგა სრულიად ირანის ქალთა საზოგადოებას, ადამიანთა უფლებების დაცვის ეროვნულ კომიტეტს და აპეაზის „ჯანდი-შაფურის“ უნივერსიტეტის მზრუნველთა უმაღლეს საბჭოს¹⁵². შაპის მეორე და შამსა ფეპლევი ხელმძღვანელობდა ირანის წითელი ჯვრის (ლომისა და მზის) საზოგადოებას და შირაზის „ფეპლევის“ უნივერსიტეტის მზრუნველთა უმაღლეს საბჭოს. იგი იყო, აგრეთვე, თეირანის ახლომდებარე ქარაჯის საქალაქო საბჭოს საპატიო თავმჯდომარე. შაპის ოჯახის თვით მცირეწლოვანი წევრებიც არ დაუტოვებიათ „უმუშევარი“. 1968 წლის ივნისში, როცა მემკვიდრე უფლისწული რეზა ჯერ კიდევ სრული რვა წლისაც არ იყო, შაპმა იგი საგანგებო ფირმანით „გლეხთა განათლების სახლების“ სრულიად ირანის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა. მისი უმცროსი და შაპნაზა სტუდენტებზე დახმარების გაწევის სამეფო ორგანიზაციის წინამძღოლად დაინიშნა¹⁵³.

სასახლის პროპაგანდისტული აპარატი, პრესა, რადიო და ტელევიზია სისტემატურად გადასცემდა მასალებს, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორ „დიდ, ცოცხალ და საქმიან“ ინტერესს იჩენდა მონარქი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. ამასთან რეკლამას უწევდნენ მის კომპეტენტურობას, ღრმა ცოდნას

¹⁵¹ М. Д. Миланин, даსახ. ნაშრ., გვ. 34.

¹⁵² იქვე, გვ. 35.

¹⁵³ იქვე.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის სხვა დარგების პრობლემების გადაწყვეტაში. ლაპარაკი იყო მონარქის „დიდ წვლილზე“ ქვეყნის სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, საგარეო პოლიტიკური ზაზის გატარებაში. შაჰის სახელს უკავშირებდნენ ირანელი ხალხის ყველა წარმატებას. ამან განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო 60-იან წლებში რეფორმების ციკლის გატარების პერიოდში, აგრეთვე 70-იან წლებში ნავთობიდან შემოსავლების გადიდებასთან დაკავშირებით. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ბევრს არ მოსდიოდა აზრად, რომ ამ მოჩვენებითობის მიღმა იმალებოდა დიდი და გადაუქრელი წინააღმდეგობანი, რაც საზოგადოების განვითარების ობიექტური შედეგი იყო და მისი დაძლევა არავითარ ხელოვნურ, სუბიექტურ მანიპულაციებს არ შეეძლო. ეს წინააღმდეგობანი, რომელიც ახალი საწარმოო ძალებისა და ძველი წარმოებითი ურთიერთობების შეპირისპირების ნიადაგზე წარმოიშვა და მწვევდებოდა, მხოლოდ ჰემმარიტ სოციალურ რევოლუციას შეეძლო გადაეჭრა.

მინისტრთა კაბინეტი (კვიათ-ი მაზირან) და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები

კონსტიტუციის თანახმად, მონარქიულ ირანში აღმასრულებელ და განმკარგულებელ ხელისუფლებას განასახიერებდა მთავრობა და სახელმწიფოს ცენტრალური სამმართველო აპარატი, რომელიც შაჰის სახელით მოქმედებდა. ასე რომ, როგორც აღნიშნული იყო, აღმასრულებელი ხელისუფლება მონარქს იმდენად ეკუთვნოდა, რამდენადაც მინისტრები და სახელმწიფოს სხვა მოხელეები სახელმწიფო კანონებს და დადგენილებებს მისი სახელით ასრულებდნენ. საკანონმდებლო ხელისუფლება და აღმასრულებელი ხელისუფლება ცალ-ცალკე ფუნქციონირებდა. პირველის მიმართ მეორეს უპირატესობა არ უნდა ჰქონოდა. პირიქით, კონსტიტუცია ადგენდა, რომ მეორე ანგარიშვალდებული იყო პირველის წინაშე — მთავრობა ანგარიშს აბარებდა პარლამენტს¹⁵⁴, მაგრამ სინამდვილეში ეს კონსტიტუციური პრინციპი ცხოვრებაში არ ტარდებოდა. ამ გარემოებას ის განაპირობებდა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ყველა ეტაპზე პრივილეგირებული კლასები მონოპოლიურ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ მთავრობაში და მას სახელმწიფოში თავიანთი პოლიტიკური გავლენის იარაღად იყენებდნენ.

¹⁵⁴ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 25, მუხ. 27.

მიუხედავად იმისა, რომ შაჰის ირანში არ არსებობდა რაიმე ნორმატიული აქტი, რომელიც მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) უფლებამოსილებას განსაზღვრავდა, ამ უკანასკნელს ფაქტობრივად ფართო უფლებები ჰქონდა მთავრობა პრაქტიკულად ცხოვრებაში ატარებდა ყველა კანონს და დადგენილებას, რასაც პარლამენტის ორივე პალატა მიიღებდა. იგი ახორციელებდა, აგრეთვე, შაჰის ბრძანებულებებს, ხელმძღვანელობდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს.

ძირითადი კანონის დებულების შესაბამისად, სენატთან შეთანხმებით მეჯლისი შაჰს წარუდგენდა პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას. ეს უკანასკნელი ადგენდა მთავრობის შემადგენლობას, რომელიც მეჯლისსაც უნდა განეხილა. ამის შემდეგ შაჰი გამოსცემდა ფირმანს პრემიერ-მინისტრისა და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ¹⁵⁵. ასე იყო კონსტიტუციის საფუძველზე დადგენილი წესი. მაგრამ პრაქტიკულად არაიშვიათად პარლამენტის გვერდის ავლით პრემიერ-მინისტრის პოსტზე კანდიდატს თვითონ შაჰი შეარჩევდა ხოლმე თავის ახლობელ პირთა წრეში. ეს კანდიდატი თავის მხრივ ადგენდა მინისტრების სიას და პირდაპირ შაჰს წარუდგენდა. შაჰის მიერ მინისტრთა კაბინეტის დანიშვნის თაობაზე ბრძანებულების გამოცემის შემდეგ ახალი პრემიერ-მინისტრი კაბინეტის წევრებსა და მთავრობის პროგრამას მეჯლისისა და სენატის გაერთიანებულ სხდომას გააცნობდა. ამრიგად, კონსტიტუციური პრინციპის დარღვევით შაჰს მითვისებული ჰქონდა პრიორიტეტი მთავრობის შექმნის საქმეში¹⁵⁶. ამიტომ ირანის მინისტრთა კაბინეტს, ჩვეულებრივ, „შაჰის მთავრობას“ უწოდებდნენ.

საერთოდ მთავრობა თავის საქმიანობას მხოლოდ მას შემდეგ შეუდგებოდა, როცა პარლამენტის ნლობის ვოტუმს მიიღებდა. ეს პარლამენტში მთავრობის პროგრამის განხილვისა და მოწონების შემდეგ ხდებოდა. მაგრამ მაშინაც კი, როცა პარლამენტის თუნდაც ერთ-ერთი პალატა მთავრობის წარმოდგენილ პროგრამას არ დაეთანხმებოდა, მთავრობა უნდა გადამდგარიყო. უნდობლობის ვოტუმის გამოტანისათვის საჭირო იყო დეპუტატების ხმების სამი-მეოთხედი¹⁵⁷. შაჰი და მთავრობის წევრები ხშირად თავის გავლენას და ავტორი-

155 ირანში პრემიერ-მინისტრს „ნახოსთინ ვაზირ“ ერქვა.

156 М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 39; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 39—41.

157 ძირითადი კანონის დებულება... გვ. 32, მუხ. 47.

ტეტს იმისათვის იყენებდნენ, რომ ნდობის ვოტუმის საკითხი პარლამენტში თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტათ.

მთავრობის მეთაური არა მარტო პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს ატარებდა ცხოვრებაში, არამედ ზოგჯერ თვითონაც ახორციელებდა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას. ეს ხდებოდა მაშინ, როცა პარლამენტი ან შაჰი საგანგებო შემთხვევებში დროებით გადასცემდა მას საკანონმდებლო უფლებამოსილებებს. ასეთ შემთხვევებს რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი, ამასთან საკმაოდ ხანგრძლივი დროით. ნავთობის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლის მეტად ძნელსა და რთულ დროს, 1952 წლის 3 აგვისტოს მეჯლისი იძულებული იყო ექვსი თვით გადაეცა პრემიერ-მინისტრ მ. მოსადეყისათვის საკანონმდებლო უფლებამოსილებანი. 11 აგვისტოს სენატმა მოიწონა ეს გადაწყვეტილება, ხოლო შაჰმა 12 აგვისტოს დაამტკიცა იგი¹⁵⁸. შემდეგში კიდევ ერთი წლით გაუგრძელეს პრემიერ-მინისტრს ეს ვადა. მეჯლისისა და სენატის მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო, რომ პარლამენტი გადასცემდა პრემიერ-მინისტრ მ. მოსადეყს უფლებას გამოეცა და აღესრულებინა სათანადო კანონები ეკონომიკის, ფინანსების, სასამართლო სისტემის, ბანკების რეორგანიზაციის, სახელმწიფო მოსამსახურეთა დაქირავებისა და დათხოვნის საქმეში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული კანონები და მათ განსახორციელებლად დასახული ღონისძიებანი შეტანილ იქნებოდა მეჯლისში საბოლოო დამტკიცებისათვის¹⁵⁹. მ. მოსადეყმა ვერ მოასწრო მთლიანად გამოეყენებინა პარლამენტის მიერ წელიწადნახევრით გადაცემული საგანგებო საკანონმდებლო უფლებამოსილებანი, ვინაიდან 1953 წლის აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, რაც შინა რეაქციისა და ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტების შეერთებული ღონისძიებებით განხორციელდა, იგი ხელისუფლებას ჩამოაცილეს. მაგრამ დარჩენილ დროში მაინც შეძლო 80-ზე მეტი სხვადასხვა კანონი და დადგენილება გამოეცა.

მეორედ, 1961 წლის 15 ნოემბერს, შაჰის ფირმანის საფუძველზე, პრემიერ-მინისტრ ალი ამინის მთავრობას გადაეცა საკანონმდებლო ფუნქციები. ამ დროს XX მოწვევის მეჯლისი, რომელშიც წამყვანი პოზიციები მსხვილ მემამულეებს ეკავათ და აგრარული გარდაქმნების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, უკვე დათხოვნილი იყო. 1962 წლის 9 იანვარს ალი ამინის მთავრობამ გამოსცა ცნობილი მიწის რეფორმის კანონი, რაც საფუძვლად დაედო 60-იან წლებში გატარებულ მთელ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს. 1962

¹⁵⁸ История Ирана, М., 1977, с. 391.

¹⁵⁹ „ქეიჰანი“, 1952 წლის 12 აგვისტო.

წლის ივლისში ალი ამინის მთავრობის გადადგომის შემდეგ საგანგებო საკანონმდებლო უფლებების განხორციელება ახლად დანიშნულმა ასადოლა ალიამის მთავრობამ განაგრძო. ამ უფლებებს ა. ალიამის მთავრობა ახორციელებდა 1963 წლამდე, სანამ XXI მოწვევის მეჩლისი შეუდგებოდა თავის მუშაობას. ამ ხნის მანძილზე ორივე მთავრობამ სულ 600-მდე საკანონმდებლო აქტი გამოცა¹⁶⁰. რა თქმა უნდა, მთავრობის გამოცემულ ყველა ამ კანონსა და დადგენილებას ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორც პარლამენტის დამტკიცებულ ყველა კანონს. მაშასადამე, პარლამენტური მონარქიის არსებობის პერიოდში მთავრობის მიერ საკანონმდებლო ორგანოს შესრულების მაგალითები მოწმობს ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოს გარკვეულ სისუსტეს და მასთან შედარებით აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაო უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ მთავრობა სხვა მხრივაც ახდენდა გავლენას პარლამენტზე. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ კონსტიტუცია მეჩლისისა და სენატის არჩევნების მომზადებას და ჩატარებას მთავრობის ორგანოებს აკისრებდა. დეპუტატის დამოუკიდებლობის შესახებ კონსტიტუციაში ფიქსირებული დებულებების მიუხედავად, სინამდვილეში იგი მთავრობაზე იყო დამოკიდებული. ეს კი ამ უკანასკნელს აძლევდა შესაძლებლობას გავლენა მოეხდინა და კონტროლი დაეწესებინა მეჩლისისა და სენატის საკანონმდებლო საქმიანობაზე.

მთავრობის ორგანოების გავლენას პარლამენტის პალატებზე ისიც უხსნიდა გზას, რომ ყველა კანონპროექტი, როგორც წესი, სამინისტროებსა და უწყებებში მზადდებოდა და მინისტრთა კაბინეტთან არსებულ სპეციალურ კომიტეტში განხილვის შემდეგ საკანონმდებლო პროგრამაში შეჰქონდათ. იგი პრემიერ-მინისტრის მეშვეობით წარედგინებოდა პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად. რაც შეეხება მეჩლისსა და სენატს, კანონპროექტებს ისინი იშვიათ შემთხვევაში (ისიც, მეტწილად, დახურული წესით) ამზადებდნენ და წარმოადგენდნენ განსახილველად. ნიშანდობლივია, რომ მთავრობის მიერ შეტანილ საკითხებზე პროექტებს მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებით ან საერთოდ შეუსწორებლად ამტკიცებდნენ. სამაგიეროდ, როცა კანონპროექტები დეპუტატებს შეჰქონდათ განსახილველად, მთავრობის ორგანოები გულმოდგინედ ადევნებდნენ თვალყურს მათი განხილვის მსვლელობას და საჭირო შემთხვევაში სენატსაც იყენებდნენ მეჩლისზე ზემოქმედების მოსახდენად¹⁶¹. მაგრამ თუ ამას სასურველი შედეგი არ მოყვებოდა, მაშინ ამოქმედებდნენ მთავრობის საპარლამენტო

¹⁶⁰ ჟურნალი „ხანდანიხა“, 1964 წლის 28 აპრილი (სპარსულ ენაზე).

¹⁶¹ М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

ფრაქციებს, რომლებიც 1960 წლიდან არსებობდნენ და დეპუტატების უმრავლესობას აერთიანებდნენ. 1969 წლის ბოლოდან, როგორც წესი, მთავრობის მეთაური თვეში ორჯერ იწვევდა თავისთან სამთავრობო ფრაქციების წევრებს „აზრთა გაზიარების“ საბაბით და ამ საშუალებით მუდმივ გავლენაში ჰყავდა ისინი.

პრემიერ-მინისტრი პირადად გამოდიოდა მეჭლისსა და სენატში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ცვლილებები ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება და სხვ. საერთაშორისო მოლაპარაკებებში პრემიერ-მინისტრი სახელმწიფოს მეთაურის სახელით იღებდა მონაწილეობას. იგი იყო დამაკავშირებელი მონარქსა და მთავრობას შორის, შაჰს სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი ამბის საქმის კურსში აყენებდა¹⁶².

პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავდა და ადგენდა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას და მეჭლისსა და შაჰს წარუდგენდა მას მოსაწონებლად, ნიშნავდა და გადააყენებდა მინისტრებსა და მთავრობის სხვა თანამდებობის პირებს, მინისტრთა კაბინეტთან ქმნიდა სახელმწიფო საბჭოებს, მთავარ სამმართველოებს და სხვა უწყებებს სამეურნეო, ადმინისტრაციულ და კულტურის დარგებში, აგრეთვე სახელმწიფო უშიშროების და ინფორმაციის ორგანიზაციას. პრემიერ-მინისტრი და მისი მოადგილეები უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ უმთავრეს უწყებებს ან კორდინაციას უწევდნენ მათ მუშაობას.

პრემიერ-მინისტრი მთავრობის სახელით გამოსცემდა დადგენილებებსა და განკარგულებებს საზოგადოებრივი, კულტურული და სამეურნეო ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებზე, აგრეთვე მმართველობის ისეთ კონკრეტულ-ოპერატიულ და მიმდინარე საკითხებზე, რაც არ მოითხოვდა პარლამენტში განხილვას. განიხილავდა მოქალაქეებისაგან შემოსულ საჩივრებს და სხვ¹⁶³.

კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრს და მინისტრებს უფლება ჰქონდათ მოეთხოვათ პარლამენტის დახურული სხდომის მოწვევა, დასწრებოდნენ პარლამენტის ორივე პალატის სხდომებს, მიეცათ განმარტებები განსახილველ საკითხებზე, აგრეთვე უკან გამოეთხოვათ განსახილველად წარდგენილი კანონპროექტები, გარდა იმ კანონპროექტებისა, რომლებიც პარლამენტის მოთხოვნით იყო შეტანილი დღის წესრიგში¹⁶⁴.

პრემიერ-მინისტრი უშუალოდ მონაწილეობდა მინისტრთა კაბინეტის სხდომის დღის წესრიგის შედგენაში და წარმართავდა სხლო-

¹⁶² E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 40—41.

¹⁶³ М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

¹⁶⁴ ძირითადი კანონი. გვ. 12, 13, 14, მუხ. 31, 34, 36.

მის მიმდინარეობას. ამასთან ოქმების ასლს შაჰის განსაკუთრებულ კანცელარიაში გზავნიდა.

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა იცვლებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესის გაფართოების შესაბამისად. 50-იან წლებში მინისტრთა კაბინეტში შედიოდა პრემიერ-მინისტრი, მისი ორი მოადგილე, 13 მინისტრი და ერთი ან ორი უპორტფელო მინისტრი. ამ უკანასკნელთ მთავრობაში 1941 წლიდან ნიშნავდნენ¹⁶⁵. 1962 წლის ივლისში ასადოლა ალიამზა შეადგინა კაბინეტი, რომელშიც პრემიერ-მინისტრისა და მისი 4 მოადგილის გარდა 14 მინისტრი და 2 უპორტფელო მინისტრი — სულ 20 კაცი შედიოდა. 1964 წლის მარტში ჰოსეინ ალი მანსურის კაბინეტში 16 მინისტრი და 4 უპორტფელო მინისტრი შედიოდა — სულ 25 კაცი.

60-იანი წლების რეფორმებმა ბევრი ახალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დააყენა. ამან მოთხოვა სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის გაფართოება. შესაბამისად შეიცვალა მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა. 1968 წლიდან მასში შედიოდნენ პრემიერ-მინისტრი, 20 მინისტრი, 4 უპორტფელო მინისტრი და პრემიერ-მინისტრის 8 მოადგილე. ამრიგად, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში ახლა უკვე 33 წევრი იყო¹⁶⁶. ამის შემდეგ მინისტრთა კაბინეტში არსებითი სტრუქტურული ცვლილებები არ მომხდარა. ადგილი ჰქონდა მხოლოდ გადაადგილებებს, სამინისტროების გაყოფის ან შეერთების, აგრეთვე, სახელწოდების შეცვლის შემთხვევებს. საერთოდ კონსტიტუციური მონარქიის არსებობის მთელ პერიოდში 114 მინისტრთა კაბინეტი შეიცვალა; პირველი იყო ლიბერალურად განწყობილი ნასროლა-სან მოშირ ედ-დოვლეს (1906 წ.)¹⁶⁷, ხოლო უკანასკნელი ასევე ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლის შაფურ ბახთიარის კაბინეტი (1979 წლის დამდეგი)¹⁶⁸. ამ ხნის მანძილზე იყო შემთხვევები, როცა მინისტრთა კაბინეტი სულ რამდენიმე დღე არსებობდა. ყველაზე დიდ ხანს შერჩა ხელისუფლებას ამირ აბას ჰოვეიდას კაბინეტი, რომელმაც 12 წელიწად ნახევარზე მეტ ხანს იარსება (1965 წლის თებერვალი — 1977 წლის აგვისტო).

¹⁶⁵ E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 41; უპორტფელო მინისტრი პრემიერ-მინისტრის ან მინისტრთა კაბინეტის განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებდა. მას უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მინისტრთა კაბინეტის ყველა სხდომის მუშაობაში. ხ. თ ა მ ა დ ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 53—58.

¹⁶⁶ „ქეიჰანი“, 1968 წლის 26 ნოემბერი.

¹⁶⁷ История Ирана, М., 1977, с. 271.

¹⁶⁸ А. Б. Резников, Падение шахского режима, М., 1983, с.

პრემიერ-მინისტრს მოადგილეები ენიშნებოდა ცალკეული დარგების მიხედვით. მაგალითად, საპარლამენტო, უშიშროების, ვაყფების, ტურიზმის, ფიზკულტურისა და სპორტის დარგებში¹⁶⁹.

მინისტრთა კაბინეტთან შექმნილი იყო უმაღლესი სამეურნეო საბჭოები, რომლებიც ვიწრო უწყებრივ სოციალურ-ეკონომიკურ და სამეურნეო საკითხებს წყვეტდნენ. პირველი ასეთი საბჭო შეიქმნა 1949 წელს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით. მას უმაღლესი ეკონომიკური საბჭო ეწოდებოდა. საბჭოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობდა. ამავდროულად დაარსდა საგეგმო ორგანიზაცია (სახმან-ე ბარნამე), რომლის შინაგანაწესი ამერიკელმა ექსპერტებმა შეადგინეს. ეკონომიკის უმაღლესი საბჭო საგეგმო ორგანიზაციასთან ერთად განიხილავდა საფინანსო სისტემის განმტკიცების, სახელმწიფო ბიუჯეტისა და დაგეგმვის საკითხებს.

1951 წელს, ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონის დამტკიცებასთან დაკავშირებით, ამ დარგის მართვის მიზნით მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო ორგანო — ნავთობის საკითხების უმაღლესი საბჭო¹⁷⁰. შემდეგში ამ საბჭოს ფუნქციები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში აღმინისტრაციული ორგანოების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, მინისტრთა კაბინეტთან დაარსდა უმაღლესი სახელმწიფო საბჭო აღმინისტრაციულ დარგში¹⁷¹. მთავრობასთან მოქმედებდა, აგრეთვე, უმაღლესი სახელმწიფო სათათბირო საბჭო, რომლის ფუნქციებს მეჭლისში შესატანად კანონპროექტების მომზადება შეადგენდა. იგი ადგენდა აგრეთვე პროექტებს იმ დადგენილებებისათვის, რომლებიც მინისტრთა კაბინეტში განიხილებოდა, პრემიერ-მინისტრის პასუხებს პარლამენტის დეპუტატების შეკითხვებზე და სხვ. საკითხებს.

დარგობრივი უმაღლესი სახელმწიფო საბჭოების გარდა, მინისტრთა კაბინეტთან არსებობდა აგრეთვე სახელმწიფო უშიშროებისა და ინფორმაციის ორგანიზაცია, რომელიც 1957 წელს შეიქმნა. ჩვეულებრივ, მას შაჰთან დაახლოებული უმაღლესი სამხედრო მოხელე განაგებდა. ამავე დროს შეიქმნა სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია, რომელიც 1968 წელს შაჰის ინსპექციის ორგანიზაციად გადაკეთდა. იგი ძირითადად გადამდგარი გენერლებისა და ოფიცრებისაგან შედგებოდა და თავის საქმიანობაში მხოლოდ მონარქის წინაშე იყო

¹⁶⁹ „ქეიჰანი“, 1968 წლის 26 ნოემბერი.

¹⁷⁰ „რუზნამეჟე რასმეჟე ქეშვარე შაჰანშაჰიე ირან“, 1958 წლის დეკემბერი (სპარსულ ენაზე).

¹⁷¹ „ქეიჰანი“, 1959 წლის 19 აპრილი.

პასუხისმგებელი. 60-იან წლებში მინისტრთა კაბინეტთან ჩამოყალიბდა ვაყფების, ტურიზმის საქმეთა და ზოგიერთი სხვა უწყება, რომლებიც დამოუკიდებლად მოქმედებდა და მხოლოდ პრემიერ-მინისტრს ექვემდებარებოდა. თითოეულ პროვინციაში მათი ადგილობრივი განყოფილებები არსებობდა.

მინისტრთა კაბინეტს ჰქონდა თავისი საქმეთა მმართველობა, რომელიც შედგებოდა რამდენიმე განყოფილებისაგან (იურიდიული, საჩივრების განყოფილებები, მთავრობის არქივი და სხვ.).

მინისტრთა კაბინეტის სამდივნო პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით ადგენდა სხდომების დღის წესრიგს და ამზადებდა სათანადო მასალებს, დოკუმენტაციას, აფორმებდა ოქმებს. სამდივნოს შტატი დაკომპლექტებული იყო მაღალკვალიფიციური მოხელეებით, რომლებიც მთავრობის ნდობით სარგებლობდნენ¹⁷².

მთავრობის რეზიდენცია დედაქალაქის ქახის (სასახლის) ქუჩაზე მდებარეობდა. აქ ტარდებოდა კაბინეტის სხდომები. იმისათვის, რომ „მთავრობისა და ხალხის ერთიანობის“ მაგალითი ეჩვენებინათ, 60—70-იან წლებში მინისტრთა კაბინეტი ზოგჯერ გამსვლელ სხდომებს აწყობდა მთავარი პროვინციების ცენტრებში.

ამრიგად, პარლამენტისადმი მინისტრთა კაბინეტის კონსტიტუციური დაქვემდებარება¹⁷³ მონარქიული მმართველობის უკანასკნელ ათწლეულებში თანდათან კარგავდა რეალურ შინაარსს და ფორმალურ ხასიათს იღებდა. მთავრობა, რომელიც მთლიანად გაბატონებული კლასების ინტერესებს ასახავდა, სულ უფრო აფართოებდა გავლენას ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოზე და მას ხშირად თავისი პოლიტიკის გატარების საშუალებად იყენებდა. ამას მოწმობს ისიც, რომ მთავრობის მეთაურებად ინიშნებოდნენ უმთავრესად მსხვილი ნახევარფეოდალთა გვარის წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ყავამ ოს-სალთანე, ჰაქიმი, ბაიათი, სოპილი, საიდი, მანსური და სხვები, ისინი მკიდროდ იყვნენ დაკავშირებული ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებთან და ადგილობრივ რეაქციასთან. პრემიერ-მინისტრებს შორის იყო ცნობილი ალი ამინი, რომლის მამულებში 38 ათასი გლეხი ილაჯამწყვეტ შრომას ეწეოდა¹⁷⁴. საყოველთაოდ ცნობილია პრემიერ-მინისტრების მანუჩეჰრ ეყბალისა და შარიფ იმამის მაქინაციები XX მოწვევის მეჯლისის არჩევნების დროს.

¹⁷² М. Д. Миланиан, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 47.

¹⁷³ ძირითადი კანონი... გვ. 11—12, მუხ. 27—29.

¹⁷⁴ Iran, *Who's who*, Tehran, 1972, p. 37.

აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს წარმოდგენდნენ სამინისტროები, რომლებიც სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეული დარგების საქმიანობას წარმართავდნენ. სამინისტროების მუშაობის კოორდინაციას მინისტრთა კაბინეტი და პირადად პრემიერ-მინისტრი ახდენდნენ. სამინისტროს სათავეში ედგა უმაღლესი სახელმწიფო მოხელე — მინისტრი, რომელსაც ირანული ტრადიციის მიხედვით „ვაზირის“ სახელით იყო ცნობილი.

კონსტიტუციის თანახმად, მინისტრი (ვაზირი) უნდა ყოფილიყო რელიგიური რწმენით მუსლიმი, ხოლო წარმოშობით ირანელი¹⁷⁵. მინისტრად არ ნიშნავდნენ პირველი ხარისხის უფლისწულებს (შაჰის ვაჟებს, ძმებს და ბიძებს შამის მხრიდან)¹⁷⁶. ამასთან მინისტრს შეთავსებით არ უნდა დაეკავებინა ხელფასიანი სახელმწიფო ან კერძო თანამდებობა¹⁷⁷.

სამინისტროების, ისევე როგორც მინისტრთა კაბინეტის, შექმნის და მათი სტრუქტურის შესახებ ირანის კონსტიტუცია რაიმე სახელმძღვანელო დებულებებს არ იძლეოდა. ამის თაობაზე არც შემდეგში შექმნილა რაიმე კანონმდებლობა. კონსტიტუცია ადგენდა მხოლოდ იმას, რომ სამინისტროების შემადგენლობაში ყოველგვარი ცვლილებების შეტანა მეჩლისის დასტურით ხდებოდა და ახალი სამინისტროების შესაქმნელად საჭირო იყო, რომ ამის თაობაზე მთავრობას წარედგინა სათანადო კანონპროექტი¹⁷⁸. ახალი სამინისტროს დაარსება დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან და უწინარესად ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონიუნქტურასთან. მაგრამ ხშირად იდგა არა მხოლოდ ახალი სამინისტროების დაარსების საკითხი, არამედ ძველი სამინისტროების რეორგანიზაციის, მათი შინაგანი სტრუქტურული გარდაქმნა-გადახალისების პრობლემებიც. ამას მოითხოვდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების ამოცანები, სახელმწიფოს სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქციების გაფართოების აუცილებლობა. ამასვე აყენებდა დარგობრივი მართვის სრულყოფის ობიექტური საჭიროებებიც, რაც მთელი ინტენსიობით წამოიჭრა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. 50-იანი წლების

175 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 31, მუხ. 58.

176 იქვე, მუხ. 59.

177 იქვე, გვ. 32, მუხ. 21.

178 იქვე, გვ. 10, მუხ. 91: ხ. თ ა მ ა დ ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 44—51.

დამდეგამდე ირანში სულ 9—11 სამინისტრო ფუნქციონირებდა. უკვე 1957 წელს სამინისტროთა რიცხვი 13 გახდა, 1960—1964 წლებში მოქმედებდა 14—16 სამინისტრო. შემდეგში შაჰის მთავრობის მიერ გატარებული სამეურნეო, სოციალური და კულტურული გარდაქმნების განხორციელების კვალდაკვალ, როცა ნახევრადფეოდალური საზოგადოებრივი წყობის ადგილს თანდათან ბურჟუაზიული ურთიერთობანი იმკვიდრებდა, წარმოიშვა მრეწველობის ახალი დარგები, მათ შორის მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, ნავთობქიმიური და სხვ. ასევე ცვლილებები მოხდა სოციალურ სფეროში, რამაც მართვის მოდერნიზატულ მეთოდებზე გადასვლა მოითხოვა. გაიზარდა სამინისტროების რაოდენობა და მოხდა ძველი სამინისტროების მოდერნიზაცია. ამიტომ იყო, როგორც ზემოთაც ითქვა, რომ 1968 წლისათვის ირანში უკვე 20 სამინისტრო მოქმედებდა. გაფართოვდა სამინისტროების ფუნქციები. გაიზარდა მათი როლი და გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. 70-იანი წლების დამდეგისათვის ირანში იყო შემდეგი სამინისტროები: საშინაო საქმეთა, საგარეო საქმეთა, საფინანსო, თავდაცვის, საგზაო, წყალმომარაგებისა და ელექტროენერჯის, კავშირგაბმულობის, კულტურისა და ხელოვნების, ინფორმაციის, სოფლის მეურნეობის, სოფლის საქმეებისა და კოოპერაციის, განათლების, იუსტიციის, საბინაო მშენებლობისა და განვითარების, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, ბუნებრივი რესურსების¹⁷⁹.

გარდა ამისა, არსებობდა აგრეთვე სასახლის სამინისტრო, რომელსაც უშუალოდ შაჰის მიერ დანიშნული მინისტრი ხელმძღვანელობდა. იგი მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში არ შედიოდა და პირდაპირ შაჰს ემორჩილებოდა. უკანასკნელ პერიოდში სასახლის მინისტრად დანიშნული იყო შაფა. სასახლის მინისტრის უფლებამოსილებანი რამდენადმე განსხვავებული იყო. იგი არ ესწრებოდა მინისტრთა კაბინეტის სხდომებს და თავის საქმიანობაში პასუხს არ აგებდა არც პრემიერ-მინისტრის და არც პარლამენტის წინაშე. სასახლის მინისტრი განაგებდა იმ თანხებს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფოდა სასახლის შესანახად, ზრუნავდა შაჰის ქონებაზე და სხვა. სასახლის მინისტრი ყველა მინისტრზე მეტი ძალაუფლებით და გავლენით სარგებლობდა ქვეყანაში¹⁸⁰.

179 მექდი ვაზირნია, ირანის ადმინისტრაციული წყობა, თეირანი, 1972, გვ. 182. (საარსულ ენაზე). შემდეგში: მექდი ვაზირნია.

180 E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

მინისტრი ერთმმართველობის პრინციპის საფუძველზე განაგებდა მისდამი რწმუნებულ სამინისტროს. იგი უშუალოდ მხოლოდ პრემიერ-მინისტრს და მინისტრთა კაბინეტს ექვემდებარებოდა. მთავრობის საერთო პოლიტიკური ხაზის შესაბამისად ასრულებდა ყველა განკარგულებას. საჭიროების მიხედვით მინისტრს უფლება ჰქონდა დასწრებოდა მეჭლისისა და სენატის სხდომებს¹⁸¹. როგორც ითქვა, თავის საქმიანობაში იგი პასუხს აგებდა პარლამენტის წინაშე, აგრეთვე ანგარიშს აბარებდა მინისტრთა კაბინეტს სამინისტროს მუშაობის საკითხებზე და პერიოდულად ინფორმაციას აწვდიდა პრემიერ-მინისტრს¹⁸². მოქმედი კანონებისა და მინისტრთა კაბინეტის განკარგულებათა შესასრულებლად მინისტრი გამოსცემდა შესაბამის ინსტრუქციებსა და ბრძანებებს, ამოწმებდა მათ შესრულებას.

მოადგილეები დახმარებას უწევდნენ მინისტრს სამინისტროს წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. თითოეული მოადგილე (გარდა პირველისა) ხელმძღვანელობდა განსაზღვრულ, მისთვის გამოყოფილ დარგს მოცემულ სამინისტროში. მინისტრის პირველ მოადგილეს ნიშნავდა პრემიერ-მინისტრი და ამტკიცებდა შაჰი. დანარჩენ მოადგილეებს ნიშნავდა თავად მინისტრი, იწონებდა პრემიერ-მინისტრი და საბოლოოდ ამტკიცებდა შაჰი. ამ უკანასკნელთ დარგობრივ მოადგილეებს უწოდებდნენ. ყველა სამინისტროში მინისტრის მოადგილეების ერთნაირი რიცხვი არ იყო. მაგალითად, განათლების მინისტრს ჰყავდა 6 მოადგილე, რომელთაგან 4 მუდმივად პროვინციებში იმყოფებოდა. ისინი ადგილზე წყვეტდნენ საკითხებს. საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრებს 4—4 მოადგილე ჰყავდათ. კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე მხოლოდ ორი იყო¹⁸³.

მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრთან ერთად აგებდა პასუხს სამინისტროში საქმის მთელ მდგომარეობაზე და ამიტომ მას საქმიანობის ცალკე გამოყოფილი დარგი არ ებარა. მინისტრის პირველი (მუდმივი) მოადგილის ფუნქციები განსაზღვრული იყო მინისტრთა კაბინეტის 1957 წლის 13 ოქტომბრის დადგენილებით. ამ დადგენილების თანახმად, მინისტრის პირველი მოადგილე არ უნდა ყოფილიყო რომელიმე პარტიისა და პოლიტიკური ჯგუფის წევრი. იგი ზრუნავდა სამინისტროს საქმიანობის სრულყოფისათვის, შეიმუშავებდა წინადადებებს საშტატო განაწესში ცვლილებების შესატანად, რაც შემდეგ მინისტრს უნდა დაემტკიცებინა. იგი ხელმძღვანელობდა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებისათვის წლიური ბიუჯე-

181 ძირითადი კანონი... გვ. 12, მუხ. 31.

182 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 31, მუხ. 60.

183 М. Д. Миланжан, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52.

ტის პროექტის შედგენას. ადგენდა სამინისტროს მუშაობის ნახევარწლიურ ანგარიშებს, საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებდა სამინისტროს მიმდინარე საქმეებზე. ამასთან ყველაზე უმნიშვნელოვანეს საკითხებს გადასცემდა მინისტრს განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

სამინისტროებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად იქმნებოდა სამინისტროს უმაღლესი კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ მინისტრი, მისი მოადგილეები და სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები¹⁸⁴. კოლეგიის სხდომებს ჩვეულებრივ მინისტრი თავმჯდომარეობდა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — მოადგილე. კოლეგიის სხდომაზე საკითხების განხილვა საათობრივ წესით ხდებოდა. გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა მინისტრის მოწონების შემდეგ. სამინისტროებში არსებობდა გენერალური დირექტორების თანამდებობები, რომელზეც კანდიდატურებს შეარჩევდა და ნიშნავდა პრემიერ-მინისტრი და ამტკიცებდა შაჰი. გენერალური დირექტორი სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ მონათესავე დარგებს ხელმძღვანელობდა.

50-იანი წლებიდან დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების მოდელის მიხედვით სამინისტროებში შემოიღეს შემდეგი უწყებები: სტატისტიკური კანცელარიის მთავარი, სამეცნიერო-ტექნიკური, სამშენებლო, საპარლამენტო საქმეთა, საერთაშორისო კავშირების, კადრების, მომარაგების, სასწავლო, იურიდიული, სამშენებლო სამმართველოები, საარქივო და საკონტროლო განყოფილებები¹⁸⁵.

თითოეულ სამინისტროს თავისი შესაბამისი სამმართველოები, განყოფილებები ან სააგენტოები ჰქონდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან. ეს დაწესებულებები ორმაგი დაქვემდებარების მეთოდით საქმიანობდნენ. ისინი ვერტიკალური დაქვემდებარების წესით შესაბამის სამინისტროს ემორჩილებოდნენ, ხოლო ჰორიზონტალური დაქვემდებარებით ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოს.

მინისტრი, როგორც ერთმმართველი, საერთო სახელმწიფო კანონების საფუძველზე განსაზღვრავდა სამინისტროს შინაგანაწესს და ადგენდა მის საშტატო ერთეულებს. რაც შეეხება სამინისტროს შესახებ სპეციალურ კანონებს, მათში ცვლილებების შეტანას, აგრეთვე ისეთ კანონებს, რომლებიც სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან ერთად სამინისტროსაც შეეხებოდა, კერძოდ, კანონებს ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, სავალდებულო სამხედრო სამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურეთა შესახებ და სხვა, მათი და-

¹⁸⁴ მექ დ ი ვ ა ზ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

¹⁸⁵ იქვე, გვ. 65.

მტკიცება მინისტრთა კაბინეტის და პარლამენტის ფუნქციებში შედიო-
და¹⁸⁶.

ისევე როგორც მთავრობის მეთაურის, მინისტრების პოსტებზე 50-იანი წლების ბოლომდე შემამულე-ფეოდალების, ძველი არისტოკრატიის და ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ეკავათ. მაგრამ 60-იანი წლების დამდეგიდან ამ მხრივ არსებითად შეიცვალა ვითარება. ამ დროიდან მინისტრთა კაბინეტსა და სამინისტროებში ადგილი დაიკა-
ვეს ეროვნული ბურჟუაზიის მალალი და საშუალო ფენების წარმო-
მადგენლებმა, აგრეთვე ინტელიგენციიდან გამოსულმა პირებმა, მათ შორის განათლებულმა სპეციალისტებმა, ე. წ. „ტექნოკრატებმა“. ამირ აბას ჰოვეიდას კაბინეტში, 60-იანი წლების ბოლოს, მთავრო-
ბის 33 წევრიდან 11 იყო იურისტი, 6 ინჟინერი, 3 მეცნიერი აგრო-
ნომი, 5 ეკონომისტი, 3 ექიმი, 4 ოფიცერი, 1 ლიტერატორი. მთავ-
რობის წევრთა უმრავლესობას მეცნიერებათა დოქტორის და კანდი-
დატის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა. მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა
განათლება ევროპასა და ამერიკაში მიიღო. 1968 წლისათვის მინის-
ტრთა კაბინეტის წევრების საშუალო ასაკი 43 წელი იყო. მათ შორის
ყველაზე უმცროსი 39 წლისა, ხოლო უფროსი 64 წლისა იყო. თვით
პრემიერ-მინისტრს ჰქონდა 50 წელი არ შესრულებოდა¹⁸⁷. ყოველივე
ეს მიგვანიშნებს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს რგოლში
მომხდარ თვისებრივ ცვლილებებზე როგორც განათლების, ასევე
ასაკობრივი „გაახალგაზრდაების“ თვალსაზრისით. ეს პირდაპირ იყო
დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტუ-
რაში მიმდინარე პროცესებთან. მაგრამ აქ სუბიექტური ფაქტორიც
ასრულებდა როლს. შაჰის მთავრობა, რომელიც ამბიციური პროგრამის
შესაბამისად მოქმედებდა, ამერიკის იმპერიალიზმის სრულ გა-
ვლენაში მოექცა. იგი ვარაუდობდა, რომ „ტექნოკრატების“ სახელ-
მწიფო აპარატში მოზიდვით შეიძლება ქვეყანა ჩაეყენებინა „მსოფ-
ლიოს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების ხუთეულში“ და
აეშენებინა მითითური „უმაღლესი ცივილიზაციის“ უკლასო საზოგა-
დოება.

ამიტომ შაჰის რეჟიმი თავისი არსებობის ბოლო წლებში ამუშა-
ვებდა საკითხს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური აპარატის
სრულყოფის, მისი რეორგანიზაციის შესახებ. იგი ვარაუდობდა, რომ
სახელმწიფო მმართველობის სისტემა მთლიანად დასავლური მოდელებს
ჩარჩოებში მოექცია.

¹⁸⁶ ძირითადი კანონი... გვ. 16, მუხ. 21.

¹⁸⁷ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

ადმინისტრაციული დაყოფა

ირანის პირველ რევოლუციამდე ქვეყანაში რამდენადმე მყარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ არსებობდა. ფეოდალურ-პატრიარქალური წყობის პირობებში ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ადგილებზე სუსტი იყო და უპირატესად მხოლოდ ქალაქებზე ვრცელდებოდა. პროვინციებში თითქმის განუყოფლად ბატონობდნენ მსხვილი მიწათმფლობელი ფეოდალები და ტომების ბელადები — ხანები. XIX საუკუნის ბოლოს ნასრ ედ-დინ შაჰის დროს ადგილობრივ მმართველობაში ევროპული წესების შემოღების ცდებს შედეგი არ მოყოლია. ირანის რევოლუციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ფეოდალური პარტიკულაციის აღაგმვა, ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნა და ადგილობრივი მმართველობის თანამედროვე სისტემის შემოღება შეადგენდა. ამიტომ იყო, რომ სწორედ რევოლუციის დროს, 1907 წელს, პირველი მოწვევის მეჭლისმა მიიღო კანონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ. კანონმა პირველად განსაზღვრა ადგილობრივი მმართველობის თანამედროვე პრინციპები, უფლებები და მოვალეობები¹⁸⁸.

მაგრამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ ამ პირველ კანონში, ბუნებრივია, გვერდი ვერ აუარეს ქვეყანაში დაქვედრებულ ტრადიციებს. მასში გარკვეულად აისახა ცალკეული პროვინციების ეთნიკური, გეოგრაფიული და ბუნებრივი თავისებურებანი. კანონის თანახმად, ირანის ტერიტორია იყოფოდა აიალათებად და ველაიათებად. კანონში აიალათი განმარტებული იყო, როგორც ისეთი ადმინისტრაციული დანაყოფი, რომელიც შედგებოდა მსხვილი საქალაქო ცენტრისა და რამდენიმე მიმდებარე — პროვინციისაგან. ველაიათი ისეთი ადმინისტრაციული ერთეული იყო, რომელიც საგუბერნიო ქალაქისა და რამდენიმე თემისაგან შედგებოდა. მთელი ქვეყნის ტერიტორია იყოფოდა ოთხ აიალათად და 30 ველაიათად. აიალათებად გამოცხადებული იყო აზერბაიჯანი, ხორასანი, ქერმანი და ფარსი. მაგრამ ეს პირველი კანონი პრაქტიკულად ვერ გატარდა ცხოვრებაში ხან-ფეოდალების ძლიერი წინააღმდეგობის გამო¹⁸⁹. ოთხი წლის შემდეგ, 1911 წლის ბოლოს ამ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ველაიათების რაოდენობა 38-მდე უნდა გაეზარდათ. ყველა აიალათი და ველაიათი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დაქვემდებარებოდა. კანონი ითვალისწინებდა,

¹⁸⁸ მე 3-ლი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

¹⁸⁹ М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

აგრეთვე, უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულის — ბოლუქის შექმნას. აიალათის მმართველად ინიშნებოდა ვალი (გენერალ-გუბერნატორი), ველაიათს სათავეში ჩაუდგებოდა ჰაქიმი (გუბერნატორი), ხოლო ბოლუქს მართავდა ნაიბ ოლ ჰოქუმე (მაზრის უფროსი). მაგრამ ვერც ამ კანონს ეღიროსა სრულყოფილად განხორციელება. გარდა ფეოდალ-ხანების წინააღმდეგობისა, საქმეს ისიც აფერხებდა, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ადმინისტრაციული მმართველობის თანამედროვე მეთოდებს დაუფლებული კომპეტენტური სპეციალისტები. ადგილობრივ მმართველებად იყენებდნენ ისეთ პირებს. რომლებსაც სინამდვილეში საქმის არაფერი ესმოდათ და თანამდებობას მხოლოდ პირადი გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ. ერთადერთი უმაღლესი სახელმწიფო სკოლა „დარ ოლ-ფონუნი“, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა ხანებში შეიქმნა მირზა თაყი-ხან ამირე ჭაბირის თაოსნობით და უმაღლესი პოლიტიკური სასწავლებელი „მადრასი-ე სიასი“ ძალიან ცოტა სპეციალისტს უშვებდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამსახურისათვის¹⁹⁰. ამასთან ერთად, არსებული კანონი ჯერ კიდევ არ იძლეოდა გარკვეულ რეგლამენტაციებს და არ ადგენდა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა ზუსტ უფლება-მოვალეობებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები არაერთხელ იდგა მეჯლისში როგორც რევოლუციის, ასევე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, მაშინ ამის თაობაზე რაიმე გადაწყვეტილება არ მიუღიათ. მაგრამ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხის ახლებურად გადაწყვეტას და ამ საფუძველზე თანამედროვე ადგილობრივი სამმართველო სისტემის შექმნას თვით ცხოვრება, ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გარდამავალი პერიოდის საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკა აყენებდა. ქვეყნის ფეოდალურ-პატრიარქალური დაქსაქსულობა და ერთიანი ბაზრის უქონლობა ხელს უშლიდა კომერციული კავშირების განვითარება-გაფართოებას სხვადასხვა კუთხეებს შორის, აძნელებდა სახელმწიფოს ერთიანი ფისკალური პოლიტიკის გატარებას, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ცალკეული მოხელეების თვითნებობისა და გამომძალველობისათვის. ეს კიდევ უფრო ამძიმებდა უშუალო მწარმოებელი, მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ტრადიციები შემდეგში, ახალი მეთოდების შემოღების დროსაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა მოხელეთა საქმიანობაზე.

ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და ადგილობრივი მმართველობის თანამედროვე ფორმების დანერგვას განსა-

¹⁹⁰ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

კუთრებული ყურადღება 20-იანი წლებიდან დაეთმო. ცენტრალ-ზატორული პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით მთავრობას ქვეყნის ტერიტორიის ისეთი ადმინისტრაციული დაყოფა უნდა მოეხდინა, რომ აღეკვეთა ფეოდალური პარტიკულიარიზმი და ლაგაში ამოედო შინაგანი ოპოზიციური ძალებისათვის. ასეთი პოლიტიკის გატარებას აქტიურად შეუდგა რეზა შაჰის მთავრობა¹⁹¹. როგორც ცნობილია, იგი ემყარებოდა ახალ სოციალურ ძალებს სავაჭრო ბურჟუაზიისა და ნახევრადფეოდალი მულქადარი მემამულეების სახით და მათი ინტერესების შესაბამისად აშენებდა ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. ამ საქმეში რეზა შაჰი არმიის ძალას იყენებდა. მან შეძლო, რომ იარაღით გაეტეხა ფეოდალ-ხანების წინააღმდეგობა და შეექმნა ცენტრალიზებული მმართველობის ერთიანი სისტემა. შაჰმა ადგილობრივ მმართველებად სამხედრო გუბერნატორები დანიშნა. ამის შემდეგ, 1937 წლის 7 ნოემბერს მეჯლისმა მიიღო ახალი, შედარებით სრულყოფილი კანონი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ¹⁹². ამ კანონის შესაბამისად შეიცვალა ქვეყნის ტერიტორიის აიალათებად, ველაიათებად და ბოლუქებად დაყოფის ადრინდელი ფორმები, რომელიც 1911 წლიდან იყო დაწესებული. შემოღებულ იქნა ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და შესაბამისი ადგილობრივი სამმართველო ერთეულები: ოსთანი, შაჰრესთანი, ბახში, დეჰისტანი და დეჰ (რუსთა). კანონის პირველი მუხლის საფუძველზე ქვეყნის ტერიტორია იყოფოდა ოსთანებად (მთავარი საგუბერნატორო), ოსთანები შაჰრესთანებად (საგუბერნატორო), შაჰრესთანები ბახშებად (მაზრა), ბახშები დეჰისტანებად (სასოფლო თემი), დეჰისტანები დეჰ ანუ რუსთად (სოფელი). ირანის ტერიტორიაზე 6 ოსთანი და 50 შაჰრესთანი შეიქმნა. ოსთანებად დაყოფას გეოგრაფიული მდებარეობა დაედო საფუძვლად. ჩრდილოეთის ოსთანი (ცენტრი თეირანი), ჩრდილო-დასავლეთის ოსთანი (ცენტრი თავრიზი), ჩრდილო-აღმოსავლეთის ოსთანი (ცენტრი მეშჰედი), დასავლეთის ოსთანი (ცენტრი ქერმანშაჰი), სამხრეთის ოსთანი (ცენტრი შირაზი) და მოქრამის ოსთანი (ცენტრი ზაჰედანი)¹⁹³.

სამი თვის შემდეგ, 1938 წლის იანვარში მეჯლისმა მიიღო ამ კანონის დამატება, რომლის თანახმად, ოსთანების რაოდენობა 10-მდე გაიზარდა, ხოლო შაჰრესთანებისა — 49 გახდა. ამასთან ერთად, ოსთა-

191 ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ო. გვილაჯა, ირანის მთავრობის ცენტრალიზატორული პოლიტიკა და მომთაბარე ტომების პრობლემა. თბ., 1981.

192 მექედე ვაზირანია, დასახ. ნაშრ., გვ. 117—118; მ. ჰაშემა, დასახ. ნაშრ., გვ. 9—10.

193 М. М. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

ნების გეოგრაფიული სახელწოდებები ნომრებით შეიცვალა. პირველ ნომრით აღინიშნებოდა თეირანის ოსთანი, ხოლო ბოლო, მეათე ნომრით — ისფაჰანის ოსთანი. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება მიეცა მომავალში თავისი შეხედულებით შეეტანა ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ კანონში, რომელიც შემდეგ უნდა დაემტკიცებინა მინისტრთა კაბინეტს და მოეწონებინა მეჯლისსა და შაჰს.

ამ საფუძველზე აღნიშნულ კანონში რამდენჯერმე შეიტანეს ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ კანონში 1954 წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად, ქვეყნის ტერიტორია 11 ოსთანად დაიყო. თეირანის ოსთანს ცენტრალური ოსთანი უწოდეს, დანარჩენი 10 კი ნომრებით აღინიშნებოდა. გარდა ამისა, შეიქმნა ორი მთავარი საგუბერნატორო („ფარმანდარ-ე ქოლ“): სპარსეთის ყურის კუნძულებისა და ნავსადგურების (ცენტრი ბუშეჰრი) და ომანის ზღვის კუნძულებისა და ნავსადგურების (ცენტრი ბენდერ აბასი)⁹⁴.

1958 წლის აგვისტოში მეჯლისმა მიიღო ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფის ახალი კანონი. კანონის საფუძველზე ირანის ტერიტორია 14 ოსთანად და 136 შაჰრესთანად დაიყო. აღდგენილ იქნა ოსთანების გეოგრაფიული სახელწოდებები. მაგრამ უკვე 1960 წლის დამდეგს მიღებული კანონის შესწორებით კვლავ შეიცვალა ადმინისტრაციული დანაყოფების რიცხვი. შეიქმნა 17 ოსთანი, 145 შაჰრესთანი და 520 ბახში.

ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების წვრილმანი საქმეებისაგან განტვირთვის და მათი ნაწილის ადგილობრივი ორგანოებისათვის დაკისრების მიზნით, 1967 წელს მიიღეს კიდევ ერთი ახალი კანონი. ამჯერად, ირანის ტერიტორია დაიყო 22 მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომლებიც უშუალოდ ცენტრს ემორჩილებოდა. აქედან 14 ოსთანი, 6 მთავარი და ორი დამოუკიდებელი საგუბერნატორო იყო. ეს დაყოფა, რომელიც მონარქიული მმართველობის ბოლომდე დარჩა, ასეთ სურათს იძლევა: ოსთანები: ცენტრალური (ცენტრი თეირანი), დასავლეთ აზერბაიჯანის (რეზაიე), აღმოსავლეთ აზერბაიჯანის (თავრიზი), გილანის (რეშთი), მაზანდარანის (სარა), ხორასნის (მეშჰედი), სუზისტანის (აჰვაზი), ისფაჰანის (ისფაჰანი), ქერმანშაჰის (ქერმანშაჰი), ბელუჩისტანის (ზაჰედანი), ქურდისტანის (სანანდაჯი), ფარსის (შირაზი), ქერმანის (ქერმანი), სპარსეთის ყურისა და ომანის ზღვის კუნძულებისა და ნავსადგურების (ბენდერ აბასი).

⁹⁴ „ეთელაათი“, 1954 წლის 24 დეკემბერი; მ. ჰაშემი, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

მთავარი საგუბერნატოროები: ბახთიარის ჩაპარ მაჰალე, სემნანი, ქუჭუღლუე და ბოიარ აჰმადი, ჰამადანი, ლურისთანი, ილაში და ფომ-თქუპი. დამოუკიდებელი საგუბერნატოროები: იაზდი და ზაჰედანი. შაჰრესთანების რიცხვი 156-მდე გაიზარდა¹⁹⁵.

ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ო რ გ ა ნ ო ე ბ ი

ოსთანი ყველაზე მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული იყო. მას სათავეში ქვეყნის ერთ-ერთი მაღალი რანგის მოხელე — ოსთანდარი (გენერალ-გუბერნატორი) ედგა. ოსთანდარის კანდიდატურას მინისტრთა კაბინეტში წარადგენდა 'მინაგან საქმეთა მინისტრი. საბოლოოდ მას შაჰი ამტკიცებდა. ოსთანდარს უშუალო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული სამინისტროებთან და ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებთან, რომელთა ადგილობრივი სამმართველოები ოსთანში არსებობდა. იგი განასახიერებდა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას და ანგარიშვალდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების წინაშე. მისი ხელმძღვანელობით წარმართავდნენ საქმიანობას შაჰრესთანების, ბაზშების, დეჰისტანებისა და სოფლების მმართველები¹⁹⁶.

ოსთანდარებს ევალეობდათ თავის საგამგებლო ტერიტორიაზე უცხოვრებაში გაეტარებინათ სახელმწიფოს კანონები და დადგენილებები, ეზრუნათ ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, ხელმძღვანელობა გაეწიათ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საქმიანობისათვის, აგრეთვე მოსახლეობის განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურული მომსახურებისათვის, მიეღოთ ზომები საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, კონტაქტი დაემყარებინათ ოსთანის ტერიტორიაზე აკრედიტებული უცხოეთის წარმომადგენლებთან. მათ თვალყური უნდა ედევნებინათ მოსახლეობის ანტისამთავრობო განწყობილებისათვის და გამოეველინებინათ იგი. ამასთან გაეტარებინათ პროფილაქტიკური ღონისძიებანი მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად¹⁹⁷.

დიდი პროვინციების ოსთანდარებს უფლება ეძლეოდათ, მთავრობასთან შეთანხმებით სამხედრო წესები გამოეცხადებინათ ოსთანის ტერიტორიაზე, ისე როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1946 წელს სამხ-

195 „ქეიჰანი“, 1968 წლის 29 მაისი.

196 მეჭ დი ვაზირანი, დასახ. ნაშრ., გვ.117—118.

197 იქვე, გვ. 118.

რეთ აზერბაიჯანში დემოკრატიული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, ასევე, მეჯლისის არჩევნების დღეებში¹⁹⁸.

1960 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი ოსთანდარების შესახებ. კანონში აღნიშნული იყო, რომ ოსთანდარებს წელწადში ორჯერ მაინც უნდა გაეკონტროლებინათ ქვემდგომი ადმინისტრაციული დანაყოფების მუშაობა. ამასთან ყოველწლიური ანგარიში წარედგინათ ცენტრალური ხელისუფლებისათვის ოსთანის ტერიტორიაზე საქმის საერთო მდგომარეობის შესახებ. მანამდე, 1956 წლის მარტში საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, ოსთანდარებს დაევალოთ სასამართლოებისათვის გადაეცათ „საზოგადოებრივი სიმშვიდის“ დარღვევაში შენიშნული პირები¹⁹⁹.

ოსთანდარს ჰორიზონტალური წესით ემორჩილებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოები, როგორც იყო სოფლის მეურნეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საფინანსო, საზოგადოებრივი სამუშაოების, კავშირგაბმულობის, პოლიცია-ჟანდარმერიის, გზების, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის და სხვ. სამმართველოები. ზოგიერთი სამმართველო ოსთანაც სამეურნეო სპეციფიკის შესაბამისად იქმნებოდა. იქ, სადაც ტყის მასივები იყო, არსებობდა სატყეო მეურნეობის სამმართველო, სადაც თევზის სარეწები იყო, მეთევზეობის სამმართველო ფუნქციონირებდა, ხოლო სადაც სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობას ეკავა წაყვანი ადგილი, შექმნილი იყო მეცხოველეობის სამმართველო და ა. შ.²⁰⁰

მთავარ და დამოუკიდებელ საგუბერნატოროებს მთავარი გუბერნატორები (ფარმანდარ-ე ქოლ) მართავდნენ, ხოლო შაჰრესთანის სათავეში გუბერნატორი (ფარმანდარი) იდგა. ფარმანდარები უშუალოდ ოსთანდარს ემორჩილებოდნენ. მას პერიოდულად აბარებდნენ ანგარიშს შაჰრესთანებში საქმის მდგომარეობის შესახებ. ფარმანდარები სახელმწიფოში მესამე რიგის ადგილობრივი მმართველები იყვნენ. მათი კანდიდატურის წარდგენა და დამტკიცება ოსთანდარების მსგავსად ხდებოდა²⁰¹.

ფარმანდარის მოვალეობაში შედიოდა: მზრუნველობა გაეწია შაჰრესთანის სამეურნეო-ეკონომიკური განვითარებისათვის, ხელი შეეწყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების, აგრეთვე საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, თვალყური ედევნე-

198 მე ქ დ * ე ა ზ რ ნ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

199 იქვე, გვ. 220.

200 იქვე.

201 იქვე, გვ. 121.

ბინა მეჭლისის არჩევნების მსვლელობისათვის, გაეტარებინა ღონისძიებანი კეთილმოწყობის სამუშაოების მოსაწყობად, გადასახადების ასაქრევად. მას უნდა ეზრუნა კანონებისა და დადგენილებების გატარებისათვის, უზრუნველყო წესრიგი და უშიშროება შაჰრესთანის ტერიტორიაზე²⁰².

იქმნებოდა შაჰრესთანის ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც კავშირს ამყარებდა ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ შაჰრესთანის სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელები ფარმანდარის თავმჯდომარეობით. საბჭო სხდომებს იწვევდა თვეში ერთხელ. ადმინისტრაციულ საბჭოს ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და, საერთოდ, კეთილმოწყობის საქმიანობის გაფართოებისათვის.

ადგილობრივ სამმართველოს სისტემაში შემდეგი დაბალი საფეხური იყო ბახში, რომელსაც ბახშდარი (მაზრის უფროსი) ხელმძღვანელობდა. ფარმანდარის წარდგენით და ოსთანდარის თანხმობით ბახშდარს შინაგან საქმეთა მინისტრი ნიშნავდა. ბახშის ტერიტორიაზე ბახშდარი ასრულებდა ისეთსავე მოვალეობებს, რასაც ფარმანდარი შაჰრესთანის ფარგლებში ასრულებდა. ბახშიც ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს თავისი განყოფილებები ჰქონდათ ან რწმუნებულები ჰყავდათ²⁰³.

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი დაწესებულებების საქმიანობის ურთიერთშეთანხმების მიზნით კანონი ითვალისწინებდა ბახშის ადმინისტრაციული საბჭოს შექმნას. ბახშის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ადგილობრივი სახელმწიფო მოხელეები და მოსახლეობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობას შინაგან საქმეთა მინისტრი განსაზღვრავდა. ბახშის საბჭოს ევალეობოდა უზრუნველყო ჯანმრთელობის დაცვის საქმე და დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის სხვა საჭიროებანი, ეზრუნა გზების კეთილმოწყობაზე, მოეწყო გლეხების კოლექტიური შრომის ორგანიზაცია საირიგაციო მეურნეობის მოსაწესრიგებლად იმისათვის, რათა მაქსიმალურად გამოეყენებინათ არსებული წყლის რესურსები. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქციების შესაბამისად გაეტარებინა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის მავნებლების სალიკვიდაციოდ, ხელი შეეწყოს საოჯახო რეწვის განვითარებისათვის და სხვა²⁰⁴.

202 მეჭლისის ვაზირნია, დასახ. ნაშრომი, გვ. 122—123.

203 იქვე, გვ. 123.

204 იქვე, გვ. 123—124.

კანონი ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესახებ არ განსაზღვრავდა სრულყოფილად დეპისთანის როგორც სამმართველო ერთეულის კატეგორიას. მასში მხოლოდ აღნიშნული იყო, რომ დეპისთანი რამდენიმე დაბისა და სოფლისაგან შედგება. დეპისთანს განაგებდა დეპდარი (სასოფლო თემის უფროსი), რომელსაც ბახშდარის წარდგენით ფარმანდარი ნიშნავდა. დეპდარის კანდიდატურას შეარჩევდნენ იმ ბახშის მცხოვრებთა შორის, რომლის შემადგენლობაში მოცემული დეპისთანი შედიოდა. დეპდარი დეპისთანის საზღვრებში თავის მოვალეობებს ასრულებდა ბახშდარის მოვალეობათა ანალოგიურად. იგი უშუალოდ წარმართავდა სოფლის ქედხოდების საქმიანობას და თავის მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებდა²⁰⁵.

თითოეული სოფლის (დეპ, რუსთა) გამგებლობის პასუხისმგებლობა მოცემული სოფლის ქედხოდას (მამასახლისი) ეკისრებოდა. ქედხოდას მოვალეობაში შედიოდა სოფლის მცხოვრებთა წვრილმანი სადავო საქმეების მოგვარება, მეზობელთა შორის ამტყდარი ჩხუბის მიზეზების გამოკვლევა და მეზობლური სიამტყებლობის დამყარება, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, დამნაშავეთა შესახებ ცნობის მიწოდება ჟანდარმერიის უახლოესი საგუშაგოსათვის, სამართალდამცავი ორგანოების მოხელეებთან თანამშრომლობა, ქორწინებისა და განქორწინების ფაქტების შესახებ მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის განყოფილებისათვის შეტყობინება, სოფლის მეურნეობის, საოჯახო რეწვისა და კულტურის განვითარებისათვის ხელისშეწყობა, სოფლის ტერიტორიაზე არსებული კულტურის ძეგლების დაცვა²⁰⁶.

ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი შაპრესთანებსა და ბახშებში არსებული ადმინისტრაციული სათათბირო საბჭოების საქმიანობის შესახებ. 1950 წლის ივლისში მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზე ასეთივე საბჭოები ოსთანებშიც იქმნებოდა. ოსთანების ადმინისტრაციულ-სათათბირო საბჭო 9 წევრისაგან შედგებოდა. მასში შედიოდნენ ადგილობრივი სამმართველოების უფროსები, მუნიციპალური საბჭოსა და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები. ადმინისტრაციულ საბჭოს ოსთანდარი თავმჯდომარეობდა. საბჭოს სხდომა თვეში ორჯერ იმართებოდა. სხდომებზე განიხილავდნენ ოსთანის საერთო საკითხებს, ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საქმეებს, აგრეთვე სამეურნეო და კეთილმოწყობის საკით-

205 მე ქ დ ი ვ ა ზ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

206 მ ა ნ უ ჩ ე ჰ რ ტ ა ბ ა ტ ა ბ ა ი, ირანის ადმინისტრაციული სამართალი, თეირანი, 1965, გვ. 122—124.

ნებს. კანონის თანახმად, ოსთანის ადმინისტრაციულ საბჭოს ვეალე-
ბოდა სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების
თაობაზე მოქალაქეთა საჩივრების განხილვა, კერძო საწარმოთა მე-
საკუთრეებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს შორის წამოჭრილი
დავის მოწესრიგება და სხვ²⁰⁷.

საქალაქო მმართველობა

ადგილობრივი ხელისუფლების სისტემას განეკუთვნებოდა საქა-
ლაქო ცხოვრების მართვა. ირანში ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრე-
ბას ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს. XIX საუკუნის ბოლომ-
დე და ნაწილობრივ შემდეგაც ირანის ქალაქები ფეოდალური ყო-
ფის ბევრი ნიშან-თვისებით ხასიათდებოდა. ქალაქების ეკონომიკური
ცხოვრების დაკნინებას, მის კონსერვაციას ხელი შეუწყო კაპიტალის-
ტური ქვეყნების კოლონიურმა პოლიტიკამ, რასაც ისინი აქტიურად
ატარებდნენ იმპერიალიზმის ეპოქაში.

როგორც ცნობილია, ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტური ურთი-
ერთობის განვითარების მეგზურის როლი ქალაქმა შეასრულა და მან
გაიყოლია სოფელი. ირანში, ისევე როგორც სხვა ნახევრადკოლონი-
ურ ქვეყნებში უცხოური იაფი საქონლის მოძალებამ საქალაქო წარ-
მოების სტაგნაცია, მისი შეჩერება გამოიწვია. ამიტომ ირანის ქალაქ-
მა ვერ შეასრულა ის როლი ახალ წარმოებით ურთიერთობათა ჩა-
მოყალიბებაში, რაც მას ევროპაში ხვდა წილად. ირანის ქალაქი თვით
XX საუკუნის დასაწყისში ვერ გასცილდა წარმოების ხელოსნურ, მა-
ნუფაქტურულ სტადიას და მარტივ საწარმოო კოოპერაციას.
ამიტომ ქალაქების მმართველობის ფორმებიც კვლავ შეუსაბუქუ-
ნობრივ, ფეოდალურ ხასიათს ატარებდა. ქალაქის თვითმმართვე-
ლობა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, ჯერ კიდევ არ არსებობდა.
როგორც ირანელი მკვლევარი მეჰდი ვაზირნია წერს, ერთადერთი სი-
ახლე, რაც ნასრ ედ-დინ შაჰის ევროპის ქვეყნებში მოგზაურობათა
შემდეგ საქალაქო ცხოვრებაში შეიტანეს, ის იყო, რომ „თეირანსა და
ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში რამდენიმე ფარანი დადგეს გადასასვლე-
ლების გასანათებლად და მეეზოვეები დაიჭირავეს ქუჩების დასასუფ-

207 ქეიხანი, 1950 წლის 20 ივლისი.

თავებლად²⁰⁸. ქალაქების თვითმმართველობის შემოღების საკითხი მხოლოდ ირანის პირველი რევოლუციის დროს დადგა. 1907 წელს პირველი მოწვევის მეჯლისმა მიიღო კანონი ქალაქების გამგეობის დაარსების შესახებ. მაგრამ მის განხორციელებას მხოლოდ 1909 წლიდან შეუდგნენ²⁰⁹. კანონის თანახმად, აილათების, ველიათების და ბოლუქების ცენტრებში უნდა აერჩიათ მუნიციპალური საბჭოები (ანჯომანები) და ქალაქის სამმართველოები (შაჰრდარები). მუნიციპალიტეტები გამოცხადებული იყო საქალაქო თვითმმართველობის ორგანოებად. ისინი უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაქვემდებარებოდნენ. მაგრამ ამ პირველი მუნიციპალური კანონის შესრულებას აფერხებდა ფეოდალური რეაქციის ძალები. ამასთან თვით ქალაქის სამეურნეო ცხოვრება, რომელსაც ფეოდალური ყოფის დიდი დალი ესვა, ვერ ეგუებოდა ქალაქის თანამედროვე ფორმების დამკვიდრებას. ამის შემდეგ კანონის ტექსტში რამდენჯერმე შეიტანეს ცვლილებები. მაგრამ მუნიციპალური მმართველობა 30-იან წლებამდე მაინც ძალიან ცოტა ქალაქში არსებობდა.

1930 წელს მიიღეს ახალი კანონი, რომელიც მუნიციპალიტეტების საქმიანობის ფარგლებს განსაზღვრავდა²¹⁰. კანონის თანახმად, დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტების მეთაურებს შაჰი ნიშნავდა შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგენითა და მინისტრთა კაბინეტის თანხმობით. მუნიციპალური ანჯომანის წევრებს ირჩევდნენ ქალაქის ვაჭრების, ხელოსნების, მემამულეების წრეებიდან და საზოგადო მოღვაწეების რიგებიდან.

თეირანის მუნიციპალიტეტის არჩევნები ორ ტურად ტარდებოდა. პირველ ტურში ამომრჩეველები ირჩევდნენ 60 კანდიდატს. მათგან შინაგან საქმეთა სამინისტრო შეარჩევდა მუნიციპალიტეტის 12 წევრს. მუნიციპალიტეტის რწმუნების ვადა ორი წელი იყო²¹¹.

1955 წლის ივნისში მეჯლისისა და სენატის გაერთიანებულმა კომისიამ დაამტკიცა ახალი, საკმაოდ ვრცელი კანონი ქალაქის მუნიციპალიტეტების შესახებ. მუნიციპალიტეტები იქმნებოდა ოსთანების, შაჰრესთანების ცენტრებსა და ყველა იმ დასახლებულ პუნქტში, რომლის მოსახლეობა 5 ათას კაცზე ნაკლები არ იყო. მუნიციპალური საბჭოებისათვის დეპუტატების ასარჩევად შემოღებული იყო ფარული არჩევნების წესი, ხოლო საბჭოების რწმუნების ვადა ორიდან ოთხ წლამდე გადიდდა.

208 მეჰდივაზირნია, დასახ. ნაშრ. გვ. 128; ალი ნიიამი, საქალაქო მმართველობა, თეირანი, 1961, გვ. 24 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ა. ნიიამი.

209 იქვე; ა. ნიიამი, დასახ. ნაშრ., გვ. 9—23.

210 მეჰდივაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

211 М. Д. Миланиан, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

60-იანი წლების დამდეგიდან კაპიტალიზმის სწრაფი განვითარების, მრეწველობის თანამედროვე დარგების გაჩენის და ურბანიზაციის პროცესის გაძლიერების შედეგად არსებითად შეიცვალა ირანის ქალაქების იერსახე. გაიზარდა დიდი ქალაქების რიცხვი. გართულდა საქალაქო კომუნალური და საკომუნიკაციო მეურნეობა, გაფართოვდა სავაჭრო და სამრეწველო საწარმოების სფერო. ჩამოყალიბდა თანამედროვე ბურჟუაზიული ქალაქები. მაგრამ საქალაქო ცხოვრებაში, განსაკუთრებით მის ეკონომიკურ ცენტრში — ბაზარში, შუასაუკუნოებრივი ყოფის, ტრადიციული ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო ურთიერთობის ჭერ კიდევ ბევრი ხილული ელემენტი შემორჩა.

1968 წლის ოქტომბერში ირანში ჩატარდა საქალაქო ანჯომანების არჩევნები, რომელიც ქალაქის მუნიციპალიტეტების შესახებ კანონის საფუძველზე მოეწყო. კანონით დადგენილი იყო ქალაქის ანჯომანებაში დეპუტატების არჩევის ნორმები. ამ ნორმების შესაბამისად დედაქალაქ თეირანში, რომლის მოსახლეობამ იმ დროს უკვე 3 მლნ კაცს აღემატებოდა, 30 დეპუტატს ირჩევდნენ. ქალაქებში, სადაც 150 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა, 15 დეპუტატი უნდა აერჩიათ. 100 ათასიდან 150 ათას კაცამდე — 12, 50 ათასიდან 100 ათას კაცამდე — 9, 10 ათასიდან 50 ათასამდე — 7, ხოლო 10 ათას ნაკლებ მოსახლეზე 5 დეპუტატი აირჩეოდა²¹². კანონი ითვალისწინებდა, რომ თითოეული ქალაქიდან ასარჩევი დეპუტატების რაოდენობა ყოველი სამი მოწვევის შემდეგ შეიცვლებოდა²¹³.

ქალაქის მუნიციპალიტეტის შესახებ შედგენილ ინსტრუქციაში ქალაქები და საქალაქო დასახლებული პუნქტები ასეა განსაზღვრული: „შედარებით მსხვილი დასახლებული პუნქტები, რომლებშიც არის გამზირები, ქუჩები, სავაჭროები, სახელოსნოები, სამრეწველო საწარმოები, ვაჭართა კორპორაცია და კულტურული ცენტრი. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრების მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ხელოსნობის, ვაჭრობის, მრეწველობის და სამმართველო საქმიანობაში მონაწილეობის გზით“²¹⁴.

ირანის ქალაქებში, სადაც გამგეობასთან ერთად ქალაქის ანჯომანი არსებობდა, გაყოფილი იყო (ვიწრო გაგებით) საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებად. საკანონმდებლო ორგანო ქალაქის ანჯომანი, ხოლო აღმასრულებელი — გამგეობა იყო²¹⁵.

212 „ქეიხანი“, 1968 წლის 3 ნოემბერი.

213 მექდივაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 129.

214 აბოლქამად აბდოლქამადი, ირანის ადმინისტრაციული სამართალი, თეირანი, 1970, გვ. 21 (სპარსულ ენაზე).

215 მექდივაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 129; ა. ნიიამი დასახ. ნაშრ.,

დიდი ქალაქის ანჯომანის პირველ სხდომაზე ირჩევდნენ მუდმივ და დროებით (სხდომის) პრეზიდენტებს თავმჯდომარის, მოადგილისა და ორი მდივნის შემადგენლობით. ანჯომანის სხდომა უფლებამოსილად ითვლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მას წევრების უმრავლესობა ესწრებოდა. ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებდნენ მაშინ, როცა მას დამსწრეთა უმრავლესობა მისცემდა ხმას. ანჯომანის მოვალეობაში შედიოდა, ერთი მხრივ, მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, კონტროლის დაწესება გამგეობის ყოველდღიურ საქმიანობაზე. ანჯომანი განიხილავდა და ამტკიცებდა ქალაქის ბიუჯეტს ძირითადად ადგილობრივი შემოსავლების ბაზაზე, ამოწმებდა მისი შესრულების მიმდინარეობას; ამტკიცებდა მუნიციპალური მმართველობის მიერ კერძო პირებთან დადებულ სხვადასხვა ხასიათის ხელშეკრულებებს; განიხილავდა ყველა საკითხს, რომელსაც წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები: ზრუნავდა ქალაქის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სამსახურის გაუმჯობესებაზე, ვაჭრობის, მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის საკითხებზე, ღონისძიებებს სახავდა ზომა-წონის და ფასების მოსაწესრიგებლად, სპორტული საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მოხუცთა და ბავშვთა თავშესაფარების, სამშობიარო სახლების და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების მუშაობის მოსაგვარებლად²¹⁶.

საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა დარგისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით, ანჯომანი გამოყოფდა საქალაქურ კომისიებს (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კეთილმოწყობის და სხვ.); კომისიებს უნდა მოეწყოთ შესაბამისი დარგების საქმიანობის სისტემატური შემოწმება და ანჯომანის სხდომაზე განსახილველად წარედგინათ დადგენილების სათანადოდ მომზადებული პროექტები²¹⁷.

ქალაქის მუნიციპალიტეტთან არსებობდა სხვადასხვა სამმართველოები (ედარე), რომელთა საქმიანობას მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე (შაჰრდარი, მერი) წარმართავდა. შაჰრდარი ხელმძღვანელობდა ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მიზანშეწონილად ხარჯვას, კორდინაციას უწევდა და უთანხმებდა ცალკეული სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობას. საერთოდ შაჰრდარი თავის მოვალეობას ასრულებდა ქალაქების მუნიციპალიტეტების შესახებ

216 მე 3 დ ი ე ა ზ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 138—191.

217 М. Д. Миланнаш, დასახ. ნაშრ., გვ. 67; ა. ნიიამა, დასახ. ნაშრ., გვ. 152—160.

მეჯლისის მიერ 1965 წელს მიღებული კანონის ფარგლებში. ეს კანონი შაჰრდარისაგან მოითხოვდა მოეწესრიგებინა საქალაქო ცხოვრება, რეკონსტრუქცია ჩაეტარებინა ძველი და სათანადო პროექტებას საფუძველზე გაეყვანა ახალი საქალაქო მაგისტრალეები, უზრუნველყო წესრიგი ქალაქის წყალმომარაგებაში, სისტემატური კონტროლი დაეწესებინა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, გაეტარებინა ადმინისტრაციული ღონისძიებანი მმართველობის აპარატის მოხელეთა მართ, თვალყური ედევნებინა მუნიციპალიტეტის შესახებ მიღებული კანონებისა და დადგენილებების შესრულებაზე, გამოეყენებინა მრლიციის სამმართველოს პერსონალი საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ მოქალაქეთა მიმართ²¹⁸.

დედაქალაქში და სხვა დიდ სამრეწველო ცენტრებში, რომელთა რიცხვი უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად იზრდებოდა, უკიდურესად გართულდა საქალაქო ცხოვრების მართვა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების სამმართველო აპარატი მნიშვნელოვნად გაიზარდა, იგი საქმეს თავს მაინც ვერ ართმევდა. ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს ქალაქების ცალკეულ უბნებში საუბნო სამმართველოების (ბარზანი) შექმნა, რომელიც მოცემულ რაიონში ეწეოდა საქმიანობას და უშუალოდ ემორჩილებოდა ქალაქის მუნიციპალიტეტს.

ამრიგად, თუ თვალს გადავავლებ ირანის საქალაქო ცხოვრების ისტორიის ბოლოდროინდელ პერიოდს, დავინახავთ, რომ XX საუკუნის დამდეგიდან ფეოდალური ქალაქი თანდათან კარგავს შუასაუკუნეობრივ ტრადიციებს და გადაიქცა ბურჟუაზიული ყოფის ქალაქად. მან შეიძინა თანამედროვე ქალაქის ყველა ნიშანი. შესაბამისად განვითარდა და დამკვიდრდა ქალაქების მართვის ბურჟუაზიული ფორმები. ქალაქმმართველობა კაპიტალისტური სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შემადგენელი ნაწილი გახდა.

სასამართლო ხელისუფლება

ფეოდალურ ირანში სამართალწარმოება მუსლიმური სამართლის დოგმებზე იყო დამყარებული და მას შარიათის²¹⁹ სასამართლოები ახორციელებდნენ. წარსულში საერო ხელისუფლება არაერთხელ შეეცადა შეეზღუდა ისლამური რელიგიის სასამართლო კომპეტენცი-

²¹⁸ მე 3 დ ი ვ ა ზ ი რ ნ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 30—39; ა. ნ ი ი ა მ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

²¹⁹ შარიათი მუსულმანურ კანონს, მუსულმანურ სამართალს ნიშნავს; შარე მუსულმანურ კანონმდებელს ეწოდებოდა. პირველ მუსულმანურ კანონმდებლად წინასწარმეტყველი მუჰამედი (570—632 წწ.) ითვლება. მას შარე მოყადასს — წმინდა კანონმდებელს ეწოდებდნენ.

ები. მაგრამ ეს ცდები სასულიერო ხელისუფლების მხრივ გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვინაიდან არ სურდათ ხელიდან გაეშვათ საკუთარი მატერიალური უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე გავლენის ერთ-ერთი მთავარი საშუალება. საზოგადოების შემდგომი განვითარების ინტერესები, რაც საკუთრებისა და პიროვნების ბურჟუაზიული თავისუფლების დაცვის ამოცანებს სახავდა, რელიგიური სამართლის ჩარჩოებში ვეღარ თავსდებოდა. ეს აყენებდა ახალი, ბურჟუაზიული სამართლის ნორმების დანერგვისა და განვითარების საკითხს. ირანის 1905—1911 წწ. რევოლუციამ ბოლომდე ვერ გადაჭრა ეს პრობლემა, ვინაიდან მეჩლისში მაღალი სასულიერო წრეებისა და მასთან დაკავშირებული ფეოდალური არისტოკრატის გავლენა ჯერ კიდევ ძლიერი იყო. კონსტიტუციის დამატების მეშვიდე თავი (ოცი მუხლი) სასამართლო ხელისუფლების დებულებებს ეთმობოდა²²⁰. მათში ჩამოყალიბებული იყო სამართალწარმოების ბურჟუაზიული პრინციპები, მაგრამ შარიათის სასამართლო სისტემის მთლიანად ლიკვიდაცია მაშინ არ მომხდარა. კონსტიტუციამ მხოლოდ შეზღუდა იგი. ამის შემდეგაც, XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგამდე გარდა სახელმწიფო, პოლიტიკური დანაშაულებედებისა, თითქმის ყველა სხვა საქმეს შარიათის სასამართლოები განიხილავდნენ. მაგრამ ამ დროიდან საერო ხელისუფლების მნიშვნელოვნად გაძლიერების გამო შარიათის სასამართლოები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ საერო ხელისუფალთა ინტერესებისათვის. კონსტიტუციის მიღების შემდეგ პრაქტიკულად პირველად „სასამართლო ხელისუფლება გაიყო მთავრობის მოხელეებსა და სასულიერო პირებს შორის“²²¹.

ვინაიდან ძირითადი კანონი სამართლის მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავდა, მასში არ იყო ჩამოყალიბებული ისეთი ნორმები, რაც უშუალოდ მოაწესრიგებდა საზოგადოების კონკრეტულ ურთიერთობებს. კანონში არ იყო შემუშავებული ოჯახის, მოქალაქეთა, პიროვნების მიერ სამართალდარღვევათა იურიდიული პასუხისმგებლობის, ე. ი. ნივთიერი სამართლის განმსაზღვრელი პრინციპები, ამიტომ იგი თავისთავად ჯერ კიდევ არ იძლეოდა პიროვნების საკუთრებისა და ქონების დაცვისა და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცება-განვითარების გარანტიებს. თვით სამედიატორო სასამართლოები, რომლის წარმოშობაც ქვეყანაში ვაჭრობის განვითარებისა და ვაჭართა უფლებების დაცვის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, სამართალდარღვევათა იურიდიული პასუხისმგებლობის გარანტიის უქონლობის გამო, მხოლოდ ადგილობრივ ადამ-წესებს ემყარებოდა.

²²⁰ ძირითადი კანონის დამატება... გვ., 33—35, მუხ. 71—89.

²²¹ М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 106.

ცხოვრება, ობიექტური სინამდვილე კი ბურჟუაზიული იურისპრუდენციის დანერგვასა და გაფართოებას მოითხოვდა. ეს აუცილებელი ხდებოდა, ერთი მხრივ, კერძო საკუთრების დამკვიდრებისა და დაცვის საჭიროებით, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მშრომელი და დაჩაგრული კლასებისა და ფენების გამოსვლების აღკვეთის, მისი დამორჩილება-დათრგუნვის ინტერესებით. კანონმდებლობას უნდა უზრუნველყო ბურჟუაზიისა და მულქადარ-მემამულეთა ქონება, პირადი უფლებები და პრივილეგიები. ამ მიზანს ისახავდა უკვე კონსტიტუციური რევოლუციის ბოლო ეტაპზე, 1910 წელს მეჯლისის მიერ მიღებული ისეთი იურიდიული დოკუმენტები, როგორც იყო დროებითი, სასამართლო და სავაჭრო სამართალწარმოების წესდებები, დროებითი სამოქალაქო კოდექსი და სხვა, რომელთა პროექტები იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა²²².

მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯები იყო ბურჟუაზიული იურისპრუდენციის დამკვიდრების გზაზე. ცხადია, ამას ძველ სასამართლო სისტემაში ჯერ კიდევ არ შეეძლო არსებითი ცვლილებები მოეხდინა და მნიშვნელოვნად შეეზღუდა რელიგიური სამართლებრივი პრაქტიკა. ამ მხრივ რადიკალურ ცვლილებებს სათავე 20-იანი წლების დამდეგიდან დაედო. ამ დროს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას მხარდაჭერით ირანს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ სავაჭრო ბურჟუაზიისა და მემამულეების წარმომადგენლებმა, რომლებიც თავიანთი კლასობრივი ინტერესებს იცავდნენ, შეძლეს ჩაეხშოთ სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობა ქვეყანაში და პოლიტიკური ხელისუფლების დაუფლების შემდეგ მემამულურ-ბურჟუაზიული ბლოკის იურიდიული საფუძვლების განმტკიცებას შეუდგნენ. ამ დროიდან იწყება ირანის სასამართლო სისტემის რეორგანიზაციისა და რელიგიური სამართლის არსებითად შეზღუდვის პროცესი, რაც 30-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა.

1922 წელს მეოთხე მოწვევის მეჯლისში საერო სამართალწარმოებასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონი დაამტკიცეს. მათ შორის, დროებითი სისხლის სამართლებრივ-პროცესუალური კოდექსი, კანონები უძრავი ქონების რეგისტრაციის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ, სამართალწარმოების ახალი წესდება და სხვა., 1925 წელს, როცა მემამულურ-ბურჟუაზიული ბლოკის ლიდერი რეზა-ხანი თავისი პოლიტიკური კარიერის ზენიტს უახლოვდებოდა და წარმატებთ წყვეტდა ქვეყნის ცენტრალიზაციის ღონისძიებებს.

²²² E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

რამდენიმე ახალი კანონი მიიღეს იურისპრუდენციის დარგში. მაგალითად, ამ წლის თებერვალში მეჯლისმა დაამტკიცა კანონი სავაჭრო-სასამართლოების შესახებ, ივნისში — პირველი სავაჭრო კოდექსი, ხოლო 14 დეკემბერს, როცა რეზა-ხანმა უკვე შაჰის გვირგვინი დაიდგა, მეჯლისმა სისხლის სამართლის კოდექსის პირველი ნაწილი მოიწონა. ამ მიმართულებით ინტენსიური საქმიანობა შემდეგშიც გაგრძელდა. 1926 წელს ახალი ვითარების შესაბამისად მოხდა იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა ახალი სასამართლო სისტემა. ამავე დროს მეჯლისმა დაამტკიცა სისხლის სამართლის კოდექსის მეორე ნაწილი და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების კანონის სრულყოფილი ვარიანტი²²³. 1928 წელი ირანის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მხარდაჭერით გაუქმდა ქვეყნისათვის მეტად მძიმე და დამამცირებელი კაპიტულაციების რეჟიმი, რომელიც ევროპის კაპიტალისტურმა ქვეყნებმა თავს მოახვიეს მას საუკუნეზე მეტი ხნის წინათ. კაპიტულაციების რეჟიმის საფუძველზე, უცხოელი მოქალაქე, როგორც მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა ირანის ტერიტორიაზე, ქვეყნის იურისპრუდენციას არ ექვემდებარებოდა²²⁴.

1928 წელს მთავრობამ შეადგინა და დაამტკიცა სამოქალაქო სამართლის კოდექსის პირველი ნაწილი. იმავე წელს გამოიცა კანონი ადმინისტრაციული და სხვა სახის სპეციალური სასამართლოების შესახებ, მოხდა იუსტიციის სამინისტროს ახალი რეორგანიზაცია.

1931 წელს მეჯლისმა დაამტკიცა კანონები საკასაციო სასამართლოებისა და ქვეყნის უშიშროების და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ. ეს უკანასკნელი კანონი მიმართული იყო დემოკრატიული მოძრაობისა და უწინარესად კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. მოგვიანებით, 1938 წელს ამ კანონის საფუძველზე შედგა ცნობილი „53-ის პროცესი“, რომელზეც თავი ერანმა ამხილა რეჟიმის რეაქციული პოლიტიკა.

1932 წელს გამოიცა კომერციული კანონი. 1932—1935 წლებში მეჯლისმა დაამტკიცა სამოქალაქო კოდექსის მეორე და მესამე ნაწილები, ხოლო 1939 წელს XI მოწვევის მეჯლისმა მოიწონა სამოქალაქო პროცესუალური კოდექსი²²⁵.

²²³ М. Д. Миланян, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 107; Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 49.

²²⁴ Б. Х. Парвизпур. *Великий Октябрь и суверенитет Ирана*. Тбилиси, 1984, с. 43.

²²⁵ „ქეიხანი“, 1968 წლის 18 ივნისი.

ამრიგად, 20—30-იან წლებში საერო სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესი მოწმობს, რომ ამ დროს თვალსაჩინო ღონისძიებები გატარდა სამართალწარმოების ბურჟუაზიული ნორმების დასამკვიდრებლად. ამასთან ირანელი კანონმდებლები სამართალწარმოების ახალ სისტემას აგებდნენ დასავლეთის ბურჟუაზიული სამართლის მოდელის მიხედვით, კერძოდ, იმდროინდელი საფრანგეთის სასამართლო ორგანიზაციის შესაბამისად. ახალ კანონმდებლობათა მიზანს ფეოდალური სამართლის ბურჟუაზიული სამართალწარმოებით შეცვალა შეადგენდა. ამიერიდან შარიათის სასამართლოებმა არსებითად დაკარგეს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ კომპეტენციებში დარჩა მხოლოდ რელიგიური საქმეებისა და ქორწინება-განქორწინების საკითხების გარჩევა. ამით მნიშვნელოვნად შეიზღუდა სასულიერო წრეების უფლებები სამართალწარმოების დარგში და სასამართლო ხელისუფლება საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შემადგენელი ნაწილი.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ქვეყანაში გარკვეული ავტონომიით სარგებლობდა²²⁶. მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებას — შაჰის კარსა და მინისტრთა კაბინეტს, რომლებიც მმართველი წრეების ინტერესებს გამოხატავდნენ, თავის გავლენაში ჰყავდათ ხელისუფლების სასამართლო ორგანოები. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სასამართლო ორგანოების შექმნა ხდებოდა არა დემოკრატიულ, არამედ ბიუროკრატიულ საფუძველზე. 1956 წლის 22 ივნისსა და 9 აგვისტოს მიღებული იუსტიციის სამინისტროს მორიგი რეორგანიზაციის შესახებ კანონების საფუძველზე, იუსტიციის მინისტრის ფუნქციებში შედიოდა საერთო და დისციპლინარული სასამართლოების თავმჯდომარეების, აგრეთვე, პროკურატურის აპარატის ყველა ინსტანციის მოხელეების დანიშვნა, ხოლო გენერალურ პროკურორს თვითონ შაჰი ნიშნავდა²²⁷. პრაქტიკულად არ ზორციელდებოდა კონსტიტუციის დამატების მოთხოვნა მოსამართლეთა უცვლელობის შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მოსამართლის დათხოვნა არ შეიძლებოდა მისი თანხმობის გარეშე ან დანაშაულის დაუდგენლად²²⁸. ამასთან კონსტიტუციურად აკრძალული იყო მოსამართლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა²²⁹. სინამდვილეში, კონსტიტუციის ამ დებულებათა

²²⁶ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 33, მუხ. 81—85; გვ. 34—35, მუხ. 83—86.

²²⁷ „ეთელათი“, 1956 წლის 23 ივლისი და 10 აგვისტო.

²²⁸ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 34, მუხ. 81.

²²⁹ იქვე, გვ. 34, მუხ. 82.

გვერდის ავლით, სასამართლოების შესახებ მიღებულ პირველსავე კანონში იუსტიციის მინისტრს უფლება მიეცა თავისი სურვილის მიხედვით პროვინციის ტერიტორიაზე გადაადგილებინა მოსამართლეები. შემდეგში, როცა არა ერთხელ განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს გადახალისება და სასამართლო სისტემაში შეიტანეს სტრუქტურულ-ორგანიზაციული ცვლილებები, სასამართლო ხელისუფლებას ორგანოები უფრო მეტად დაქვემდებარა აღმასრულებელ ხელისუფლებას საერთოდ და იუსტიციის სამინისტროს კერძოდ. ეს კი საფუძველს აკლავდა კონსტიტუციურ დაპირებებს სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის შესახებ. ამიტომ იყო, რომ ქვეყნის პროგრესული პარტიები და ორგანიზაციები, მათ შორის, ბურჟუაზიული დემოკრატები. აშკარა უკმაყოფილებას და პროტესტს გამოთქვამდნენ მთავრობის ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გამო და კონსტიტუციურ უფლებათა დაცვას მოითხოვდნენ.

კონსტიტუციის თანახმად, მოსამართლე უნდა ყოფილიყო ირანის მოქალაქე, შიიტი, არანაკლებ 25 წლისა. მას მიღებული უნდა ჰქონოდა საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სტაჟირების კურსის გავლით. მოსამართლე ვალდებული იყო, სანამ მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდა, კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დაედო იუსტიციის მინისტრის ან მისი მოადგილის და გენერალური პროკურორის თანდასწრებით. მოსამართლე არ შეიძლება ყოფილიყო რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წევრი²³⁰.

სასამართლო სისტემა საერთო და სპეციალურ სასამართლოებად იყოფოდა. საერთო სასამართლოები განიხილავდნენ როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებს, გარდა იმისა. რასაც კანონი მათი კომპეტენციებიდან გამორიცხავდა. სპეციალური სასამართლოები განიხილავდა მხოლოდ ისეთ საქმეებს, რასაც კანონი განსაზღვრავდა.

საერთო სასამართლოები დაყოფილი იყო ოთხ კატეგორიად: მომრიგებელი სასამართლოები (სოლჰიე), ადგილობრივი სასამართლოები (ბედაეთ), პროვინციული სააპელაციო სასამართლოები (ისტინაჟ) და უმაღლესი საკასაციო სასამართლო (თამიზ)²³¹.

პირველი ინსტანციის სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა მომრიგებელი სასამართლო, რომლის ადგილსამყოფელი ბახშის ცენ-

²³⁰ М. Д. Миланнан, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

²³¹ Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 51. ბ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

ტრი ან რომელიმე მსხვილი დასახლებული პუნქტი იყო. მას ბახშის სასამართლოსაც (დადგაპ-ე ბახშ) უწოდებდნენ. მომრიგებელ სასამართლოს, რომელსაც მხოლოდ ერთი მოსამართლე მართავდა, იუსტიციის მინისტრი ნიშნავდა. ქალაქებში მომრიგებელ სასამართლოს რამდენიმე განყოფილება ჰქონდა. თითოეულ განყოფილებას განაგებდა მოადგილე, რომელსაც აგრეთვე იუსტიციის მინისტრი ნიშნავდა.

30-იან წლებში შემოღებული წესის თანახმად, მომრიგებელი მოსამართლეები განიხილავდნენ სარჩელებს, რომელთა ღირებულება 10 ათას რიალამდე იქნებოდა შეფასებული. შემდეგში ფასების და ინფლაციის ზრდის გათვალისწინებით, სარჩელების ფასი ჯერ 50 ათას, ხოლო შემდეგ 100 ათას რიალამდე ვადიდდა. მომრიგებელ მოსამართლეთა მთავარი ამოცანა მომჩივანი მხარეების შერიგება იყო. მაგრამ, თუ შერიგება არ მოხერხდებოდა, მაშინ დამნაშავეის სასჯელი ორ თვემდე პატიმრობით, ან 200 რიალამდე ჯარიმით განისაზღვრებოდა. ქალაქებში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა სპეციალური სამომრიგებლო სასამართლო (დადგაპ-ე ხალაფ)²³².

შაჰრესთანებში მოქმედი სასამართლო ორგანო მოჰაქემ-ე ბედაეთ ანუ პირველადი სასამართლო — ასევე დაბალი ინსტანციის სასამართლოების რიგს განეკუთვნებოდა. ეს სასამართლო, გარდა ისეთი სარჩელებისა, რომელთა ღირებულება 50 ათას რიალზე ნაკლები არ იყო, განიხილავდა აგრეთვე სისხლის სამართლის დანაშაულს. მის ფუნქციებში შედიოდა ბახშის სამომრიგებლო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემოწმება. მნიშვნელოვან პროვინციულ დასახლებულ პუნქტებში იყო ამ ინსტანციის სასამართლოს განყოფილებები, რომელსაც მოსამართლე და მრჩეველები ჰყავდა. პირველ განყოფილებას შაჰრესთანის სასამართლოს თავმჯდომარე განაგებდა. სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავდა ცალკე განყოფილება, რომელსაც დადგაპე ჯონჰე ეწოდებოდა²³³.

50-იანი წლების ბოლოს, გლეხთა გამოსვლების გახშირებასთან დაკავშირებით, მ. ეყბალის მთავრობის წინადადებით, XIX მოწვევის მეჯლისმა მიიღო კანონი შაჰრესთანის სასამართლოს გამსვლელ განყოფილების შექმნის შესახებ. ამ განყოფილების დაარსების მიზანი გლეხთა მოძრაობის ალაგმვა და მსხვილ-მემამულეთა ინტერესების დაცვა იყო. 1967 წელს შაჰრესთანის სასამართლოებთან შეიქმნა

²³² М. Д. Миланин, დასახ. ნაშრ., გვ. 111; Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 51; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

²³³ იქვე.

ე. წ. საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილებები²³⁴. ეს სასამართლო ორგანოები, რომლებიც ქორწინება-გაყრისა და ცოლქმრული ურთიერთობის სხვა საქმეებს განიხილავდნენ, აგრეთვე ქალისთვის მიცემული უფლება, რომ მოსამართლის თანამდებობა დაეკავებინა, მინიმუმამდე კვეცავდა შარიათის სასამართლოების უფლებამოსილებებს. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა შიიტური სასულიერო წრეების უკმაყოფილებას, დაბავდა მათ ურთიერთობას შაჰის მთავრობასთან. ამ რიგის სასამართლოების მიზანს ცოლისა და ქმრის შერიგება შეადგენდა. შეურიგებლობის შემთხვევაში სანოტარო კანტორა მათ გაყრას აფორმებდა²³⁵.

ოსთანის სასამართლო, რომელსაც მოჰაქემ-ე ენსაფ (სააპელაციო სასამართლო) ეწოდებოდა, მეორე ინსტანციის მართლმსაჯულების ორგანო იყო. სასამართლო მოქმედებდა ოსთანის ტერიტორიაზე და განიხილავდა სამომრიგებლო სასამართლოების მიმართ შეტანილ სააპელაციო საქმეებს. ოსთანის სააპელაციო სასამართლო რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა. პირველ განყოფილებას ოსთანის სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. მასში ხუთი კაცი შედიოდა და ფაქტობრივად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს (ჰეიათ-ე მონასეფე) წარმოადგენდა. იგი განიხილავდა ისეთ მძიმე დანაშაულებებს, როგორცაა მკვლელობა, ძარცვა იარაღის გამოყენებით, ყალბი დოკუმენტების კეთება, ან „ქვეყნის დამოუკიდებლობის შელახვა“. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეძლო გამოეტანა გადასახლების, სამოქალაქო უფლებების აყრის, ხანგრძლივი პატიმრობისა და სიკვდილით დასჯის განაჩენები²³⁶. სხვა განყოფილებები შედგებოდა თავმჯდომარის, ორი მოადგილისა და მდივნისაგან. ისინიც სააპელაციო საქმეებს არჩევდნენ.

1907 წელს მიღებული კონსტიტუციის დამატების საფუძველზე იქმნებოდა უმაღლესი საკასაციო სასამართლო (დივან-ე ალი-ე თამიზ), რომლის ადგილ-სამყოფელი თეირანში იყო. იგი უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა²³⁷. უმაღლეს სასამართლოში შედიოდა რვა განყოფილება, რომელთაგან თითოეული თავმჯდომარისა და სამი მრჩევლისაგან შედგებოდა. პირველი განყოფილების ხელმძღვანელი უმაღლესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე

234 „ეთელათი“, 1967 წლის 16 ივლისი.

235 იქვე.

236 E. A. Дорощенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 52; М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 113; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

237 ძირითადი კანონის დამატება, გვ. 33, მუხ. 75.

იყო. კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი საკასაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლო ორგანოების კომპეტენციაში შემავალ საქმეებსაც განიხილავდა. მაგრამ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მინისტრი იყო²³⁸. საერთოდ, ეს სასამართლო კონტროლს უწევდა, თუ რამდენად შეესაბამებოდა კანონს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და იცავდნენ თუ არა ისინი პროცესუალურ ნორმებს. იმ შემთხვევაში, როცა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება კანონს ეწინააღმდეგებოდა, უმაღლესი სასამართლო ამ დადგენილებას აუქმებდა და საქმეს გადასცემდა სააპელაციო სასამართლოს მეორედ განსახილველად. უმაღლესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს შაჰი ნიშნავდა იუსტიციის სამინისტროს წარდგინების საფუძველზე. ამ პოსტზე კანდიდატურები შეირჩეოდა იუსტიციის ყოფილ მინისტრებს ან უმაღლესი საკასაციო სასამართლოს განყოფილების ყოფილ თავმჯდომარეებს შორის²³⁹.

უმაღლესი საკასაციო სასამართლოსთან არსებობდა ადმინისტრაციული და დისციპლინარული სასამართლოები. ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავდა სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეების მიერ სამართალდარღვევის საქმეებს. დისციპლინარული სასამართლო იხილავდა თანამდებობრივ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს იუსტიციის სამინისტროში, აგრეთვე, პროკურატურაში მოსამართლეთა და ადვოკატთა შორის.

ადმინისტრაციული სასამართლო ხუთი წევრისა და ერთი წევრობის კანდიდატისაგან შედგებოდა. მას ნიშნავდა იუსტიციის მინისტრი და ამტკიცებდა შაჰი. ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფო სამსახურის შესახებ კანონის დარღვევას ეხებოდა, საბოლოო იყო და კასაციას არ ექვემდებარებოდა. სხვა საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკასაციო წესით შეიძლებოდა²⁴⁰.

ადმინისტრაციული და დისციპლინარული სასამართლოები, სპეციალური სასამართლოების კატეგორიას განეკუთვნებოდა. სპეციალურ სასამართლოებს ეკუთვნოდა აგრეთვე შარიათის სასამართლოები, სამხედრო, სამხედრო-საველე, პოლიციისა და ჟანდარმერიის ტრიბუნალები. შარიათის სასამართლოების მოქმედების სფერო კონსტიტუციის მიღებისა და, განსაკუთრებით, სასამართლო რეფორმების.

238 იქვე; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

239 М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 114.

240 იქვე; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 32.

გატარების შედეგად თუმცა მინიმუმამდე შეიკვეცა, მაგრამ მთლიანად ლიკვიდირებული არ იყო. ახლა ეს სასამართლოები, რომლებსაც საერო, სამოქალაქო ფუნქციები ჩამოშორდა, წმინდა რელიგიურ სამართალდარღვევებს განიხილავდა. ამასთან მოქალაქეებს შეეძლოთ შარიათის მართლმსაჯულებისათვის მიემართათ საერო სასამართლებისა და პროკურატურის საშუალებით.

შარიათის სასამართლოები დედაქალაქსა და ყველა პროვინციულ ქალაქში არსებობდა. თეირანის შარიათის სასამართლო შედგებოდა მოსამართლის (ყაზი) და ორი მოადგილისაგან, რომლებიც უმაღლესი მუსლიმანური წრეების წარმომადგენლები იყვნენ. პროვინციებში შარიათის სასამართლოს მხოლოდ ერთი ყაზი განაგებდა. იგი ისლამურ იურისპრუდენციაში ღრმად ჩახედული პირი უნდა ყოფილიყო. შარიათის სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიას იუსტიციის სამინისტრო ადგენდა. პროვინციების შარიათის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა დედაქალაქის უმაღლეს შარიათის სასამართლოში²⁴¹.

კონსტიტუციის დამატება ითვალისწინებდა ქვეყანაში სამხედრო სასამართლოების შექმნას, რაც სპეციალური კანონის საფუძველზე უნდა მომხდარიყო²⁴². პირველი სამხედრო და სამხედრო-საველე ტრიბუნალები შეიქმნა 20-იანი წლების დამდეგს, როცა რეზა-ხანის თაოსნობით რეგულარული არმიის ნაწილები ჩამოყალიბდა.

პირველი კანონი სამხედრო სასამართლოების შესახებ 1928 წლის ივნისში მიიღეს. კანონის თანახმად, არმიაში სამხედრო ტრიბუნალების შექმნასა და საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში „სიმშვიდისა და წესრიგის“ დასამყარებლად. მმართველი წრეები მათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ერთი მხრივ, ქვეყნის ცენტრალიზაციის პოლიტიკური კურსის გატარებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მემარცხენე, დემოკრატიული და, საერთოდ, ყველა პროგრესული პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებების გასატარებლად.

სამხედრო ტრიბუნალები განიხილავდნენ არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს, არამედ საერთოდ სახელმწიფო-პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებულთა საქმეებსაც. 1954 წლამდე პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებულთა საქმეებს სააპელაციო სასამართლოები განიხილავდნენ. ამის შემდეგ, მათი საქმეების განხილვა მთლიანად სამხედრო ტრიბუნალებს დაეკისრა. ქვეყანაში არსებობდა პირველი და მეორე ინსტანციის სამხედრო

241 ძირითადი კანონის დამატება... გვ. 35, მუხ. 87.

242 იქვე.

ტრიბუნალები, რომელთა თავმჯდომარეებს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი — შაჰი ნიშნავდა. შექმნილი იყო აგრეთვე საკასაციო, დისციპლინარული და სხვა სახის სამხედრო ტრიბუნალები, რომელთა კომპეტენციებს და სამოქმედო სფეროს მთავარსარდალი ადგენდა. კანონის თანახმად, ომიანობის პირობებში საკასაციო ტრიბუნალები დროებით წყვეტდა საქმიანობას.

სამხედრო ტრიბუნალი უფლებამოსილი იყო გამოეტანა განაჩენი სიკვდილით დასჯისა და ხანგრძლივი პატიმრობის ან გადასახლების შესახებ. დაშვებული იყო შესაძლებლობა, რომ მშვიდობიან დროს ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი შეეცვალა უმაღლეს მთავარსარდალს, საკასაციო წესით შეეწყალებინა მსჯავრდებულნი. მაკრამ ომიანობის პირობებში ტრიბუნალის განაჩენი საბოლოო იყო და დაუყოვნებლივ მოყავდათ სისრულეში.

„თეთრი რევოლუციის“ მეცხრე პუნქტად გამოცხადებული იყო სოფლებში ე. წ. „სამართლიანობის სახლების“ (ხანეჰა-იე ენსაფ) ანუ საზოგადოებრივი სასამართლოების შექმნის შესახებ²⁴³. „სამართლიანობის სახლების“ დაარსების მიზნად მიიჩნევდნენ იმას, რომ სოფლის მოსახლეობისათვის გაეწიათ დახმარება წვრილმანი, მეზობლური და ოჯახური სადავო საქმეების გარჩევაში. „სამართლიანობის სახლებს“ 5 კაცის შემადგენლობით ირჩევდა სოფლის მოსახლეობა სამი წლის ვადით. არჩევნების ჩატარებაზე კონტროლს ბახშის სასამართლო (დადგაჰ-ე ბახშ) აწესებდა²⁴⁴.

პირველი ასეთი საზოგადოებრივი სასამართლო შეიქმნა 1963 წლის დეკემბერში ისფაჰანის ოსთანის სოფელ მაჰირში²⁴⁵. საერთოდ, მთავრობა გეგმავდა 12 ათასი „სამართლიანობის სახლის“ შექმნას ქვეყნის 36 ათას სოფელში²⁴⁶.

„თეთრი რევოლუციის“ იგივე მეცხრე პუნქტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის (წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.) საარბიტრაჟო-სამედიატორო საბჭოების (შურაი-ე დავერ) შექმნას. საარბიტრაჟო საბჭოები შედგებოდა მოსახლეობის მიერ არჩეული ხუთი წევრისა და იუსტიციის სამინისტროს ერთი მრჩევლისაგან. ქალაქებში საარბიტრაჟო საბჭოების შექმნის კანონპროექტი 1966 წლის ივლისში შეადგინეს²⁴⁷. ეს კანონპროექტი მოიწონა 1968 წლის ივნისში XXII მოწვევის მეჯლისმა. პირველი

243 თეთრი რევოლუცია, გვ. 168.

244 იქვე, გვ. 170.

245 „ქეიჰანი“, 1971 წლის 21 იანვარი.

246 თეთრი რევოლუცია, გვ. 172.

247 იქვე.

ასეთი საარბიტრაჟო საბჭოები აირჩიეს მაზანდარანის ქალაქებში შაჰ-სევარსა და ჩალუსში. 70-იანი წლების დამდეგისათვის შექმნილი იყო 116 საარბიტრაჟო საბჭო. მთავრობა ვარაუდობდა მათი რიცხვი 250-მდე გაეზარდა²⁴⁸.

ქალაქებში საარბიტრაჟო საბჭოების შექმნის კანონი ითვალისწინებდა მათ შემადგენლობაში ქალების არჩევასაც. ეს საბჭო-სასამართლოები არჩევდნენ 1000 თუმნამდე ღირებულების საქმეებს, განიხილავდნენ აგრეთვე წვრილმან სარჩევებს. მათ უფლება ჰქონდათ მოესაჯათ პატიმრობა ორ თვემდე ან გადაეხდევინებინათ ჯარიმა 120 თუმნამდე²⁴⁹.

ამრიგად, მონარქიულ ირანში ჩამოყალიბებული იყო საკმაოდ მწყობრი სასამართლო სისტემა. ამასთან ერთად, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნეოდა გარკვეული დუალისტური ტენდენცია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მმართველი წრეები, ერთი მხრივ, სასამართლო ორგანოებს სულ უფრო მეტად აქცევდნენ თავიანთ გავლენაში, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმსაჯულებაში დემოკრატიული ელემენტების შეტანით კმნიდნენ ილუზიებს, გარეგნულ მოჩვენებას იმისათვის, რათა ხალხის მასების ყურადღება რეჟიმის „სამართლიანობაზე“ მიეპყროთ.

პროკურატურა

ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო საპროკურორო ზედამხედველობის სისტემა, რაც სასამართლო ორგანოებთან ერთად არსებობდა. საპროკურორო ზედამხედველობა დაწესებული იყო როგორც საერთო, ასევე სპეციალურ სასამართლოებთან. კონსტიტუციის დამატების 83 მუხლის საფუძველზე, ქვეყნის გენერალურ პროკურორს ნიშნავდა შაჰი და იწონებდა შარიათის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე²⁵⁰. მაგრამ იმის შემდეგ, რაც შარიათის სასამართლოებმა თავისი აღრიხდელი გავლენა დაკარგეს, კონსტიტუციის ამ დებულების ეს უკანასკნელი პრინციპი უკვე აღარ სრულდებოდა. გენერალური პროკურორის აპარატი უმაღლეს საკასაციო სასამართლოსთან ფუნქციონირებდა. უკანასკნელ ხანებში გენერალური პროკურორი, ისევე როგორც ყველა ინსტანციის პროკურორები, იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა. გენერალური პროკურორის კანდიდატურას ახლა იუსტიციის მინისტრი წარუდ-

²⁴⁸ „ქეიპანი“, 1971 წლის 21 იანვარი.

²⁴⁹ იქვე.

²⁵⁰ ძირითადი კანონის დამატება... გვ. 34, მუხ. 89.

გენდა შაჰს დასანიშნავად. რაც შეეხება გენერალური პროკურორის თანაშემწეებს, აგრეთვე ოსთანისა და შაჰრესთანის პროკურორებს, მათ გენერალური პროკურორის თანხმობით იუსტიციის მინისტრი ნიშნავდა და შაჰი ამტკიცებდა²⁵¹. ბაზშის სასამართლოსთან პროკურორი არ ინიშნებოდა. აქ პროკურორის როლს ადგილობრივი პოლიციის უფროსი ასრულებდა.

გენერალური პროკურორის აპარატში შედიოდა კანცელარია, სარქივო, სასამართლოებში სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა განხილვაზე ზედამხედველობის, საგამომძიებლო, საკონტროლო-საინსპექტორო, სტატისტიკის და სხვა განყოფილებები.

შაჰრესთანებისა და ოსთანების პროკურორები მონაწილეობდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვაში და სათანადო შეფასებას აძლევდნენ მათ, კანონის შესაბამისად მოითხოვდნენ განაჩენის დამძიებას ან შემსუბუქებას. პროკურორებს მუშაობაში დახმარებას უწევდნენ მათი მოადგილეები და გამომძიებლები. პროკურორებთან არსებობდა არასრულწლოვან დამნაშავეთა მეურვეობის, უპატრონო ქონების და სხვ. განყოფილებები.

ადმინისტრაციულ სასამართლოსთან პროკურორს არ ჰყავდა გამომძიებელი და ადვოკატი. მათ ფუნქციებს თვითონ ითავსებდა.

ირანის არმიის მთავარი სამხედრო პროკურორი უმაღლესი მთავარსარდლის პირად წარმომადგენლად ითვლებოდა. სამხედრო ტრიბუნალთან არსებული პროკურატურა მთავარი პროკურორის, მისი მოადგილის, გამომძიებლისა და ადვოკატებისაგან შედგებოდა. კანდალატურას არმიის მთავარი პროკურორის პოსტზე უმაღლეს ოფიცერთა რიგებიდან აყენებდა თავდაცვის მინისტრი და ნიშნავდა შაჰი.

არმია, ჯანდაცმერია, პოლიცია

ირანის კონსტიტუციის დამატების მეათე თავის სამი მუხლი (105—107 მუხლები) ქვეყნის რეგულარული არმიის შექმნის პრინციპებს ეხებოდა. საქმე ის არის, რომ კონსტიტუციის მიღების დროისათვის ირანში არ არსებობდა თანამედროვე რეგულარული არმია და სახელმწიფო საზღვრების დაცვისა და ქვეყნის შიგნით სადამსჯელო ფუნქციების შესრულება ეკისრებოდა. ირეგულარულ ფეოდალურ ლაშქარს, რომელიც ტომობრივ პრინციპზე იყო აგებული²⁵². ირა-

²⁵¹ М. Д. Миланян, დასახ. ნაშრ., გვ. 119; Е. А. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 54.

²⁵² ი. გვილაქა. ირანის მთავრობის ცენტრალიზატორული პოლიტიკა და მომთაბარე ტომების პრობლემა, თბ., 1981, გვ. 84.

ნის რეგულარული არმიის შექმნის ცდები ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებით, ჭერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს წარუმატებლად დამთავრდა²⁵³. წარმატება არ მოყოლია არც მირზა თაყიხანის რეფორმებს იმავე საუკუნის შუა ხანებში²⁵⁴. ერთადერთი ბრძოლისუნარიანი სამხედრო შენაერთი სპარსეთის კახაკთა ბრიგადა იყო, რომელშიც წამყვანი ადგილი რუს ოფიცრებს ეკუთვნოდათ.

რეზა შაჰის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმები რეგულარული ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნას ისახავდა მიზნად. 20-იან წლებში გაუქმდა ბონიჩეს და ჩერიქის ფეხოსანთა და ცხენოსანთა ლაშქარი და შეიქმნა თანამედროვე არმია, რომელიც შეიარაღებული იყო მძიმე არტილერიით, ტანკებითა და თვითმფრინავებით. დაარსდა აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ფლოტი²⁵⁵. 1943 წლიდან არმიის მოდერნიზაციის მიზნით ირანში ზედიზედ ჩამოდიოდნენ აშშ-ის სამხედრო მისიები. 1947 წელს ირანსა და აშშ-ს შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება, რომლის თანახმად გათვალისწინებული იყო ირანის არმიის გაწრთვნა ამერიკულ სამხედრო წესდებათა საფუძველზე და შეიარაღება თანამედროვე საბრძოლო ტექნიკით. ირანის არმიის მოდერნიზაციას უკავშირებდნენ ქვეყნის შესვლას ბალდადის (1959 წლიდან სენტო) აგრესიულ ბლოკში. 1959 წლის მარტში ანკარაში ირან-ამერიკის ორმხრივი სამხედრო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ორი ქვეყნის სამხედრო თანამშრომლობამ სისტემატური ხასიათი მიიღო. მონარქიული მმართველობის ბოლო წლებში, განსაკუთრებით 70-იანი წლების დამდეგიდან, როცა ინგლისელი კოლონიზატორების სპარსეთის ყურიდან წასვლის შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმს ვიეტნამის ბინძურ ომში ჩაფლობის გამო შესაძლებლობა არ ჰქონდა მათი ადგილი დაეკავებინა, შაჰის ჰეგემონისტურ პისწრათებებს ფრთები შეეხსა. ამას ხელი შეუწყო იმ პერიოდში ნავთობიდან მიღებულმა გაზრდილმა შემოსავლებმაც, რასაც ძირითადად არმიის შეიარაღებისათვის იყენებდნენ²⁵⁶. ამ დროისათვის ირანი სამხედრო ხარჯებზე ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის მესამედ ნაწილს იყენებდა. 1975 წელს

253 ნ. ტერ-ოგანოვი, ირანის რეგულარული არმია და უცხოური სამხედრო მისიები, თბ., 1984, გვ. 6—54.

254 იქვე, გვ. 55—72.

255 ირანში თანამედროვე სამინისტროების შექმნის შემდეგ ერთ-ერთი მთავარი ადგილი სამხედრო სამინისტროს ეკავა. სამხედრო სამინისტროს ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა იმის შემდეგ, რაც 1921 წელს მას სათავეში რეზახანი ჩაუდგა. სამხედრო სამინისტროს შესახებ იხ. ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

256 М. С. Иванов. Иран в 60—70-х годах XX века, М., 1972, с. 179—180.

გაწეული სამხედრო ხარჯები, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საშუალოდ 230 დოლარს შეადგენდა. ეს თითქმის ორჯერ მეტი იყო ნატოს ქვეყნების მიერ საშუალო ერთ სულ მოსახლეზე გაწეულ სამხედრო ხარჯებზე²⁵⁷. მარტო განვითარების მეორე ხუთწლიდის (1968—1973 წწ.) მანძილზე ქვეყნის სამხედრო ხარჯები თითქმის სამჯერ გადიდა.

სპარსეთის ყურის აკვარიუმში ირანმა შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო — საზღვაო ფლოტი, რომელიც შეავსო აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში და დასავლეთის სხვა ქვეყნებში აგებული სამხედრო გემგებით. ირანის სამხედრო-საჰაერო ძალები აღჭურვილი იყო „ფანტომის“, „მირაჟის“ და სხვა ტიპის ზემძლავრი ბომბდამშენი ავიაციით. სახმელეთო ძალების შეიარაღებაში იყო „ლეოპარდისა“ და „ჩიფტენის“ მარკის ტანკები, მძლავრი სარაკეტო ტექნიკა და სხვა თანამედროვე იარაღი. ირანის არმიაში იარაღის ქვეშ თითქმის ნახევარი მილიონი კაცი იდგა. თანამედროვე სამხედრო წესდებების საფუძველზე არმიის პირად შემადგენლობას წვრთნიდა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებას ასწავლიდა ათეულობით ათასი უცხოელი სამხედრო ინსტრუქტორი, რომელთაგან 40 ათასზე მეტი მარტო ამერიკელი სამხედრო პირი იყო. შეიარაღებული ძალები გამიზნული იყო არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთის რეგიონში ირანის ჰეგემონისტური მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად, არამედ საკუთარი ხალხისაგან მონარქიული რეჟიმის დასაცავადაც.

ქვეყნის შინაგანი დაცვისა და დასჯის ისეთი სახელმწიფო ორგანოები, როგორც პოლიცია და ჟანდარმერია, ირანის პირველი რევოლუციის დროს და მის შემდეგ ჩამოყალიბდა. ამერიკელი ფინანსიური მრჩეველი მორგან შესთერის, რომელიც ირანს ჯერ კიდევ 1911 წელს ეწვია, დაუყოვნებლივ შეუდგა 15 ათასიანი ჯანდარმთა კორპუსის შექმნას. მ. შუთერის განცხადებით, მას ეს ძალა ესაჭიროებოდა ქვეყანაში გადასახადების აკრების უზრუნველსაყოფად. სინამდვილეში იგი ვარაუდობდა შინაგან შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით ამერიკელთა პოზიციების განმტკიცებას, ირანის მთავრობაზე გავლენის გაძლიერებას და თავისი რწმუნების ვადის გახანგრძლივებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ დროს ირანის ერთადერთი რეგულარული სამხედრო შენაერთი — სპარსეთის კაზაკთა ბრიგადა თავის რიგებში მხოლოდ 1500 მეომარს ითვლიდა²⁵⁸.

²⁵⁷ М. С. Иванов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 182.

²⁵⁸ *История Ирана*, М., 1977, с. 287.

იმავე 1911 წელს შვედებმა ირანში ჩამოაყალიბეს ჟანდარმთა გასამხედროებული ნაწილები, რომლებსაც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის აგენტურა ინგლისელებისა და მეფის რუსეთის წინააღმდეგ იყენებდა. 1915 წელს გერმანელებმა მოაწყვეს ჟანდარმთა გამოსვლები შირაზში და სხვა პროვინციებში²⁵⁹.

1921 წლისათვის. როცა რეზა-ხანი სამხედრო მინისტრი გახდა, ირანის არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ შვედი ინსტრუქტორებისგან გაწრთვნილი ჟანდარმთა ნაწილები და საპოლიციო ქვეგანაყოფები, რომლებიც მოქმედებდნენ თეირანში, ყაზვინში, რეშთში, მეშჰედში და სხვ²⁶⁰. რეზა-ხანი ჟანდარმებისა და პოლიციის ნაწილებს გამდგარი ფეოდალ-ხანებისა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ირანის ჟანდარმერიისა და პოლიციის მოდერნიზაციას, მათ ახლებურად გარდაქმნას კვლავ ამერიკელები ჩაუდგნენ სათავეში. 1943 წლის მარტში ირანში ჩამოვიდა ამერიკელთა პირველი სამხედრო მისია. ირანის ჟანდარმერიის უფროსად დაინიშნა ამერიკელი პოლკოვნიკი (შემდეგში გენერალი) შვარცკოფი, რომელმაც ათი წლის შემდეგ ავბედითი როლი ითამაშა მ. მოსადეის კანონიერი მთავრობის დამხობაში. ოკეანეს გაღმელი ინსტრუქტორები ამერიკულ ყაიდაზე წვრთნიდნენ ჟანდარმებსა და პოლიციას, როგორც სადამსჯელო ორგანიზაციას, რომელიც მონარქიულ რეჟიმს იცავდა.

ირანის ჟანდარმერია და პოლიცია საერთოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში შედიოდა, მაგრამ 1949 წლიდან ჟანდარმერიის ნაწილი სამხედრო სამინისტროს გადაეცა და რეგულარული არმიის შემადგენლობაში შევიდა. 1950 წლის 23 მაისს ირანსა და აშშ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება „თავდაცვის მიზნით ურთიერთდახმარების შესახებ“. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ ამერიკის მხარე აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა ირანის ჟანდარმერიის გაწვრთნასა და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაში²⁶¹. ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით ტარდებოდა ჟანდარმერიის წრთვნა. შეიქმნა კურსები, სადაც ჟანდარმებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, აგრეთვე ინგლისურად ელემენტარულ საუბარს. ჟანდარმერიის ფუნქციებში შედიოდა სადამსჯელო ექსპედიციების მოწყობა. ჟანდარმერია მოქმედებდა სამხედრო-საველე წესდებების შესა-

²⁵⁹ История Ирана, М., 1977, с. 295—298.

²⁶⁰ J. M. Baltour, Recent happening in Persia, Edinburgh and London, 1922, p. 173; ხ. თამაღონი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

²⁶¹ История Ирана, М., 1977, с. 352.

ზამისად და შეიარაღებული იყო თანამედროვე ცეცხლმსროლელი იარაღებით.

ირანის პოლიციას, რომელიც მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, ევალებოდა ქვეყანაში „წესრიგისა და უშიშროების დაცვა“ სახალხო გამოსვლების პირდაპირი ჩახშობის გზით. მას ჰყავდა ზედამხედველობის სპეციალური ორგანიზაციები ოსთანებში. შაჰრესთანებსა და ბახშებში. ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში არსებობდა პოლიციისა და ეხანდარმერიის სამმართველოები, განყოფილებები და პოსტები, რომლებთაც ევალებოდათ დამნაშავეობისა და ყოველგვარი ინციდენტების პროფილაქტიკა, დანაშაულებათა გაწმობა, დამნაშავეთა დაკავება და სხვ. ამისათვის პოლიციელები სამოქალაქო და სისხლის სამართლის ელემენტებს უნდა გაცნობოდნენ. ადგილებზე არსებობდა პოლიციის კომისარიატები, რომელსაც პოლიციის პოსტები ემორჩილებოდნენ²⁶².

1953 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ირანში შეიქმნა საიდუმლო პოლიცია აშშ-ის სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით. საიდუმლო პოლიცია ცნობილი იყო „ქვეყნის უშიშროებისა და ინფორმაციის ორგანიზაციის“ (საზემან-ე ამნიათ ვა ეთელაათ-ე ქეშვარ) სახელწოდებით. შემოკლებით მას სავაქს უწოდებდნენ. სავაქის მთელი საქმიანობა მონარქიული რეჟიმის განსამტკიცებლად იყო მიმართული. იგი ტოტალურ თვალთვალს ეწეოდა ყველა „სხვაგვარად მოაზროვნეთა“, პირველ რიგში, მემარცხენე ძალებისა და ბურჟუაზიული დემოკრატების მიმართ. მონარქიული მმართველობის ბოლო წლებში დიდად გაფართოვდა სავაქის შტატის თანამშრომელთა რიცხვი და მან 30 ათას კაცს გადააქარბა. ამას გარდა ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ მოქმედებდა სავაქის აგენტების თითქმის 3 მილიონიანი კორპუსი²⁶³. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ირანის ყოველ ათ მცხოვრებს სავაქის ერთი აგენტი უთვალთვალებდა. სავაქის აგენტები პოლიტიკურ თვალთვალთან ერთად საიდუმლო ტერორისტულ აქტებსაც არ ერიდებოდნენ. ამნაირად, სავაქი თავისი ბინძურა მოქმედებით ცნობილ ფაშისტურ საიდუმლო პოლიცია-გესტაპოსაც არ ჩამოუვარდებოდა. ირანის ციხეებში, რომელთა შორის თავისი საშინელებებით განთქმული იყო თეირანის ევინის საპყრობილე, ათასობით ირანელ პატრიოტს აწამებდნენ. სავაქის აგენტები მოქმედებდნენ წამების შუასაუკუნეობრივი, ბარბაროსული მეთოდებით, რისთვისაც თანამედროვე ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს იყენებდნენ.

²⁶² E. A. Дорошенко, Л. М. Кулагина, დასახ. ნაშრ., გვ. 56; ხ. თ ა მ ა დ ო ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 66—70.

²⁶³ М. С. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 209.

სახელმწიფო ხელისუფლების ორბანოები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

სახელმწიფო და რევოლუცია: სოციალური თუ იდეალური

1978—1979 წლების ანტიმონარქიულმა, ანტიიმპერიალისტურმა სახალხო რევოლუციამ ირანში მონარქიული მმართველობა დააპო. ქვეყანა რესპუბლიკური ტიპის ე. წ. „ისლამურ სახელმწიფოდ“ გამოცხადდა. ირანის რევოლუციური ამბები, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა, ვერ თავსდება რევოლუციების ჩვეულებრივ ჩარჩოებში. იგი ხასიათდება თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით, ზიგზაგებით და სირთულეებით. საგულისხმოა, რომ ირანის ახლანდელი მმართველები ამ რევოლუციას და მისი გამარჯვების შედეგად შექმნილ სახელმწიფოს „ისლამურს“ უწოდებენ. ისმის კითხვა: არსებობს კი რაიმე საფუძველი ასეთი მტკიცებისათვის? ცნობილია, რომ მარქსიზმის კლასიკოსებმა, რომლებიც ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ემყარებოდნენ, კაცობრიობის განვითარების ისტორიის ღრმად შესწავლასა და ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზების საფუძველზე შექმნეს მეცნიერული მოძღვრება სახელმწიფოსა და რევოლუციის შესახებ. ამ მოძღვრების ძირითადი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველგვარი სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს აღიარებს. ამ მოძღვრების თანახმად, სახელმწიფო არის პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი იარაღი ყველა კლასობრივ საზოგადოებაში. საზოგადოების ისტორია იცნობდა სახელმწიფოს ისეთ ტიპებს, როგორცაა მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული. ყველა ეს სახელმწიფო შესაბამისი გაბატონებული კლასების ინტერესებს იცავდა. დღემდე ცნობილ ყველა რევოლუციას სოციალური ხასიათი ჰქონდა. სოციალური რევოლუციების გამარჯვების შედეგად ისტორიულად დრომოკმეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები ადგილს უთმობდა უფრო პროგრესულ, პერსპექტიულ საზოგადოებ-

რივ ურთიერთობებს. რევოლუცია წარმოადგენს თვისებრივ ნახტომს, გადატრიალებას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურაში. ამიტომ იყო, რომ კ. მარქსი რევოლუციებს „ისტორიის ლოკომოტივებს“, მის აქტიურ მამოძრავებელს უწოდებდა¹.

ისტორიას არ ახსოვს, რომ რომელიმე რევოლუცია ან სახელმწიფო თავისი შინაარსით რელიგიური ყოფილიყო; რელიგიური ფორმა კი სახალხო მოძრაობათა თითქმის უმეტესობის დამახასიათებელი ნიშანი, მათი მუდმივი ატრიბუტი იყო.

თავისებურად წარიმართა მოვლენათა მსვლელობა ირანში. იმის შემდეგ, რაც შიიზმი ქვეყნის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, სასულიერო წრეები ხელს უწყობდნენ გაბატონებული კლასების პოზიციების განმტკიცებას. როგორც ზემოთაც ითქვა, ადრე სასულიერო და საერო ხელისუფალთა შორის უთანხმოებებს მხოლოდ ეპიზოდური, წარმავალი და, მაშასადამე, არა არსებითი ხასიათი ჰქონდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახალი, ფეჰლევნიანთა დინასტია დაეპატრონა, ეს უთანხმოებანი თანდათან გადაიზარდა შეურიგებელ, ანტაგონისტურ წინააღმდეგობებში. შაჰის ხელისუფლება, რომელიც ბურჟუაზიისა და კაპიტალიზმის გზით მიმავალი მსხვილი მემამულეების ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა, 20-იანი წლების მეორე ნახევარსა და 30-იან წლებში გატარებული სასამართლო, სასკოლო და ზოგიერთი სხვა რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შელახა სასულიეროთა ინტერესები. მოგვიანებით, 60—70-იან წლებში, როცა მიწის რეფორმას ატარებდა, უკანასკნელმა ფეჰლევნიანმა შაჰმა რეფორმის კანონს დაუქვემდებარა ვაყფის მიწები, რაც, ირანული მონაცემებით, 6 ათასი სოფლის ნაყოფიერ მიწებს მოიცავდა². ამასთან ისლამური ტრადიციების საწინააღმდეგოდ გამოცხადდა ქალების ემანსიპაცია, გაუქმდა პოლიგამია, გამოიკა კანონები ოჯახის შესახებ და სხვა. ყველაფერი ეს იმას ნიშნავდა, რომ საერო ხელისუფლება ღრმად შეიჭრა შიიტური რელიგიის ნაკრძალში, შეარყია სასულიერ-

¹ К. Маркс. Классовая борьба во Франции; К. Маркс, Ф. Энгельс. соч., 2 изд., Т. 7, с. 86; Morteza Motahari, The nature of the Islamic Revolution. In „A Revolution in Turmoil“, Edited by Haleh Afshar, Macmillan, London, 1985, p. 201—205.

² Г. С. Чипашвили, История возникновения и развития сельскохозяйственных кооперативов в Иране и их место в системе аграрных преобразований страны. Тб., 1979. с. 132.

რო წრეების ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციები. ასე დაუპირისპირდა შაპის რეჟიმი შიიტურ სასულიერო წრეებს, მისდაუნებურად მათთან სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაება.

ამას დროსა და სივრცეში დაემთხვა რევოლუციური სიტუაციის მომწიფება და პოლიტიკური ამბების განვითარება ქვეყანაში 70-იანი წლების ბოლოს. რეფორმების მსვლელობაში შაპის უხვი დაპირებებით ხელმოცარული და იმედგადაწურული მოსახლეობის ფართო ფენები აღდგა მონარქიული რეჟიმისა და მისი მოკავშირე ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ. შაპის მოდერნიზმის პოლიტიკა, რაც ვესტერნიზტიული ნიშნით „ზემოდან“ რეფორმების გზით ტარდებოდა, მიუღებელი იყო ქვეყნის ტრადიციული ეკონომიკური და სოციალური წყობისათვის, რომლის განვითარება ბლოკირებული აღმოჩნდა. ამრიგად, რევოლუცია სოციალურ ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ მას ხომ ხელმძღვანელი, ჰეგემონი სჭირდებოდა. შაპის რეჟიმის მიერ გატარებული მკაცრი რეპრესიების შედეგად ორგანიზაციულად და ფიზიკურად გაანადგურეს ყველა რევოლუციური, დემოკრატიული პარტია და ორგანიზაცია, ვისაც რეალურად შესწევდა უნარი ჰეგემონის როლი ეკისრა რევოლუციაში და წინ გაძლოდა სახალხო მოძრაობას. ასეთ ვითარებაში მომენტი ხელსაყრელი აღმოჩნდა სასულიერო წრეებისათვის, რომლებიც, ერთი მხრივ, შაპისა და მისი მოკავშირე ამერიკელების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხის მასებში გარკვეული ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდნენ. ამასთან, შიიტი ლიდერების ეგალიტარისტული ლოზუნგები ისლამური „სოციალური სამართლიანობის“ შესახებ ილუზიებს უქმნიდა მორწმუნეებს, რომლებიც სახალხო მოძრაობის მონაწილეთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ. ამ ნიადაგზე რევოლუციურმა გამოსვლებმა, რაც თავიდანვე სოციალური შინაარსით იყო დამუხტული, მკვეთრად გამოხატული რელიგიური ფორმა შეიძინა. რელიგიურმა ლიდერებმა სასურველ მიზანს მიაღწიეს. ხალხის დაღვრილი სისხლის ფასად მონარქიის დამხობის შემდეგ პოლიტიკურ ხელისუფლებას დაეპატრონენ. ასე გაუკუღმართებულად გადაწყდა რევოლუციის ძირითადი საკითხი. ზოგჯერ მსჯელობენ რა შედეგების მიხედვით, კითხვის ნიშნის ქვეშ სვამენ საკითხს: იყო თუ არა საერთოდ რევოლუცია ირანის 1978-1979 წლების პოლიტიკური ამბები? ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საჭიროა გავიხსენოთ ცნობილი მარქსისტული დებულებები იმის შესახებ, რომ სოციალური რევოლუციის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს კონფლიქტი საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდასა და დრომოკმულ წარმოებით ურთიერთობებს შორის. ეს კონ-

ფლიქტი კი გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს შორის სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების შედეგად ვლინდება. რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს შეადგენენ ის კლასები და სოციალური ფენები, რომლებიც დაინტერესებული არიან საზოგადოების უფრო პროგრესული წყობის გამარჯვებით. ამასთან რევოლუციისათვის აუცილებელია ობიექტური და სუბიექტური წინაპირობების მომწიფება, რევოლუციური სიტუაციის არსებობა.

თუ ყველა ამ დებულებას ირანის კონკრეტული სინამდვილის ფონზე განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი სრულად ესადაგება 70-იანი წლების ბოლოს ირანში შექმნილ ვითარებას. მაგრამ აქვე ისმის სხვა კითხვა: შაჰის მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებმა ხომ მთავარ მიზნად ისახავდა მოეხსნა კონფლიქტი საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდასა და ნახევრადფეოდალურ წარმოებით ურთიერთობებს შორის და ამით თანდათან გაეწმინდა ნიადაგი კაპიტალიზმის განვითარებისათვის? მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ზემოხსენებული რეფორმები რადიკალურად ვერ წყვეტდა დასახულ ამოცანას, უკეთეს შემთხვევაში ეს იყო მისი სანახევროდ გადაჭრა და ისიც გაბატონებული კლასების სასარგებლოდ. მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის უმრავლესობის — საზოგადოების უშუალო მწარმოებელთა ინტერესები. სწორედ ამ გარემოებამ შეამზადა წინამძღვრები სახალხო რევოლუციისათვის. რევოლუცია განახორციელეს ხალხის ფართო მასებმა „ზემოდან რევოლუციის“ საპირისპიროდ. მას თავიდანვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხასიათი ჰქონდა, რევოლუციისა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალები იყვნენ ქალაქის ლარიბები, განგლებული სოფლის მიგრანტები, მუშები, ხელოსნები და წერილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. მაგრამ, როგორც აღინიშნა, შექმნილი ვითარებით ისარგებლა შიიტების ზედა ფენამ და რევოლუციის მონაპოვარს დაეუფლა.

სახელმწიფო ხელისუფლების ის ორგანოები, რომლებსაც მონარქიული მმართველობის სისტემა უნდა შეეცვალა, ერთბაშად არ შექმნილა. რევოლუციის მსვლელობაში ხელისუფლებისაკენ მიისწრაფვოდნენ ანტიმონარქიული და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მონაწილე სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალურ-კლასობრივი ძალები, მათ შორის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ლიბერალური მიმართულებანი, რომლებსაც საკუთარი მიზნები ამოძრავებდათ. მაგრამ ვინაიდან რევოლუციის პროცესში გამოიკვეთა სასულიეროთა წამყვანი როლი, ამან წინასწარ განსაზღვრა მომავალი სახელმწიფო ხელისუფლების ბედი, მისი ხასიათი.

ე. წ. „ისლამური მმართველობის სისტემის“ ანუ „ისლამური სახელმწიფოს“ სტრუქტურული მოდელის თეორიული დასაბუთება მოცემულია აიათოლა ხომეინის ადრინდელ ნაშრომებში, კერძოდ, წიგნში „ისლამური რესპუბლიკური მმართველობა“, რომელიც 1971 წელს ავტორის ერაყში (ნეჯფი) ყოფნის დროს გამოქვეყნდა. ხომეინის აზრით, იმ დროისათვის, როცა შიიტების მეთორმეტე იმამი მაჰდა, რომელიც, ლეგენდის თანახმად, ჯერ კიდევ ბავშვი მეცხრე საუკუნის 70-იან წლებში „გაუჩინარდა“, „სამალავიდან“ დაბრუნდებოდა, ანდა იგი თავის მაგიერ სხვა იმამს დანიშნავდა, „ისლამური მმართველობის სისტემის“ შემუშავება საჭირო არ იყო³. იმამ მაჰდის, როგორც მუსლიმური თემის უმაღლეს მეუფეს, თვითონ ჰქონდა ყველა მონაცემი იმისათვის, რომ ქვეყნის მართვის მეთოდები განესაზღვრა. მაგრამ მანამ, სანამ მაჰდი კვლავ თავის „სამალავში“ რჩებოდა და ჯერ კიდევ არ მოვლინებოდა მხსნელად და მშველელად (მესიად) შიიტ მუსლიმებს, აუცილებელი იყო შეემუშავებინათ მმართველობის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც ხომეინი „ისლამურ რესპუბლიკას“ უწოდებდა⁴. „ისლამურ რესპუბლიკაში“ ავტორი გულისხმობდა ფორმით თანამედროვე, ხოლო შინაარსით ისლამურ დოგმებზე დაფუძნებულ სახელმწიფო გამგებლობას, როცა ხელისუფლების ორგანოების არჩევითობა შეხამებული იქნებოდა თეოკრატიულ მმართველობასთან. მაგრამ ხომეინი გრძნობდა, რომ მისი კონცეფცია, რომლის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ფორმად რესპუბლიკა იყო გამოცხადებული, ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ შიიტურ დოგმას. ამიტომ იგი ცდილობდა ყურანიდან ამოღებული სათანადო დებულებების დამოწმებით გაემართლებინა თავისი მოსაზრებები. როგორც ხომეინი ამტკიცებდა, ჯერ ერთი, ფეთვას⁵ შარიათის საფუძველზე გამოსცემენ ისინი, ვისაც ამის სათანადო ღირსება გააჩნიათ, ხოლო მას ასრულებენ ისინო, ვისაც ამის ღირსება არ აქვთ. მეორე, განსახილველად გამოტანილი

3 ხომეინი, ისლამური რესპუბლიკური მმართველობა (გამოცემის წლისა და ადგილის მიუთითებლად), გვ. 9 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ისლამური რესპუბლიკური მმართველობა, მოტანილია: Л. Е. Скляр ов, становление новых органов власти в Иране (1978—1981). В. сб.: Иран. История и современность, М., 1983, с. 197.

4 იქვე, გვ. 5 (198).

5 ფეთვა — გადაწყვეტილება, განკარგულება, რასაც უმაღლესი სასულიერო პირები — მოჯთეჰიდები და მეფეთეიბი გამოსცემდნენ. ფეთვა სავალდებულო იყო შესასრულებლად შესაბამისი თემის ყველა მუსლიმისათვის..

საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა შეიძლება აზრთა გაზიარების საფუძველზე. ეს ხელს უწყობს ჭეშმარიტების დადგენას, მესამე, ყურანი შეიცავს დებულებას „მოჯთეჰიდის ველაიათ-ე ფაყი-ჰის“ შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოჯთეჰიდი, რომელსაც ისლამის პირველწყაროებისა და საფუძვლების განმარტების გამორჩეული უნარი აქვს, უფლებამოსილია განაგებდეს საზოგადოებრივი ქონების ნაწილს და თვით მოქალაქეებს⁶. ამასთან ეს ხელისუფლება არ არის „ჭეშმარიტი იმამის“ (მაჰდი) ძალაუფლების ტოლფარდი. მაგრამ სრულიად საკმარისია საზოგადოებრივი საქმეების სამართადად. მთავარია დათრგუნო. ბოროტება და გზა მისცე სიკეთეს, როგორც ეს დაწერილებით არის განმარტებული ფიყჰების⁷ წიგნში.

ამრიგად, ჯერ კიდევ ირანის 1978—79 წლების რევოლუციამდე ზომეინიმ წამოაყენა იდეა მმართველობის ისლამური სისტემის შექმნის შესახებ. ეს იდეა ემყარება სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკურ ფორმას თეოკრატიული შინაარსით. თავის თეორიულ დებულებებს ზომეინი იმგვარად აგებდა, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ხელისუფლების თანამედროვე ორგანოებისათვის მოერგო ყურანისტული დოგმები და, ამნაირად, რელიგიური ხელისუფლება შეეერთებინა საერო მმართველობასთან, უზრუნველყყო რელიგიის პრიორიტეტი სახელმწიფო წყობილების სისტემაში.

ქმნიდა რა მომავალი „ისლამური რესპუბლიკის“ მოდელს, ზომეინი გამოყოფდა სახელმწიფო ხელისუფლების სამ ორგანოს (ანუ როგორც ის უწოდებდა — ჯგუფს), რომელსაც უნდა დაეფუძნებოდა ისლამური მმართველობა. ესენი იყო: შარიათის სამართლის საფუძველზე გადაწყვეტილებათა მიმღები, სათათბირო და აღმასრულებელი ჯგუფები⁸.

„ისლამურ რესპუბლიკაში“ გადაწყვეტილებათა მიმღებ ჯგუფს საკანონმდებლო ხელისუფლების ადგილი უნდა დაეკავებინა. იგი დამფუძნებელი კრების როლს შეასრულებდა იმ განსხვავებით, რომ მისი წევრები კანონებს საკუთარი გონების კარნახით კი არ მიცემდნენ ხმას, არამედ ამას ყურანისა და სუნას დებულებების შესაბამისად გააკეთებდნენ. მათ მხოლოდ უნდა „მოეწესრიგებინათ და მოქმედებაშუ მოეყვანათ ეს დებულებები“⁹. გადაწყვეტილებათა მიმღებ ჯგუფს დადგენილება უნდა მიეღო ერთხმად, ფეთვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ერთხმიობა არ იქნებოდა მიღწეული, ფეთვას მიიღებდნენ ხმე-

6 ისლამური რესპუბლიკური მმართველობა, გვ. 4 (198).

7 ფიყი — მუსლიმური კანონმდებლობა, მუსლიმური იურისპრუდენცია. ფაყი-ჰი — მუსლიმური კანონმდებელი, შარიათის მკოდნე.

8 ისლამური რესპუბლიკური მმართველობა, გვ. 5 (198).

9 იქვე.

ბის უმრავლესობის ან „ცოდნით გამორჩეული პირების“ მოწონებას საფუძველზე¹⁰. ცხადია, უპირატესობა გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას ენიჭებოდა.

სათათბირო ჯგუფის როლი მეჯლისის (პარლამენტი) უნდა შეესრულებინა. ამ ჯგუფში, ანუ მეჯლისში ხალხს ყველაზე უფრო გავლენიანი და ავტორიტეტული მოჯთეპიდები უნდა აერჩიას¹¹. გადაწყვეტილებათა მიმღები ჯგუფის მიერ გამოტანილ ფეთვაზე დაყრდნობით, სათათბირო ჯგუფი ქვეყნის მოთხოვნათა შესაბამისად განიხილავდა სხვადასხვა პროექტს სახელმწიფო საქმეების შესახებ, ამტკიცებდა მათ და სათანადო ორგანოებს შესასრულებლად გადასცემდა. სათათბირო ჯგუფიდან გამოიყოფოდა სულ მცირე ხუთი წევრი, რომლებსაც გავლენიანი ფაყიჰები და მოჯთეპიდები შეადგენდნენ. მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა, რომ სათათბირო ჯგუფისგან მიღებული დადგენილებები არ გასცილებოდა ისლამის კანონების ფარგლებს და განეხორციელებინათ იგი გადაწყვეტილებების მიმღები ჯგუფის მიერ გამოცემული ფეთვის შესაბამისად¹².

აღმასრულებელ ჯგუფში აიათოლა ხომეინი გულისხმობდა მინისტრთა კაბინეტს, რომლის ამოცანა იყო სახელმწიფო ხელისუფლების ზემდგომი ორგანოებისგან მიღებული კანონებისა და დადგენილებების ცხოვრებაში გატარება, ქვემდებარე სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნა, კონტროლის დაწესება მათ საქმიანობაზე და სხვ¹³.

„ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ აიათოლა ხომეინის თეორიულ მოდელში ცალკე არ არის გამოყოფილი სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ვინაიდან იგულისხმება, რომ მართლმსაჯულება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ შარიათის კანონებით, რაც გამორიცხავს საერო სასამართლოების არსებობას. სასამართლო ხელისუფლება სასულიეროთა კომპეტენციას შეადგენს, ამიტომ ხომეინის მიაჩნდა, რომ მართლმსაჯულების დარგის ყველა თანამდებობა თავიდან ბოლომდე მოჯთეპიდებსა და ფაყიჰებს უნდა დაეკავებინათ. სასულიერონი უნდა ყოფილიყვნენ, აგრეთვე, პროვინციებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ერთეულების მმართველები¹⁴.

10 ისლამური რესპუბლიკური მმართველობა, გვ. 7 (198).

11 იქვე, გვ. 8 (199).

12 იქვე.

13 იქვე, გვ. 10 (199).

14 იქვე, გვ. 10.

ამასთან აიათოლა ხომეინი, რომელიც სულს ნივთიერზე, ცნობიერს ყოფიერზე წინ აყენებდა, ქადაგებდა ზნეობრივი პრინციპების, როგორც „ისლამური საზოგადოების“ მთავარი მამოძრავებელი ძალის შესახებ. იგი „ისლამურ სახელმწიფოს“ წარმოსახავდა „თანასწორობისა“ და „სოციალური სამართლიანობის“ ეტალონად. ხომეინის „ისლამური წყობა“ მიაჩნდა იდეალურ საზოგადოებად, რომელშიც „უფროსნი და მათი ხელქვეითნი, დაწესებულებათა თანამშრომლები და ვაჟრები, რელიგიური მოღვაწენი და სტუდენტები, სამუშაოს მიმცემნი და მუშები — ყველანი ძმები და თანასწორუფლებიანი იქნებიან...“ მათ შორის — წერდა ხომეინი, „გამეფებული იქნება გულითადობა და ძმობა, ადგილი არ ექნება კონფლიქტებს თანამდებობის, რანგების, სიმდიდრისა და ა. შ. გამო. ყველასა და თითოეულის ქონება ალაღმართლად გადაეცემა ყველას და თითოეულის განკარგულებაში“¹⁵.

ასეთი იყო მოკლედ — „ისლამური სახელმწიფო მმართველობის“ ხომეინისეული მოდელი. რა თქმა უნდა, სახელმწიფო წყობილების ამ მოდელის შესაბამისად ვარაუდობდნენ ქვეყნის მართვას „უზერჰატორი“ შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

თუ სახელმწიფო მმართველობის ხომეინისეულ კონცეფციებს მთლიანობაში განვიხილავთ, თვალში მოგვხვდება რამდენიმე მთავარი გარემოება: პირველი. ხომეინის „ისლამური რესპუბლიკა“, რომელიც თეოკრატიულ პრინციპს ემყარებოდა, გულისხმობდა სასულიერო და საერო ხელისუფლების ისეთ სინთეზს, როცა განუსაზღვრელი როლი კლერიკალებს ეკუთვნოდათ. თითქმის მთლიანად მათ შორის ნაწილდებოდა საკანონმდებლო¹⁶ და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, ხოლო ხელისუფლების სათათბირო და აღმასრულებელ დაწესებულებებში, რომლებიც მათ ექვემდებარებოდა, შეიძლება დაეშვათ სამუშაოდ სამოქალაქო პირები. მეორე. იმის გამო, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში მონოპოლიას სასულიერო პირები იჩემებდნენ, რესპუბლიკა, როგორც ასეთი, რომელშიც უმაღლესო მმართველობა ხალხისგან არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს ეკუთვნის, პირდაპირ მნიშვნელობას კარგავდა, ვინაიდან პარლამენტი (მეჯლისი), რომელიც მხოლოდ „სათათბირო ჯგუფის“ კომპეტენციებით ისაზღვრებოდა, სინამდვილეში არა ხალხის, არამედ ისლამურ მოღვაწეთა ნება-სურვილის უბრალო აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო. მესამე. ფაქტობრივად, „მმართველობის ისლამური სისტემა“ ხელ-

15 ისლამური რესპუბლიკური მმართველობა, გვ. 11.

16 „გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის“ შემადგენლობაში ხომეინის შესაძლებლად მიაჩნდა ზოგიერთი სპეციალისტის (მაგ., ეკონომისტის) დაშვება. მთარჩევა უნდა მიეცათ ფაჰიჰისათვის, რომელიც შეიძლება კომპეტენტური არ ყოფილიყო თანაპედროვე ცხოვრების საკითხებში.

შეუხებელს სტოვებდა სახელმწიფო მმართველობის სოციალურ ასპექტებს. იგი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ შაჰის რეჟიმის დროს არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის მოერგო და მიეშენებინა სახელმწიფო ხელისუფლების თანამედროვე ორგანოებთან შეხამებული ისლამური ფორმები. ამასთან ხომეინი პირდებოდა მდიდრებსა და ღარიბებს შორის „გულითადობისა და ძმობის“ ატმოსფეროს, ისლამური „კლასობრივი პარმონის“ საზოგადოების შექმნას, რაც უკეთესი მომავლის ილუზიებს ქმნიდა ხალხის ფართო მასებში.

ხელისუფლების ახალი ორგანოების ჩამოყალიბება

ხელისუფლების ახალი ორგანოების ჩამოყალიბება დაიწყო რევოლუციის დროს, როცა სახალხო მოძრაობის ტალღამ შეარყია და ძალა გამოაცალა შაჰის ხელისუფლებას. რევოლუციური თვითმმართველობის ახალი ორგანოების შექმნის ინიციატორები და ორგანიზატორები თავიდან ხალხის დემოკრატიული ფენების წარმომადგენლები იყვნენ. 1978 წლის შემოდგომის მეორე ნახევარში, როცა მოძრაობაში აქტიურად ჩაება სამრეწველო პროლეტარიატი, რევოლუციურმა ამბებმა საერთო-სახალხო ხასიათი მიიღო. მენავთობე მუშების საგაფიცვო ბრძოლის გაძლიერებამ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენა მონარქიული რეჟიმი. დაიწყო სახელმწიფო აპარატის რღვევის პროცესი, შაჰის მთავრობა უკვე კონტროლს ვეღარ უწევდა ქვეყნის მდგომარეობას. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები ხშირ შემთხვევაში სამსახურში გასვლაზე უარს ამბობდნენ და დემონსტრანტთა რიგებს უერთდებოდნენ. პოლიცია თავის ფუნქციებს ვეღარ ასრულებდა¹⁷. სახელმწიფო ხელისუფლების პარალიზების პირობებში სტიქიურად იქმნებოდა რევოლუციური თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები: სხვადასხვა კომიტეტები, საბჭოები, დამხმარე ჯგუფები და სხვა, რომლებიც თავიანთ ხელში იღებდნენ საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულების საქმეს. ისინი ხელმძღვანელობდნენ დემონსტრაციების მოწყობას, აწესრიგებდნენ ქუჩის მოძრაობას, წესრიგს იცავდნენ დემონსტრანტთა კოლონიებში, დარაჯობდნენ მათ პოლიციის და ჟანდარმერიის თავდასხმისაგან. ქალაქების ცალკეულ უბნებსა და კვარტალებში იქმნებოდა თავდაცვის ნებაყოფლობითი ჯგუფები, რომლებიც მოსახლეობას იცავდნენ მძარცველებისაგან. დარაჯობდნენ გზებსა და გზაჯვარედინებს, სავაჭრო ქსელში ანაწილებდნენ პროდუქტებს, სათბობს და სხვა¹⁸.

¹⁷ С. Л. Агаев, *Иран в прошлом и настоящем*, М., 1981, с. 201—202.

¹⁸ Л. Е. Скляр, *Становление новых органов власти в Иране (1978—1981)*. В сб.: *Иран. История и современность*, М., 1983, С. 200—201.

როგორც ლ. სკლიაროვი სამართლიანად შენიშნავს, ეს ჯგუფები მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ხელისუფლების ორგანოები. ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლების ჩანასახს, რომელიც წარმოიშვა დროის მოთხოვნითა და მასების რევოლუციური ინიციატივით. რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოების ჩასახვა-ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ასრულებდნენ შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენლები, რომელთა მოწოდებებს ხორცს ასხამდნენ ხალხის რევოლუციური მასებიდან გამოსული ორგანიზატორები¹⁹. მაგრამ თვით სასულიერო პირები გარკვეულ დრომდე მხოლოდ ხალხს მიყვებოდნენ და სტიქიურად წარმოქმნილ სახალხო თვითმმართველობის ორგანოებს ზოგჯერ დუმილით უვლიდნენ გვერდს²⁰.

მხოლოდ 1979 წლის 14 იანვარს, ქვეყნიდან შაჰის გაქცევამდე ორი დღით ადრე, აიათოლა ხომეინიმ, რომელიც საფრანგეთში, პარიზის მახლობლად მდებარე ნოფლ ლიო-შატოში იმყოფებოდა, ირანელ ხალხს მიმართა მოწოდებით. მასში აღნიშნული იყო, რომ „ისლამის ნორმებისა და ხალხის დიდი უმრავლესობის ნების თანახმად“, იგი ქმნიდა ისლამურ რევოლუციურ საბჭოს, რომელიც დანიშნავდა დროებით მთავრობას შემდეგი ამოცანების შესასრულებლად: მოაწყობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს და მიიღებდა „ისლამური რესპუბლიკის“ კონსტიტუციას, ახალი კონსტიტუციის შესაბამისად ჩაატარებდა პარლამენტის არჩევნებს, ხელისუფლებას გადასცემდა ახლად არჩეულ პარლამენტს, ხოლო შაჰის მთავრობასა და მის საკანონმდებლო ორგანოს კანონგარეშე გამოაცხადებდა. ხომეინი შეიარაღებულ ძალებს მოუწოდებდა წინაღობოდნენ შესაძლო სახელმწიფო გადატრიალების ცდებს. ხოლო ხალხს მიმართავდა, რომ განეგრძო დემონსტრაციები და გაფიცვები²¹.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ იმავე დღეს ინფორმაციის ორგანოებმა გადასცეს შაჰის მიერ დაყენებული უკანასკნელი პრემიერ-მინისტრის შაფურ ბახთიარის მთავრობის პროგრამა, რომელიც წინა დღით მეჭლისმა მოიწონა. ამ დროს შაჰი ქვეყნიდან წასვლის უკანასკნელ სამზადისში იყო²².

საფრანგეთიდან ირანში დაბრუნების მეხუთე დღეს, 1979 წლის 5 თებერვალს, ხომეინიმ დროებითი რევოლუციური მთავრობის მე-

¹⁹ Л. Е. Скляр, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 201.

²⁰ იქვე.

²¹ Л. С. Агаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 207; Dilip Hiro, *Iran under the Ayatollahs*, London, 1985, p. 65.

²² როგორც ცნობილია, შაჰი ქვეყნიდან გაიქცა 1979 წლის 16 იანვარს. ეს სამშობლოდან მისი უკანასკნელი წასვლა იყო.

თაურად დანიშნა ეროვნულ ფრონტთან დაახლოებული ბურჟუაზიული ორგანიზაციის „ირანის განთავისუფლებისათვის მოძრაობის“ ლიდერი მეჰდი ბაზარგანი. იგი მხარს უჭერდა ხომეინისტებს შაჰის მთავრობასთან ოპოზიციაში ყოფნის გამო. ბაზარგანი რვა წელი შაჰის ციხეებში იჯდა და მტრულად იყო განწყობილი მონარქისა და მონარქიისადმი. დროებითი მთავრობის პრემიერ-მინისტრად მეჰდი ბაზარგანის დანიშვნასთან დაკავშირებით რუჰოლა ხომეინიმ დაახასიათა იგი, როგორც ისლამური რელიგიისა და შარიათის იდეების ერთგული მოღვაწე. ამასთან მოუწოდა ხალხს მხარი დაეჭირა ბაზარგანის მთავრობისათვის. მ. ბაზარგანის მთავრობისადმი სახალხო თანადგომის უზრუნველსაყოფად ხომეინიმ ახალი მთავრობის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოსვლას შარიათის და საერთოდ ისლამის საწინააღმდეგო მოქმედება უწოდა და მოწინააღმდეგეებს დასჯით დაემუქრა²³.

ამის შემდეგ ირანში მოკლე დროით ფორმალურად ორხელისუფლებიანობა დამყარდა. სინამდვილეში ქვეყანაში ამ დროს ხელისუფლება არ არსებობდა, ვინაიდან „შაჰის მიერ დანიშნული შაფურ ბახთიარის მთავრობას უკვე ძალა აღარ გააჩნდა, ხოლო ხომეინის მიერ დანიშნულ მეჰდი ბაზარგანის მთავრობას ძალაუფლება ჯერ კიდევ არ მიეღო“²⁴.

ამ პერიოდში დაჩქარდა და ახალ საფუძველზე ავიდა ხელისუფლების ქვედა ორგანოების ჩამოყალიბების პროცესი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილებზე „ისლამური რევოლუციური კომიტეტებისა“ (ქომითე-ე ენყელაბ-ე ესლამი) და „ისლამური რევოლუციის გუშაგების“ (ფასდარან-ე ენყელაბ-ე ესლამი) შექმნა. უმაღლესი შიიტური სასულიერო წოდება მაშინ მათ ჯერ კიდევ არ მიიჩნევდა რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებად და არ მოუწოდებდა ხელში აეღოთ რეალური ძალაუფლება. იგი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებისა და ბახთიარის მთავრობასთან მოლაპარაკების გზით ცდილობდა მიეღო ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური ხელისუფლება²⁵. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ხომეინისტები მომხრე იყვნენ ირანის ძველი სახელმწიფო აპარატის არა რევოლუციური მსხვერვისა, არამედ მის უბრალოდ დაუფლებას და თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობდნენ. მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ ძველ, შაჰისდროინდელ სახელმწიფო აპარატზე „მმართველობის ისლამური სტრუქტურა“ დაემყნოთ. ამასთან ისინი უფროთხოდნენ ხალ-

23 „ეთელათი“, 1979 წლის 6 თებერვალი.

24 Л. Е. С к л я р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 202

25 იქვე; Iran's Islamic Revolution popular liberation or Re'ligiou Dictatorship, London, 1983, p. 166.

ხის მასების რევოლუციური თვითმოქმედების შემდგომ გაფართოებას, რევოლუციური კომიტეტებისა და რევოლუციის გუშაგთა რაზმების სახალხო ხელისუფლების ორგანოებად გადაქცევას.

მაგრამ 1979 წლის 9—11 თებერვალს მომხდარი შეიარაღებული აჯანყება და მასში მემარცხენე, დემოკრატიული ძალების (სახალხო პარტიის, ფედაინებისა და მოჯაჰედინების) აქტიური მონაწილეობა კიდევ ერთი მაგალითი იყო იმისა, რომ სასულიერო წრეების წარმომადგენლები ყოველთვის როდი ფლობდნენ სიტუაციას და ხალხის ფართო მასების რევოლუციური მდინარება მუდამ მათ კონტროლს არ ემორჩილებოდა. ხომეინისტების კლასობრივი ბუნების, სახალხო მოქრობის შემდგომი განვითარების წინაშე მათი შიშის აშკარა მაუწყებელი იყო ისიც, რომ მათ შემრიგებლური, პასიური პოზიცია დაიკავეს თვით შეიარაღებული აჯანყების პერიოდში, ხოლო აჯანყების გამარჯვებით დამთავრების შემდეგ ხალხისაგან იარაღის დაუყოვნებლივ ჩაბარებას მოითხოვდნენ.

თებერვლის შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დამთავრებამ საბოლოოდ გადაწყვიტა მონარქიული სახელმწიფო წყობილების ბედი ირანში. ამავე დროს არსებითად შეიცვალა სახალხო მოძრაობის დროს შობილი რევოლუციური კომიტეტებისა და „რევოლუციის გუშაგთა“ (ფასდარები) რაზმების მდგომარეობა. ახლა ისინი ნამდვილი ხელისუფლების ორგანოები გახდნენ და სასულიერო წრეებმა თავიანთ დასაყრდენად გამოიყენეს. სასულიერო წრეები ყოველნაირად ცდილობდნენ განემტკიცებინათ ხელისუფლების ეს ახალი ორგანოები და თავის გავლენაში ყოლოდათ ისინი. რევკომებისა და ფასდარების შევსება ადგილებზე ახლა მხოლოდ სასულიერო პირების რევკომენდაციით ხდებოდა. შაჰის მომხრე ელემენტებისაგან რევოლუციური კომიტეტების და გუშაგთა რაზმების შემადგენლობის წმენდის საბაზით ხომეინისტები ცდილობდნენ მათ რიგებში არ დაეშვათ მემარცხენე ძალების წარმომადგენლები. სასულიეროებმა თავზე აიღეს ხელისუფლების ამ ახალი ორგანოების დაფინანსებისა და მატერიალური უზრუნველყოფის საქმე. თავიანთი ფონდებიდან ხელფასი დაუნიშნეს მათ წევრებს. ისლამური რევოლუციური საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ცენტრალური რევოლუციური კომიტეტი და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ შტაბი, რომლებიც ცენტრალიზებული წესით წარმართავდნენ ხელისუფლების ამ ორგანოების საქმიანობას. ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას განასახიერებდა აიათოლა რუჰქიანი²⁶.

²⁶ Л. Е. Скляр ов. *დასახ. ნაშრ.*, გვ. 203; *Iran's Islamic Revolution...*, p. 166—171.

მონარქიის დამხობის შემდეგ პრომონარქიული, კონტრრევოლუციური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები პრაქტიკულად აყენებდა რევოლუციური ტრიბუნალების შექმნის საკითხს. უკვე ამ დროს ტრიბუნალები სტიქიურად იქმნებოდა რევოლუციურ კომიტეტებთან და „ფასდარების“ რაზმებთან. ისინი შარიათის ნორმების მიხედვით ასამართლებდნენ დამნაშავეებს და, რა თქმა უნდა, მათში წამყვან როლს ადგილობრივი მოღობი და სხვა სასულიერო პირები ასრულებდნენ. ტრიბუნალების შემადგენლობაში სამოქალაქო პირებიც შედიოდნენ. იმის შემდეგ, როცა ქვეყანაში რევოლუციური ტრიბუნალების ფართო ქსელი შეიქმნა, აიათოლა ხალხალიმ თვითონ გამოაცხადა თავი გენერალურ პროკურორად. მანვე შექმნა ქვეყნის უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალი²⁷. ამ ხანებში სახელმწიფო და იმ კერძო სამრეწველო საწარმოებში, რომელთა მფლობელები ქვეყნიდან გაიქცნენ, მუშებმა თავისი საბჭოები ჩამოაყალიბეს, მუშათა საბჭოები ასრულებდნენ ადმინისტრაციული თვითმმართველობის ორგანოების როლს. ისინი ატარებდნენ ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება მოკლე დროში გაეშვათ სამრეწველო საწარმოები ექსპლოატაციაში და მათ საქმიანობაზე მუშათა კონტროლი დაეწესებინათ. მალე ასეთივე საბჭოები შეიქმნა სხვა საწარმოებშიც, აგრეთვე მიტოვებულ სახელმწიფო დაწესებულებებში²⁸.

მაშასადამე, მონარქიის დამხობის შემდეგ პირველი დღეებიდანვე ჩამოყალიბდა რევოლუციური ხელისუფლების გარკვეული სისტემა, რომლის ადგილობრივი ორგანოები იყო რევოლუციური კომიტეტები, „ფასდარების“ რაზმები, რევოლუციური ტრიბუნალები, მუშათა საბჭოები საწარმოებში და მოსამსახურეთა საბჭოები დაწესებულებაში. რევოლუციური ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები იყო ცენტრალური რევოლუციური კომიტეტი, „რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ შტაბი და უმაღლესი რევოლუციური ტრიბუნალი, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას ეწეოდნენ. ამასთან ერთად, ამ გარდამავალ ეტაპზე რევოლუციის დროს შექმნილი ისლამური რევოლუციური საბჭო ცენტრალური საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო წინა სამი (ცენტრალური რევკომი, „ფასდარების“ შტაბი და ცენტრალური ტრიბუნალი) ახალ ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებას განასახიერებდა²⁹. აიათოლა რუჰ

²⁷ Л. Е. С к л я р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 203.

²⁸ იქვე, გვ. 204; Iran's Islamic Revolution..., p. 175.

²⁹ Л. Е. С к л я р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 204; Iran's Islamic Revolution..., p.

ოლა ხომეინი, როგორც ყველაზე ავტორიტეტული და აღიარებული ხელმძღვანელი, თავისი მდგომარეობით რევოლუციური ხელისუფლების ყველა ორგანოზე მაღლა იდგა და მის მითითებებს კანონის ძალა ჰქონდა.

მაგრამ რევოლუციური ხელისუფლების ამ უკვე ჩამოყალიბებული სისტემის გვერდით, მის პარალელურად მოქმედებდა ხომეინისავე მიერ ჯერ კიდევ მონარქიული რეჟიმის დამხობამდე შექმნილი მეჰდი ბაზარგანის დროებითი რევოლუციური მთავრობა. ბაზარგანის მთავრობა შედგებოდა ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენციის, ეროვნული ფრონტისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლებისაგან, რომელთა პოლიტიკური კრედო იყო ეროვნულ ნიადაგზე ქვეყანაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება. ამასთან ისინი მომხრე იყვნენ დასავლეთის კაპიტალისტურ სამყაროსთან ისეთი ურთიერთობისა, როცა ირანის ეროვნული ინტერესები მონარქიულ პერიოდთან შედარებით უკეთ იქნებოდა დაცული. მაგრამ ეს ეწინააღმდეგებოდა წერილი ბურჟუაზიის ინტერესებს (რომ არაფერი ვთქვათ პროლეტარიატის და სხვა მწარმოებელი ფენების ინტერესებზე), რომლის შემადგენლობაში იყვნენ ძალები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით განვითარებას³⁰.

ასეთ სიტუაციაში იქმნებოდა ისეთი ვითარება, როცა, ერთი მხრივ, ბაზარგანის დროებით რევოლუციურ მთავრობას არ შეეძლო დაყრდნობოდა ძველ, უკვე მოშლილ სახელმწიფო აპარატს, რომელიც არსებითად ბიუროკრატიული ბურჟუაზიული სახელმწიფო ორგანოების ფუნქციებს ასრულებდა, ხოლო, მეორე მხრივ, მას მხარს არ უჭერდა პოლიტიკური ხელისუფლების ქვედა რგოლის ახალი რევოლუციური ორგანოები, რომლებიც უმთავრესად წერილი ბურჟუაზიის და ნაწილობრივ პროლეტარიატის ინტერესებს გამოხატავდნენ.

ისმის კითხვა: მაინც რატომ მოხდა, რომ ხომეინის ტემამ დაუშვეს მეჰდი ბაზარგანის ბურჟუაზიული, ლიბერალური მთავრობის შექმნა მაშინ, როცა მათ წინასწარ უკვე ჰქონდათ მოხაზული მომავალი „ისლამური სახელმწიფო მმართველობის“ კონტურები, რომლის დაფუძნებას ისინი მონარქიის დამხობის შემდეგ გეგმავდნენ? ეს ფაქტი რამდენიმე გარემოებამ განაპირობა: ჯერ ერთი, ხომეინი და მისი მიმდევრები ვალში იყვნენ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლების წინაშე. 1978 წლის ნოემბრის დამდეგამდე ლიბერალები

³⁰ Л. Е. Складовиц, Дахаб., ნაშრომი, გვ. 204.

მერყეობდნენ, ისინი ქანაობდნენ მონარქიისა და სასულიერო წრეების პოზიციებს შორის. ბოლოს დაუზავდნენ ხომეინისტებს, რითაც გააძლიერეს სასულიერო წრეების პოზიციები. ამასთან ერთად, საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის დროს ხომეინი დასავლეთის სკოლავაელილ ბურჟუაზიის განათლებულ წარმომადგენელთა გარემოცვაში აღმოჩნდა. მათ ხელი შეუწყვეს ხომეინისა და მისი იდეების პოპულარიზაციას როგორც ირანში, ასევე დასავლეთში. მეორე, შიიტურ ლიდერებს, რომლებიც პოლიტიკური ხელისუფლებისაკენ მიისწრაფოდნენ, სახელმწიფოს მართვის გამოცდილება არ გააჩნდათ. ამ საქმეში მათთვის ხელის გამართვა შეეძლოთ ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, რომლებსაც პოლიტიკური მოღვაწეობის საკმაო ცოდნა ჰქონდათ. ჰესამე, შიიტური რელიგიის მსახურთა ზედა ფენები თავისი სოციალური მდგომარეობით ახლოს იდგნენ ბურჟუაზიის მსხვილი და საშუალო ფენების წარმომადგენლებთან, რაც ხელს უწყობდა მათ შორის კომპრომისული პოლიტიკური კურსის შემუშავებას ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირეულ საკითხებში. მეოთხე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, სასულიერო წრეებს, რომლებსაც ცეცხლივით ეშინოდათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისა, რასაც რევოლუციური მასები მემარცხენე, დემოკრატიული პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოითხოვდნენ, არ სურდათ მართონი მდგარიყვნენ პროგრესული ძალების პირისპირ. მათ უნდოდათ ბურჟუაზიისათვის გაენაწილებინათ პასუხისმგებლობა თავისი ანტიდემოკრატიული პოლიტიკისათვის.

მაგრამ შიიტი ლიდერების მისწრაფება პოლიტიკური ხელისუფლების მონოპოლიისაკენ, რასაც ისინი ცენტრალური და ადგილობრივი რევოლუციური ხელისუფლების ორგანოებში განმტკიცების გზით ლაშობდნენ, მოსვენებას არ აძლევდა ბაზარგანის მთავრობას და მასთან დაკავშირებულ ბურჟუაზიულ წრეებს. ექვები და უნდობლობა ღვივდებოდა ლიბერალურ ბურჟუაზიასა და შიიტურ სასულიერო ზედაფენას შორის. ამავე დროს, რევოლუციის შედეგად გამოღვიძებული მასების თვითშეგნების გაფართოების და მემარცხენე დემოკრატიული ძალების საქმიანობის გააქტიურების პირობებში, სასულიეროთა ზედა ფენა და ბურჟუაზია იძულებული იყვნენ ლავირების პოლიტიკას დადგომოდნენ. ისინი აყენებდნენ ე. წ. „მოსთაზაფინების“ (ღარიბების) დაცვის ლოზუნგებს და გმობდნენ „მოსთაქაბრინებს“ (მდიდრებს). „მოსთაზაფინებში“ ისინი გულისხმობდნენ ძირითადად წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს. ბაზარგანის მთავრობა მხარს უჭერდა წვრილბურჟუაზიულ ფენებს იმისათვის, რათა ჩამოეცილებინათ ისინი მემარცხენე ძალებისაგან. ამან ეროვნული ფრონტის

შემადგენლობაში გათიშვა გამოიწვია. 1979 წლის მარტში მას გამოეყო ეროვნული მოძრაობის სოციალისტთა საზოგადოება. შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მოპამედ მოსადეყის შვილიშვილი ჰედაიათოლა მათინ-დაფთარაჰი³¹.

ისლამური რესპუბლიკა

1979 წლის 30—31 მარტს მოეწყო რეფერენდუმი, რომლის მონაწილეებს მისცეს მხოლოდ ორი არჩევანის უფლება: მონარქია თუ ისლამური რესპუბლიკა. ეს ფორმალური აქტი იყო. ვინაიდან ამ დროისათვის მონარქია უკვე დამზობილი იყო. რეფერენდუმის მონაწილეს, უნდოდა თუ არ უნდოდა, ხმა ისლამური რესპუბლიკის დაარსებისათვის უნდა მიეცა. ასეც მოხდა. 1 აპრილს ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოაცხადეს. ამით საბოლოოდ გაქარწყლდა ბურჟუაზიის ილუზიები შეექმნათ საერო რესპუბლიკური მმართველობა. ამან თვით დროებითი მთავრობის შიგნით უთანხმოების გამწვავება და გათიშვა გამოიწვია. მთავრობის შემადგენლობიდან გამოვიდა ეროვნული ფრონტის აღმასკომის თავმჯდომარე ქარიმ სანჯაბი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. გადადგნენ, აგრეთვე, ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელი მთავრობის სხვა წევრები. მეჰდი ბაზარგანი კვლავ დარჩა მთავრობის მეთაურის პოსტზე, მაგრამ მისი პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა. მთავრობიდან გამოსული წევრები თავიანთი გადადგომის მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ მ. ბაზარგანის მთავრობას „რეალური ძალაუფლება არ ჰქონდა“. ქარიმ სანჯაბი მოითხოვდა, რომ მთავრობას გადასცემოდა ქვეყნის მართვის ყველა სადავე. მათ შორის მის ხელქვეით ყოფილიყო „ქვეყნის მთელი სამხედრო ფორმირებანი“³².

მიუხედავად იმისა, რომ ბაზარგანის დროებითი მთავრობა, რომელიც პარალიზებული იყო რევკომების, „ფასდარების“ რაზმებისა და ტრიბუნალების საქმიანობით და ქვეყნის საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების მართვაში სრულ უძლურებას იჩენდა, ხოლო შემდეგში მთავრობის მეთაურმაც უკვე რამდენჯერმე მიმართა ხომეინის გადადგომის შესახებ, ეს უკანასკნელი ამაზე არ ეთანხმებოდა. ეს იმით აიხსნება, რომ რელიგიური ლიდერები, რომლებსაც თვალისა ხელმწიფოში მთელი პოლიტიკური ხელისუფლების ხელში ჩაგ-

³¹ Л. С. Агаев, *Иран в прошлом и настоящем*, М., 1981, с. 216.

³² Л. Е. Складов, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 207; Shahrough Akhavi, *Clerical politics in Iran since 1979*. In: *Iranian Revolution and the Islamic Republic*, New York, 1986, p. 57.

დებაზე ეპირათ, ბაზარგანის დროებით მთავრობას იყენებდნენ შირ-
მად, რათა თავიდან აეშორებინათ ხალხის უკმაყოფილება და კრი-
ტიკა, ვინაიდან ამ უკანასკნელის იმედები განუხორციელებელი რჩე-
ბოდა.

ისლამურ რევოლუციურ საბჭოში ჩამოყალიბდა ბეჰეში —
რაფსანჯანის დაჯგუფება, რომელიც მექდი ბაზარგანის დროებით
მთავრობას უპირისპირდებოდა. ამ დაჯგუფებას მთავრობა მიაჩნდა
პოლიტიკურ მეტოქედ, რომელიც კვეცავდა რევოლუციური საბჭოს
უფლებებს და განუსაზღვრელი ბატონობის შესაძლებლობას აძლევ-
და მას. იმ მიზნით, რომ ისლამური რევოლუციური საბჭოს გარეთ
დასაყრდენი გაეჩინა, ამ დაჯგუფების ინიციატივით 1979 წლის აპ-
რილში შექმნეს ისლამური რესპუბლიკის პარტია. ბეჰეში — რაფსან-
ჯანის ჯგუფი ამ პარტიას მექდი ბაზარგანის მთავრობასთან ბრძოლის
მთავარ საშუალებად მიიჩნევდა. დამფუძნებელი კრებისა და მეჭლი-
სის მომავალ არჩევნებში ჯგუფს ამ გზით უნდა უზრუნველყო თა-
ვისთვის უმრავლესობა და დროებითი მთავრობის იზოლაცია მოეხდი-
ნა. ამასთან, ვინაიდან რევოლუციური კომიტეტები და „ფასდარების“
ჯგუფები საკმაოდ საიმედოდ არ მიაჩნდათ, შექმნეს საკუთარი დამ-
კვრელი ძალები „ჰეზბ-ე ალაჰის“ სახელწოდებით³³. მასში შეიყვანეს
საზოგადოების ყველაზე ბნელი და ფანატიკურად განწყობილი ელე-
მენტები. ისინი მზად იყვნენ პირველი მოწოდებისთანავე მოეწყობათ
მასობრივი დარბევები, განედევნათ მემარცხენე, პროგრესული ძალები
და დემოკრატიული ბურჟუაზიის მიერ მოწყობილი ქუჩის გა-
მოსვლები³⁴.

1979 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდი სასულიერო წრეებ-
სა და ლიბერალურ ბურჟუაზიას შორის ურთიერთობაში ხასიათდება
როგორც დაპირისპირებისა და თანამშრომლობის ხანა. ეს ერთგვარი
დუალიზმი ამ ორი პოლიტიკური ძალის ურთიერთობაში იმაში გამო-
იხატებოდა, რომ, ერთი მხრივ, სასულიერო წრეების წარმომადგენლე-
ბი, როგორც ითქვა, ცდილობდნენ შეევიწროებინათ ბაზარგანის ბურ-
ჟუაზიული მთავრობა, წაერთმიათ მისთვის რეალური ხელისუფლება
და განუყოფლად თვითონ დაპატრონებოდნენ მას. მეორე მხრივ, ისი-
ნი იძულებული იყვნენ ეთანამშრომლათ მასთან, რათა თავიდან
აეშორებინათ რევოლუციის შემდგომი გაღრმავება, დაემოშინებინ-
ათ საზოგადოების დაბალი ფენები. ამ მიზანს ემსახურებოდა ბაზარ-

³³ „ჰეზბ-ე ალაჰ“ ანუ შემოკლებულად „ჰეზბოლაჰი“ ალაჰის, ღვთაების პარ-
ტიას ნიშნავს. შემდეგში „ჰეზბოლაჰებმა“ სახელი გაითქვეს, როგორც ტერიტო-
რისტებმა.

³⁴ Л. Е. Скляр, *დასახ. ნაშ.*, გვ. 208.

განის მთავრობის ზოგიერთი ისეთი პოზიტიური ღონისძიება, როგორცაა კონტროლის დაწესება ქალაქების ფარგლებში არსებულ ცალკეულ გამოუყენებელ მიწების ნაკვეთებზე, რაც გარკვეულად უწყობდა ხელს ამ მიწების დატაცების ფაქტების აღკვეთას, მიწის ფასისა და ბინის ქირის შემცირებას; ღარიბებისათვის წყლისა და ელექტროგანათების გადასახადის გაუქმება, ქალაქის ტრანსპორტზე უფასო მგზავრობა, მუშებისათვის ხელფასების გადიდება, სამუშაოზე მათი დათხოვნის აკრძალვა, აგრეთვე, ისლამური რევოლუციური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ბანკებისა და სადაზღვევო საზოგადოებების ნაციონალიზაციის შესახებ და სხვ³⁵.

ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო გართულდა ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებასა და განხილვასთან დაკავშირებით. ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც ქვეყანაში ისლამური დიქტატურის დამყარებას ითვალისწინებდა, იწვევდა მკვეთრ კრიტიკას მემარცხენე ორგანიზაციების: სახალხო პარტიის, ირანელი ხალხის საქმისათვის თავდადებული პარტიზანებისა (ფედაინები) და სამშობლოსათვის თავშეწირული მებრძოლების (მოჯაჰედინები) ორგანიზაციების, აგრეთვე ბურჟუაზიული დემოკრატების მხრივ. კრიტიკამ საკმაოდ დააფრთხო ისლამური ლიდერები. მათ უარი თქვეს აღრინდელ დაპირებაზე დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, ვინაიდან ეს ფართო წარმომადგენლობითი ორგანო არ იძლეოდა გარანტიას რელიგიური შინაარსის კონსტიტუციის მისაღებად. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კონსტიტუციის ტექსტის საბოლოო დადგენისათვის შეექმნათ „ექსპერტთა საბჭო“ (მაჯლეს-ე ბარასი-ე ნეჰაი ყანუნ-ე ასასი) 73 კაცის შემადგენლობით, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს უფლებები არ ჰქონდა. ექსპერტთა საბჭოში აირჩიეს ძირითადად სასულიერო მოღვაწენი, რომლებიც ბეჰეშთ-რაფსანჯანის ბლოკის წარმომადგენლები და ისლამური რესპუბლიკის პარტიის წევრები იყვნენ³⁶.

ამავე დროს იმისათვის, რათა კონსტიტუციის პროექტის განხილვის კამპანიის მხვლელობაში თავისთვის ხელსაყრელი პირობები უზრუნველყოთ, ისლამურმა ხელსუფლებმა გაამკაცრეს ცენზურა პრესის მიმართ, რაც ანტიისლამური მასალების გამოქვეყნებისათვის ითვალისწინებდა გაზეთის აკრძალვას და ციხეში დამწყვდევას.

³⁵ Л. С. Агаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 232.

³⁶ Shahrugh Akhavi, *op. cit.*, p. 57; С. М. Алиев, *Разработка и принятие конституции Исламской Республики Иран. Ее содержание. В кн.: Иранская революция 1978—1979, М., «Наука», 1989, с. 205—206.*

1979 წლის 7 აგვისტოს რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებით აიკრძალა გაზეთი „აიანდევანი“ ისლამური რესპუბლიკის პარტიის მისამართით კრიტიკული წერილის გამოქვეყნებისათვის. წერილში მხილებული იყო „ექსპერტთა საბჭოში“ არჩევნების დროს ჩადენილი ბოროტმოქმედებანი. ამის საპასუხოდ 12 აგვისტოს ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტის მოწოდებით მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები. დემონსტრანტები „ქეზოლაპებმა“ გარეყეს. ბევრი დემონსტრანტი დაიჭირა და დაშავდა. თავის გამოსვლაში ხომეინიმ დაგმო ოპოზიციის გამოსვლა და, როგორც ყოველთვის, მის მოქმედებას „ანტიისლამური“ უწოდა. ამან ახალი საბაბი მისცა „ქეზოლაპებს“ დაერბიათ სახალხო პარტიის, ფედაინებისა და მოჯაჰედინების შტაბბინები და გაზეთების რედაქციები. სახალხო პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთ „მარდომის“ გამოცემა შეწყდა. უმაღლესმა ტრიბუნალმა დადგენილება მიიღო მემარცხენე პარტიების, ორგანიზაციებისა და პრესის ორგანოების აკრძალვის შესახებ³⁷.

ამრიგად, 1979 წლის აგვისტოში დასრულდა ქვეყანაში ექვსთვიანი პოლიტიკური თავისუფლების პერიოდი, რაც იმავე წლის თებერვლიდან დაიწყო. სასულიერო ხელისუფლებანი აშკარა შეტევაზე ვადავიდნენ დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. ისინი გამოაცხადეს კონტრრევოლუციონერებად, რათა სახელი გაეტეხათ მათთვის ხალხის მასებში, ხოლო თავიანთი თავი ქვეყნის ინტერესების დამცველად წარმოედგინათ. კონსტიტუციის პროექტის შემშუშავებელ და განმხილველ „ექსპერტთა საბჭოს“ არჩევნებში ისლამური რესპუბლიკის პარტიის გამარჯვება და დემოკრატიული ორგანიზაციებას აკრძალვა აძლიერებდა სასულიერო ხელისუფალთა და, კერძოდ, ბეჰეში-რაფსანჯანის დაჯგუფების პოზიციებს. ამასთან ეს გარემოება კიდევ უფრო ასუსტებდა მეჰდი ბაზარგანის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ისედაც შერყეულ გავლენას. ამას ისიც დაემატა, რომ გაუმჯღავნდათ მ. ბაზარგანის და მისი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრ იბრაჰიმ იაზდის ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ წარმომადგენლებთან საიდუმლო კონტაქტების დამყარების ფაქტი. ეს კი მოხდა 1979 წლის 1 ნოემბერს, როცა ირანის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალყირში ყოფნის დროს შეავდნენ აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველს სახელმწიფო უშიშროების საკითხებში ზბიგნევ ბჟეჩინსკის. იმის შემდეგ, რაც „იმამ ხომეინას კურსის მიმდევარმა მუსულმანმა სტუდენტებმა“ 4 ნოემბერს ხელში ჩაიგდეს აშშ-ის თეირანის საელჩოს მთელი პერსონალი და ექს-შაჰის

³⁷ Л. Е. С к л я р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 211.

აშშ-ში ჩასვლასთან დაკავშირებით მძევლებად გამოაცხადეს იგი. მეპტი ბაზარგანის მთავრობის ხელისუფლების სათავეში ყოფნას საბოლოოდ დაეკარგა აზრი. 6 ნოემბერს ხომეინიმ დააკმაყოფილა ბაზარგანის უკანასკნელი თხოვნა გადადგომის შესახებ, მაგრამ მას ახალი პრემიერი არ დაუნიშნავს. მთავრობაში მინისტრების პოსტები ისლამური რევოლუციური საბჭოს წევრებმა გაინაწილეს³⁸.

„ექსპერტთა საბჭომ“, რომელიც 1979 წლის იენისიდან სისტემატურად მართავდა სხდომებს და მწვავე დისკუსიის ვითარებაში განიხილავდა ხომეინის მიერ რედაქტირებულ კონსტიტუციის პროექტს, 15 ნოემბერს ძირითადი კანონის საბოლოო ტექსტი წარმოადგინა. განხილვის დროს განსაკუთრებით ცხარე კამათს იწვევდა „ველაიათ-ე ფაყიპის“ — სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის — ინსტიტუტის შემოღების საკითხი. ამ საკითხზე უთანხმოება არსებობდა არა მარტო „ექსპერტთა საბჭოს“ გარეთ — მემარცხენე და ბურჟუაზიულ წრეებში, არამედ თვით „ექსპერტთა საბჭოს“ წევრ და არაწევრ სასულიერო პირთა შორისაც. მაგალითად, „ველაიათ-ე ფაყიპის“ პრინციპს არ ეთანხმებოდნენ ისეთი გავლენიანი შიიტური ლიდერები, როგორიც აიათოლა ყაზემ შარიათმადარი და აიათოლა გოლფაიგანი იყვნენ. ამ პრინციპის ახალ კონსტიტუციაში შეტანას თავგამოდებით მოითხოვდა აიათოლა ბეჰშეთი და მისი მომხრეები, რომლებიც გრძნობდნენ რა ხომეინის მხარდაჭერას, მოახერხეს კიდევ თავისი გაეტანათ. 2—3 დეკემბერს გამართულ რეფერენდუმზე მონაწილეთა ხმების დიდი უმრავლესობით ახალი კონსტიტუცია დაამტკიცეს. ირანის ისტორიაში ეს იყო მეორე კონსტიტუცია, რომელიც პირველი კონსტიტუციის მიღების 73 წლის თავზე გადაეცა განსახორციელებლად. პირველი კონსტიტუციის მოქმედება შეწყდა 1979 წლის 12 თებერვალს. ასე რომ, თითქმის თერთმეტი თვე ირანში კონსტიტუციური მმართველობა არ არსებობდა.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია

ახალ კონსტიტუციას ირანში „ისლამურ კონსტიტუციასაც“ უწოდებენ. კონსტიტუციის მთელი შინაარსი ისლამური სულისკვეთე-

³⁸ Л. С. Агаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 239; იხ. აგრეთვე, *American hostages in Iran. The condition of the crisis*, London, 1985; С. М. Алиев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 207.

ბით არის გაქვნილი. კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 12 თავის, 175 მუხლის, 57 პუნქტისა და 87 ქვეპუნქტისაგან³⁹.

საკმაოდ ვრცელ პრეამბულაში ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის ძირითადი მოტივები და მიზანმიმართულებები. მასში აღნიშნულია, რომ ძირითადი კანონი განსაზღვრავს „ირანის ისლამური რესპუბლიკის საზოგადოების კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბუნებას და აგებულია ისლამური პრინციპების და კანონების საფუძველზე“⁴⁰. პრეამბულაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ „ისლამურ მოძრაობას“ მიზნად აქვს დასახული „ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრისა და შევიწროების რადიკალური მსხვერვა“⁴¹. კონსტიტუციის შემდგენლებს მიაჩნიათ, რომ „ისლამური მოძრაობის“ ახალი ეტაპი დაიწყო 1963 წლის ივნისში, როცა აიათოლა ხომეინიმ გაილაშქრა შაჰის „თეთრი რევოლუციისა“ და ირანში ამერიკელი იმპერიალისტების ბატონობის წინააღმდეგ⁴². ამის შემდეგ იმამი (ხომეინი) ჩაღვა მოძრაობის სათავეში, „როგორც ისლამური ბელადი“. შემდეგ კონსტიტუციის პრეამბულაში აღწერილია ქვეყნიდან ხომეინის განდევნისა და შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ „მუსლიმთა შეგნებული ბრძოლის“ ძირითადი მომენტები⁴³. ასეთ სიტუაციაში, აღნიშნულია პრეამბულაში, თვითმპყრობელური რეჟიმის რღვევის აპოგეის დროს ხომეინიმ, რომელიც ქვეყნიდან იყო განდევნილი, შეიმუშავა „ისლამური მმართველობის პროექტი“, რასაც ფაყიჰის მუსლიმანური იურისპრუდენცია დაედო საფუძვლად⁴⁴. ამან კიდევ უფრო შეაზანზარა „რეჟიმი და მისი მესვეურები“. გარდუვალი დაცემა თავიდან რომ აეცილებინათ, ისინი იძულებული გახდნენ „შეერბილებინათ ხალხზე დაწოლა და ლიბერალიზაციის“ გზას დადგომოდნენ. მაგრამ აღშფოთებული და „გათვითცნობიერებული ხალხი მტკიცედ დადგა თავის გადაწყვეტილ-

39 ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), 1979 წლის 15 ნოემბერი, მექლისის კანცელარია, გამოცემის წლისა და ადგილის მოუთხებლად (სპარსულ ენაზე), შემდეგში: იირკ.

40 იირკ, პრეამბულა, გვ. 1—3.

41 იქვე.

42 იგულისხმება 1963 წლის 5—8 ივნისის გამოსვლები. მოპარემის რელიგიური დღესასწაულის დროს სასულიერო წრეებმა აიათოლა ხომეინის მეთაურობით ისარგებლეს რა ხალხის მძიმე მდგომარეობით გამოწვეული უმკაფიოლებით, გააკრეს მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლები და დემონსტრაციები მოაწყვეს თეირანში, ყუმში, მეშედში, შირაზში და სხვა ქალაქებში. მაშინ ხომეინი დააპატიმრეს და შემდეგ ქვეყნიდან გაასახლეს. The Constitution of the Islamic Republic of Iran, Tehran, Islamic propagandion organization, 1979, p. 6—7.

43 იირკ, პრეამბულა, გვ. 2.

44 ლაპარაკია 1971 წელს გამოცემული ხომეინის წიგნის „ისლამური რესპუბლიკური მმართველობის“ შესახებ.

ბაზე. უკომპრომისო პოზიციებზე მდგარი იმამის (ხომეინის, გ. ჯ.) მეთაურობით (ხალხმა) მთელი ძალით წარმართა თავისი ქედუხრელი ბრძოლა⁴⁵. შემდეგ მოდის თხრობა მზის ჰიჯრის მუსლიმანური კალენდრით 1356 წლის 19 დეის ამბების შესახებ, რამაც სათავე დაუდო მონარქიის დამხობას ირანში⁴⁶.

ამრიგად, კონსტიტუციის პრეამბულაში წითელ ზოლად გასდევს მტკიცება იმის შესახებ, რომ ირანის მოსახლეობის ფართო ფენების ანტიმონარქიული და ანტიიმპერიალისტური გამოვლენები, თითქოს განპირობებული იყო არა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკური და და ეროვნული მოტივებით, არამედ ე. წ. „ისლამური სამართლიანობის“ ხომეინისეული ლოზუნგებით, რომელთა თანახმად კაპიტალისტი და მსხვილი მემამულე, ბანკირი და ვაჭარი, წვრილი ბურჟუა და ხელოსანი, მუშა და გლეხი „შეზმატკბილებულად“ იცხოვრებდნენ შიიტურ თემში, როგორც „ძმები მუსულმანები“. ამ პოზიციებიდან არის განხილული ახალი კონსტიტუციის პრეამბულაში ისეთი საკითხები, როგორიცაა მმართველობის წესი. ისლამში, სამართლიანი მუსულმანი კანონმდებლობის თანამდებობა, „ეკონომიკა საშუალებაა და არა მიზანი“, ქალი ძირითად კანონში, ყაზის ინსტიტუტი, არმია, აღმასრულებელი ხელისუფლება, „ექსპერტთა საბჭოს“ შესახებ და სხვ⁴⁷.

ძირითადი კანონის პირველ თავში ჩამოყალიბებულია ქვეყნის მართვის საერთო პრინციპები. იგი მოიცავს 14 მუხლს, 22 პუნქტსა და 3 ქვეპუნქტს. მეორე თავში შეტანილია ოფიციალური ენის, დამწერლობის, კალენდრისა და სახელმწიფო დროშის შესახებ დებულებები (15—18 მუხლები), მესამე თავში დადგენილია მოქალაქეთა უფლებები (19—42 მუხლები და 5 პუნქტი); მეოთხე თავში განხილულია ეკონომიკა და ფინანსები (43—55 მუხლები და 9 პუნქტი); მეხუთე თავი ხალხის უფლება-მოვალეობებს ეხება (56—61 მუხლები); მეექვსე თავში წარმოდგენილია საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში პარლამენტის (მაჯლეს-ე შურაი-ე ესლამი) სტრუქტურაა დადგენილი (62—70 მუხლები), მეორე ნაწილში პარლამენტის უფლებამოსილებანი არის განსაზღვრული (71—99 მუხლები და ორი პუნქტი); მეშვიდე თავი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს — საბჭოებს ეხება (100—109 მუხლები); მერვე თავში მოძღვრის (ხელმძღვანელი) და მოძღვრის

45 იირკ, პრეამბულა, გვ. 3.

46 იქვე-საქვე ეხება 1978 წლის 9 იანვრის ყუმი ამბებს, რასაც ირანის მეორე რევოლუციას დასაწყისად მიიჩნევენ; The Constitution of the Islamic Republic of Iran. p. 17.

47 იირკ, პრეამბულა, გვ. 4—7.

საბჭოს პრეროგატივები არის განსაზღვრული (107—112 მუხლები, 8 პუნქტი და 5 ქვეპუნქტი); მეცხრე თავი — აღმასრულებელი ხელისუფლება — სამ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებანია დადგენილი (113—132 მუხლები), მეორე ნაწილი პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტს ეხება (133—142 მუხლები), ხოლო მესამე ნაწილში შეიარაღებული ძალების (არმიის) და რევოლუციის გუშაგთა კორპუსის შესახებ არის ლაპარაკი (143—151 მუხლები); მეთექვსმეტი მუხლი ეძღვნება პოლიტიკის პრინციპებს ადგენს (152—155 მუხლები); მეთერთმეტე თავი სამართლო ხელისუფლების უფლებებს განსაზღვრავს (156—174 მუხლები და 11 პუნქტი); ბოლო მეთორმეტე თავი ინფორმაციის ორგანოებს ეხება (175 მუხლი).

„ველაიათ-ე ფაჰიჰი“

ახალ კონსტიტუციაში, რომელშიც ირანის ისლამური რესპუბლიკის სამართლებრივი საფუძვლებია ჩამოყალიბებული, იურიდიულად არის განმტკიცებული სახელმწიფო წყობილების კლერიკალური ხასიათი. ძირითადი კანონის საფუძველზე ისლამურ-შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს თავისი გაბატონებული მდგომარეობა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ემსახურება ფორმით ისლამური, ხოლო შინაარსით ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების ინტერესებს და მიმართულია პროგრესული, დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. კონსტიტუციამ მონარქიის ავტორიტული რეჟიმის ნაცვლად ისლამური ლიდერების დიქტატურა დააკანონა. ამას მოწმობს თუნდაც „ველაიათ-ე ფაჰიჰის“⁴⁸, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელის, მისი მეთაურის უმაღლესი და ერთპიროვნული მმართველობის შემოღება. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ისლამურ-შიიტური თემის უმაღლესი ხელმძღვანელის თანამდებობის საჭიროების თეორიული დასაბუთების ცდა მოცემულია აიათოლა ხომეინის რევოლუციამდელ ნაშრომში „ისლამური რესპუბლიკის მმართველობა“. თავის ტრაქტატებს და გამოსვლებში ხომეინი შემდეგშიც არაერთხელ დაუბრუნდა ამ თემას. ის ბოლომდე იცავდა იმ აზრს, რომ სანამ ათი საუკუნის წინათ „დაკარგული“ შიიტების მეთორმეტე იმამი მაჰდი არ გამოსულა თავისი ციური „სამალავიდან“, მისი შემცვლელის ფუნქცია უნდა დაეკისროს უმაღლესი რანგის შიიტურ-ისლამურ კანონმცოდნეს (ფაჰიჰს), რომელიც მორწმუნეთა აღიარების მოპოვებისა და მიბაძვის

⁴⁸ ველაიათ-ე ფაჰიჰ სიტყვა სიტყვით შარიათის უმაღლესი კანონმცოდნის თანამდებობის ნიშნავს. ველაიათ ფაჰიჰის შესახებ დაწვრილებით იხ. Shahrouh Akhavi. op. cit. p. 59—60; Haleh Afshar, The Iranian theocracy, in: Iran: A revolution in Turmoil, London, 1985, p. 224—226.

ღირსი (მარაჯე თაყლიდ) გახდება. „ველაიათ-ე ფაყიჰის“ სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტის შემოღების შესახებ ლაპარაკია კონსტიტუციის პრეამბულაში, მეხუთე მუხლში და მთლიანად მერვე თავში. პრეამბულაში ცალკე პარაგრაფი ეძღვნება „სამართლიანი მუსლიმანი კანონმდებლის — ფაყიჰის“ როლის განმარტებას. აქ საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ კონსტიტუციის საფუძველზე იქმნება ნიადაგი „ქეშმარიტი ფაყიჰის“ უმაღლესი თანამდებობის დამკვიდრებისათვის. მას ხალხი აღიარებს წინამძღოლად, რომელიც „არ გადაუხვევს ისლამის კეთილშობილური პრინციპებისაგან“⁴⁹. ძირითადი კანონის ზოგად ნაწილში (მეხუთე მუხლი) ლაპარაკია, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საგანგებო შემთხვევის გამო, როცა მისი უწმინდესობა იმამი მაჰდი ჯერ კიდევ არ დაბრუნებია თავის სამწყსოს, „სახელმწიფო მმართველობის საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება სამართლიან ფაყიჰს, რომელიც თანამედროვე მოვლენებში ღრმად ჩახედული და პრინციპულია“⁵⁰. ასეთ ფაყიჰს მოსახლეობა ხელმძღვანელად (რაჰბარი) აღიარებს და იგი სახელმწიფოს მეთაურად და ერთპიროვნულ მმართველად ითვლება. ამასთან ერთად კონსტიტუციაში დაშვებულია სხვა ვარიანტიც, როცა ვერც ერთი ფაყიჰი პირადად ხალხის საერთო აღიარებას ვერ მოიპოვებს. ასეთ შემთხვევაში იქმნება უმაღლესი მმართველობის კოლეგიალური ორგანო — „შურაი-ე რაჰბარ“ (ხელმძღვანელი საბჭო) 3—5 კაცის შემადგენლობით. ხელმძღვანელი საბჭოს წევრები მიბაძვის ღირსნი (მარაჯე-ე თაყლიდ) და რელიგიურ და თანამედროვეობის საკითხებში კომპეტენტური უნდა იყვნენ⁵¹.

ძირითადი კანონის მერვე თავი, სპეციალურად სახელმწიფოს ხელმძღვანელის (ველაიათ-ე ფაყიჰ, რაჰბარ) ან ხელმძღვანელი საბჭოს (შურაი-ე რაჰბარ) ფუნქციებს აყალიბებს. 107-ე მუხლის საფუძველზე დადგენილია, რომ აიათოლა ოლ-აზამ იმამ ხომეინი, როგორც „ისლამური რევოლუციის“ ბელადი, ირანელი ხალხის მიერ წინამძღოლად (რაჰბარი) არის აღიარებული. მას პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე⁵². იგი წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს ინსტანციას იმ თვალსაზრისით, რომ პარლამენტის ყველა კანონი და დადგენილება ძალაში შედის მხოლოდ ხელმძღვანელის მიერ დამტკიცების შემდეგ⁵³. ხელმძღვანელს ან ხელმძღვანელ საბჭოს მოეთხოვებათ: მეცნიერული კომპეტენტურობა და ღვთისმოსაობა, ფართო პოლიტიკური და სოციალური:

49 იირკ, პრეამბულა, გვ. 5.

50 იირკ, გვ. 4, მუხ. 5.

51 იირკ, გვ. 26, მუხ.107.

52 იქვე.

53 იქვე, მუხ. 108.

თვალსაწიერი, ენერგიულობა და ხელმძღვანელობის გამორჩეული უნარი⁵⁴. კონსტიტუცია ისლამური რესპუბლიკის მეთაურს მეტად ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს. იგი ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს („შურაი-ე ნეგაჰბან“) შემადგენლობას, განაწესებს ქვეყნის უმაღლეს სასამართლო ორგანოებს, ნიშნავს და გადააყენებს უმაღლეს სარდლობას — არმიის გენერალური შტაბის უფროსს, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ სარდალს და არმიის სამივე (სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო) სახეობის ჯარების სარდლებს. ქმნის და ამტკიცებს ეროვნული თავდაცვის უმაღლეს საბჭოს, რომელშიც შედიან რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ სარდალი და ორი მრჩეველი. ხელმძღვანელის, ან ხელმძღვანელი საბჭოს კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, ომისა და საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება და ზავის დადება⁵⁵. ხელმძღვანელმა თანამდებობაზე უნდა დაამტკიცოს პრეზიდენტი იმის შემდეგ, რაც მას ხალხი აირჩევს. თვით არჩევნებამდე პრეზიდენტის კანდიდატურის დამტკიცება (პრეზიდენტის კანდიდატურას სამეთვალყურეო საბჭო ადგენს) ხელმძღვანელის კომპეტენციაში შედის⁵⁶. მასვე შეუძლია რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება, „თუ იგი კანონს გადაუხვევს“, რაც დასაბუთებული იქნება უმაღლესი სასამართლოს მიერ, ხოლო პარლამენტი დაადასტურებს მის არაკომპეტენტურობას. ხელმძღვანელს უფლება აქვს „ისლამური ნორმების ფარგლებში“ გააუქმოს ან შეასწოროს ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება, სასჯელი შეუშუბუქოს ან დაუმძიმოს მსჯავდადებულს⁵⁷.

ამრიგად, „ველაიათ-ე ფაყიჰის“ ანუ თეოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ინსტიტუტი, რომელიც პირველად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაკანონდა კონსტიტუციურად, წარმოადგენს „მიმალული იმამის“ გამოცხადებამდე შიიტური თემის მართვის „ისლამური მმართველობის წესის“ ხომეინისეული კონცეფციის პრაქტიკულად ხორცშესხმას ირანის სინამდვილეში. იგი მიზნად ისახავს ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ დამკვიდრებულ ისლამური ნორმების აღორძინებას და მათ საფუძველზე თანამედროვე სახელმწიფოს მართვას.

⁵⁴ იირკ, პრეამბულა, გვ. 26, მუხ. 109; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 56.

⁵⁵ იირკ, გვ. 27, მუხ. 110.

⁵⁶ იქვე.

⁵⁷ იქვე.

„ველიათ-ე ფაყიპის“ ინსტიტუტი სახელმწიფოს მართვის თავისი ფუნქციების შესრულებაში უშუალოდ ეყრდნობა სამეთვალყურეო საბჭოს („შურაი-ე ნეგაჰბან“), რომლის უფლებამოსილებანი ვრცლად არის ჩამოყალიბებული ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში. კონსტიტუციის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭო იქმნება „ისლამური ნორმებისა და ძირითადი კანონის დაცვის მიზნით“ იმისათვის, რომ ისლამურ ტრადიციებს შეესაბამებოდეს პარლამენტისგან მიღებული ყველა კანონი და გადაწყვეტილება⁵⁸. სამეთვალყურეო საბჭო შედგება 12 წევრისაგან. მისი უფლებამოსილების ვადა არის ექვსი წელი. წევრების ნახევარს შარიათის სამართალმცოდნე და სახელმწიფოს მართვის თანამედროვე საკითხებში ღრმად გარკვეული სპეციალისტებისაგან შეარჩევს ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელი საბჭო. მეორე ნახევარს შეარჩევს ქვეყნის უმაღლესი სასამართლო საბჭო იუსტიციის სხვადასხვა დარგში მომუშავე „ისლამური სამართალმცოდნე პირებისაგან“. მათ საბოლოოდ ხელმძღვანელი ამტკიცებს. კონსტიტუციის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს ნახევარი ყოველ სამ წელიწადში უნდა განახლდეს. პარლამენტი უფლებამოსილი არ არის შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას მანამდე, სანამ სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნებოდეს. მაგრამ მას შეუძლია მუშაობა დაიწყოს უკვე იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს ექვსი წევრი მაინც არის დანიშნული⁵⁹. როგორც წესი, პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და დადგენილება სამეთვალყურეო საბჭოს ეგზავნება საბოლოო განხილვა-დამტკიცებისათვის. ეს უკანასკნელი ვალდებულია 10 დღის ვადაში შეისწავლოს, თუ რამდენად პასუხობს მიღებული დოკუმენტი ისლამურ ტრადიციებს⁶⁰. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა აზრით კანონი ეწინააღმდეგება ისლამურ ტრადიციებს და კონსტიტუციას⁶¹, მას ხელმეორედ განსახილველად კვლავ პარლამენტს უბრუნებს. თუ შემდგომიც სამეთვალყურეო საბჭომ მეჭლისის მიერ მიღებული კანონი ტრადიციებისა და კონსტიტუციის შესატყვისად არ მიიჩნია, მას ვეტოს ადებს, ხოლო თუ

⁵⁸ იირკ, გვ. 23, მუხ. 91.

⁵⁹ იქვე, მუხ. 93; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 51.

⁶⁰ იირკ, გვ. 23, მუხ. 95. კონსტიტუციის 95-ე მუხლის საფუძველზე, თუ ათი დღე განხილვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდება, სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია ამ მიზნით კიდევ ათი დღე მოითხოვოს.

⁶¹ ამის გამო სამეთვალყურეო საბჭოს კონსტიტუციის განხორციელებაზე ზედამხედველობის საბჭოსაც უწოდებენ.

კანონი ისლამური განაწესების შესაბამისად ცნო, იგი ძალაში შედის ხელმძღვანელისაგან დამტკიცების შემდეგ⁶². სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება მაშინ, როცა მისი ყველა წევრი ეთანხმება მას, ე. ი. მაშინ, როცა, დაცულია ერთხმეობის პრინციპი. საბჭოს თითოეულ წევრს შეუძლია დაესწროს პარლამენტის სხდომებს და მონაწილეობა მიიღოს საკითხების განხილვაში. მათ კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, კონსტიტუციის ცალკეული მუხლების დებულებათა განმარტება. თვალყურს ადევნებენ პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებს, რეფერენდუმის მომზადებასა და ჩატარებას⁶³.

სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს მეთაურს (რაჰბარს, ხელმძღვანელს) ექვემდებარება, მისი სახელით მოქმედებს და აკონტროლებს არა მარტო პარლამენტის გადაწყვეტილებებს, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა მთავარი ორგანოს მუშაობას. იგი თავისებურად ასრულებს მონარქიული სახელმწიფო მმართველობის დროინდელი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოს სენატის როლს იმ განსხვავებით, რომ 12 კაცისაგან შემდგარი ეს მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც ყურანისა და შარიათის ნორმებს ემყარება, გაცილებით უფრო ფართო უფლებებით არის აღჭურვილი. მას შეუძლია ხელაღებით ძალადაკარგულად გამოაცხადოს პარლამენტისგან მიღებული ნებისმიერი კანონი და გადაწყვეტილება „ისლამურ ტრადიციებთან შეუსაბამობის“ მოტივით.

საერთოდ, ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურა ბევრად არ განსხვავდება თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოს აღნაგობისაგან. ისლამურ რესპუბლიკაში ირჩევენ პრეზიდენტს, რომელიც ფორმალურად რაჰბარის შემდეგ მეორე თანამდებობის პირად ითვლება სახელმწიფოში. ნიშნავენ პრემიერ-მინისტრს, მინისტრთა კაბინეტს და მინისტრებს. ასევე ფორმალურად არსებობს საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც სინამდვილეში სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. არის სასამართლო ხელისუფლება, ხელისუფლების ადგილობრივი და ინფორმაციის თანამედროვე ორგანოები, შეიარაღებული ძალები და სხვა.

საპანონმდებლო (სათათბირო) ხელისუფლება

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყანაში ერთპალატიანი საპარლამენტო მმართველობა არის შემოღებული. ირანის ისლამური

⁶² იირკ, გვ. 23, მუხ. 94.

⁶³ იქვე, გვ. 24, მუხ. 97, 98, 99, The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 52.

რესპუბლიკის პარლამენტს (მაქლეს-ე შურაი-ე ესლამი — ისლამურა საბჭოს სათათბირო) ირჩევენ „პირდაპირი და ფარული კენჭისყრის“ საფუძველზე ოთხი წლის ვადით⁶⁴. კონსტიტუცია მეჯლისის შემადგენლობას 270 დეპუტატით განსაზღვრავს. ერთი დეპუტატი ყოველ 150 ათას მცხოვრებზე აირჩევა. ისევე, როგორც ეს მონარქიული მმართველობის პერიოდში იყო, მეჯლისის არჩევნების დროს უგულვებელყოფილია ქვეყნის მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე. ეს მაშინ, როცა მცხოვრებთა ნახევარზე მეტი არასპარსული წარმოშობის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებია. კონსტიტუცია წინანდებურად ცნობს მხოლოდ რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლების საარჩევნო უფლებებს. ისინი ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს შეადგენენ. კონსტიტუციის თანახმად, ლებრებს⁶⁵ და ებრაელებს შეუძლიათ მეჯლისში თითო დეპუტატი აირჩიონ. ქრისტიან ასირიელებს (ნესტორიანელებს) და ხალდეველებს (ძველი ბაბილონელები) ორივეს ერთად პარლამენტში ერთი დეპუტატის არჩევის უფლება აქვთ, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქრისტიანი სომხები⁶⁶ თითო დეპუტატს ირჩევენ, ე. ი. რელიგიური უმცირესობები მეჯლისში 5 დეპუტატით არიან წარმოდგენილი⁶⁷.

პარლამენტის მუშაობის წესი დაახლოებით იგივეა, რაც მონარქიული მმართველობის დროს იყო; მეჯლისის ყოველი მოწვევის პირველ სხდომაზე დეპუტატი ვალდებულია დადოს შემდეგი შინაარსის ფიცი: „სახელითა ღვთისითა მოწყალისა და მწყალობლისა“!

წმინდა ყურანის, ყოვლისშემძლე ღმერთის და საკუთარი სინდისის წინაშე ფიცს ვდებ და აღთქმას ვიძლევი, რომ დავიცავ ისლამის სიწმინდეს, ისლამური რევოლუციის მონაპოვრებს, ხალხის ინტერესებსა და ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებს. გავუფრთხილდები საგანძურს, რაც ხალხმა ჩამაბარა და ბოროტად არ გამოვიყენებ ჩემს უფლებამოსილებებს. პირნათლად შევასრულებ ჩემზე დაკისრებულ ყველა მოვალეობას, ვიქნები ღვთისნიერი, გუშაგად დაეუდგები ხალხის ინტერესებს და გულწრფელად ვემსახურები მისი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. დავიცავ კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას“⁶⁸.

64 იირკ, გვ. 16, მუხ. 62, 63.

65 ირანში ძველი ირანული რელიგიის — ზოროასტრიზმის მიმდევრებს ლებრებს უწოდებენ. ინდოეთში ლებრებს ფარსებს ეძახიან.

66 სამხრეთის სომხები ისფაჰანის ქულფაში და ქვეყნის სამხრეთის სხვა პუნქტებში, ხოლო ჩრდილოეთის სომხები ირანის ქულფაში და ჩრდილოეთის სხვა ადგილებში მოსახლეობენ.

67 იირკ, გვ. 16, მუხ. 64.

68 იქვე, გვ. 17, მუხ. 67.

ამრიგად, დეპუტატის ფიცში რელიგიური რწმენა განსაზღვრავს მის სტატუსს. ღვთისმოსაობა არის დეპუტატის განაწესის მთავარი პირობა და საზომი. რელიგიური რწმენა უდევს აგრეთვე საფუძვლად პარლამენტის დეპუტატის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლის მოვალეობას. ამიტომ იგი პასუხისმგებელია თავის მოქმედებაში არა ამომრჩეველების, ხალხის, არამედ უხილავი ძალის წინაშე.

კონსტიტუცია აცხადებს, რომ მეჯლისში გამართული დებატებზე, გარდა იმ საკითხებისა, რაც ქვეყნის უშიშროებას ეხება, უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაციის ორგანოების საშუალებით საყოველთაო გაკნობისათვის⁶⁹.

მეჯლისი უფლებამოსილია ყველა საკითხზე იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება იმ პირობით, თუ ეს „ზიანს არ მიაყენებს ქვეყნის ოფიციალურ რელიგიას და კონსტიტუციას“⁷⁰.

მეჯლისის კომპეტენციაში შედის განიხილოს და დაამტკიცოს სახელმწიფო ბიუჯეტი და კონტროლი დააწესოს მის განხორციელებაზე. იგი ნდობის ვოტუმს აძლევს მთავრობას და განიხილავს რესპუბლიკის პრეზიდენტის კომპეტენტურობის საკითხს. ცალკეულ შემთხვევებში მეჯლისის დეპუტატს შეუძლია მოითხოვოს მინისტრის ამ მთლიანად მინისტრთა კაბინეტის ინტერპელაცია⁷¹. ინტერპელაციისათვის საჭიროა სულ მცირე 10 დეპუტატის მოთხოვნა. მეჯლისი განიხილავს მოქალაქეთა საჩივრებს ხელისუფლების აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების უკანონო მოქმედების გამო. ისეთ შემთხვევაში, როცა საჩივარი საერთო საკითხებს ეხება, პასუხი საყოველთაო ცნობისათვის უნდა გამოქვეყნდეს⁷².

ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი

კონსტიტუციის თანახმად, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი მეორე საფეხურზე დგას რაჰბარის (ხელმძღვანელი) შემდეგ. პრეზიდენტი თავის საქმიანობაში კოორდინაციას ამყარებს სა-

⁶⁹ იირკ, გვ. 18, მუხ. 69.

⁷⁰ იქვე, გვ. 19, მუხ. 71, 72; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 44—45.

⁷¹ ინტერპელაცია სიტყვა-სიტყვით სიტყვის გაწყვეტინებას ნიშნავს. ბურჟუაზიულ პარლამენტებში ინტერპელაცია გამოიხატება დეპუტატის მოთხოვნაში, რათა მთავრობამ მისცეს განმარტება ამა თუ იმ საშინაო ან საგარეო პოლიტიკურ საკითხზე.

⁷² იირკ, გვ. 22, მუხ. 90.

ხელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს შორის. კონსტიტუციის საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას განეკუთვნება. მას ირჩევენ ფართული კენჭისყრით პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ოთხი წლის ვადით⁷³. პრეზიდენტობაზე კანდიდატებს წამოაყენებენ რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეები. ერთი ვადით არჩეულ პრეზიდენტს უფლება აქვს წამოაყენოს თავისი კანდიდატურა კიდევ მეორე ვადით ასარჩევად. პრეზიდენტი უნდა იყოს ირანელი ქვეშევრდომი, რელიგიით მუსულმანი შიიტი, ჰქონდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება, სარგებლობდეს კარგი რეპუტაციით, გამოირჩეოდეს ისლამური რესპუბლიკისა და ოფიციალური რელიგიისადმი ერთგულებით⁷⁴.

ახალი პრეზიდენტის არჩევნები ინიშნება ძველი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე. ახლადარჩეული პრეზიდენტი ვალდებულია კონსტიტუციისა და ისლამური ტრადიციების ერთგულების ფიცი დადოს მეჯლისის სხდომაზე. ფიცის დადების ცერემონიალს, გარდა პარლამენტის დეპუტატებისა, ესწრებიან უმადლესი სასამართლოს თავმჯდომარე და კონსტიტუციისა და პარლამენტის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. ფიცის კონსტიტუციური ტექსტი ასეთია:

„სახელითა ღვთისითა მოწყალისა და მწყალობლისა“!

მე, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, ფიცს ვდებ წმინდა ყურანის, ყოვლისშემძლე ღმერთისა და ირანელი ხალხის წინაშე, რომ დავიცავ ქვეყნის ოფიციალურ სარწმუნოებას, ისლამურ ტრადიციებს, ისლამურ რესპუბლიკურ წყობილებას და ქვეყნის კონსტიტუციას. ძალღონეს არ დავიშურებ, რათა ჩემზე დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო. ერთგულად ვემსახურები ჩემ ხალხს. ხელს შევეუწყობ ქვეყნის განვითარებას, სამართლიანად განვსჯი ყველა საკითხს და დავიცავ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. საიმედოდ დავიცავ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას. არასოდეს გამოვიყენებ ბოროტად იმ წმინდათაწმინდა უფლებამოსილებებს, რაც ხალხმა მომანდო და ასევე ჩავაბარებ მას ხალხის რჩეულს ჩემს შემდეგ⁷⁵.

73 იირკ, გვ. 28, მუხ. 113—114.

74 იქვე, გვ. 29, მუხ. 115.

75 იირკ, გვ. 30, მუხ. 121.

როგორც ოფიციალური ტექსტიდან ჩანს, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიცი ჩვეულებრივი რესპუბლიკის პრეზიდენტის აღთქმისაგან უწინარესად იმით განსხვავდება, რომ აქ „მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის“ დაპირება კვლავ რწმენის პრიმატზე არის აგებული. ეს კი „ისლამური მმართველობის წესის“ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებებში შედის: ხელის მოწერით დაამოწმოს და მთავრობას გადასცეს შესასრულებლად პარლამენტისაგან მიღებული ყველა დოკუმენტი, წამოაყენოს კანდიდატურა პრემიერ-მინისტრის პოსტზე, წარუდგინოს იგი სახელმწიფო ხელმძღვანელს დასამტკიცებლად და პარლამენტს ნდობის ვოტუმის მისაღებად. ხელი მოაწეროს უცხოეთის სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებებს, კონვენციებსა და შეთანხმებებს იმის შემდეგ, რაც მათ პარლამენტი დაამტკიცებს. ამტკიცებს მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებებსა და ინსტრუქციებს, ან განმეორებით განხილვისათვის უკან აბრუნებს მათ. საკიროების შემთხვევაში, თავისი შეხედულებებისამებრ იწვევს მინისტრთა კაბინეტის სხდომებს. გადასცემს და იღებს დიპლომატიურ წარმომადგენელთა რწმუნების სიგელებს. გადაწყვეტილება გამოაქვს სახელმწიფო ჯილდოებით მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ⁷⁶.

კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო შემთხვევებში — რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომის ან ხანგრძლივად (ორ თვეზე მეტ ხანს) ავადმყოფობის დროს, იქმნება პრეზიდენტის დროებითი საბჭო პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის შემადგენლობით, რომელსაც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება ეკისრება. პრეზიდენტის დროებითი საბჭო იქმნება მაშინაც, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნების ვადა გავა, ხოლო ობიექტური მიზეზების გამო ახალი პრეზიდენტი ჯერ კიდევ არ არის არჩეული⁷⁷. კონსტიტუციის 131-ე მუხლის საფუძველზე, რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების, გადადგომის, ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა მსგავს შემთხვევებში პრეზიდენტის ფუნქციების შემსრულებელი დროებითი საბჭო ვალდებულია 50 დღის განმავლობაში მოაწყოს ახალი პრეზიდენტის არჩევნება⁷⁸. მთელი იმ ხნის მანძილზე, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობას დროებითი საბჭო ასრულებს, დაუშვებელია მეჯლისში მთავრო-

76 იირკ, გვ. 31—32, მუხ. 122—129.

77 იქვე, გვ. 32, მუხ. 130.

78 იქვე, მუხ. 131.

ბის ინტერპელაცია, მისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოტანა, ან კონსტიტუციის გადასინჯვა⁷⁹.

ისლამური რესპუბლიკის მთავრობა

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მთავრობა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს მოვალეობას და უშუალოდ ექვემდებარება რესპუბლიკის პრეზიდენტს. მინისტრთა კაბინეტი, ისევე როგორც მონარქიული მმართველობის დროს იყო, ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ორგანოს (მეჯლისის) წინაშე. პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა პრეზიდენტს ევალება. რაჰბარი საბოლოოდ ამტკიცებს ამ კანდიდატურას. პრემიერ-მინისტრი ადგენს მთავრობის (მინისტრთა კაბინეტი) შემადგენლობას, რომელსაც პრეზიდენტი ამტკიცებს. ამის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის ნდობის ვოტუმის საკითხს პარლამენტი განიხილავს. მხოლოდ ნდობის ვოტუმის მიღების შემდეგ შეუძლია მთავრობას შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას⁸⁰. პრემიერ-მინისტრი თავის თანამდებობაზე რჩება მეჯლისის მიერ დადგენილი ნდობის ვოტუმის ვადის გასვლამდე. იგი გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს, მაგრამ ახალი მთავრობის შემადგენლობის შედგენამდე თავისი მოვალეობის შესრულებას განაგრძობს⁸¹. პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება მინისტრის დათხოვნის და ახალი მინისტრის დანიშვნის შესახებ ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას რესპუბლიკის პრეზიდენტი დაამტკიცებს. მთავრობის შემადგენლობაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში მეჯლისის ახალი ნდობის ვოტუმი არის საჭირო⁸².

მინისტრთა კაბინეტი შეიმუშავებს და გამოსცემს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციის დებულებებისა და პარლამენტის მიერ მიღებული იმ კანონების შესაბამისად, რომლებშიც ქვეყნის ძირითადი საშინაო და საგარეო პოლიტიკური ხაზია განსაზღვრული. იგი კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას. მთავრობის ან სამინისტროების სახელით პარლამენტში ცალკეულ საკითხებზე შეაქვს განსახილველად წინადადებები და კანონპროექტები⁸³.

79 იირკ, გვ. 32, მუხ. 132.

80 იქვე, გვ. 33, მუხ. 133.

81 იქვე, მუხ. 135; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 65.

82 იქვე, მუხ. 136.

83 იქვე, გვ. 34, მუხ. 139.

მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების სტრუქტურულ-ორგანიზაციული წყობა დაახლოებით იმავე პრინციპს ემყარება, როგორც მონარქიული რეჟიმის დროს იყო. მაგრამ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში შეიქმნა და მოქმედებს ზოგიერთი ისეთი სამინისტრო, რომელიც სახელმწიფო წყობილების ისლამურ ყაიდასთან. საზოგადოებრივი ცხოვრების ისლამიზაციის კურსთან არის დაკავშირებული. მაგალითად, შექმნილია ისლამური ორიენტაციის, ჭიპად-ე საზანდეგის. „ისლამური რევოლუციის გუშაგების“ და სხვა სამინისტროები. ისლამური ორიენტაციის სამინისტრო ემსახურება ე. წ. „ისლამური რევოლუციის“ და „ისლამური სახელმწიფოს“ ირანული მოდელის პროპაგანდის, მისი სხვა ქვეყნებში გავრცელების საქმეს. ყველა ქეშ-მარიტი მუსულმანის მოვალეობად მიიჩნევენ, რათა მოემზადოს მსოფლიო მასშტაბით „დამპყრობელთა და მჩაგვრელთა მონობისა და უსამართლობისაგან განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის“. ამ ბრძოლაში „ჯარისკაცები მთელი ხალხია (იგულისხმება მუსულმანი ხალხი. გ. ჭ.), ოფიცრები ხალხის საუკეთესო შეილები არიან“⁸⁴. ჭიპად-ე საზანდეგის (შემოქმედებითი ჭიპადი — წმინდა ომი) სამინისტრო შეიქმნა ქვეყნის შიგნით ისლამური იდეების დამკვიდრების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ისლამურ ყაიდაზე გარდაქმნის მიზნით. სამინისტროს ამოცანას შეადგენს ხელი შეუწყოს ქვეყანაში „ისლამური სამართლიანობის“ დამყარებას მუსლიმური თემის ყველა წევრის თანაწილობის საფუძველზე, „რათა მდიდრები დაიყვანონ ღარიბების, ხოლო ღარიბები აიყვანონ მდიდრების დონეზე“ იმისათვის, რომ „ისლამური მეგობრობისა და გულითადობის“ საზოგადოება შექმნან⁸⁵. ისლამური რევოლუციის გუშაგების სამინისტრო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს პარალელურად არსებობს. მის ამოცანას შეადგენს განამტკიცოს „რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“, როგორც ისლამური რესპუბლიკის გვარდია, მისი მთავარი შეიარაღებული ძალა და დასაყრდენი არა მხოლოდ ქვეყნის თავდაცვის საქმეში, არამედ ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველადაც.

კონსტიტუცია ადგენს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან მინისტრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მათი საქმე მეჭლისის წარდგენით მართლმსაჯულების საერთო ორგანოებმა უნდა განიხილონ⁸⁶.

⁸⁴ Г. И. Авдиев. Празднование рамазана в современном Иране. В сб.: Иран. История и современность, М., 1983, с. 135.

⁸⁵ იქვე.

⁸⁶ იირკ, 34, მუხ. 140.

პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, მინისტრებს და ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა სხვა მაღალი თანამდებობის პირებს უფლება არ აქვთ შეთავსებით დაიკავონ თანამდებობა სხვა სახელმწიფო უწყებებსა და დაწესებულებებში. ამ მხრივ გამოინაკლისია დაშვებული მხოლოდ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ შეითავსონ სამუშაო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამასთან საჭიროების შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს ერთდროულად რამდენიმე მინისტრის პოსტი დაიკავოს⁸⁷.

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ კონტროლი უნდა დააწესოს, რათა მაღალი თანამდებობების პირთა ქონება არ გადასცეს „ზომიერების ზღვრულ დონეს“. მან უნდა აღრიცხოს თვით სახელმწიფოს მეთაურის (რეპუბლიკის), ხელმძღვანელი საბჭოს წევრების, პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, მინისტრებისა და მათი ოჯახების ქონება იმ მიზნით, რომ მათ „კანონით დადგენილზე მეტი ქონება არ დააგროვონ“⁸⁸.

შეიარაღებული ძალები

კონსტიტუცია ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მიაკუთვნებს. მათ მოვალეობას შეადგენს „დაიცვან სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ისლამური რესპუბლიკური წყობილება“⁸⁹. შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას მოეთხოვება ისლამური იდეებისადმი ერთგულება, საჭიროების შემთხვევაში მისთვის თავის დადება.

შაჰის რეჟიმისაგან განსხვავებით, ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია კრძალავს შეიარაღებული ძალების რიგებში უცხოელთა მოწვევას და ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელთა ბაზების შექმნას „ყოველგვარი მოტივით, თუნდაც მშვიდობის დაცვის მიზნით“⁹⁰.

ისლამურმა რესპუბლიკამ შაჰის ხელისუფლებისაგან შემკვიდრებით მიიღო შეიარაღებული ძალების სამივე სახეობა, რომლებიც, როგორც ცნობილია, აშშ-ის და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს თანამედროვე იარაღით იყო აღჭურვილი. არმია იყო ფეჰლევიანთა მონარქიის დასაყრდენი, მისი ბოლომდე ერთგული და საიმე-

⁸⁷ იირკ, გვ. 34, მუხ. 141.

⁸⁸ იქვე, მუხ. 142.

⁸⁹ იქვე, გვ. 35, მუხ. 143.

⁹⁰ იქვე, გვ. 36, მუხ. 150.

დო ძალა, რომელსაც მონარქია დალუპვისაგან უნდა დაეცვა. მაგარი, ისიც ცნობილია, რომ 1979 წლის თებერვლის შეიარაღებულმა აჯანყებამ, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეიარაღებულმა სახალხო რაზმებმა შეასრულეს, დააფრთხო შაჰის „უძლეველი არმია“ და მისი გენერალიტეტი იძულებული გახდა სასულიერი წრეებთან კომპრომისზე წასულიყო. შაჰის არმიის სარდლობის ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილი ქვეყნიდან გაიქცა, ხოლო მისი ზოგიერთი წარმომადგენელი ფიზიკურად მოსპეს. ძველი არმიის ოფიცერთა უმეტესი ნაწილი კი ისლამურ ხელისუფალთა მხარეზე გადავიდა. მაგარი ისლამური ლიდერები მათ მაინც საიმედოდ არ მიიჩნევდნენ. ისლამური რესპუბლიკის მესვეურები დიდ იმედებს ამყარებენ „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსზე“ (ფასდარები), რომელიც რევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა და დაამტკიცა კიდევ თავისი ლოიალობა და ერთგულება ისლამური იდეებისადმი. ამიტომ კონსტიტუციაში სავანგებოდ არის აღნიშნული, რომ „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“, რომელიც რევოლუციის პირველსავე დღეებში შეიქმნა, ამჟამადც ერთგულად ასრულებს თავის ფუნქციებს, იცავს რევოლუციას და მის მონაპოვრებს. „ამ კორპუსის უფლებამოსილებანი კანონით შეთანხმებულია შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან. იგი მათთან ძმურ ურთიერთობაში იმყოფება“⁹¹.

„ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“, რომლის შემადგენლობა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა⁹², ქვეყნის შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ირან-ერაყის ძმთამკვლელ ომში, რომელიც 1980 წლის 22 სექტემბერს დაიწყო. ისლამური ხელისუფალნი „ფასდარებს“ იყენებენ, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით ეროვნულ-განმათავისუფლებელი (ყერძოდ, ქურთისტანში) და სოციალური მოძრაობების ჩასახშობად.

სასამართლო ხელისუფლება

როგორც თავის დროზე აღინიშნა, „ისლამური მმართველობის“ სისტემის ხომეინისეული მოდელი „ისლამურ რესპუბლიკაში“ ახალი

⁹¹ იირკ, გვ. 36, მუხ. 150.

⁹² კორპუსის პირად შემადგენლობაში 250 ათასზე მეტი მეომარი ითვლება. ეს შეადგენს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნახევარზე მეტს. Eric Hooglund, Iran 1980—85: Political and Economic Trends. In: The Iranian Revolution and the Islamic Republic, New York, 1986, p.-25.

სასამართლო ხელისუფლების ორგანოების შექმნას არ ითვალისწინებდა. ამას ის გარემოება განაპირობებდა, რომ ტრადიციულად ქვეყანაში დამკვიდრებული იყო შარიათის რელიგიური სასამართლო სისტემა.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში აღდგენილია შარიათის სასამართლო და იგი გამოცხადებულია მართლმსაჯულების დამოუკიდებელ ორგანოდ, რომელიც ისლამური „სამართლიანობის საფუძველზე იცავს საზოგადოებისა და პიროვნების უფლებებს“⁹³.

კონსტიტუცია ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედი სასამართლოების მოვალეობად მიიჩნევს თითოეული მოქალაქის კანონიერი უფლებების დაცვას. პიროვნებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სადავო საქმეების განხილვასა და სამართლიან გადაწყვეტას, „ისლამური მართლმსაჯულების“ შესაბამისად დანაშაულის გამოძიებას და განსჯას, დანაშაულებათა ასაცილებლად სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას და სხვა.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უმაღლესი სასამართლო საბჭო (შურაი-ე ალი-ე ყაზაი), რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. უმაღლესი სასამართლოს საბჭოს წევრები შეიძლება მეორე ვადითაც აირჩიონ. საბჭო ხუთი წევრისაგან შედგება: უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, გენერალური პროკურორი და სამი ისლამური კანონმცოდნე, რომლებსაც ქვეყნის მოსამართლეთა შემადგენლობიდან ირჩევენ⁹⁴.

ისლამური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ხელისუფლების სასამართლო ორგანოების საქმიანობას უთანხმებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. იგი სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეებად ნიშნავს სათანადო კომპეტენციის მქონე პირებს, რომელსაც უმაღლესი სასამართლო საბჭო შეარჩევს. მათ საბოლოოდ პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს⁹⁵.

მუსლიმური მართლმსაჯულების აღსრულებაზე კონტროლს ეწევა ქვეყნის უმაღლესი სასამართლო (დივან-ე ალიე ქეშვარ) უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ისევე როგორც გენერალურ პროკურორს, სახელმწიფოს მეთაური (რაჰბარი) ხუთი წლის ვადით ნიშნავს. სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი, კონსტიტუციის თანახმად, უმაღლესი რანგის სასულიერო (მოჯთეჰედები, აიათოლები) უნდა იყვნენ. ამ პოსტებზე მათ რეკომენდაციას უწევენ უმაღლესი სასამართლო საბჭოს წევრები⁹⁶.

⁹³ იირკ გვ. 37, მუხ. 156; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 71.

⁹⁴ იირკ, გვ. 33, მუხ. 158.

⁹⁵ იქვე, გვ. 38, მუხ. 160.

⁹⁶ იქვე, მუხ. 161—162.

ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში განმეორებულია 1907 წლის კონსტიტუციის დამატების დებულება იმის შესახებ, რომ დაუშვებელია მოსამართლის გადაყენება „დანაშაულის დადასტურების გარეშე“. ასევე დაუშვებელია მოსამართლის გადაყენა ერთი ადგილიდან მეორეზე მისგან თანხმობის მიუღებლად. ამის უფლება გამოწვევის შემთხვევაში უმაღლესი სასამართლო საბჭოს წევრებს აქვთ, თუ ისინი ერთხმად მიიჩნევენ საჭიროდ მოსამართლის გადაადგილებას⁹⁷.

სასამართლო პროცესი საჯაროა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განიხილება ოჯახის, ზნეობრივი, ინტიმური ან პიროვნებათა სადავო საქმეები. საერთოდ ღია და დახურული პროცესის მოწყობის საკითხი მომჩივანი და მოპასუხე მხარეების მოთხოვნის საფუძველზე წყდება⁹⁸.

პოლიტიკური დანაშაულის ხასიათს სასამართლო „ისლამური ტრადიციების საფუძველზე“ განსაზღვრავს. პოლიტიკური საქმეების განხილვა ხდება სასამართლოს ღია პროცესზე მსაჯულთა კოლეგიის თანდასწრებით⁹⁹. კონსტიტუცია პოლიტიკურ დანაშაულად მიიჩნევს ყველა ქმედებას, რომელიც ოფიციალურ რელიგიას და მასზე დაფუძნებულ სახელმწიფო წყობილებას ეწინააღმდეგება. ყველა არაისლამური პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა ხშირად კვალიფიცირებულია, როგორც პოლიტიკური დანაშაული, რაც მუსლიმური სამართლის მთელი სისასტიკით ისჯება.

კონსტიტუციის თანახმად, დანაშაულის განსჯა ხდება ძბოლოდ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც დანაშაულის ჩადენამდე არის გამოცემული.

მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემული ისეთი კანონებისა და დადგენილებების შესრულებისაგან, რომლებიც „ეწინააღმდეგება და ზიანს აყენებს ისლამურ კანონებსა და ტრადიციებს“. თითოეულ მუსლიმანს სრული უფლება აქვს მსაჯულთა კოლეგიისაგან მსგავსი კანონებისა და დადგენილებების ბათილად ცნობა მოითხოვს¹⁰⁰.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მოქმედებს სამხედრო ტრიბუნალები, რომლებიც განიხილავს სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციისა და ჟანდარმერიით თანამშრომლების და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ პირადი შემადგენლობის მიერ სამსახურებრივი

97 იირკ, გვ. 38, მუხ. 164.

98 იქვე, მუხ. 165.

99 იქვე, გვ. 35, მუხ. 168.

100 იირკ, გვ. 39, მუხ. 170.

შოვალეობის შესრულების დროს ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს. სამსახურის გარეშე მომხდარ მათ დანაშაულს საერთო სასამართლო ორგანოები არჩევენ. ტრიბუნალები განიხილავენ აგრეთვე პოლიტიკურ დანაშაულობათა საქმეებს.

სამხედრო სასამართლოები და პროკურატურის ორგანოები, რომლებიც შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის, ქვეყნის სასამართლო სისტემის ნაწილს შეადგენს¹⁰¹.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოხელეების მიერ მოსახლეობის შევიწროების თაობაზე საჩივრებსა და პროტესტებს განიხილავს უმაღლეს სასამართლო საბჭოსთან არსებული ადმინისტრაციული სასამართლო (დივან-ე ადალათ-ე ედარი), რომელიც საკუთარი რეგლამენტით მოქმედებს¹⁰². სასამართლო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს იქვე შექმნილი სრულიად ირანის საინსპექციო ორგანიზაცია (სახმან-ე ბაზრას-იე ქოლ-ე ქეშვარ)¹⁰³.

როგორც ვხედავთ, ირანის ისლამური რესპუბლიკის სასამართლო ხელისუფლება, რომელიც ტრადიციულ შარიათის სასამართლო სისტემას და საერთოდ ისლამურ იურისპრუდენციას ემყარება, თავისი სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმით მართლმსაჯულების თანამედროვე სისტემას ეხამება. იგი თავის მიზნად ისახავს განამტკიცოს ისლამურ-შიიტური ზედა ფენების პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოში და ამით არსებითად ხელს უწყობს კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა სფეროს გაფართოებას.

„ისლამური სახელმწიფოს“ ეკონომიკური საფუძველი

ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში მინიშნებულია, რომ ეკონომიკა „ისლამურ საზოგადოებაში“ თავის ძირითად მიზნად ისახავს არა ადამიანების მუდმივად მზარდი ნივთიერი და სულიერი მოთხოვნილებების უზრუნველყოფას, არამედ მათი არსებობისათვის მხოლოდ მინიმალური პირობების შექმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ, ისლამურ ფუნდამენტალისტთა აზრით, ადამიანი კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ მხოლოდ უნდა არსებობდეს. ეკონომიკა ადამიანისათვის საშუალებაა და არა მიზანი, — ვკითხულობთ კონსტიტუციის პრეამბულაში¹⁰⁴. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში სხვა ეკონომიკური წყობი-

101 იირკ, გვ. 40, მუხ. 172.

102 იქვე, მუხ. 173.

103 იქვე, მუხ. 174; The Constitution of the Islamic Republic of Iran; p. 77.

104 იირკ, პრეამბულა, გვ. 5.

საგან განსხვავებით, ადაჰიანთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მათი ზრდისა და სრულყოფისათვის წარმოების მიზანი „სიმდიდრის დაგროვება და მოგება არ არის, როგორც მატერიალისტურ მიმართულებებს მიაჩნიათ, ვინაიდან გარკვეულ ეტაპზე ეს ნგრევის, გახრწნისა და ლპობის მიზეზი ხდება“¹⁰⁵.

კონსტიტუციის თანახმად, ისლამური ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს საჭირო ნიადაგის მომზადებას პიროვნების „მრავალმხრივ შესაძლებლობათა გამოსავლენად“. ამიტომ ისლამური ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს ადამიანებს შეუქმნას თანასწორი და პროპორციული შესაძლებლობანი, „უზრუნველყოს ისინი სამუშაოთი და დააკმაყოფილოს მათი ის აუცილებელი მოთხოვნები, რაც საჭიროა თითოეულის მუდმივი ღვთაებრივი სრულყოფისათვის“¹⁰⁶.

კონსტიტუციის მეოთხე თავში ჩამოყალიბებულია ისლამური რესპუბლიკის ძირითადი ეკონომიკური პრინციპები, რაც ითვალისწინებს ადამიანების ძირითადი მოთხოვნების უზრუნველყოფას, „ხელსაყრელი პირობებისა და საშუალებების შექმნას მოსახლეობის მაქსიმალური შრომითი დასაქმებისათვის, მსხვილი საკუთრების შეზღუდვას, სამუშაო დროის მოწესრიგებას, პროფესიათა არჩევის თავისუფლებას, სხვისი შრომის ექსპლოატაციის აკრძალვას“, სპეკულაციის და მფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლას, ეროვნული კადრების მომზადებას, ქვეყნის ეკონომიკაში უცხოეთის ბატონობის აღკვეთას, საკუთარი სამრეწველო და სასურსათო პროდუქციით ქვეყნის უზრუნველყოფას.

რა თქმა უნდა, სხვა ზემოდასახელებულ დებულებებზე რომ არაფერი ვთქვათ, კონსტიტუციაში ისეთი ეკონომიკური პრინციპების შეტანა, როგორც არის სხვისი შრომის ექსპლოატაციის აკრძალვა ან მოსახლეობის მაქსიმალური შრომითი დასაქმება ისეთ პირობებში, როცა დაშვებულია მემამულეთა და კაპიტალისტთა საკუთრება მიწაზე და წარმოებისა და არსებობის სხვა საშუალებებზე, ობიექტურად შეუძლებელია. ასეთი კონსტიტუციური დაპირებები მხოლოდ გარეგნულ ეფექტს ქმნის და მოსახლეობის ნაწილში გარკვეულ ილუზიებს წარმოშობს.

სინამდვილეში ისლამური ლიდერების სოციალურ-ეკონომიკური კრედო მოცემულია კონსტიტუციის იმავე თავში, სადაც ლაპარაკია საკუთრების ფორმების შესახებ. კონსტიტუციის თანახმად, კერძო საკუთრება შეადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკურ

105 იირკ, პრემბულა, გვ. 5.

106 იქვე; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 10.

ფუნდამენტს და მის დაცვას სახელმწიფო კისრულობს¹⁰⁷. 47-ე მუხლში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ საპატიოა კერძო საკუთრება, რომელიც კანონიერი გზით არის მოპოვებული.

შიიტური ლიდერები, რომლებიც პოლიტიკური ხელისუფლებიდან ერეკებოდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლებს, ამავე დროს ხელს უწყობდნენ მათი ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცებას იმით, რომ „საპატიო საქმედ“ აცხადებდნენ კერძო საკუთრებას, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის პირველ მიზეზს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გამოსვლებში, ისევე როგორც ძირითად კანონში, პარლამენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებებში ბევრია ლაპარაკი „ისლამური სამართლიანობის“ შესახებ, რაც შიიტური თემის წევრთა „თანასწორობის“ პრინციპს ემყარება¹⁰⁸. ამ საკითხებთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. „ისლამური სამართლიანობის“ იდეა საფუძვლად იღებს ე. წ. „თოუჰიდური“ ანუ ღვთაებრივი ეკონომიკის პრინციპებს. „თოუჰიდური ეკონომიკის“ თეორიის შემოქმედთა მიზანია, ერთი მხრივ, ტოლობის ნიშანი გაავლონ კაპიტალისტურ და სოციალისტურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს შორის, გამოაცხადონ ისინი „სამომხმარებლო საზოგადოებებად“, ხოლო, მეორე მხრივ, დაუპირისპირონ მათ „ისლამური საზოგადოება“ მისი „თოუჰიდური ეკონომიკით“¹⁰⁹, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს ცნობიერებას ყოფიერებასთან, იდეალურს მატერიალურთან შედარებით, პროპაგანდას უწევს ამქვეყნიური სიკეთისაგან განდგომას ზნეობრივი სრულყოფისა და ღვთაებასთან მიხლოების მოტივით. ამრიგად, „თოუჰიდური ეკონომიკა“, რომელიც ისლამურ-შიიტურ ასკეტიზმს ქადაგებს, სინამდვილეში ასრულებს ნეგატიურ როლს ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინაიდან ადამიანებს უხშობს წინსვლის, ცხოვრებისეული ინტერესებისათვის ბრძოლის გზას.

„თოუჰიდური ეკონომიკის“ თეორეტიკოსად მიიჩნევენ ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, აიათოლა ხომეინის. ყოფილ „სულიერ შვილს“ აბოლქასან ბანისადრს. ეს „თეორია“ მან ჩამოაყალიბა რევოლუციამდე, ჯერ კიდევ საფრანგეთში პირველ ემიგრაციაში ყოფნის დროს. იგი საფუძვლად იღებს „ღვთაებრივი ჰარმონიის“

107 იირკ, გვ. 11—12, მუხ. 43.

108 იხ. ბანისადრ აბოლქასანი, თვალსაზრისი ირანის პოლიტიკურ-ისტორიაზე, ყუმი, 1979 (სპარსულ ენაზე).

109 თოუჰიდი ერთღმერთიანობას, მონოთეიზმს ნიშნავს. თოუჰიდური ეკონომიკა ღვთაებრივ ეკონომიკას ეწოდება.

ნის“ შესახებ ისლამურ კონცეფციას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამორიცხავს ყოველგვარ ჩაგვრასა და შევიწროებას. ბანისადრის თვალსაზრისი ამოსავალს იღებს იმაში, რომ დაუშვებელია ქონებისა და ძალაუფლების თავმოყრა პიროვნების, პიროვნებათა ჯგუფის, პარტიების, სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის ხელში. ბანისადრის აზრით, „თოუჰიდურმა ეკონომიკამ“ ისლამური თემის (საზოგადოების) სრულყოფასთან ერთად ორი ეტაპი უნდა გაიაროს: პირველ ეტაპზე უნდა განხორციელდეს პრინციპი; თითოეულისაგან შესაძლებლობის, ხოლო თითოეულს გარჯის მიხედვით. მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია განხორციელდეს პრინციპი: თითოეულისაგან შესაძლებლობის, თითოეულს ღვთისმოსაობის მიხედვით, ასეთია მოკლედ ირანის ისლამური რესპუბლიკის ძირითადი ეკონომიკური პრინციპები, რაც კონსტიტუციურად განმტკიცებულ კერძო საკუთრებას ემყარება. კერძო საკუთრება შრომის საშუალებებზე შრომის ექსპლოატაციის პირველწყაროა, რომელიც ასაზრდოებს ბურჟუაზიული ელემენტების წარმოშობასა და განვითარებას.

ხალხის უფლება-მოვალეობანი

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ვრცლად არის ლაპარაკი ხალხისა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შესახებ. კონსტიტუცია აცხადებს, რომ ყველა ირანელ მოქალაქეს „განურჩევლად კანის ფერისა, რასისა და ეროვნებისა, თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული“¹¹⁰.

კონსტიტუციაში დეკლარირებულია აგრეთვე ოჯახსა და საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის უფლებების ფორმალური თანასწორობა. მაგრამ სინამდვილეში ირანელმა ქალებმა დაკარგეს ბევრი ის უფლება, რაც მათ მონარქიული რეჟიმის დროს მოიპოვეს. ისლამურმა ხელისუფლებმა კვლავ ადადგინეს პოლიგამია, რაც მეტად ამცირებს ქალის ღირსებას. ქალს კვლავ დაუბრუნეს ჩადრი, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ აიკრძალა მონარქიულ ირანში, მას უკვე აღარ შეუძლია დაიკავოს მნიშვნელოვანი თანამდებობები სახელმწიფო აპარატში, ეკრძალება საზოგადოებრივ ადგილებში (მაგალითად, საპარიკმახეროებში, რესტორნებში და სხვ.) მოემსახუროს მამაკაცს და ა. შ. ყოველივე ეს კონსტიტუციურ დაპირებათა მიღმა რჩება.

110 იირკ, გვ. 6, მუს. 9.

კონსტიტუცია სიტყვით არც რწმენის, მიმოწერის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობის თავისუფლებაზე ამბობს უარს. მაგრამ ეს საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „ისლამურ ტრადიციებს, რაც ისლამური რესპუბლიკის საფუძველს შეადგენს“¹¹¹. ისლამურ ლიდერებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ალაჰის პარტია და ისლამური რესპუბლიკის პარტია. ყველა სხვა პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ისლამურ პოზიციებზე არ დგას, შეუთავსებელია შიიტურ-ისლამური ტრადიციებისათვის და კანონგარეშეა გამოცხადებული. ბეჭდვითი სიტყვა, კრებები, მიტინგები და დემონსტრაციები მხოლოდ ისლამის იდეების სამსახურში უნდა იდგეს. ყველა, ვინც ისლამის იდეებს არ იზიარებს, კონტრარევოლუციონერის იარაღად ითვლება.

კონსტიტუცია მოქალაქეთა უფლებების დაცვის ფართო დაპირებებს იძლევა. აქ ლაბარაკია სამეშაოთი და ბინებით, სამედიცინო მომსახურებითა და უფასო საშუალო განათლებით უზრუნველყოფის, მოქალაქეთა პირადი ხელშეუხებლობისა და საკასაციო უფლების შესახებ და სხვ¹¹². მაგრამ ეს უფლებები პრაქტიკულად არაფრით არ არის გარანტირებული. ქვეყანაში 5 მილიონამდე ადამიანს სამეშაო ადგილი არ აქვს. მრავალი ადამიანი უსახლკაროა და მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა. მეტად დაბალ დონეზეა სამედიცინო მომსახურება. ქვეყანა ექიმების, სამკურნალო დაწესებულებებისა და მედიკამენტების დიდ უკმარისობას განიცდის. მრავალი ახალგაზრდისათვის ხელმიუწვდომელია განათლების მიღება. ასე, რომ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები მხოლოდ ცარიელ დაპირებად რჩება.

ისლამური რესპუბლიკის ძირითადი კანონი, ისევე როგორც პირველი კონსტიტუცია, ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალი ეროვნებისა და ეთნიკური ჯგუფისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ ყველაზე ელემენტარულ მოთხოვნასაც კი, რომ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ მათი ბავშვები. კონსტიტუცია ქვეყნის ყველა ეროვნების წარმომადგენლისათვის საპატიო მოვალეობად აცხადებს ირანის მოქალაქეობას. მთავრობას უფლება არა აქვს მოქალაქეობა ჩამოართვას პიროვნებას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა იგი თვითონ მოისურვებს, რომ უცხოეთის მოქალაქე გახდეს¹¹³. უცხოელ

¹¹¹ იქვე, მუხ. 23, 24, 25, 26, 27; The Constitution of the Islamic Republic of Iran; p. 28—30.

¹¹² იირკ, გვ. 9, 10, მუხ. 29—40.

¹¹³ იქვე, გვ. 11, მუხ. 41.

მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ირანის მოქალაქეობა, თუ ამის თაობაზე საკუთარი მთავრობა დაეთანხმება¹¹⁴.

ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად ძირითად კანონში გამოცხადებულია „ყოველგვარი ჰეგემონისტური მისწრაფებისა და ომების დაგმობა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, მხარდაჭერა მსოფლიოს ისლამური ხალხებისათვის დიქტატორული ძალების წინააღმდეგ მთბრძოლაში“¹¹⁵.

ამასთან ისლამური კონსტიტუცია აღიარებს მსოფლიოს ყველა ხალხის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, წინააღმდეგია სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევისა და სოლიდარობას უცხადებს ხალხებს, რომლებიც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან¹¹⁶.

ეს საგარეოპოლიტიკური კურსი ძირითადად ეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

მაგრამ, ისევე როგორც საშინაო პოლიტიკის სფეროში. საგარეო ურთიერთობებშიც ირანის პოლიტიკურ-რელიგიური ხელმძღვანელები პრაქტიკულად არ იცავენ ოფიციალურად გამოცხადებულ საგარეოპოლიტიკურ ხაზს და საერთაშორისო სამართლის გვერდის ავლით, ზოგჯერ კი დარღვევით, ახორციელებენ ურთიერთობებს სხვადასხვა სახელმწიფოებთან. ისლამურ ლიდერთა არარეალისტურ პოლიტიკას უწინარესად მოწმობს, ჯერ ერთი, ის, რომ, როცა თავიანთ ურთიერთობებს ე. წ. „ზესახელმწიფოებთან“ განსაზღვრავენ. არ სურთ დანახონ ის არსებითი განსხვავება, რომელიც არსებობს აშშ-ის იმპერიალისტების ჰეგემონისტურ, აგრესიულ, ნეოკოლონიურ და საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკას შორის. როგორც ცნობილია, ამ არარეალისტურ პოლიტიკას შედეგად მოყვა გართულებები საბჭოთა კავშირ-ირანის რეკოლუციის შემდგომ ურთიერთობებში. მეორე, გმობენ რა საერთოდ ომებს, როგორც სახელმწიფოთა შორის წამოჭრილ უთანხმოებათა გადაჭრის საშუალებას. განაგრძობდნენ უაზრო ომს მეზობელ ერაყთან, რომელმაც დაშვებული შეცდომის შემდეგ, არაერთხელ წამოაყენა წინადადება დაზავების შესახებ. მესამე, როცა „დიქტატორულ ძალებთან ბრძოლაში ისლამური ხალხების

114 იქვე, მუხ. 42.

115 იირკ, გვ. 36, მუხ. 152.

116 იქვე, მუხ. 154; The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 70.

მხარდაჭერის“ შესახებ ლაპარაკობენ, სინამდვილეში მათ მხედველობაში აქვთ ე. წ. „ისლამური რევოლუციის“ ექსპორტი, რაც „ისლამური მმართველობის“ ირანული ვარიანტის ხელაღებით სხვა ხალხებისათვის თავზე მოხვევას გულისხმობს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებებზე მთავარი პასუხისმგებლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკისრება. კანონი საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებათა შესახებ მეჭლისმა 1985 წლის 9 აპრილს დაამტკიცა. ეს კანონი 9 მუხლის, 17 პუნქტისა და ორი შენიშვნისაგან შედგება¹¹⁷.

კანონი ავალებს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო მოვლენებზე მუდმივ მეთვალყურეობასთან ერთად, „განსაკუთრებული ზედამხედველობა დააწესოს ისლამური სამყაროს ამბებზე“¹¹⁸. ამის თაობაზე მოამზადოს ანგარიშები „პროგნოზებითა და წინადადებებით“ და წარუდგინოს იგი სათანადო ორგანოებს.

ამასთან ერთად, ისლამური ორიენტაციის სამინისტროსთან და სხვა კომპეტენტურ დაწესებულებებთან თანამშრომლობით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ სათანადო მუშაობა უნდა გასწიოს „უცხოეთის ქვეყნებში ისლამური კულტურის გასავრცელებლად“. ამ მიზნით კონტაქტები უნდა დაამყაროს უცხოეთის ინფორმაციის ორგანოების წარმომადგენლებთან და საზღვარგარეთ მყოფ ირანელ სტუდენტებთან¹¹⁹.

ირანის ისლამური რესპუბლიკის მმართველები მიისწრაფვიან, რომ გააფართოონ „ისლამური რევოლუციის“ ფარგლები. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ გამოეყენებინათ ირან-ერაყის დაუსრულებელი ომიცა და ლიბანის ამბებიც. ამას მოწმობს ლიბანში ირანული „ქეზ-ბოლაკების“ ტიპის ტერორისტული ორგანიზაციის პარტიზანული ომის წარმოებისათვის დამოუკიდებელი ბრიგადის, თუ „ისლამური კამიკაძეების“ შექმნა და სხვა ღონისძიებანი. ამ მიზანს ემსახურება როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს, ასევე ისლამური ორიენტაციის და, ისლამური რევოლუციის გუშაგათა“ სამინისტროების საქმიანობა¹²⁰.

ამრიგად, „ისლამური რევოლუციის“ იდეების პროპაგანდა, მისი სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე დანერგვა და გავრცელება ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად არის გამოცხადებული.

117 „რუზნამევი რასმეი ქომპურიე ესლამეი ირან“, 1985 წლის 2 მაისი. (სპარსულ ენაზე).

118 იქვე მუხ. 2, პუნქ. 3.

119 იქვე, მუხ. 2, პუნქ. 9, 10, 11.

120 Наука и религия, № 5, 1987 года, с. 45—49.

ისევე როგორც მონარქიული მმართველობის დროს, ირანის ისლამური რესპუბლიკაში სახელმწიფოს ოფიციალური ენა სპარსული, ხოლო დამწერლობა არაბულია. ოფიციალური დოკუმენტები, წერილები, ოქმები და წიგნები სპარსულ ენაზე დგება. პირველი კონსტიტუციისაგან განსხვავებით, ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია აცხადებს, რომ „ეროვნულ უმცირესობებს უფლება აქვთ პრესაში, რადიო-ტელევიზიაში და სკოლებში სპარსულთან ერთად გამოიყენონ საკუთარი ენა“¹²¹. მაგრამ ეს განცხადებაც მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებს. როგორც ითქვა, ეროვნული უმცირესობანი მოკლებული არიან უფლებას მათ ბავშვებს მშობლიურ ენაზე ჰქონდეთ სწავლება.


ისლამური რესპუბლიკაში განსაკუთრებულ პირობებს ქმნიან არაბული ენის შესწავლისათვის, ვინაიდან, როგორც კონსტიტუციაშია აღნიშნული, ყურანი არაბულ ენაზე არის შედგენილი და ისლამური მოძღვრება თავის საწყისს არაბულიდან იღებს. ამასთან ერთად, სპარსული ლიტერატურა მჭიდროდ არის დაკავშირებული არაბულთან. ამიტომ დაწყებით და საშუალო სკოლებში არაბული ენის სავალდებულო სწავლება არის შემოღებული¹²².

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ უმცირესობათა ენების სასწავლო დაწესებულებებში ხმარების ახალ კონსტიტუციაში მოხსენიება იმან გამოწვია, რომ მონარქიის დამხობის შემდეგ ახალი ძალით გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქურთები და ზოგიერთი სხვა ხალხები. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა სწორედ სკოლებში ეროვნულ ენაზე სწავლების შემოღება იყო, მაგრამ ეს მცირე კონსტიტუციური „დათმობა“ ისლამურმა ლიდერებმა შემდეგში უკან წაიღეს.

ცნობილია, რომ ძველი ირანის კალენდარი, რომელიც ჩვენს წ. აღ-მდე 558 წლიდან იწყებოდა, არაბთა შემოსევების შემდეგ ჰიჯრის კალენდარმა შეცვალა. მას საფუძვლად დაედო 622 წლის 16 ივლისს მუჰამედის მექიდან მედინაში გადასვლის ფაქტი. 1976 წლის მარტში „ირანის ეროვნული აღორძინების პარტიის“ (რასთახაზის) დაარსებასთან ერთად კვლავ ძველი ირანის (კიროსის) კალენდარს დაუბრუნდნენ. 1976 წელი მაშინ ნაცვლად ჰიჯრის კალენდრით აღრიცხული 1355 წლისა, ახალი კალენდრით უკვე 2535 წელი იყო. მაგრამ ძველი ირანის აღორძინებულმა კალენდარმა მხოლოდ 1978 წლის

121 იირკ, გვ. 6, მუხ. 15.

122 იქვე, გვ. 16.



შენიშვნა: — 1930 წლის 10 იანვარს, სსრკ-ს საგარეო უწყებების დახმარებით, 1930 წლის 10 იანვარს

სექტემბრამდე იარსება. ამის შემდეგ კვლავ ისლამური კალენდარი აღადგინეს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში მოქმედებს ორი ისლამური კალენდარი: ჰიჯრის (მზის) და ყამრის (მთვარის)¹²³. მაგრამ ფართო ხმარებაში მხოლოდ მზის კალენდარია¹²⁴.

ისლამური რესპუბლიკის ოფიციალური დროშა წარმოადგენს მართკუთხა ქსოვილს, რომელზეც მწვანე, თეთრი და წითელი ზოლებია. დროშაზე აწერია: „ირანის ისლამური რესპუბლიკა“. იქვე აქვს შინაწერი: „დიდი არს ალაჰი“ (ალაჰ-ე აქბირ)¹²⁵, ამით შეეცლილია აღრინდელი „ლომისა და მზის“ გერბი, რომელიც, აჰმად ქასრაეის თქმით, ირანში დამკვიდრდა XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, მოჰამედ შაჰის დროიდან¹²⁶.

ისლამური რესპუბლიკა კონსტიტუციის მიღების უამრავი

1979 წლის დეკემბერში ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, შეუდგნენ პირველი პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიას. ამით დაიწყო ისლამურ ხელისუფალთა მიერ სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოების ჩამოყალიბების ეტაპი. საარჩევნო კამპანიის დროს აიათოლა ხომეინიმ სასულიერო პირებს მოუწოდა თავი შეეკავებინათ თავისი კანდიდატურების პრეზიდენტობაზე წამოყენებისაგან. ამან პრეზიდენტის სავარძლის დასაკავებლად გზა გაუხსნა ეკონომიკის მინისტრ 46 წლის აბოლ ჰასან ბანისადრს, რომელიც ხომეინის ერთ-ერთი დაახლოებული მოღვაწე და მრჩეველი იყო ეკონომიკურ საკითხებში. 1985 წლის 25 იანვარს ჩატარდა არჩევნები, რომელშიც გამარჯვება სწორედ ბანისადრმა

123 ჰიჯრის წლის ქრისტიანულ-გრიგორიანულ კალენდარზე გადაანგარიშება ხდება ფორმულით: მზის ჰიჯრის წელს+621 (21 მარტიდან 31 დეკემბრამდე) ან 622 (1 იანვრიდან 20 მარტამდე)=თანამედროვე კალენდრის წელს.

124 იირაკ, გვ. 6, მუხ. 17.

125 იქვე, მუხ. 18, The Constitution of the Islamic Republic of Iran, p. 27.

126 „ლომისა და მზის“ ემბლემის შემოღების ირგვლივ ქვეყანაში მრავალი ლეგენდა შეიქმნა. ამ ლეგენდებიდან ა. ქასრაეი უპირატესობას ანიჭებს იმ ვერსიას, რომლის თანახმად, ვინაიდან ძველ ირანში თავყანს სცემდნენ ცეცხლსა და ძლიერებას, ცეცხლის სიმბოლოდ წარმოადგენდნენ მზეს, ხოლო ძლიერებისა — ლომს. იხ. ა. ჰამად ქასრაეი, ლომისა და მზის მოკლე ისტორია, მესამე გამოცემა, თეირანი, 1951, გვ 10 (სპარსულ ენაზე).

მოიპოვა. იგი ირანის ისლამური რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი გახდა¹²⁷.

მაგრამ ამით ქვეყანაში სახელმწიფო ხელისუფლების მონოპოლიისათვის პოლიტიკური ბრძოლა არ დამცხრალა. პირიქით, იგი ახალ ფაზაში შევიდა. საქმე ის არის, რომ ისლამური რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელი აიათოლა ბეჰეშთი, რომელსაც პრეზიდენტის არჩევნებში ხელი მოეცარა, ახლა პრეზიდენტს ექიშპებოდა თავის მხრივ, პრეზიდენტი აბოლქასან ბანისადრი, რომელიც თავისი ეკონომიკური თეორიის პრინციპებიდან გამომდინარე, აკრიტიკებდა ისლამური რევოლუციური საბჭოსა და ისლამური რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობას, რომლებმაც საკუთარ ხელში მოუყარეს თავი ძალაუფლებას და ცდილობდა მათთვის პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება დაეპირისპირებინა. ამ მიზნით იგი ხომეინის მხარდაჭერას ჟეინებდა. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარლამენტის არჩევნებამდე, მისი გვერდის ავლით, თვითონ დანიშნავდა პრემიერ-მინისტრს და შეადგენდა მთავრობას. მაგრამ ბანისადრი ბეჰეშეთის ჯგუფის ძლევრი წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული გახდა ხელი აეღო ამ განზრახვაზე¹²⁸.

1980 წლის 14 მარტს შედგა პირველი მოწვევის ისლამური მეჯლისის არჩევნები. კონსტიტუციით გათვალისწინებული მეჯლისის 270 დეპუტატიდან ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობით მხოლოდ 97 დეპუტატი ანუ 36,6 პროცენტი აირჩიეს. 173 დეპუტატის ადგილი ვაკანტური დარჩა. მათ ასარჩევად 9 მაისს მოეწყო არჩევნების მეორე რაუნდი. ამჯერად კიდევ 150 დეპუტატი აირჩიეს, სულ ისლამურ მეჯლისში 247 დეპუტატის სავარძელი შეივსო. 23 ადგილი კი კვლავ ვაკანტური დარჩა¹²⁹. მაგრამ პრეზიდენტ ბანისადრის მომხრეთა რიცხვი მეჯლისის დეპუტატების ერთ-მეხუთედს არ აღემატებოდა, მაშინ როცა ბეჰეშეთის დაჯგუფებას ახლად არჩეული დეპუტატების თითქმის ორი მესამედი ემხრობოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ პრეზიდენტის პოზიციები ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოში მეტად სუსტი იყო. ამიტომ პრეზიდენტს ნაკლები შანსი ჰქონდა თავისი მომხრე მთავრობა შეექმნა და მასზე ნდობის ვოტუმი მიეღო. მაგრამ პრეზიდენტის მიერ შერჩეული არცერთი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირეს პარლამენტში, 1980 წლის აგვისტომდე მთავრობის მეთაურის: პოსტი დაუკავებელი რჩებოდა. ხომეინის ჩარევის შემ-

¹²⁷ С. Л. Агаев, Иран в прошлом и настоящем, М., 1981, с. 226.

¹²⁸ Л. Е. Складов, Даха. ნაშრ., გვ. 215.

¹²⁹ „ქეიბანი“, 1980 წლის 13 მაისი; The Iranian Revolution and the Islamic Republic, New York, 1986, p. 57.

დეგ შეთანხმდნენ, რომ მთავრობის მეთაურად დაენიშნათ მოჰამედ რაჯაი, რომელიც ბეჰეშთის დაჯგუფებას ეკუთვნოდა. მაგრამ ახალი პრემიერ-მინისტრის მიერ შედგენილი მთავრობის შემადგენლობას პრეზიდენტი არ ეთანხმებოდა. სექტემბერში ისევ ხომეინი გამოვიდა მომრიგებლის როლში და როგორც იქნა მთავრობის ძირითადი შემადგენლობა დაამტკიცეს. ნოემბერში კიდეც რამდენიმე მინისტრი დაინიშნა. მაგრამ, მხარეთა შეუთანხმებლობის გამო, ამის შემდეგაც რამდენიმე თვის მანძილზე კვლავ ვაკანტური იყო საგარეო საქმეთა, ვაჭრობის, ეკონომიკის, ფინანსთა და იუსტიციის მინისტრების პოსტები¹³⁰. 18 მინისტრიდან მხოლოდ 14 იყო დამტკიცებული.

პრეზიდენტ ბანისადრსა და აიათოლა ბეჰეშთის შორის უთანხმოებებს ძირითადად სახელმწიფოში პოლიტიკური ხელისუფლებისათვის ბრძოლა განაპირობებდა. სასულიეროთა წამყვანი ხელმძღვანელი ბეჰეშთი ვერ ურიგდებოდა საერო პრეზიდენტის ხელისუფლების დამოუკიდებლობას, თუმცა კლასობრივი თვალსაზრისით, ერთიცა და მეორეც ძირითადად წვრილბურჟუაზიულ პოზიციებზე იდგნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ისინი სხვადასხვა გზით ცდილობდნენ ბურჟუაზიული ფენების დაკმაყოფილებას. ბანისადრი მხარს უჭერდა „ეკონომიკური აქტიურობის“ ხაზს და აკრიტიკებდა ისლამურ ლიდერებს, რომლებიც ხალხს „შიმშილისა და სიღატაკისათვის სწირავდნენ“. მას ეკუთვნის გამონათქვამები, რომ რევოლუცია იმისათვის მოხდა, რათა მან „ადამიანებს პური და თავშესაფარი მისცეს“, „უაროელი კუჭით რწმენას ვერ შეინარჩუნებ“ და სხვა. მისი ოპონენტი აიათოლა ბეჰეშთი, რომელიც ხალხის უმეცრობას იყენებდა, რელიკიურ რწმენას ადამიანების საარსებო მოთხოვნებზე მალა აყენებდა. იგი აცხადებდა, რომ რელიგიურ მოღვაწეებს დიდი უპირატესობა აქვთ „პროფესიონალებთან“ შედარებით და ამიტომ სახელმწიფო ორგანოებში კადრების შერჩევის დროს პირველ რიგში მხედველობაში კანდიდატის ღვთისმოსაობა უნდა იქნეს მიღებული. მისი აზრით, ადამიანებმა თავი უნდა გაითავისუფლონ „თავიანთი ბუნებრივი მოთხოვნებისაგან“, ისინი „არ უნდა ემონებოდნენ საამღლისო მოთხოვნებს“ და სხვა¹³¹.

ბანისადრისა და ბეჰეშთის გარშემო თანდათან იკრიბებოდა მომხრეთა ძალები, რომლებიც თავიანთ ინტერესებს ძალაუფლებისათვის ბრძოლას უკავშირებდნენ. ბანისადარს მიყვებოდა ზაზრის ვაჭრების უმრავლესობა, რომლებიც ეკონომიკურ-ცხოვრების

¹³⁰ Л. С. Агаев, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 229.

¹³¹ Л. Е. Скляр, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 215.

აქტივიზაციით იყვნენ დაინტერესებული. მას მხარს უჭერდნენ აგრეთვე „მოჯაჰედინები“, რომლებიც სასულიეროთა ხელში ძალაუფლების თავმოყრის წინააღმდეგი იყვნენ. ბეჰეშთის დაჯგუფებას ემხრობოდნენ უმთავრესად ლუმპენთა ფენები და „ჰეზბოლავები“. დაპირისპირებულ მხარეთა შორის წინააღმდეგობა სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. მან კრიზისულ დონეს მიაღწია 1980 წლის დეკემბერში, 1981 წლის მარტში და კულმინაციურ წერტილამდე ავიდა იმავე წლის ივნისში¹³².

შემარიგებლობის მეთოდმა როცა შედეგი ვერ გამოიღო, ხომეინი საბოლოოდ გადაუდგა ბანისადრს და ბეჰეშთის მხარე დაიკავა. 1981 წლის 11 ივნისს მან ბანისადრი მოხსნა უმაღლესი მთავარსარდლობიდან, რაც დროებით ჰქონდა მინდობილი ირან-ერაყის ომთან დაკავშირებით. ამავე დროს უმაღლესმა სასამართლომ აღძრა საქმე მისი „არაკომპეტენტურობის“ შესახებ. 21 ივნისს იგი მეჯლისმა პრეზიდენტის პოსტიდან გადააყენა. მალე ბანისადრი „მოჯაჰედინების“ ლიდერ რაჯავისთან ერთად საფრანგეთში გაიქცა. 28 ივნისს აიათოლა ბეჰეშთი და მასთან ერთად 73 სახელმწიფო მოღვაწე დაილუპა მის რეზიდენციაში ბომბის აფეთქების შედეგად. 24 ივლისს ჩატარდა პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები, რომლის შედეგად ახალ პრეზიდენტად პრემიერ-მინისტრი რაჯაი აირჩიეს. აგვისტოში მთავრობის მეთაურად დაინიშნა ბაჰონარი, რომელიც ბეჰეშთის სიკვდილის შემდეგ ისლამურ რესპუბლიკურ პარტიას ხელმძღვანელობდა. მაგრამ ტრაგედიას ახალი ტრაგედია დაერთო. 30 აგვისტოს ბომბის მორიგი აფეთქების შედეგად ერთად დაილუპნენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. 1981 წლის სექტემბერში რიგით მესამე პრეზიდენტად აირჩიეს ხოჯათ ოლ-ისლამ ალი ჰოსეინი ხამეინე, ხოლო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა აიათოლა მაჰდავი ქიანი, რომელიც მალე მირ ჰოსეინ მუსაეიმ შეცვალა¹³³.

ამ შფოთიანი და ტრაგიკული 1981 წლის ზაფხულ-შემოდგომის შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ზედა ეშელონში დროებითი სტაბილური მდგომარეობა შეიქმნა.

იმის შემდეგ, რაც ისლამურმა ლიდერებმა შეძლეს ხელისუფლებისაგან ჩამოეშორებინათ ბურჟუაზიული ლიბერალები და წვრილბურჟუაზიული რადიკალები, იერიში მემარცხენე ძალებზე მიიტანეს. 1983 წლის თებერვლის დამდეგს სახალხო პარტიის ხელმძღვანელობა და აქტივისტები დააპატიმრეს. თვით პარტია კანონგარეშე გამოაცხადეს. ამრიგად, სასულიერო წრეებმა შეძლეს დაეთრგუნათ ოპოზიციუ-

¹³² იქვე; The Iranian Revolution... p. 57.

¹³³ Л. Е. С к л я р о в, დასახ. ნაშრ., გვ. 216. The Islamic Revolution, p. 57.

რი ძალები და მთლიანად დაუფლებოდნენ პოლიტიკურ ხელისუფლებას.

ასეთ ვითარებაში ქვეყანაში მოეწყო მეორე მოწვევის მეჭლისის საარჩევნო კამპანია. არჩევნები 1984 წლის 15 აპრილს ჩატარდა. საარჩევნო კამპანიის დროს მეჭლისის 270 ადგილზე 1500 კანდიდატი იყო წამოყენებული, ე. ი. ერთ ადგილზე 5 და მეტი კანდიდატი იბრძოდა (1980 წლის მარტსა და მაისში მეჭლისის ერთ ადგილზე 12 და მეტი კანდიდატი მოდიოდა), მაგრამ სასულიერო ორგანიზაციებში მკაცრი შემოწმების გავლის შემდეგ მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა¹³⁴.

მიუხედავად ამისა, 12 საარჩევნო ოლქში მაინც გავიდა ოპოზიციის კანდიდატები. სამეთვალყურეო საბჭომ გააუქმა ამ ოლქებში ჩატარებული არჩევნების შედეგები, როგორც „ისლამის სულისკვეთების“ საწინააღმდეგო¹³⁵.

მეჭლისის არჩევნებში ირანელი ამომრჩევლების აქტიურობის მკვეთრი შესუსტება შეიმჩნეოდა. თუ 1979 წლის 30—31 მარტის საერთო სახალხო რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო ირანის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ (90%), 1984 წლის 15 აპრილს მეჭლისის არჩევნებში, ოფიციალური მონაცემებით, ამომრჩეველთა 36%-ს მონაწილეობა არ მიუღია. სხვა ცნობებით კი, არჩევნებში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი არ მონაწილეობდა.

1984 წლის 28 მაისს შედგა მეორე მოწვევის მეჭლისის პირველი სხდომა¹³⁶. 17 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს ხოჯათ ოლ-ისლამ ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი¹³⁷.

პრემიერ-მინისტრი მირ ჰოსეინ მუსაევი ამჯერადაც სათავეში ჩაუდგა კაბინეტს. მაგრამ 1984 წლის 14 აგვისტოს, როცა ახლად არჩეულმა მეჭლისმა მთავრობის ნდობის ვოტუმის საკითხი განიხილა, კაბინეტის 20 წევრიდან 5 არ დაამტკიცა თავის თანამდებობაზე. ესენი იყვნენ: ეროვნული თავდაცვის, განათლების, კულტურისა და უმაღლესი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და მრეწველობის მინისტრები. პირველი ოთხი მინისტრი კაბინეტის წევრები იყვნენ 1981 წლიდან¹³⁸.

1985 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. ორ რიგგარეშე არჩევნებთან ერთად (1981 წლის ივლისსა და სექტემბერში), ეს იყო პრეზიდენტის მეოთხე არჩევნები. პრეზიდენტის

¹³⁴ Л. С. Агаев, Иран между прошлым и будущим, М. 1987, с. 234.

¹³⁵ Financial times, 8 June 1984.

¹³⁶ „ქეიპანი“, 1984 წლის 29 მაისი; The Iranian Revolution... p. 59.

¹³⁷ „ქეიპანი“, 1984 წლის 18 ივნისი.

¹³⁸ „ქეიპანი“, 1984 წლის 7 აგვისტო.

პოსტზე თავდაპირველად 50 კანდიდატურა წამოაყენეს. კონსტიტუციონისა და პარლამენტის სამეთვალყურეო საბჭომ (მურაი-ე ნეგაჰბან) მათგან საბოლოოდ მხოლოდ სამის-ხოჯათ ოლ-ისლამ ალი ხამენეის, ჰაბიბულა ასლაროულად მოსალმანის და მაჰმუდ ქაშანის კანდიდატურები დატოვა ასარჩევთა სიაში. ირანის დროებითი რევოლუციური მთავრობის ყოფილი მეთაურის მეჰდი ბაზარგანის კანდიდატურა, რომელიც აგრეთვე პრეზიდენტობაზე კენჭის საყრელად იყო წარმოდგენილი, სამეთვალყურეო საბჭომ ყოველგვარი განმარტების გარეშე მოხსნა¹³⁹.

პრეზიდენტის არჩევნებში, ოფიციალური ცნობებით, 14,2 მილიონმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. ხოჯათ ოლ-ისლამ ალი ჰოსეინი ხამენეის არჩევნებში მონაწილეთა 85%-მა მისცა ხმა¹⁴⁰. კვლავ არჩეულმა ხამენეიმ 10 ოქტომბერს კონსტიტუციის ერთგულების ფიცი დადო. ამავე დროს პარლამენტის ახალი ნდობის ვოტუმში მიიღო მირ ჰოსეინი მუსაევის მთავრობამ.

1985 წლის 9 ნოემბერს ექსპერტთა საბჭომ, რომელშიც 83 კაცი შედიოდა, ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ ხმების ორი მესამედის უმრავლესობით ისლამური რესპუბლიკის მეთაურის ხოშეინის მემკვიდრედ დაამტკიცა 63 წლის აიათოლა ჰოსეინ ალი მონთაზერი¹⁴¹. ექსპერტთა საბჭოს გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამწვავა ბრძოლა პირადი ხელისუფლებისათვის მმართველ სასულიერო ელიტას შორის. თავი წამოყვეს მემკვიდრეობის სხვა პრეტენდენტებმაც.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ყველაზე მძიმე და გადაუჭრელ პრობლემად რჩება აგარაულ-გლეხური საკითხი. გლეხების ოჯახების ნახევარზე მეტი მცირემიწიანი და უმიწაწყლოა. მიწების დიდი და ნაყოფიერი მასივები თავმოყრილია მემამულეთა ხელში, რომლებსაც ათეულობით და ასეულობით ჰექტარი მიწა ეკუთვნით. 1980 წლის მარტსა და მაისში მიღებული მიწის რეფორმის კანონები არსებითად ვერ ცვლიდა მდგომარეობას, ვინაიდან რეფორმა მხოლოდ უნაყოფო და მიტოვებული მიწების განაწილებას ისახავდა მიზნად. მაგრამ იმავე წლის სექტემბერში, ერაყთან საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, ნეგაჰბანთა საბჭომ, რომელიც კონტროლს უწევს პარლამენტის გადაწყვეტილებებს, გაუქმებულად გამოაცხადა მიწის რეფორმის, ბანკებისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების ნაციონალიზაციის, აგრეთვე საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შესახებ პარლამენ-

¹³⁹ С. Л. Агаев, даხახ. ნაშრ., გვ. 248.

¹⁴⁰ იქვე, გვ. 249.

¹⁴¹ იქვე, გვ. 251; The Iranian Revolution..., p. 59.

ტისგან წინათ მიღებული კანონები, როგორც ისლამური ტრადიციები-
სა და პრინციპების საწინააღმდეგო აქციები.

უკანასკნელად, 1987 წლის ზაფხულში მეჯლისმა მიიღო მიწის
რეფორმის ახალი კანონი, მაგრამ მისი განხორციელების გზაზე კვლავ
აღიმაართა მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ისევე ისლამურ ღოგებთან
მისი შეუსაბამობის გამო.

1988 წლის აპრილსა და მაისში ორ ტურად მოეწყო მესამე მო-
წვევის მეჯლისის არჩევნები¹⁴². მეჯლისში ასარჩევად წამოყენებული
კანდიდატების რიცხვი ბევრად სჭარბობდა დეპუტატების ადგილებს
დადგენილ რაოდენობას. მთავრობისადმი უნდობლობის გამო ამომრჩე-
ველთა უდიდესმა ნაწილმა თავი აარიდა არჩევანში მონაწილეობას.
ამომრჩეველთა რაოდენობის ხელოვნურად გადიდებისა და ისლამური
საარჩევნო სისტემის „დემოკრატიული“ ხასიათის ჩვენების მიზნით, ხე-
ლისუფლებმა ადრევე 15 წლამდე შეამცირეს არჩევნებში მონაწილეო-
ბის მისაღებად საჭირო ასაკი. ამჯერად კი შეიცვალა წინანდელი წესი,
რომლის თანახმად მეორე ტურის არჩევნებში მონაწილეობის უფლე-
ბა ჰქონდათ იმათ, ვინც პირველ ტურში მისცეს ხმა. იმისათვის, რათა
ამომრჩეველები მიეზიდათ, ახლა მეორე ტურის არჩევნებში მონაწი-
ლეობის უფლება დაერთოთ იმათაც, ვისაც პირველ ტურში მონაწი-
ლეობა არ მიუღიათ¹⁴³. მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. გაზეთ „ნა-
მეე მარლომის“ გამოანგარიშებით, თეირანში, სადაც მოსახლეობა 9
მილიონს აღემატება, არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაახლოე-
ბით 5 მილიონ ადამიანს აქვს. ოფიციალური მონაცემებით კი ირკვე-
ვა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის მხოლოდ
892 052 ამომრჩეველმა, ე. ი. ამომრჩეველთა 17, 8 პროცენტმა¹⁴⁴.

პარლამენტში თავიანთი მომხრეების გასაყვანად მთავრობის მო-
ხელეები არ ერიდებოდნენ არჩევნების გაყალბებას. გაზეთ „ქეიჰანის“
ცნობით, 1988 წლის აპრილში, პირველი ტურის არჩევნების ჩატარე-
ბის დროს მოხელეთა მხრივ აშკარა ფალსიფიკაციის შემთხვევებს
ჰქონდა ადგილი აჰვაზის პროვინციაში¹⁴⁵, ასადაბადის რაიონში¹⁴⁶ და
სხვა ადგილებში. გაზეთი წერდა, რომ ისლამური მმართველები ხალ-
ხისაგან მოითხოვდნენ ეაზროვნათ და ემოქმედათ ისე, როგორც მათ
მოესურვებოდათ. ზოგიერთი გარეშე პირი, რომელიც საგანგებოდ

142 „ნამეე მარლომ“, 1988 წლის 24 მაისი.

143 იქვე.

144 იქვე.

145 „ქეიჰანი“, 1988 წლის 12 აპრილი.

146 „ქეიჰანი“, 1988 წლის 24 აპრილი.

იყო მივლინებული ადგილებზე, უხეშად ერეოდა საარჩევნო პროცესში. ასეთმა მოქმედებამ ბევრი ამომრჩეველი აიძულა არჩევნებს განდგომოდა¹⁴⁷.

მეჭლისის უკანასკნელი არჩევნების დროს კვლავ მიმდინარეობდა ირან-ერაყის უაზრო ომი და ისლამური ხელისუფლები ისევ და ისევ ომში „საბოლოო გამარჯვებისაკენ“ მოუწოდებდნენ. ცხადია, ეს თავის უარყოფით გავლენას ახდენდა არჩევნების საერთო მსვლელობაზე.

როგორც ცნობილია, 1987 წლის 20 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება № 598, რომელიც შეიცავდა მოწოდებას, რომ მეომარ მხარეებს შეეწყვიტათ ცეცხლი და დაეწყოთ საზავო მოლაპარაკება¹⁴⁸. მაგრამ იმის გამო, რომ ირანის მთავრობამ თავიდანვე არარეალური პოზიცია დაიკავა, ამის შემდეგაც ირან-ერაყის ფრონტზე ბევრი სისხლი დაიღვარა. მხოლოდ 1988 წლის ივლისის დამდეგს, როცა ირანის მხარე საბოლოოდ დარწმუნდა ესოდენ გაკიანურებული ომის უპერსპექტიობაში, დაეთანხმა მიეღო აღნიშნული დადგენილების პირობები. საომარი მოქმედება შეწყდა უშიშროების საბჭოს დადგენილების მიღებიდან ერთი წლის შემდეგ, 1988 წლის 20 ივლისს¹⁴⁹. ამ დროისათვის ომის დაწყებიდან უკვე 7 წელი და 10 თვე იყო გასული. მალე უენევაში გაიმართა მოლაპარაკება ირანის და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრებს ველაიათსა და აზიზს შორის. მოლაპარაკებაზე შუამავლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ეწეოდა.

ამ დროს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მირ ჰოსეინი მუსაეიმ გადადგომა ითხოვა. მთავრობის მეთაურის გადადგომაზე თხოვნა უარყვეს როგორც პრეზიდენტმა სეიდ ალი ხამენეიმ, ასევე აიათოლა იმამ ხომეინიმ. ეს ფაქტი მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში მიიჩნიეს, როგორც ირანის ახალი შინაპოლიტიკურა კრიზისის მაუწყებელი ნიშანი ერაყთან ომის შეწყვეტის შემდეგ. ამ მომენტისათვის მუსაეის მთავრობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული ნდობის ვოტუმი მესამე მოწვევის მეჭლისში და ხელისუფლებას დროებით საფუძველზე ახორციელებდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ, 1984 წლის ზაფხულში, როცა მირ ჰოსეინი მუსაეის მთავრობას მეჭლისში გაუძნელდა ნდობის ვოტუმის მოპოვება, სწორედ იმამ ხომეინის ჩარევამ იხსნა იგი

147 „ქეიჰანი“, 1988 წლის 14 აპრილი.

148 „ეთელაათი“, 1987 წლის 21 ივლისი.

149 „ჯომჰურიე ესლამი“, 1988 წლის 20 ივლისი.

გარდუვალი მარცხისაგან. მაშინ მუსაევის მთავრობას თავს ესხმოდნენ რელიგიური ლიდერების ერთი ჯგუფი და მსხვილი ვაჭრების წარმომადგენლები ქვეყნის ეკონომიკაზე გაძლოის უუნარობის გამო. ახლა კი რადიკალურად განწყობილი სასულიერო პირები ბრალს სდებდნენ მას იმაში, რომ მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის შედგენისას ანგარიში არ გაუწია მეჯლისის უმრავლესობის აზრს, ამასთან საჭირო სიმტკიცეს ვერ იჩენდა ქვეყნის წინაშე მდგარი რთული პრობლემების გადაწყვეტაში. მაგრამ აქვე მხედველობაში მისაღება იმის გარემოებაც, რომ მთავრობის ინიციატივას და მოქმედებას არსებითად ზღუდავდა ხომეინის განკარგულებით 1988 წლის იანვარში შექმნილი სადავო ეკონომიკური საკითხების განმხილველი სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელშიც შეიყვანეს საკანონმდებლო, სამმართველო და სამართალდამცავი ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები.

ერაყთან ომის შეწყვეტის შემდეგ შეიმჩნევა დასავლეთის სახელმწიფოებთან ადრე გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პროცესის გაფართოება. 1988 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე აღადგინეს ურთიერთობა საფრანგეთთან, კანადასა და ინგლისთან¹⁵⁰. ამას წინ უძღოდა ირანელი ექსტრემისტების და ტერორისტების მიერ ლიბანსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში დატყვევებული მძევლების საკითხის მოწესრიგება, რამაც გარკვეული პირობები შეუშადა ირანსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ ამ მხრივ უნდობლობისა და ეჭვის ელემენტები კვლავ ძლიერია.

რაც შეეხება ირანისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობას, აქ ჯერ კიდევ ბევრი დაუძლეველი დაბრკოლებაა, თუმცა მისი აღდგენის მცდელობა ორივე მხრივ შეიმჩნევა. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა ჯერ კიდევ 1979 წლის ნოემბრის დამდეგიდან, როცა „იმამის კურსის მიმდევარმა სტუდენტებმა“ ხელში ჩაიგდეს თეირანში ამერიკის საელჩოს პერსონალი და 444 დღის მანძილზე მძევლებად ჰყავდათ აყვანილი¹⁵¹. შემდეგში, 1986 წელს ირანელების გახმაურებულ მაქინაციებთან დაკავშირებით გამოქვამდა ირანელი მმართველების საიდუმლო კავშირები თეთრისახლის მაღალი რანგის წარმომადგენლებთან და თვით პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან. ირან-ამერიკის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა სპარსეთის ყურის რაიონში აშშ-ის სამხედრო ყოფნისა და იქ პროვოცირებულ ინციდენტებთან დაკავშირებით. მაგრამ უკანასკნელ

¹⁵⁰ „ჯომჰურიე ესლამი“, 1988 წლის 5 დეკემბერი.

¹⁵¹ „ეთელაათი“, 1981 წლის 20 იანვარი.

.ბრძოლის დროშა, როგორც ფეოდალ-მჩაგვრელების, ასევე დამპყრობლების წინააღმდეგ²⁰.

ფეოდალური სახელმწიფოები

X საუკუნის დამდეგისათვის ირანში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რასაც შენარჩუნებული ჰქონდა პატრიარქალური და მონათმფლობელური წყობის ძლიერი ელემენტები, განვითარებულ ფეოდალური წარმოებით ურთიერთობებში გადაიზარდა. ამ დროს ქვეყანაში დაეცა სახალიფოს გავლენა და წარმოიშვა ირანული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები. ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განახლებამ განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება. იქმნება მადალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები, ფართოდ ვრცელდება ახალი სპარსული ენა-ფარსი²¹.

ამ პერიოდში ირანელი ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ მსოფლიოში ფართოდ სახელმძღვანელო ლიტერატურის კლასიკოსები, მეცნიერები და მეცენატები, რომელთა სახელთან არის დაკავშირებული არა მარტო ირანის, არამედ მთელი აღმოსავლური კულტურის რენესანსი. ამან კი, თავის მხრივ, გარკვეული გავლენა მოახდინა ირანის სახელმწიფო ინსტიტუტის შემდგომ განვითარებაზე.

XI საუკუნეში, როცა ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქ სელჩუკთა სახელმწიფოში შედიოდა, ამ უკანასკნელმა დაზნევიანელებისაგან გადმოიღეს სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ორგანოები. სელჩუკთა სულთნის შემდეგ სახელმწიფოს მეორე გამგებელი იყო დიდი ვეზირი ანუ დიდი ხოჯა. შემდეგ მოდიოდა ტორლა (ტორლა ქაში), რომელიც სულთნის პირად ვეზირად ითვლებოდა. აქვე იყო წერილებისა და ეპისტოლეების უწყება, რომელიც მწერალ-მდივნებისა და გადამწერ-კალიგრაფების ჯგუფისაგან შედგებოდა. მუსთაუფი ოლ-მამალექი გადასახადების და საერთო საფინანსო საქმეების გამგებელი იყო. არსებობდა, აგრეთვე, აშრაფის, არზ ოლ-ჯოუშის, ყაზას დივანი. ეს უკანასკნელი სასამართლო საქმეებს განაგებდა. ამ დროს დაარსდა დივან-ე ბითაქჩი, რომელიც სასახლის კარის გამგე-

²⁰ С. Л. Агаев, Иран в прошлом и настоящем, М., 1981, с. 13; ნ გ გ ა რ ე შ ჯ ა ფ ა რ ი ლ ე ნ გ ე რ უ ღ ი, ირანის სამართლის ისტორია, თეჰრანი, 1961, გვ. 100 (სპარსულ ენაზე). შემდეგში: ჯ. ლენგერუდი.

²¹ იქვე, გვ. 13—14; ლო ლ ა მ რ ე ზ ა ა ნ ს ა ფ უ რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 303.

ბელი იყო. თითოეული უწყების მეთაურს თავისი მოადგილე (ნაიბი) ჰყავდა²².

XIII საუკუნის დამდეგიდან, როდესაც ირანში მონღოლები შეიჭრნენ, თითქმის საუკუნენახევრის მანძილზე ქვეყანა მთლიანად ან ნაწილობრივ ჰულაგიანთა სახელმწიფო გაერთიანებაში შედიოდა. ჰულაგიანთა ილხანების სახელმწიფო განვითარებული ფეოდალიზმის ირანული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მონღოლთა ადრეფეოდალური მომთაბარული სახელმწიფო უწყებების წინააღმდეგობრივ სინთეზს წარმოადგენდა. მონღოლთა ურდოების შემოსევებმა უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, საირიგაციო მეურნეობების ნგრევა და საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების მოშლა გამოიწვია. ამ დროს, როგორც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, სახელმწიფო საბჭო ანუ ყურულთაი მოქმედებდა. მონღოლთა გარნიზონების საქმეებს განაგებდა დეჟბანის სამხედრო უწყება. ილხანის კანცელარიაში ბრძანებულებათა ტექსტებს ადგენდნენ და დამტკიცების შემდეგ იგი შემსრულებლებამდე დაჰყავდათ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სატრანსპორტო საშუალებებს. რასაც საგანგებო უწყება „თადაროქე ჰალ ო ნაყლ“ უძღვებოდა.

ილხანის კართან დაარსებული იყო საძოვრების დაცვა-შენახვის დაწესებულება („ჰაფიზათ-ე მარათე). იყო, აგრეთვე, პროდუქტების მომარაგების („თაჰიეე ხარზარ“), მშვილდისრისა და საჭრეთელის ტრანსპორტირების („ჰამლ ო ნაყლ ესლაჰე ვა თირ ო ქამან“) უწყებები, ამირების, მეჭინბეთუხეცის და სხვ. თანამდებობები²³. ამ დროიდან ირანში დამკვიდრდა ხანის ტიტული. თუ სიტყვა „ხანი“ მამაკაცის სახელს დაერთვოდა, ეს მისი მფლობელის საპატიო, გამორჩეულ მდგომარეობაზე მიანიშნებდა.

თემურიანების სახელმწიფოში (XIV—XV სს.) დამკვიდრდა ჯერ კიდევ არაბობის დროს შემოღებული ვაზირ-ე აზამის ძალიანი თანამდებობა. ბევრი სახელმწიფო დაწესებულება შემორჩა მონღოლთა ბატონობის დროიდან, რაც ორივე დინასტიის ნომადური ცხოვრების წესით იყო განპირობებული²⁴. არსებობდა აგრეთვე დივან ბეგის (უმაღლესი მოსამართლის) თანამდებობა. მას ექვემდებარებოდნენ სასამართლო მოხელეები: არზ ბეგი, მუნში მოჰარემი, სადრ ოს-სალუ-

22 ზაკრა შაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 87; მეკდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47; ლოლამ რეზა ანსაფური, დასახ. ნაშრ., გვ. 315—319.

23 მეკდი ვაზირნია, დასახ. ნაშრ., გვ. 47; ქ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 112.

24 ზაკრა შაჰი, დასახ. ნაშრ., გვ. 88; ქ. ლენგერუდი, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

არ მოუხდენია. მაგრამ ნახევარ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, როცა პრესაში გამოქვეყნდა მონთაზერის წერილების ფოტოასლები და საიდუმლოებას ფარდა აეხადა, მმართველი ელიტის შიგნით ალიაქოთი ატყდა. 1989 წლის 22 მარტს, ირანული ახლო წლის (ნავრუზი) დადგომის მეორე დღეს, ხომეინიმ საჯაროდ გამოთქვა თავისი შემოფთება ამ ფაქტის გამო. 26 მარტს ეს საკითხი საგანგებოდ განიხილეს ხაბარგანების (ექსპერტთა) საბჭოს სხდომაზე, რომელიც ხომეინის მონაწილეობით ჩატარდა. ამის შემდეგ გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ ჭერ კიდევ ხაბარგანთა საბჭოს სხდომის მოწვევამდე ხომეინიმ სპეციალური წერილით მიმართა მონთაზერის, რომელშიც წინადადება მისცა ელიარებიანა დაშვებული შეცდომები და გადამდგარიყო მემკვიდრის პოსტიდან. აიათოლა მონთაზერი მორჩილად დაჰყვა იმამის ნებას. ამასთან დასძინა, რომ მას თავიდანვე არ მიაჩნდა თავი ამ დიდი ადგილის ღირსად, მაგრამ ანგარიში გაუწია იმამისა და ხაბარგანების დაქინებით თხოვნას¹⁵⁴. როგორც ირანის მმართველ ელიტასთან ახლო მდგომ წრეებში აღნიშნავენ, მონთაზერი მთლიანად ეთანხმებოდა „ველაიათე ფაყიჰის“ ხომეინისეულ კონცეფციას და მხარს უჭერდა მმართველი წრეების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებებს. მაგრამ ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელების საქმეში მას გამორჩეული ლიბერალური პოზიცია ეკავა და ხომეინის მკაცრი პოლიტიკური კურსის მომხრე არ იყო. იგი ხომეინისა და მისი მიმდევრებისაგან არსებითად განსხვავდებოდა აგრეთვე ზოგიერთი პირადი, ადამიანური თვისებებითაც¹⁵⁵.

1989 წლის 4 ივნისს აღესრულა თითქმის ცხრა ათეულ წელიწადს მითანებული აიათოლა რუჰოლა ალ-მუსავი ალ-ხომეინი. ხაბარგანთა საბჭომ, ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ, ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის (რაჰბარი, ვალი ფაყიჰე) მაღალ ადგილზე დანიშნა 1941 წელს დაბადებული ჰოჯათ ოლ-ისლამ სეიდ ალი ხამენეი, რომელსაც რვა წლის მანძილზე შეუთვალვლად ეკავა ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი¹⁵⁶. კონსტიტუციის თანახმად, მას უკვე უფლება აღარ ჰქონდა მესამე ოთხწლიანი ვადით წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა პრეზიდენტობაზე.

1989 წლის 28 ივლისს პრეზიდენტის მორიგ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა სასულიერო წრეებში ფართოდ პოპულარულმა

154 „ნამეე მარდომ“, 1989 წლის 4 აპრილი.

155 „ეთელაათი“, 1989 წლის 5 აპრილი.

156 „ჯომჰურიე ესლამი“, 1989 წლის 5 ივნისი.

55 წლის ჰოჯათ ოლ-ისლამ ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ¹⁵⁷. იგი ზანგრძლივი დროის მანძილზე ისლამური პარლამენტის თავმჯდომარე იყო. 1989 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მეჯლისმა ხმების დიდი უმრავლესობით დაამტკიცა იგი ირანის ისლამური რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტად. ამასთანავე ჰაშემი რაფსანჯანი მთავრობის მეთაურიც გახდა და, ამრიგად, ქვეყნის მთელ აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთ ხელში მოუყარა თავი.

157 „ჯომჰურიე ესლამი“, 1989 წლის 29 ივლისი.

დანართი 1

„ველიათე ფაჟიჰის“ ინსტიტუტის მოწინააღმდეგე უმაღლესი
სასულიერო პირები

1. აიათოლა მაჰმედ თალელანი (გარდაიცვალა 1979 წელს).
2. აიათოლა მორთეზა მოთაპარი (გარდაიცვალა 1979 წელს).
3. აიათოლა აბოლ-ფაზლ ზენჯანი (გარდაიცვალა 1983 წელს).
4. აიათოლა ჰასან ლაჰუთი (გარდაიცვალა 1981 წელს).
5. აიათოლა მოჰამად ყაზემ შარიათმადარი (გარდაიცვალა 1986 წელს).
6. აიათოლა აბდულლაჰ შირაზი (გარდაიცვალა 1984 წელს).
7. აიათოლა მოჰამად რეზა გოლფაეგანი.
8. აიათოლა ჰასან თაბათაბაი ყუმეი.
9. აიათოლა ალამაჰ ნური.
10. აიათოლა ნასერ მოყადამ შირაზი.
11. აიათოლა ალი თეჰრანი.
12. აიათოლა სადეყ რუჰანი.
13. აიათოლა მოჰამად რეზა მაჰდავი ქიანი.

დანართი მ-2

„ველიათე ფაჟიჰის“ ხომეინისეული მოღველის მოხსნა მაღალი
რანგის სასულიერო პირები

1. აიათოლა მოჰამად ჰასან ბეჰეში (გარდაიცვალა 1981 წელს) —
ისლამური რესპუბლიკური პარტიის დამაარსებელი. უმაღლესი
სასამართლოს მთავარი მოსამართლე.
2. აიათოლა ჰოსეინ ალი მონთაზერი — ხომეინის ყოფილი მემკვიდრე
„ველიათე ფაჟიჰის“ (რაჰბარი) თანამდებობაზე. პარასკევის მეჩე-
თის (ჯამე) ლოცვის წინამძღოლთა ქსელის მეთაური.
3. აიათოლა აბ-ოლ ქაზიმ მუსაევი არღებილი — უმაღლესი სასამართ-
ლოს მთავარი მოსამართლე, უმაღლესი სასამართლო საბჭოს წევ-
რი, თეირანის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის დროებითი
წინამძღოლი.
4. აიათოლა ალი მოშქინი — ყუმის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოც-
ვის წინამძღოლი, ექსპერტთა საბჭოს ცენტრალური კომიტეტის
თავმჯდომარე.

5. აიათოლა აბ-ოლ რაჰიმ რაბანი შირაზი (გარდაიცვალა 1984 წელს) — თავდაცვის საბჭოს წევრი.
6. აიათოლა იუსუფ სანა'ი — ქვეყნის ყოფილი გენერალური პროკურორი. თავდაცვის საბჭოს ყოფილი წევრი, უმაღლესი იურიდიული საბჭოს წევრი.
7. ჰოჯათ ოლ-ისლამ ჯავად ბაჰონარი (გარდაიცვალა 1981 წელს) — ყოფილი პრემიერ-მინისტრი.
8. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოჰამად გილანი — თავდაცვის საბჭოს წევრი, თეირანის ყოფილი რევოლუციური გენერალური პროკურორი.
9. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოჰამად რეიშაჰრი — ინფორმაციისა და უშიშროების მინისტრი, შეიარაღებული ძალების ყოფილი რევოლუციური გენერალური პროკურორი.
10. ჰოჯათ ოლ-ისლამ ალი აქბარ ნათეჟ ნური — შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი.
11. ჰოჯათ ოლ-ისლამ ალი ქუდიზი (გარდაიცვალა 1981 წელს) — რევოლუციური გენერალური პროკურორი.
12. ჰოჯათ ოლ-ისლამ ალი ხამენეი — სახელმწიფოს მეთაური (რაჰბარი) 1989 წლის ივნისიდან, რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი, თავდაცვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ისლამური რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანი, თეირანის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის დროებითი წინამძღოლი.
13. ჰოჯათ ოლ-ისლამ ალი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი — რესპუბლიკის პრეზიდენტი 1989 წლის ივლისიდან; მეჯლისის ყოფილი თავმჯდომარე, იმამის წარმომადგენელი თავდაცვის უმაღლეს საბჭოში, ექსპერტთა საბჭოს ცენტრალური კომიტეტის წევრი, თეირანის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის დროებითი წინამძღოლი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილე, ისლამური რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.
14. აიათოლა აჰმად ჯენათი — თავდაცვის საბჭოს წევრი.
15. აიათოლა ლუთფოლა საფი — თავდაცვის საბჭოს წევრი.
16. აიათოლა აბ-ოლ ყაიმ ხაზალი — თავდაცვის საბჭოს წევრი.
17. ჰოჯათ ოლ-ისლამ მუჰამად ემამი ქაშანი — თავდაცვის საბჭოს წევრი, თეირანის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის დროებითი წინამძღოლი, ადმინისტრაციული იურიდიული ტრიბუნალის თავმჯდომარე.
18. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოჰამად მომენი — თავდაცვის საბჭოს წევრი.
19. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოჰამად მუსაუი ბოჯნურდი — უმაღლესი იურიდიული საბჭოს წევრი.
20. ჰოჯათ ოლ-ისლამ აბოლ ფაზლ მირ მოჰამადი — უმაღლესი იურიდიული საბჭოს წევრი.

21. ჰოჯათ ოლ-ისლამ მორთეზა მოქთადანი — უმაღლესი ოურიდიული საბჭოს წევრი.
22. აიათოლა მოჰამად მეჰდი რაბანი — ამლაშთი (გარდაიცვალა 1985 წელს) — მეჯლისის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ექსპერტთა საბჭოს ცენტრალური კომიტეტის წევრი, ყოფილი გენერალური პროკურორი.
23. აიათოლა მოჰზენ მალაქათი — თავრიზის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის წინამძღოლი.
24. აიათოლა ჯალალ ად-დინ თაჰერი — ისფაჰანის პარასკევის (ჯამე) ლოცვის წინამძღოლი.
25. აიათოლა ჰოსეინ ხათემი — ისფაჰანის თეოლოგიური სემინარიის დეკანი.
26. აიათოლა აბას ფაეზ თაბასი — მეშჰედის პარასკევის მეჩეთის (ჯამე) ლოცვის წინამძღოლი, ისლამური რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.
27. აიათოლა ჰაერი შირაზი — შირაზის პარასკევის მეჩეთის ლოცვის წინამძღოლი.
28. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოვაჰედი ქერმანი — ისლამური რესპუბლიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, იმამის წარმომადგენელი ეროვნული პოლიტიკის საკითხებში.
29. ჰოჯათ ოლ-ისლამ მოჰამად ხათემი — ისლამური ორიენტაციის მინისტრი.
30. ჰოჯათ ოლ-ისლამ მუსავეი ხაინიჰა — სახელმწიფოს გენერალური პროკურორი.

ГОСУДАРСТВЕННЫЙ СТРОЙ ИРАНА (НОВАЯ И НОВЕЙШАЯ ИСТОРИЯ)

Резюме

Иранское государство имеет многовековую историю. На протяжении более двух с половиной тысячелетий на территории страны менялись абсолютные, деспотические монархические династии, укрепляющие интересы привилегированных классов, слоев и сословий рабовладельческих и феодальных обществ.

В эпоху новой истории производительные силы и производственные отношения иранского общества находились в упадочном состоянии, переживая глубокий кризис. Это в основном было вызвано длительными опустошительными войнами и феодальными междуусобицами, приведшими к разрушению ирригационных сооружений, омертвлению сельской и городской жизни. В упадке экономической жизни страны немаловажную роль сыграло и то, что в связи с освоением в конце XVII века морских путей вокруг Африки постепенно теряла былую значимость ближневосточная сухопутная торговая трасса, проходившая через Иранское нагорье.

Это создавало благоприятные условия для экономической и политической экспансии промышленно развитых стран Европы, овладения ими иранским рынком, превращения страны в сырьевой придаток их промышленности. В результате проникновения иностранного капитала в стране происходили сдвиги в базисе общества, вызвавшие его одностороннее уродливое развитие. Вместе с тем возникли определенные потребности в структурном изменении системы государственного управления.

В 20-х годах XIX века в государственном аппарате по западному образцу образовались первые внешнеполитические, военные, финансовые и другие ведомства, приобретшие в дальнейшем внешнюю форму современных государственных органов. К середине столетия первым министром (садразам) Наср-ед-дин шаха Мирзой Таги-ханом были предприняты неудачные попытки переустройства феодального государственного аппарата с внесением в него некоторых буржуазных элементов. В 70—80-х годах XIX века после трехкратного путешествия шаха по странам Европы, были образованы новые министерства по европейским образцам. Однако из-за

тупиковых положений базисных социально-экономических укладов внесенные изменения в сферу феодально-государственной надстройки фактически носили формальный характер. Во главе государства по-прежнему стояла неограниченная каджарская монархия, социальную опору которой составляли феодально-патриархальные силы.

Основным результатом иранской революции 1905—1911 гг. было введение конституционно-парламентского правления и тем самым ограничение монархического режима. Но объединенные силы внутренней реакции и империалистических держав свели до минимума эти революционные завоевания. Тем не менее сам факт созыва парламента (меджлис) и утверждения основного закона ознаменовал наступление нового, важного этапа в истории иранской государственности. Конституция провозгласила некоторые буржуазно-демократические свободы, в основу которых легли положения, заимствованные из конституционных принципов Франции и Бельгии. Она определяла также исходные положения парламентарной, ограниченной монархии.

Продолжением и своеобразным завершением основных аспектов революции 1905—1911 гг. по существу являлась замена в конце 1925 г. феодальной каджарской монархии новой полуфеодальной монархией Пехлеви, отражавшей интересы торговой буржуазии и крупных полуфеодалов-помещиков. Укреплению позиции этих последних служили централизаторская политика, проведенная иранским правительством в 20—30-х годах XX века, издание правовых документов, определяющих статус частной собственности, утверждение гражданских и уголовных кодексов. В осуществлении этих мероприятий, и также укреплении политической независимости страны важную роль играло нормальное, добрососедское отношение с Советским Союзом, установленное в то время шахским правительством. Но резкий поворот в политике, сближение правящих кругов Ирана с империалистическими державами до и после Второй мировой войны, включение страны в военно-стратегические планы Запада, ее экономическую жизнь привели к застойному положению. Обострилась внутривнутриполитическая ситуация.

В 60—70-х годах с целью сохранения монархического режима последний представитель династии Пехлеви был вынужден провести социально-экономические преобразования, с тем чтобы очистить путь развитию в стране капиталистических отношений. В результате династия Пехлеви превратилась в буржуазную монархию. Но это бонапартистское лавирование не привело к желаемым результатам, не сумело спасти отжившую свой век монархию от неминуемой катастрофы. Народная антимонархическая, антиимпериалистическая революция 1978—1979 гг. сменила монархический

режим республиканской формой правления. Однако в силу сложившихся специфических обстоятельств, при которых монархический режим в результате жестоких репрессий расправился как с левой, так и с буржуазно-демократической оппозициями, и, одновременно обостряя отношение с религиозными деятелями, по иронии судьбы, волей-неволей сам оказался в роли пособника прихода к власти этих последних.

1 апреля 1979 года Иран официально был провозглашен Исламской республикой. Это явление не имело прецедента, т. к. история еще не знала случаев, когда религиозные деятели полностью овладели государственной властью и создали сугубо теократическое правление.

Структурные модели т. н. «Исламского государства», т. е. «Исламской формы правления» еще до революции были разработаны лидером иранских шиитов аятоллой Рухоллой Хомейни. Основное содержание хомейновского «исламского образа правления» сводится к следующему: до прихода находящегося, по верованию шиитов, «в укрытии» последнего (двенадцатого) имама Махди, который «сам знает», каким образом управлять общиной верующих, его миссия возлагается на общепризнанного выдающегося лидера среди глубокоосведомленных и компетентных религиозных законовевов («факихов»). Он призван занимать высокую должность главы государства («велаает-е факих»). Согласно теории Хомейни, государственная власть в исламской республике разделяется между тремя группами: 1. Группа принятия решений (Учредительное собрание), которая утверждает законы на основе шарнатских норм (в форме фетв). Эта группа состоит из высших религиозных лиц. 2. Совещательная группа (меджлис), состоящая в основном из шиитских законовевов. 3. Исполнительная группа (президент, совет министров), в рядах которой ведущее место также занимают религиозные деятели. При этом судебная власть должна осуществляться исключительно на основе шарнатской юриспруденции.

В дальнейшем новые органы государственной власти, возникшие в ходе революционных событий, были узаконены в исламской конституции, которая была утверждена на референдуме 2—3 декабря 1979 года. После того как в процессе овладения политической властью в государстве шиитские лидеры сумели постепенно отстранить от себя происламских буржуазных деятелей (премьер-министра временного революционного правительства М. Базаргана, первого президента ИРИ А. Х. Банисадра и др.), они приступили к ликвидации левых революционных сил (моджахеддины, феданны, НПИ), игравших решающую роль в победе революции и последовательно выступавших за демократиза-

цию общественной жизни страны, проведение радикальных социально-экономических преобразований.

Лозунги об установлении «исламской справедливости», выдвинутые исламскими лидерами в ходе революции с целью привлечения на свою сторону широких народных масс, постепенно предавались забвению вслед за проведением сплошной исламизации общественной жизни страны.

Религиозные руководители ИРИ, выражая интересы имущих классов и слоев общества и укрепляя частную собственность на средства производства, способствуют обогащению эксплуататорских элементов города и деревни. Во внешней политике они на словах выставляют себя сторонниками мирного сосуществования между государствами с различным общественно-политическим строем, невмешательства в дела других стран, уважения суверенитета и независимости государств. На деле же они всячески стремятся распространять и навязать другим странам и народам идеи пресловутой «исламской революции», вели бессмысленную, опустошительную войну против соседнего иракского народа.

Проведенные в двух турах (в марте и мае 1988 года) выборы в меджлис третьего созыва (выборы первых двух созывов парламента были проведенный весной 1980 и 1984 годов) показали, что значительная часть избирателей воздержались от участия в голосовании в знак несогласия с внутренней и внешней политики исламских властей.

После прекращения кровопролития летом 1988 года на Ирано-Иракском фронте, в верхних эшелонах государственной власти Исламской Республики Иран новой силой развернулась дискуссия по вопросам поиска путей преодоления трудностей, воздвигнувшиеся перед государством. В исламских кругах спор ведется между т. н. умеренными и радикалами. Группировка умеренных, опирающейся в основном на крупных торговцев, предпочтение отдают развитию частного предпринимательства. Радикалы же, выражая интересы средних слоев общества, требуют установление строгого государственного контроля над экономикой. Несмотря на это указанные течения не отличаются особой стабильностью. При рассмотрении сложных вопросов наблюдается переход отдельных представителей правящего высшего духовенства от одной группировки в другую. Обе группировки ставят перед собой одинаковую цель — создание общества «исламской социальной справедливости», отличавшегося, по их мнению, как от капитализма, так и от социализма. Но одно воочию

ясно, что в обществе, где право на частной собственности объявляется священным и неизменным, развитие направляется лишь только по пути капитализма.

Надо полагать, что иранский народ, не раз показавший свою непримиримость с деспотизмом и несправедливостью, скажет свое решительное слово в деле выбора государственной власти, способной удовлетворить его насущные интересы.

შინაარსი

შესავალი	3
თავი პირველი. მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფო წყობილება	5
ადრეფეოდალური სახელმწიფო	9
ფეოდალური სახელმწიფოები	13
სეფიანთა სახელმწიფო	15
ყაჩარხთა ირანული სახელმწიფო	19
ბურჯუაზიული სახელმწიფო ინსტიტუტების დამკვიდრების პირველი ცდები ირანში	22
სახელმწიფო და რელიგია პირველ რევოლუციამდელ ირანში	28
მონარქიის ღვთისწორობის იდეა	30
ირანის პირველი რევოლუცია და კონსტიტუციის მიღება	35
ახალი ეტაპი ირანის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში	35
ახალი დანასტია და მისი სოციალური საყრდენები	37
ირანის სახელმწიფო უკანასკნელი ფეპლევიანი მონარქის დროს	39
თაღი მმორმ. ირანის პარლამენტური მონარქიის სახელმწიფო ორგანიზაცია	45
ქვეყნის პირველი კონსტიტუცია და მისი ძირითადი დებულებები	45
ცვლილებები კონსტიტუციაში	56
საქანონმდებლო ხელისუფლების ორგანოები	50
ქვედა პალატა — მეჯლისი	61
სენატი	69
საარჩევნო სისტემა	74
ზმის მიცემის წესი	77
1963 წლის საარჩევნო კანონი და ქალების ემანსიპაცია	79
ქალის როლის ამღლება ირანის საზოგადოებაში	93
ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები. მონარქია	87
მინისტრთა კაბინეტი (ქეიათე ვაზირან) და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები	97
მინისტრთა კაბინეტი. პრემიერ-მინისტრი	78
სამინისტროები და უწყებები	105
ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. ადმინისტრაციული დაყოფა	110
ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები	114
საქალაქო მმართველობა	118
სასამართლო ხელისუფლება	122
პროკურატურა	133
არმია, ჟანდარმერია, პოლიცია	134
	207

თავი მესამე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. სახელმწიფო და რევოლუცია: სოციალური თუ იდეალური	139
„ისლამური მმართველობის“ ხომეინისული კონცეფცია	143
ხელისუფლების ახალი ორგანოების ჩამოყალიბება	147
ისლამური რესპუბლიკა	154
ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია	158
„ველაიათ-ე ფაყიჰი“	161
საპეტეალურყო საბჭო	164
საკანონმდებლო (სათათბირო) ხელისუფლება	155
ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი	167
ისლამური რესპუბლიკის მთავრობა	170
შეიარაღებული ძალები	172
სასაქარტლო ხელისუფლება	173
„ისლამური სახელმწიფოს“ ეკონომიკური საფუძველი	176
ხალხის უფლება-მოვალეობანი	179
ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა	181
სახელმწიფო ენა, კალენდარი, გერბი და დროშა	184
ისლამური რესპუბლიკა კონსტიტუციის მიღების შემდეგ	186
დანართი 1	199
დანართი მე-2	199
Государственный строй Ирана (новая и новейшая история) (резюме)	202

Чипашвили Георгий Северьянович

ГОСУДАРСТВЕННЫЙ СТРОЙ ИРАНА
(НОВАЯ И НОВЕЙШАЯ ИСТОРИЯ)

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3980

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე
ტექნორედაქტორი ნ. შონაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 6. 3. 1989; ხელმოწერილია დასაბუქდად 22. 12. 1989;
ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆; ქალაქი № 2; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 13.0;
პირ. სად. გატ. 13.25; საარტიტვო-საგამომცემლო თაბახი 12.56;
უე 13011; ტირაჟი 1000; შეჯება 659;

ფასი 2 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა «მეცნიერება», თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова. 19